


ଓজেমেল্লো
2016 4



আরোহণ চালিশা

ეპლიტიკ

2016, №4

სარჩევი

რედაქტორის სვეტი	2
ერგორთ უცნი	3
“ახალი აგარძარებელი”	3
პლატვერის ამჩავი	11
ვარსკვლავი	21
ფილმერი	27
შიახველათა იმპერია	38
აგავი გამოუდიდები აჩრდილისა	48
ცერილები	57
ერგორთ უცნი	57
არჩილ კიკვაძე	58
კლუბის ცეკვითა გემოემადება	60
ილია ბაგაცვილი	60
306 არის ღმერთი?	60
პოროტეპის პლანტა	63
გაგა ნახულიშვილი	65
პატარა ზეპრა	65
ილი ჭიჭეარეული	66
დამასტე	66
ანა ჩიქოვანი	70
“რატომ არ არის ნახსენები კატა გიგლიაში?”	70
ირაკლი ლომოვარი	76
დღე, როდესაც მსოფლიო ქართულად ალაპარაკდა	76
მიხეილ გაველაშვილი	80
სამი მინიატურა	80
აკვით ბიბილაშვილი	81
ლაპარაკობს და უჩვეებეს „პალიორას ყუთი!“	81



ჩედაჟმრის სვეტი

ძვირფასო მეგობრებო! გთავაზობთ ჩვენი უურნალის მეოთხე ნომერს, რომელიც გამოჩენილ ინგლისელ ფანტასტ მწერალს, ჰერბერტ უელსს ეძღვნება. იგი სავსებით სამართლიანად მიიჩნევა თანამედროვე სამეცნიერო ფანტასტიკის ფუძემდებლად. წელს მისი დაბადებიდან 150 და გარდაცვალებიდან 70 წელი სრულდება. ჩვენ, უბრალოდ, მორალური უფლება არ გქონდა, ამ ორმაგი „იუბილესთვის“ გვერდი აგვევლო. შევარჩიეთ მოთხოვნები, რომლებიც ქართულ ენაზე დღემდე არ იყო თარგმნილი. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს, რომელმაც გარკვეული დახმარება გაგვინდა.

კლუბი „ფანტასტი“ უკვე ორი წელია არსებობს, მაგრამ უურნალის მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე ნომერი გამოდის. აქამდე

ყველაფერს ჩვენი ენთუზიაზმის ხარჯზე ვაკეთებდით, არავინ გვიმჩნევდა, არც სახელმწიფო უწყებები და არც ქველმოქმედ-ბიზნესმენები. მადლობა ლმერთს, მდგომარეობა, ნელ-ნელა იცვლება. ყოველ შემთხვევაში, ყინული დაიძრა.

ფანტასტი იმით განსხვავდება რიგითი მოქალაქისგან, რომ წარმოსახვის უნარი განსაკუთრებულად აქვს განვითარებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კლუბი, – ფაქტობრივად კი, ლიტერატურული სტუდია-სალონი, – დღემდე ერთობ კამერულია, დიდი გეგმები გვაქვს. გვჯერა, ადრე თუ გვიან ჩვენი მოქმედების არეალი და მასშტაბები გაიზრდება, მოქმედების ფორმები კი უფრო მრავალფეროვანი გახდება. ჩვენი მიზანია საქართველოში ფანტასტიკის პოპულარიზაცია და ახალგაზრდა ქართველი ავტორების აღმოჩენა და ხელშეწყობა. თუ სურვილი გაგიჩნდებათ ამ საქმეში თქვენი წვლილი შეიტანოთ, გვერდით დაგვიდგეთ, კლუბში შემოხვიდეთ, ძალიან გაგიიხარდება. დაგვირეკეთ, მოგვწერეთ, მობრძანდით: 595 943 888, ilomouri@hotmail.com იოსელიანის №37, მე-4 სად. მე-10 სართ. ბ.111.

ჩვენი საბანკო ანგარიშია:

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BABAGAGE22

მიმღების დასახელება: ააიპ „ფანტასტი“

მიმღების ანგარიშის ნომერი: GE11BG0000000908842500

გაუმარჯოს ფანტასტიკას და ფანტასტებს!

ჯარული

ნიგნის

ცოცვეული

სანთრი



უურნალის აღნიშნული ნომერი გამოიცა
ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით

პერიოდი უკლისი

“ახალი ამაჩქარებელი”

თუკი ვინმეს ქინძისთავი უძებნია და სანაცვლოდ ოქროს მონეტა უპოვნია, ეს ჩემი კარგი მეგობარი, პროფესორი გიბერნია. წინათაც მსმენია, რომ ზოგიერთი მკვლევარი გაცილებით მეტს პოულობდა, ვიდრე ეძებდა, თუმცა ის, რაც პროფესორ გიბერნის შეემთხვა, ჯერ არავის მოსვლია. ყოველგვარი გაზიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მისი აღმოჩენა ჩვენს ცხოვრებას გადაატრიალებს. არადა, პროფესორი მხოლოდამხოლოდ მატონიზირებელ საშუალებას ეძებდა, რომელიც აპათიურ ადამიანებს დაეხმარებოდა, ჩვენი აჩქარებული დროებისთვის ფეხი აეწყოთ. მე თვითონაც არაერთხელ მივიღე ეს პრეპარატი და ახლა უბრალოდ აღგინერთ მის მოქმედებას – ასე აჯობებს. გამაოგნებელია გამოცდილება, რომელსაც ის იძლევა და შეუფასებელი საჩქარი გახდება ყველასთვის, ვინც ახალ, მძაფრ შეგრძნებებს ეძიებს.

მე და პროფესორი გიბერნი, როგორც ბევრს მოეხსენება, ფოლკსტონში მეზობლები ვიყავით. მეხსიერება თუ არ მღალატობს, მისი რამდენიმე პორტრეტი, როგორც ახალგაზრდა, ისე მოწიფული ასაკის, დაიბეჭდა უურნალ “სტრენდში”, მგონი, 1899 წლის ერთერთ ბოლო ნომერში. თუმცა ამას ვერ გადავამოწმებ, რადგან ეგ ნომერი ვათხოვე ისეთ ადამიანს, რომელიც ნათხოვარს არასოდეს აბრუნებს. მკითხველმა შეიძლება გაიხსენოს მისი მაღალი შუბლი და საოცრად გრძელი შავი წარბები, რაც მას მეფისტოფელის მსგავს იერს ანიჭებდა. იგი ცხოვრობს აფერ-სანგეით-სტრიტზე, ერთ-ერთ იმ მშვენიერ საკუთარ სახლში, ქუჩას ესოდენ ხიბლს რომ მატებენ. სახლს სახურავი წაწვეტებული აქვს, ფლამანდიურ სტილში, პარმალი კი მავრიტანული სტილისაა, ხოლო პროფესორ გიბერნის მომცრო კაბინეტს გოთური სტილის ფანჯარა ამშვენებს. იმ ოთახში ვატარებთ დროს, როდესაც საღამოს ვესტუმრები ხოლმე, ვენევით ჩიბუს და ვმასლაათობთ. გიბერნი ხუმარა კაცია, მაგრამ მას ხუმრობის გარდა თავის

სამუშაოზეც უყვარს საუბარი, მისთვის საუბარი და მეგობრული ურთიერთობა ერთგვარ სტიმულს წარმოადგენს, ამიტომ მე საშუალება მომეცა “ახალი ამაჩქარებლის” შექმნის ყველა ეტაპისთვის მედევნებინა თვალი. თუმცა, რა თქმა უნდა, მისი ექსპერიმენტების უმეტესი ნაწილი ფოლკსტონში კი არა, არამედ გოვერ სტრიტზე ჩატარდა, ახალ, სავადმყოფოსთან არსებულ მშვენივრად აღჭურვილ ლაბორატორიაში, სადაც სამუშაოდ პირველი შევიდა.

ყველას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, განათლებულ ადამიანებს მოეხსენებათ, რომ გიბერნმა ფიზიოლოგებს შორის ნერვულ სისტემაზე მედიკამენტების ზემოქმედების შესწავლით გაითქვა სახელი. ის, სადაც საქმე ეხება ნარკოტიკულ, ძილისმომგვრელ და საანესტეზიო საშუალებებს, როგორც ამბობენ, მას ბადალი არ ჰყავს. როგორც ქიმიკოსი, ასევე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს, და იმ იდუმალებით მოცულ ჯუნგლებში, ნერვული უჯრედებისა და ღერძული ბოჭკოებისგან რომ შედგება, მან გაკვალა ბილიკები, ალაგ-ალაგ გაკაფა და მოასუფთავა, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენთვის მიუწვდომელი რჩება მანამ, სანამ არ ინებებს და თავისი სამუშაოს შედეგებს არ გამოაქვეყნებს. ბოლო რამდენიმე წელი “უახლესი ამაჩქარებლის” გამოგონებამდე, იგი მატონიზირებელ მედიკამენტებს ნაყოფიერად იკვლევდა. მისი დამსახურებაა, რომ მედიცინამ შეიძინა სამი ახალი პრეპარატი, რომელთა მნიშვნელობა სამედიცინო პრაქტიკისთვის უაღრესად დიდია. რამდენადაც ვიცი, გიბერნის “სიროვ ბ”-მ უფრო მეტი ადამიანი გადაარჩა, ვიდრე სამაშველო ნავმა ჩვენს სანაპიროებთან.

– მაგრამ ასეთი წვრილ-წვრილი რაღაცეები აღარ მაკმაყოფილებს, – მითხრა დაახლოებით ერთი წლის წინათ, – ეს პრეპარატები ან ალაგზნებენ ნერვულ ცენტრებს ისე, რომ თავად ნერვებზე არ მოქმედებენ, ანდა უბრალოდ ძალას გვმატებენ იმის ხარჯზე, რომ ნერვების გამტარუნარიანობას ამცირებენ; ისინი მხოლოდ ადგილობრივ და მეტად შეზღუდულ ეფექტს იძლევიან. ზოგიერთი მათგანი ახდენს გულის კუნთის სტიმაულაციას, მაგრამ თრგუნავს ტვინს; სხვები ტვინზე შამპანურის მსგავსად ზემოქმედებენ, მაგრამ არანაირი გავლენა არ აქვთ მზის წნულზე. არადა,

მე ვცდილობ, შევქმნა – და ამას მივაღწევ, აი, ნახავთ! – ისეთი პრეპარატი, რომელიც თქვენს ძალებს გააორმაგებს... არა, გაასამ-მაგებს ნორმასთან შედარებით. მიხვდით? აი, რაზე ვმუშაონ!

– ეს ადამიანს გამოფიტავს, – შევნიშნე.

– უეჭველად. მაგრამ კაცი ორ-სამჯერ მეტ საჭმელს შეჭამს და — ძალებს აღიდგენს. მა-გრამ ნარმოიდგინეთ, რა მოხდება. ნარმოიდგ-ინეთ, რომ ხელთა გაქვთ ამის მსგავსი ფლა-კონი – პატარა მომწვანო შუშის ბოთლი აიღო და მაგიდაზე სიტყვების ტაქტში ააკაკუნა, – და ამ უძვირფასეს ფლაკონში არის ძალა, რო-მელიც მოგცემთ საშუალებას ორჯერ უფრო სწრაფად იაზროვნოთ, იმოძრაოთ, იშრომოთ.

– ნუთუ ეს შესაძლებელია?

– მჯერა, რომ შესაძლებელია. და თუ არა, ესე იგი, მთელი წელი უქმად დამიკარგავს. ჰიპოფიზურატების სხვადასხვა კომბინაცია გვიჩვენებს, რომ მსგავსი რაღაც... შესაძლე-ბელია... თუნდაც ერთნახევარჯერ ააჩქაროს, ეგეც საქმეა!...

– აბა, რა! – დავეთანხმე.

– აი, ვთქვათ, სახელმწიფო მოღვაწე ხართ, უამრავი რაღაც გაქვთ გასაკეთებელი, დრო კი არ გყოფნით....

– ეგ პრეპარატი მდივანს უნდა დაალევინო, მივუგე.

– და ორჯერ მოიგებ დროში. ანდა, ნარ-მოიდგინეთ, რომ პირადად თქვენ გსურთ წიგნი დაასრულოთ.

– როგორც წესი, – ჩავურთე, – ვწყევლი ხოლმე იმ დღეს, როდესაც წიგნის წერა და-ვიწყე.

– ანდა, ნარმოიდგინეთ, რომ ექიმი ხართ, სასტიკად დაიღალეთ, არადა, გსურთ მშვიდად დაფიქრდეთ და ავადმყოფს დიაგნოზი დაუს-ვათ, ანდა ხართ ადვოკატი, ანდა კაცი, რომე-ლიც გამოცდისთვის ემზადება...

– ასეთებს ერთი წვეთი ერთ გინეად უნდა დაუფასოთ, – ჩავილაპარაკე, – და უფრო მეტადაც კი.

– ანდა, თუნდაც დუელი ავიღოთ, – თქვა გიბერნმა, – როდესაც ყველაფერი დამოკ-იდებულია იმაზე, ვინ უფრო სწრაფად გამოკრავს ჩახმახს.

– ან ფარიკაობა, – გამოვეპასუხე.

– თუკი მოვახერხე და ეს პრეპარატი უნი-ვერსალურად ვაქციე, – თქვა გიბერნმა, – არავითარ ვნებას არ მოიტანს, თუ არ ჩავთ-ვლით იმას, რომ ოდნაც მიგაახლოვებთ სი-ბერეს. მაგრამ, სამაგიეროდ, ორი ცხოვრებით იცხოვრებთ მაშინ, როდესაც სხვა სდამიანები ერთი ცხოვრებით ცხოვრობენ.

– თუმცა, – დავფიქრდი, – დუელის შემთხ-ვევაში ეს მთლად სამართლიანი არ იქნება.

– ეგ საკითხი სეკუნდანტებმა გადაწყვი-ტონ, – მითხრა გიბერნმა.

ჩვენი საუბრის დასაწყისს მივუბრუნდი.

– მართლა გვონიათ, რომ ასეთი პრეპარა-ტის გამოგონება შესაძლებელია?

– შესაძლებელია, – მიპასუხა გიბერნმა და ფანჯარაში რაღაცას გააყოლა თვალი, საშინე-ლი ხრიგინით რომ ჩავიქიქროლა, – ხომ გამოი-გონეს ავტობუსი. კაცმა რომ თქვას...

გიბერნმა პაუზა დაიტირა, მწვანე ფლაკონს მაგიდაზე ნელ-ნელა აკაკუნებდა, გულითადად გამიღიმა.

– მე მგონი, ვიცი შემადგენლობა... რაღაც უკვე გავაკეთე კიდეც...

ისე ნერვიულად გამიღიმა, რომ მივხვდი, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ სიტყვებს, – თავის გულახდილობას. იგი ძალზე იშვიათად ახსენებდა ხოლმე საკუთარ ექსპერიმენტებს; მხოლოდ მაშინ იწყებდა საუ-ბარს, როდესაც სამუშაო სრულდებოდა.

– და შესაძლოა, ჩემმა პრეპარატმა ორჯერ კი არა, მეტჯერაც ააჩქაროს...

– ეს უდიდესი გამოგონება იქნება, – ოდნა-ვი ყოყმანით ჩავილაპარაკე.

– დიახ, მართლაც უდიდესი გამოგონება იქნება.

თუმცა, ასე მგონია, რომ გიბერნს მაშინ ჯერ არც კი ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რამდენად გრანდიოზული გამოგონება გააკე-თა.

მახსოვს, მას მერე ამ თემაზე რამდენჯერმე ვისაუბრეთ. „ახალი ამაჩქარებელი“ უწოდა და ყოველ ჯერზე მისი ტონი უფრო და უფრო თავდაჯერებული ხდებოდა. ზოგჯერ წუხდა, ხომ მისი „ამაჩქარებელი“ ხომ არ გამოიწვევს რაიმე ფიზიოლოგირ დარღვევას, ზოგჯერ კი გულუბრყვილო ანგარებით იწყებდა იმაზე მს-ჯელობას, თუ რა კომერციული მოგება შეი-ძლება მოიტანოს.

— ეს უდიდესი აღმოჩენაა, — ამბობდა გიბერნი, — გრანდიოზული აღმოჩენა! მე ვიცი, რომ მსოფლიოს ვაძლევ რაღაც განსაკუთრებულს და ველი, რომ ისიც შესაბამისად გადამიხდის. მეცნიერების კეთილშობილება კარგი რამაა, მაგრამ, მე მგონი, ათი წელი მაინც უნდა მქონდეს მონოპოლია ამ პრეპარატზე. არ მესმის, ამ ცხოვრების ყველა სიკეთე ძებვით მოვაწრე ვიღაც ვიგინდარებს რატომ უნდა ერგოთ!

დროთა განმავლობაში ჩემი ინტერესი გიბერნის ახალი აღმოჩენის მიმართ არ განელებულა. მეტაფიზიკის მიმართ გარკვეული ინტერესი ყოველთვის მქონდა. ყოველთვის მიტაცებდა დროის და სივრცის პარადოქსები და ახლა თითქმის უკვე მჯერა, რომ გიბერნი, არც მეტი, არც ნაკლები, ცხოვრების აბსოლუტურ აჩქარებას გვიმზადებს. წარმოვიდგინოთ კაცი, რომელიც სისტემატურად იღებს ამ პრეპარატის დოზას: მისი ცხოვრება უაღრესად აქტიური იქნება, თუმცა 11 წლისა იგი სიმწიფეს მიაღწევს, 25 წლისა დაბერდება, 30 წლისა კი — დაძაბუნდება. ასე რომ, ჩემი აზრით, გიბერნი ყველას, ვინც მის პრეპარატს მიიღებს, იმავეს უმზადებს, რასაც ბუნება ებრაელებს და აღმოსავლეთის მკვიდრთ უკეთებს, გარდამავალ ასაკში უკვე დაკაცებულები რომ არიან, 50 წლისანი კი — ბებრები და ჩვენზე სწრაფად აზროვნებენ და მოქმედებენ. ფარმაცეპტულ საშუალებათა საოცრებანი ყოველთვის მანკვიფრებდა, მათ შეიძლება გააგიშონ ადამიანი, ანდა, პირიქით, დაამშვიდონ, შეიძლება გააძლიერონ, ააღლვონ ანდა ხის მორივით უგრძნობელი გახადონ, გაულვიძონ ერთი ვწება და ჩაუქრონ მეორე. და, აი, ახლა ექიმების არსენალში მყოფ პრეპარატებს ახალი სასწაული დაემატება! მაგრამ გიბერნი ასეთი ფიქრებისგან შორს იდგა, მას უპირველესად საკითხის ტექნიკური დეტალები აწუხებდა.

7 თუ 8 აგვისტო იყო, როდესაც მითხრა, რომ მოახლოვდა დისტილაცია, რომელიც გადაწყვეტს, წარმატებას მიაღწევს თუ დამარცხდება, და 10 აგვისტო, როდესაც მამცნო, რომ ყველაფერი რიგზეა და “ახალი ამაჩქარებელი” უკვე რეალობად იქცა.

ფოლკსტონისკუნ მივდიოდი, სანგეით-ჰილზე, როდესაც შემომხვდა, — მგონი სადალაქო-

ში მივდიოდი, ის კი ჩემთან მოიჩქაროდა, თავისი წარმატება რომ ეცნობებინა. მახსოვს, თვალები განსაკუთრებულად უბრწყინავდა, სახე გასწითლებოდა. თვალში მეცა, რომ საოცრად სწრაფად მოაბიჯებს, — არადა, ასეთი რამ არ ახასიათებდა.

— გამოვიდა! — შესძახა მან, ხელი ჩამჭიდა და საოცრად სწრაფად ალაპარაკდა, — უფრო მეტიც, ვიდრე გამოვიდა. წამოდით ჩემთან და თავადვე დარწმუნდებით.

— ნამდვილად გამოვიდა?

— ნამდვილად! — შეჰყვირა, — წარმოუდგენელია! მოდით და ნახეთ!

— და მართლა ორჯერ... აჩქარებს?

— უფრო მეტად, გაცილებით მეტად! ეს კიდეც მაშინებს. მოდით და თავად დარწმუნდით! გასინჯეთ! გამოსცადეთ! ეს ყველაზე გასაოცარი რამაა ამქვეყნად! — მკლავში ხელი ჩამავლო და ისეთი სისტრატეით წამათრია, — თან გაუჩერებლად ლაპარაკობდა, — რომ იძულებული გავხდი, აღმართში ძუნძულით მევლო. ჩვენს შესახვედრად ომნიბუსი მოდიოდა და მგზავრები მოგვაჩერდნენ, როგორც სჩვევიათ ხოლმე. ეს ხდებოდა ზაფხულის ცხელ, უღრუბლო დღეს, რომელიც ფოლკსტონში წელიწადის ამ დროს ხშირად იცის, ყველა ფერი ხასხასა ჩანდა, ყველა კონტური — მკაფიო. ნიავიც უბერავდა, მაგრამ მას ჩემი გაგრილება არ ჩეეძლო. ბოლოს ვთხოვე, შემინყალე-მეთქი.

— ნუთუ ძალიან სწრაფად დავდივარ? — გაუკვირდა გიბერნის და სწრაფი ჩორთის ნაცვლად ჯარისკაცულ ნაბიჯზე გადავიდა.

— პრეპარატი უკვე მიიღეთ?

— ო, არა, — მომიგო, — მხოლოდ წყალი დავლიე იმ მენზურიდან, სადაც ეს პრეპარატი ესხა. მენზურა გარეცხილი იყო. გუშინ კი მივიღე მცირე დოზა, მაგრამ ეს უკვე წარსულია.

— და მართლა ორჯერ აჩქარებს? — ვკითხე, როდესაც გაოფლილმა მის სახლს მივაღწიე.

— ორჯერ კი არა, ათასჯერ, ათიათასჯერ!

— შესძახა გიბერნმა, და თეატრალური ჟესტით გააღო ჩემ წინ ჭიშკარი, ადრეულ ინგლისურ სტილში რომ იყო მოჩუქურთმებული.

წავუსტვინე და მივყევი.

— ზუსტად ვერც კი დამიდგენია, რამდენ-ჯერ აჩქარებს, — ჯიბიდან გასაღები ამოილო.

— და თქვენ...

— ეს ნერვული სისტემის ფიზიოლოგიას ახალ შუქს ჰქონს, მხედველობის თეორიას თავდაყირა აყენებს. ღმერთმა უწყის, რამდენჯერ აჩქარებს. ჩვენ ამას მოვციანებით გავარკვევთ... ახლა კი პრეპარატი უნდა გამოვცადოთ....

— პრეპარატი უნდა გამოვცადოთ? — გავიმეორე, როდესაც სახლში შევედით.

— რა თქმა უნდა! — მიპასუხა გიბერნმა, კაბინეტში შემიყვანა და ჩემსკენ მოტრიალდა, — ხედავთ ამ პატარა მომწვანო ფლაკონს? თუ, იქნებ გეშინიათ?

ბუნებით ფრთხილი ვარ და თავგადასავლები მხოლოდ თეორიულად მიყვარს. მართლაც მეშინოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ღირსებაც ხომ საქმეა.

— კარგი, — ვუთხარი, — თქვენ თქვით, რომ უკვე გასინჯეთ?

— დიახ, გავსინჯე, — მომიგო გიბერნმა, — და როგორც ხედავთ, არაფერი დამიშვავდა. სახის ფერიც კი არ შემცვლია, თავს კი ისე ვგრძნობ, რომ...

სავარძელში ჩავჭერი.

— მომეცით თქვენი პრეპარატი, — ვუთხარი, — უარეს შემთხვევაში, თმის გაკრეჭა აღარ დამტკირდება, არადა, ეს, ჩემი აზრით, ცივილიზებული ადამიანის ყველაზე მომაპეზრებელი მოვალეობაა. როგორ უნდა მივიღო?

— წყალთან ერთად. — მითხრა გიბერნმა და გვერდით წყლით სავსე გრაფინი დამიდგა.

საწერი მაგიდის წინ გაჩერდა და დაკვირვებით შემომხედა. უეცრად მის მანარებში პროფესიულმა ჩვევებმა იჩინა თავი.

— როგორც იცით, ეს ორდინარული პრეპარატი არ გახლავთ, — ჩაილაპარაკა.

ხელი ავიქმიე.

— უნდა გაგაფრთხილოთ, როგორც კი მოსვამთ, უმაღ დახუჭეთ თვალი. და მხოლოდ ორიოდე წუთის შემდეგ ფრთხილად გაახილეთ. მხედველობას არ დაკარგავთ. ის დამოკიდებულია ტალღების სიგრძეზე, რაოდენობაზე კი არა; მაგრამ ბადურა შოკს მიიღებს, ამავე დროს, თავბრუც ძლიერად დაგეხვევათ. ასე რომ, თვალის დახუჭვა არ დაგავიწყდეთ.

— დავხუჭავ, — ვთქვი, — კარგი!

— შემდეგ: მშიდად იჯექით. სავარძელში არ იწრიალოთ. შეიძლება რაღაც დაგიშავდეთ, თუკი ამოძრავდებით. გახსოვდეთ, რომ

თქვენი ორგანიზმი ათასჯერ უფრო სწრაფად იმუშავებს, — გული, ფილტვები, კუნთები, ტვინი, ყველაფერი, — და შეიძლება მართლა ძლიერ ივნით, თუკი ამას არ გაითვალისწინებთ. არადა, თქვენ ამას ვერ აღიქვამთ. ისეთივე შეგრძნებები გექნებათ, ახლა რომ გაქვთ, ოღონდ თქვენ გარშემო თითქოს ყველაფერი შენელდება. ამაშია მთელი უცნაურობა.

— ღმერთო ჩემო, — ნამომცდა, — ესე იგი, თქვენ გულისხმობთ, რომ...

— ახლავე დარწმუნდებით, — თქვა მან, მომცრო მენზურა აიღო და საწერ მაგიდას თვალი გადავლო. — ჭიქები, — ჩაილაპარაკა, — წყალი, ყველაფერი მზადაა. პირველ ჯერზე ძალიან ბევრს ნუ მივიღებთ.

ფლაკონიდან მენზურაში ცოტაოდენი სითხე გადაასხა.

— გახსოვდეთ, რაც გითხარით, — მითხრა და მენზურა ჭიქაში ისეთი მარჯვე მოძრაობით ჩააპირქვავა, იტალიელი ოფიციანტი ვისკის რომ ასხამს ხოლმე. — თვალები მაგრად მოხუჭეთ და სრულიად გაუნძრევლად იჯექით ორი წუთის განმვლობაში. — თქვა ბოლოს, — მერე გეტყვით, რა გააკეთოთ.

ორივე ჭიქაში ცოტაოდენი წყალი დაუმატა.

— ჴო, მართლა, — გააგრძელა, — ჭიქა მაგიდაზე არ დადგათ. ხელში გეჭიროთ, ხელი კი მუხლზე გედოთ. დიახ, ასე... ახლა კი...

ჭიქა ასწია.

— “უახლეს ამაჩქარებელს” გაუმარჯოს, — ვთქვი.

— “უახლეს ამაჩქარებელს” გაუმარჯოს, — გაიმეორა გიბერნმა, ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ, გადავკარით, და თვალი უმაღ მოვხუჭე.

თქვენთვის ნაცნობია სიცარიელის ის განცდა, როდესაც ნარკოზს გიკეთებენ — თითქოს აღარც არსებობს საერთოდ? რაღაც ხანი ამის მსგავსი შეგრძნება მქონდა. შემდეგ გიბერნის ხმა გავიგონე და თვალი გავახილე. გიბერნი ისევ იმ ადგილას იდგა ჭიქით ხელში. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ახლა ჭიქა ცარიელი გახლდათ.

— და რა? — ვიკითხე.

— ვერაფერს გრძნობთ განსაკუთრებულს? — მკითხა.

— ვერაფერს. შესაძლოა, ოდნავ აღგზნებას. მეტი ვერაფერს.

— ხმები გესმით?

— სიჩუმეა, — ვუთხარი, — დიახ, სრული სიჩუმეა. აბსოლუტური! ოლონდ თითქოს წკაპუნი ისმის, თითქოს წვიმა ეცემაო რაღაცას.... რა უნდა იყოს?

— ესაა ბეგერები, შემადგენელ ელემენტებად რომ დაიშალნენ, — ამიხსნა გიბერნმა, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ ზუტად ასე თქვა. ფანჯრისკენ გაიხედა, — გინახავთ ოდესმე, ფარდა ასე რომ ეკიდოს?

ფარდას გავხედე. დავინახე, რომ კუთხე ნიავისგან ასწევია და ასევე დარჩენილა.

— არა, — მივუგე, — რა უცნაურია.

— აბა, ეს, — თქვა მან და ჭიქას ხელი უშვა. შევკროთ. ცხადია, ველოდი, რომ იატაკზე დაეცემა და დაიმსხვრევა, მაგრამ არათუ არ გატყდა, არამედ ჰარში დაეკიდა.

— უხეშად რომ ვიანგარიშოთ, — თქვა გიბერნმა, — ჩვენს განედზე საგანი, რომელიც ვარდება, წამში 16 ფუტს გადის. იგივე ხდება ახლაც, ჩემი ჭიქა წამში 16 ფუტს გადის. ოლონდ მან წამის მეასედის განმავლობაშიც კი ვერ მოასწრო ვარდნა. ახლა თქვენ გაქვთ გარკვეული წარმოდგენა ჩემს ამაჩქარებლის ძალაზე, — ხელი ჭიქის გარშემო მოატარა, ქვემოთ და ზემოთ, ბოლოს კი ძირზე წავლო და მაგიდაზე ფრთხილად დადგა.

— როვორია? — თქვა და გაიცინა.

— მშვენიერია, — ვუთხარი და სკამიდან ადგომა ძალიან ფრთხილად დავიწყე. თავს ძალზე კარგად ვგრძნობდი, სხეული მსუბუქი მქონდა, აზრები კი — მკაფიო. მოკლედ, ყველაფერი სწრაფად მუშაობდა. გული, მაგალითად, წამში ათას დარტყმას აკეთებდა, მაგრამ ეს არანაირ დისკომფორტს არ მიქმნიდა. ფანჯრიდან გავიხედე. დავინახე ერთ ადგილას გაყინული, თავდახრილი ველოსიპედისტი, რომლის უკანა ბორბალთან მტვრის ბული უძრავად ეკიდა. ომნიბუსს მისდევდა, რომელიც ასევე ერთ ადგილას გაყინულიყო. ამ საოცარი სურათის დანახვისას პირი დავალე.

— გიბერნ! — აღმომხდა, — რამდენი ხანი მოქმედებს თქვენი პრეპარატი?

— ღმერთმა უწყის! — მიპასუხა, — ბოლოს როდესაც მივიღე, დავწექი და დავიძინე. უნდა გითხრათ, ერთობ შეშინებული ვიყავი. რამდენი ხანი იმოქმედებს არ ვიცი, ალბათ, რამდენიმე წუთი, მაგრამ საქმეც ისაა, რომ

წუთები საათებად გეჩვენება. მაგრამ, მე მგონი, გარკვეული ხნის მერე ერთბაშად წყვეტს მოქმედებას.

სიამაყით შემიძლია ალვნიშნო, შიშს არ ვგრძნობდი. შესაძლოა იმიტომ, რომ მარტო არ ვიყავი.

— გარეთ ხომ არ გავსულიყავით?

— რატომაც არა?

— ხომ დაგვინახავენ.

— არა, როგორ გეკადრებათ! ისეთი სისწრაფით გავქროლდებით, რომელიც ჯერ არცერთ ილუზიონისტს არ დასიზმრებია. წავედით. რა გირჩევნიათ, კარიდან გავიდეთ თუ ფანჯრიდან?

ფანჯრიდან გადავედით.

რაც კი გამოცდილება მქონია, რაზეც წამიკითხავს ან გონების ძალით წარმომისახავს, ანდა სხვა ადამიანებს ჰქონიათ თუ გამოუგონიათ, ეს პატარა გასეირნება გიბერნთან ერთად ფოლკსტონში, „ამაჩქარებლის“ ზემოქმედებით, ყველაზე გასაოცარი და გიური გახლდათ. ჭიშკარში გავიარეთ, ქუჩაში გავედით და ერთ ადგილას „გაყინულ“ ტრანსპორტს დაახლოებით ერთი წუთი ვაკვირდებოდით. ბორბლების ზედა ნაწილები და ომნიბუსის ცხენების ფეხები, კონდუქტორის ქვედა ყბა — ეტყობა დამთქარებას აპირებდა იმ წამს,

— ოდნავშესამჩნევად მოძრაობდნენ, თუმცა ამ ჯაბახანას კორპუსი გაქვავებული გეგონებოდათ. და საერთოდ არანაირი ხმა არ გვესმოდა, თუ არ ჩავთვლით სუსტ ხრიალს, ერთ-ერთი მგზავრის ხორხიდან რომ ამოდიოდა! მეტლე, და თერთმეტი მგზავრი თითქოს შეეყინენ იმ გაქვავებულ მასას! თავიდან ამ სანახაობამ განგვაცვიფრა, მაგრამ როდესაც ომნიბუსს გარშემო შემოვუარეთ, უსიამოვნო, გამაღიზიანებელი განცდა დაგვეუფლა. სრულიად ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ჩვენი მსგავსი, მაგრამ რაოდენ უაზროდ გაშემდნენ, დაწყებული უესტები არ დაასრულეს. ქალიშვილი და ახალგაზრდა კაცი ერთმანეთს უღიმოდნენ, და ეს ლიმილი მათ სახეს სამუდამოდ შეიძლება შერჩენოდა; ქალი ტომარასავით გაბერილ მოსახხამში ომნიბუსის სახელურს ეყრდნობოდა, გიბერნის სახლს მიშტერებოდა, თვალს არ ახამხამებდა; მამაკაცი ულვაშს იპრეხდა — ცვილის ფიგურათა მუზეუმის ექსპონატი გეგონებოდათ, მეორე მამაკაცი კი

ჰაერში გაშეშებული, თითებაპრეხილი ხელით კეფაზე ქუდს ისწორებდა. შევყურებდით მათ, დავცინოდით, ვეჭყანებოდით, მაგრამ მერე მათ მიმართ ზიზღის გრძნობა გაგვიჩნდა, ველოსიპედისტის ცხვირნინ გადავკვეთეთ ქუჩა და სანაპიროსკენ გავქანდით.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა გიბერნმა, — ამას შეხედეთ!

იქით, სადაც მანიშნებდა, ჰაერში, ფრთების შენელებელი მოძრაობით, უზანტესი ლოკოვინას სიჩქარით, მიფრინავდა, — არც მეტი, არც ნაკლები — ფუტკარი!

მწვანე მდელოზე გავედით. იქ ყველაფერი კიდევ უფრო უარესად იყო. ლია სცენაზე ორკესტრი უკრავდა, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ, გარდა რაღაც სისინისა თუ სიკვდილის წინა ამონხვრისა, რომელიც დროდადრო ვეება ქრონომეტრის წიკინეს ემსგავსებოდა. ხალხი გაშეშებული, გაჭიმული იდგა, მდუმარე, ზოგიერთი ცალ ფეხზე ბალანსირებდა ბალახზე სეირნობისას. ჩავუარე პუდელს, რომელიც ჰაერში შეხტა და ახლა წარმოუდგენლად ნელა ეშვებოდა მიწაზე, თათებს ოდნავშესამჩნევად ამოძრავებდა.

— ო, ღმერთო, შეხედეთ! — შესძახა გიბერნმა. წამით შევჩერდით თეთრ, წვრილზოლიან კოსტიუმში, თეთრ ფეხსაცმელსა და “ვანამის” ქუდში გამოწყობილი კაცის წინ, რომელსაც ორი გადაპრანჯული ქალი ახლდა. თვალის ჩაპაჭუნება, — თუკი მას აუჩქარებლად უყურებ, მაინცდამაინც მიმზიდველი სანახაობა არ გახლავთ. თავის ხალისიან უშუალობას კარგავს და უცებ ამჩნევ, რომ ნახევრად მოხუჭული თვალის ღრიჭოში თეთრი ზოლი ჩანს.

— ღმერთო, მომეცი ძალა, რომ ეს დავიმახსოვრო, — ვთქვი ხმამაღლა, — და მეტი თვალს არასოდეს არავის აღარ ჩავუკრავ.

— ასევე, აღარ გაულიმოთ, — გამომეპასუხა გიბერნი, რომელიც ქალის დაკრეჭილ სახეს შეჰყურებდა.

— ძალიან დაცხა, — ჩავილაპარაკე, — მოდი, ნაბიჯი შევანელოთ.

— ო, წამოდით, წამოდით!

გზა სკამებს შორის გავაგრძელეთ, რომლებიც გასასვლელის ორივე მხარეს იდგა, იმათი პასიური პოზები, ვინც სკამებზე იჯდა, თითქმის ბუნებრივი ჩანდა, სამაგიროდ, მუსიკოსთა დაძაბული, განითლებული სახეები

გულსატკენი სანახავი გახლდათ. მუქი მწითური სახის მქონე დაბალი ჯენტლმენი გაშეშებული იდგა, ქარში გაზიეთის მოკეცვას ცდოლობდა; ადამიანებს ეტყობოდათ, რომ ქარი საკმაოდ ძლიერად ქროდა, არადა, ჩვენთვის საერთოდაც არ არსებობდა, — ვერაფერის ვგრძნობდით. გვერდზე გავდექით და ხალხს შორიდან შევავლეთ თვალი. ბრბო ჩვენს წინაშე ცვილის ფიგურების გამოფენად იქცა, რაც თავისთვის საოცარი სანახაობა გახლდათ. რა თქმა უნდა, ეს აბსურდი იყო, მაგრამ უპირატესობის ირაციონალური განცდა დამეუფლა. წარმოიდგინეთ, რა სასწაულია! ყველაფერი, რაც ვთქვი, გავიფიქრე, გავაკეთე მას მერე, რაც “ახალი ამაჩქარებელი” ჩემს სისხლს შეუერთდა, ამ და მსოფლიოს ყველა ადამიანისთვის თვალის ერთ დახამხამებაში ჩაეტია.

— “ახალი ამაჩქარებელი”... — დავიწყე, მაგრამ გიბერნმა გამანყვეტინა.

— აი, ის საზიზღარი ბებრუხანა!

— ვინ ბებრუხანა?

— ჩემი კარის მეზობელია, მოხუცი ქალი, — მომიგო გიბერნმა, — საზიზღარი ფინია ჰერის ისტერიულად რომ ყეფს. ღმერთო! როგორ გინდა ამ ცდუნებას გაუძლო!

გიბერნი მეტად იმპულსური ადამიანია და დროდადრო ბავშვური გამოხტომები ახასიათებს. სანამ მის შეჩერებას მოვასწრებდი, უბედურ ძალლს ხელი სტაცა და კლდოვანი ნაპირისკენ გავარდა. მართლაც, ერთობ ექსტრაორდინარული საჯციელია. ფინიას არ დაუყეფავს, საერთოდ ხმა არ ამოუღია, სიცოცხლის ნიშან-კვალი არ ეტყობოდა. მკვდარი ძილით ეძინა თითქოს, არადა გიბერნმა ხელი კისერში ჩავლო. გეგონებოდა, ხისგან გამოთლილ ძალლს მიარცხინიებს.

— გიბერნ! — დავუყვირე, — გაუშვით ხელი!

— და ერთი-ორი სიტყვაც დავუმატე. მერე კი ისევ დავუყვირე: — გიბერნ, გაჩერდით! ტანსაცმელზე ცეცხლი მოგეეიდებათ! შეხედეთ, შარვალი უკვე ბოლავ!

გიბერნმა ხელი ბარძაყზე დაირტყა და შეჩერდა, თითქოს არ იცოდა, რა ექნა.

— გიბერნ! — დავუყვირე და ახლოს მივედი, — გაუშვით! ამ სიცხეში სირბილი ვის გაუგია! ჩვენ ხომ წამში ორ-სამ მიღლ ვფარავთ. ჰაერის წინააღმდეგობა!

– რა? – მკითხა ისე, რომ ძალლისთვის თვალი არ მოუშორებია.

– ჰაერის წინააღმდეგობა! – ყვირილით გავუმეორე, – მეტისმეტად სწრაფად ვმოძრაობთ! ყველფერი გახურდა! გიბერნ! გიბერნ! ოფლი მასხამს, მთელი სხეული მექავება. შეხედეთ, ადამიანები ნელ-ნელა ცოცხლდებიან. პრეპარატი მოქმედებას წყვეტს! გაუშვით ძალლს ხელი, ბოლოსდაბოლოს!

– ა?

– პრეპარატი მოქმედებას წყვეტს, – გავიმეორე, – მეტისმეტად გავხურდით. თავიდან ბოლომდე სველი ვარ.

გიბერნმა დაკვირვებით შემომხედა. მერე კი ორკესტრისკენ შებრუნდა, რომლის ხმა აშკარად გაძლიერდა. გიბერნმა ძალლი ძლიერი მოძრობით მოისროლა. ფინია ჰაერში აიჭრა ისე, არ გაღვიძებია და ქოლგების თავზე უძრავად დაეკიდა.

– ღმერთო! – წამოიყირა, – კი, მართლაც ასეა! მთელი ტანი მექავება და... კი, ასეა! აი, ის კაცი ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს! აშკარად ჩანს. აქაურობას სასწრაფოდ უნდა მოვშორდეთ.

მაგრამ ეს ველარ მოვასწარით. ალბათ, ჩვენდა საბედნიეროდ! უთუოდ გავიქცეოდით, ამ შემთხვევაში კი წამდვილად ცეცხლი მოგვეკიდებოდა. ამაში ეჭვი არ მეპარება. არადა, მაშინ ამაზე არ გვიფიქრია... ვერ მოვასწარით ადგილიდან დაძვრა, რომ “ამაჩერებლის” მომქედება შეწყდა, – უცებ, წამის მეასედში. ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს ვიღაცამ ფარდა მკვეთრი მოძრაობით ჩამოუშვა. გიბერნის შეშფოთებული ხმა გავიგე:

– დაჯექით!

შემცხარი მოწყვეტით დავეშვი მიწაზე. იმ ადგილას ბალახი ამოიწვა. ამის კვალი დღემდე ჩანს. დავჯექი თუ არა, საყოველთაო უძრაობა იმავე წამს დასრულდა. ორკესტრის გაურკვეველი ხმაური ერთიან მელოდიად გარდაიქმნა, ადამიანებმა შეწყვიტეს ცალ ფეხზე ბალანსირება და სეირნობა განაგრძეს, ზოგი აქეთ წავიდა, ზოგი იქით, ალმები და გაზეთები ქარში აფრიალდნენ, ღიმილს სიტყვები მოჰყვა, ჭალის ქუდიანმა კაცმა თვალის ჩაპაჭუნება, როგორც იქნა, დაასრულა და ერთობ კმაყოფილი იერით გაგვშორდა; სკამებზე მსხდომნი ამოძრავდნენ და ალაპარაკდნენ.

სამყარო გაცოცხლდა და უკვე აღარ ჩამოგვრჩებოდა, უფრო სწორად, ჩვენ აღარ ვასწრებდით მას. ეს გრძნობა განუცდიათ ექსპრესის მგზავრებს, რომელიც სადგურთან მიახლოებისას მკვეთრად ანელებს სვლას. ერთი-ორი წამი თვალწინ ყველაფერი ტრიალებდა, გულისრევა ვიგრძენი, მერე კი... ყველაფერი მორჩა. ფინია, რომელიც ჰაერში ეკიდა, ქვასავით წამოვიდა მიწისკენ, ერთ-ერთი ქოლგა გახია და ზღართანი მოადინა.

მე და გიბერნს ამან გვიშველა. ჩვენი უეცარი გაჩენა იქ ვერავინ შენიშნა, თუ არ ჩავთვლით ერთ მსუებან ბატონს, ინვალიდის ეტლში რომ იჯდა. ჩვენი დანახვისას შეკრთა, ეჭვით გადმოგვხედა და რაღაც უთხრა ქალს, რომელიც მის ეტლს მიაგორებდა. ჰოპლა! ჩვენც აქავართ! შარვალი უკვე აღარ ბოლავდა, თუმცა ქვემოდან მაინც მაგრად მაცხუნებდა. საზოგადოების, მათ შორის, ორკესტრანტების, ყურადღება მიიპყრო ქალის წიგილ-კივილმა და გაბლენძილი ფინიას ხმამაღალმა წკავნებამა, რომელსაც წამის წინ მშვიდად ეძინა სცენის გვერდით, მარცხენა მხარეს, და უცებ ვიღაც ქალბატონის ქოლგაზე აღმოჩნდა, რომელიც საწინააღმდეგო მხარეს იჯდა. თანაც გადაადგილების სისწრაფისგან ბევნიც შეეტრუსა. და ეს ჩვენს სინამდვილეში, როდესაც ხალხი პირდაპირ გადაირია ათასნაირ ცრურნმენასა, ფასიოლოგიურ ექსპერიმენტსა და მსაგას სისულელეზე! ყველა წამოხტა, დაფაცურდა, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, სკამებს და სავარძლებს აყირავებდნენ. მოირბინა პოლისმენია. რითი დასრულდა ეს არეულობა, არ ვიცი. სასწრაფოდ უნდა გავცლოდით იქაურობას, – მოხუც კაცს ინვალიდის ეტლში. როდესაც გონზე მოვედი, ოდნავ გავგრილდით. გულისრევის გრძნობას მოვერიეთ, თავპრუსევევას და დაბნეულოებას ვძლიერ, მე და გიბერნმა ბრბოს შემოვუარეთ და მისი სახლისკენ წავედით. იმ ხმაურში, ჩვენს ზურგსუკან რომ არ ცხრებოდა, მკაფიოდ მესმოდა ჯენტლმენის ხმა, ვინც გახეული ქოლგის მფლობელი ქალბატონის გვერდით იჯდა, – სრულიად უდანაშაულო უნიფორმიან კაცს ეჩხუბებოდა, რომელსაც ეხურა ქუდი წარწერით: “ზედამხედველი”.

– ძალლი თქვენ არ ისროლეთ? – ყვიროდა,
– თუ არა თქვენ, აბა, ვინ?

ჩვეული მოძრაობისა და ნაცნობი ხმების დაპრუნებამ და ჩვენმა, სრულიად ბუნებრივმა შეშფოთებამ საკუთარი მდგომარეობის გამო (ტანსაცმელი ჯერ კიდევ საშინაოდ გახურებული გვქონდა, გიბერნის თეთრი შარვალი, რომელსაც ერთი წამს წინ ბოლი ასდიოდა, მოიჭმუხნა და ჭუჭყიანი ყავისფერი გახდა), ხელი შემიშალა, დაკვირვება რომ მენარმოებინა. ერთი სიტყვით, უკანა გზაზე მეცნირებისთვის ღირებული დაკვირვება ვერაფრით მოვახერხე. ფუტკარი იმ ადგილას, ცხადია, აღარ დამხვდა. ვერც ველოსიპედისტი დავინახე, როდესაც სენდგეით-როუდზე გავედით, ან ნასვლა მოასწრო, ანდა ტრანსპორტი ჩამოეფარა. ომნიბუსი, რომელშიც ახლა ყველა მგზავრი გაცოცხლებულიყო, სადღაც წინ მირახრახებდა, ახლომდებარე ეკლესის უალოვდებოდა.

შევნიშნეთ ასევე, რომ ფანჯრის რაფა, საიდანაც ბალში ჩავხტით, ოდნავ შეტრუსულიყო, ქვიშაში კი ჩვენი ფეხის ნაკვალევი უჩვეულოდ ღრმა ჩანდა.

აი, ასეთი გახლდათ “ახალ ამაჩქარებელთ-ან” ჩემი პირველი შეხვედრის გამოცდილება. პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ჩვენი გასეირნებისას გავაკეთეთ და ვთქვით, რამდენიმე წამი გრძელდებოდა. სანამ ორკესტრმა ორიოდე ტაქტი შეასრულა, ჩვენთვის ნახევარი საათი გავიდა. ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს სამყარო გაირინდა და მოგვცა საშუალება, გულდასმით დაგვეთვალიერებინა. თუკი გავითვალისწინებთ ჩვენს წინდაუხედაობას და იმას, თუ რა სისწრაფით გამოვვარდით სახლიდან, ჩვენთვის ყველაფერი გაცილებით უარესად შეიძლება დამთავრებულიყო. ყოველ შემთხვევში, გამოცდილებამ დაგვანახა, რომ გიბერნმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს “ამაჩქარებელზე”, რათა გამოსაყენებლად მოსახერხებელი გახდეს. რაც შეეხება მის ეფექტიანობას, ამან ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა.

ამ თავგადასავლის შემდეგ გიბერნი თავდაუზოგავ შრომას აგრძელებს, პრეპარატი რომ გააუმჯობესოს. არაერთხელ მომიხდა მისი უმცირესი დოზების მიღება გამომგონებლის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ – რასაც ჩემთვის არანაირი ვნება არ მოუტანია. თუმცა უნდა ვალიარო, რომ ამ მდგომარეობაში მყ-

ოფი, გარეთ გასვლას უკვე ველარ ვბედავდი. ეს მოთხრობა ყოველგვარი პაუზების გარეშე, ხელის ერთი მოსმითაა დაწერილი, – მხოლოდ ერთხელ ავდექი, შეკოლადი რომ ამეღო. წერა შვიდის ოცდახუთ წუთზე დავიწყე, ახლა კი შვიდს ოცდაცხრა წუთი აკლია. სიტყვებით ვერ გადმოსცემ, რაოდენ მოსახერხებელია – გქონდეს საშუალება, ამაო ფორიაქით აღსავსე დღეს გამოსტაცო დრო საყვარელი საქმის საკეთებლად.

გიბერნი ახლა პრეპარატის დოზების დადგენაზე მუშაობს, ორგანიზმის თავისებურებებიდან გამომდინარე. ამ პრეპარატის საპირონედ “შემანელებლის” გამოგონებას აპირებს, თავისი პირველი გამოგონების ძალის რეგულირება რომ შეძლოს. “შემანელებლის”, ცხადია, “ამაჩქარებლის” საპირისპირო თვისებები ექნება; ამ პრეპარატის ცალკე მიღება პაციენტს საშუალებას მიცემს, დროის ერთი წამი რამდენიმე საათად გაჭიმოს და სრული უშფოთველობის მდგომარეობაში ჩაიძიროს, მყინვარივით შეუვალი იყოს ნებისმიერ, ყველაზე უფრო გამაღიზიანებელ სიტუაციაშიც კი.

ეს ორი პრეპარატი ჩვენი ცივილიზაციის ცხოვრებაში გადატრიალებას მოახდენს, დაგვეხმარება გავთავისუფლდეთ დღროის საბურველისგან, როგორც კარლაილი წერდა. “ამაჩქარებელი” დაგვეხმარება კონცენტრაცია მოვახდინოთ იმ წამისა თუ სიტუაციაზე, რომელიც ძალების მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს, “შემანელებელი” კი სრულ სიმშვიდეს მოგვგვრის ყველაზე მძიმე, მტანჯველ საათებსა თუ დღეებში. შესაძლოა, მე მეტისმეტს ველი ჯერ არასებული “შემანელებელისგან”, მაგრამ რაც შეეხება “ამაჩქარებელს”, ამ შეხვევში, მცირედი ეჭვიც კი არ შეიძლება არსებოდეს. ის ბაზარზე რამდენიმე თვეში გამოჩნდება – გამოსაყენებლად მოსახერხებელი სახით. პატარა მწვანე ბოთლები ყველა აფთიაქში იქნება. ფასი საკმაოდ მაღალი დაედება, მაგრამ მის, მართლაცდა, სასწაულებრივ თვისებებს თუ გავითვალისწინებთ, ფასი გადაჭარბებულად აღარ მოგვეჩენება. ერქმევა “ნერვული სისტემის გიბერნისეული ამაჩქარებელი” და, როგორც მისი გამომგონებელი იმედოვნებს, დაჩქარების სამ ვარიანტად გამოვა: 1:200, 1:900 და 1:2000 – სამივეს საკუ-

თარი ფერის ეტიკეტი ექნება, გარჩევა ადვილი რომ იყოს: ყვითელი, ვარდისფერი და თეთრი.

ეჭვგარეშეა, ამ პრეპარატის მეშვეობით შესაძლებელი გახდება სრულიად წარმოუდგენელი რაღაცები გააკეთო, რადგან ყველაზე საოცარი ან თუნდაც, კრიმინალური მოქმედება შეუმჩნეველი შეიძლება გახდეს, – ასე ვთქვათ, შესაძლებელი იქნება დროის ღრიფოში გაძვრომა. როგორც ნებისმიერი ძლიერმოქმედი საშუალება, არამიზნობრივი გამოყენებისგან არც “ამაჩქარებელი” იქნება დაზღვეული. პრობლემის ეს ასპექტი საკმაოდ საფუძვლიანდ განვიხილეთ და გადავწყვიტეთ, რომ საბოლოო სიტყვა სამედიცინო კანონმდებლობამ უნდა თქვას, ეს ჩვენს კომპეტენციას სცილდება. ჩვენ ვანარმოებთ და გავყიდით “ამაჩქარებელს” და – რა გამოვა აქედან, მერე გამოჩენდება.

თარგმნა ირაკლი ლომოურმა

პლატნერის ამბავი

პლატნერის ამბავი რამდენად შეიძლება დაიჯერო, ეს პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხია. ერთი მხრივ, გვყავს შვიდი მოწმე, თუკი ბოლომდე ზუსტად ვიტყვით, ჩვენს განკარგულებაშია ექვსნახევარი წყვილი თვალი და ერთი უტყუარი ფაქტი. მეორე მხრივ, ჩვენ გვაკავებს – როგორ ვთქვა უკეთ? – სტერეოტიპები, ე.წ. “სალი აზრი”, წარმოდგენების ინერცია. იმაზე მეტად პატიოსანი მოწმეები, ჩვენ რომ გვყავს, ძნელი საპოვნელია. ასევე ძნელი წარმოსადგენია იმაზე მეტად უტყუარი ფაქტი, ვიდრე გოთფრიდ პლატნერის ანატომიური აგებულების გადახრაა, – არადა, კაცმა რომ თქვას, ამაზე უფრო აუზრო ამბავი არასოდეს მომხდარა! ამ უაზრობის ყველაზე დაუჯერებელ ნაწილს თავად პლატნერის ჩვენებები წარმოადგენს (რადგან მას შვიდი მოწმიდან ერთ-ერთად მივიჩნევ). გულახდილად ვაცხადებ: დარწმუნებული ვარ, გოტფრიდ პლატნერთან დაკავშირებით რაღაც არაა წესრიგში, მაგრამ უნდა ვალიარო, სახელდობრ რა, ვერ გამიგია. ერთი მხრივ, ძალზე განმაცვითა იმ ფაქტმა, რომ ეს ამბავი გარკვეულ, საკმაოდ ავტორიტეტულ წრეებში, ესოდენი ნდობით სარგებლობს. თუმცა მკითხ-

ველისთვის ნამდვილად უკეთესი იქნება, თუკი პირდაპირ საქმეზე გადავალ.

გოტფრიდ პლატნერი, სახელის მიუხედავად, დაბადებით ინგლისელი გახლდათ. მამამისი ელზასიდან იყო, ინგლისში 60-იან წლებში ჩამოვიდა და ცოლად რესპექტაბელური ინგლისელი ქალიშვილი შეირთო. მან მშვიდი, ჯანსალი ცხოვრებით იცხოვრა და 1887 წლს გარდაიცვალა (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მის ძირითად საქმიანობას, პარკეტის დაგება წარმოადგენდა). გოტფრიდი მაშინ 27 წლის გახლდათ. სამ ენას ფლობდა და ინგლისის სამხრეთ ნაწილში, პატარა კერძო სკოლაში მასწავლებლობა დაიწყო. ერთი შეხედვით, იგი კერძო სკოლის უცხო ენების ნებისმიერი მასწავლებლისგან არაფრით განსხვავდებოდა. მისი ტანსაცმელი განსაკუთრებულად არ ბრნყინავდა, არც მდიდრული იყო და არც ძალიან მოდური, მაგრამ, მეორე მხრივ, იმასაც ვერ იტყოდი, რომ იაფფასიანი, ანდა მოძველებულია. სიმაღლე, აღნაგობა, სახის ფერი სრულიად ნორმალური ჰქონდა. თუმცა სახე, ისევე როგორც ადამიანთა უმეტესობას, აპსოლუტურად სიმეტრიული არ ჰქონია. მარჯვენა თვალი მარცხენაზე ოდნავ დიდი იყო, მარჯვენა ყბა კი მარცხენაზე ოდნავ უფრო მასიური. თუკი მკერდს გაუშიშვლებდით და გულის ცემას მიაყურადებდით, განსაკუთრებულს ვერაფერს შეამჩნევდით. თუმცა თქვენი აზრი სპეციალისტის მოსაზრებას არ დაემთხვეოდა. მის გულს ჩვეულებრივად თუკი მიიჩნევდით, გამოცდილი სპეციალისტი არასოდეს დაგეთანხმებოდათ. მაგრამ თუკი მისი ორგანიზმის გარკვეულ თავისებურებაზე მიგითოთებდნენ, იოლად დარწმუნდებოდით. საქმე ისაა, რომ გოტფრიდს გული მარჯვენა შხარეს უცემდა.

უნდა ითქვას, რომ გოტფრიდის სხეულის აგებულების ეს თავისებურება ერთადერთი უცნაურობა არ იყო, თუმცა ის გახლდათ ერთადერთი, რასაც გამოუცდელი კაცი შეამჩნევდა. გოტფრიდის შინაგანი ორგანოების საგულდაგულო გამოკვლევა, თუკი მას გამოცდილი ქირურგი ჩატარებდა, ცხადყოფდა, რომ მისი სხვა ორგანოები თავის ადგილას არაა. მისი ღვიძლის მარჯვენა წილი მარცხენა მხარესაა, მარცხენა კი – მარჯვენა მხარეს; ფილტვები ასევე გადანაცვლებულია. რაც კიდევ უფრო უცნაურია (თუკი გამოვრიცხავთ,

რომ გოტფრიდი დახელოვნებული მსახიობია), – მისი მარჯვენა ხელი ბოლო ხანს მარცხენად იქცა. მას მერე, რაც ეს მოხდა, წერა ძლიერ გაუჭირდა. წერა მხოლოდ მარცხენა ხელით შეეძლო, თანაც მარჯვიდან მარცხნივ. მარჯვენა ხელით არაფრის გადაგდება აღარ ძალუდა, ჭამის დროს დიდხანს ფიქრობდა, სანამ დანასა ანდა ჩანგალს აიღებდა. ხოლო მისი წარმოდგენა ქუჩაში მოძრაობის წესებზე (არადა, ველოსიპედისატია), უბრალოდ, სახიფათო გახდა. რამე ცნობა, რომ გოტფრიდი წინათ ცაცია იყო, არ არსებობს.

ამ უაზრო ამბის კიდევ ერთ უცნაურობას გოტფრიდის სამი ფოტო წარმოადგენს. პირველზე 5-6 წლის ასაკშია გადალებული, – მსუებნია და მომლიმარი. ფოტოზე მისი მარცხენა თვალი მარჯვენაზე ოდნავ დიდია, ყბა კი მარცხენა მხარეს ოდნავ ჩამოწეულია. ეს იმის საპირისპიროა, რასაც მისი სახე დღეს წარმოადგენს. 14 წლის გოტფრიდის ფოტო ამ ფაქტებს არ შეესაბამება. შესაძლოა, ეს იმით აიხსნება, რომ ლითონის ფირფიტაზეა გაკეთებული, რაც მაშინ მოდაში იყო, და შებრუნებულ, სარკისებურ გამოსახულებას იძლევა. მესამე ფოტოზე იგი 20 წლის ასაკშია გადალებული. ეს ფოტო ამტკიცებს იმას, რაც წინა ორითაა დადგენილი. სრულიად აშკარად ჩანს, რომ გოტფრიდმა მარჯვენა მხარე მარცხენაზე შეიცვალა. ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი ცვლილება ცოცხალ ადამიანს შეიძლება მოუვიდეს.

ეს ფაქტები, გარკვეულწილად, შეიძლება ავხსნათ, თუკი დავუშვებთ, რომ პლატნერმა საზოგადოების მისტიფიცირება გადაწყვიტა, – და საამიოს ის ფაქტი გამოიყენა, რომ გული მარჯვენა მხარეს აქვს. ფოტოების რეტუშირება სავსებით შესაძლებელია. ხოლო ცაციად თავის გასაღება, ბოლოსდაბოლოს, არც ისე რთულია. თუმცა მისი ხასიათი ამ ვარაუდს თითქოსდა აქარწყლებს. პლატნერი მეტად პრაქტიკული კაცია, არავის არაფერს ახვევს თავს, – ნორდაუს აზრით, სრულად საღი გონების პატრონია. უყვარს ლუდი, ზომიერად ეწევა, ყოველ დღე სეირნობს და თავის პედაგოგიურ საქმიანობას ადეკვატურ შეფასებას აძლევს. ბუნებრივი, კეთილხმოვანი ტენორის პატრონია. პოპულარი, მხიარულის მელოდიების წამლერება დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

უყვარს კითხვა, თუმც კი ზომიერად. ძირითადად, ოპტიმისტურ, ღვთისმოსავ რომანებს ეტანება. ძილი კარგი აქვს, სიზმრებს იშვიათად ხედავს. ერთი სიტყვით, სრულიად არ ჰგავს ისეთ კაცს, ვინც რაღაც ფანტასტიკურს გამოიგონებდა. მართლაც, იგი სულაც არ ცდილობს ხთავისი ამბავი მსოფლიოს მოსდომს, და როდესაც მისი ორგანიზმის უცნაური თავისებურების შესახებ ეკითხებიან, ისე გულწრფელად გაიოცებს ხოლმე, რომ ყველაზე უფრო ეჭვიან ადამიანსაც კი განაიარალებს. ისე ჩანს, თითქოს გულწრფელად სრცხვენია იმისა, რომ ესოდენ უჩვეულო რაღაც დაემართა.

სამწუხარო ფაქტია, რომ პლატნერს არ ხიბლავს გარდაცვალების შემდგომ გვამის გაკვეთის იდეა, რამაც, შესაძლოა, სამუდამოდ დაგვიკარგოს იმის დამტკიცების შესაძლებლობა, რომ მის სხეულში ორგანოები მართლაც გადანაცვლებულია. არადა, ამ ამბის დამაჯერებლობა სწორედ ამ ფაქტის უტყუარობაზეა დამოკიდებული. არ არსებობს საშუალება, რომლითაც შესაძლებელი გახდება ადამიანი სივრცეში ისე ამოძრაო, – როგორც ადამიანებს ჩვეულებრივ ესმით “სივრცის” ცნება, – რომ მისმა ორგანოებმა მდებარეობა შეიცვალონ. რაც უნდა გააკეთო, მარჯვენა მხარე ყოველთვის მარჯვენა იქნება, მარცხენა კი — მარცხენა! ეს, რასაკვირველია, შეიძლება იდეალურად თხელსა და ბრტყელ საგანს მოუხერხო. თუკი ქაღალდისგან გამოჭრი ნებისმიერ ფიგურას, რომელსაც მარცხენა და მარჯვენა მხარე აქვს, შეგიძლია შეუცვალო მხარეები, თუკი ასწევ და ფიგურას გადაატრიალებ. მაგრამ მოცულობის მქონე საგნების შემთხვევაში ეს არ გამოვა. მათემატიკოს-თეორეტიკოსები გვეუბნებიან, რომ ერთადერთი გზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია რაიმე მოცულობითი, მყარი სხეულის მარჯვენა და მარცხენა მხარე შეცვალო, შემდეგია: სხეული სივრციდან, ანუ ჩვეულებრივი გარემოდან, უნდა ამოვილოთ იმ სახით, როგორიც არის, და სადღაც სივრცის მიღმა მოვათავსოთ. მართალია, ეს ცოტა არ იყოს, გაუგებარი და ბუნდოვანია, მაგრამ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მათემატიკას უუფლებოდა, ამ დებულების სისწორეს დაგიმტკიცებთ. თუკი ამ აზრს ტექნიკური ენით გამოვთქვამთ, უნდა ვალიაროთ, რომ პლატნერის ორგანოების გად-

ანაცვლება შემდეგის მაჩვენებელია: იგი ჩვენი განზომილებიდან გადასულა ე.წ. მეოთხე განზომილებაში, მერე კი ჩვენს სამყაროში კვლავ დაბრუნებულა. თუკი არ გვსურს დავიჯეროთ, რომ დახელვნებული მისტიფიკაციის მსხვერპლი ვართ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მართლაც მოხდა.

მაშ ასე, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტები არეულ-დარეულია. ახლა უნდა შევეხოთ არაჩავეულებრივ მოვლენას, რომელიც ჩვენი სამყაროდან პლატნერის გაქრობას წინ უძლოდა. სასეკსვილის კერძო სკოლაში პლატნერი თურმე მხოლოდ თანამედროვე უცხო ენების მასწავლებლის მოვალეობას კი არ ასრულებდა, არამედ ასევე ასწავლიდა ქიმიას, კომერციულ გეოგრაფიას, ბუღალტერიას, მართლწერას, ხატვას და ყველა სხვა დამატებით საგანს, რასაც კი მოსწავლეების მშობლები მოისურვებდნენ. ამ საგნების შესახებ მან ცოტა რამ იცოდა, – ან სულაც არაფერი. მაგრამ დაწყებით სკოლაში მასწავლებლისთვის ცოდნა აუცილებლად არ მიიჩნევა, მთავარი ყურადღება მის მორალსა და ჯენტლმენობას ექცევა. ქიმიაში, როგორც თვითონ ამბობდა, არ უწყოდა არაფერს, გარდა სამი აირის თეორიისა (ოლონდ გაუგებარია, რომელ სამ აირს გულისხმობდა). მაგრამ იმის გამო, რომ მისმა მონაცემებმა საერთოდ არაფერი იცოდნენ, – ანუ ინფორმაციას მისგან იღებდნენ, – ეს გარემოება მრავალი სემესტრის განმავლობაში არავითარ უხერხულობას არ უქმნიდა. მერე კი ერთი პატარა ბიჭი, სახელად უიბლი, სკოლაში შეიყვანეს. საოცრად ცნობისმოყვარებავში ბრძანდებოდა, გეორნება, ეს თვისება საგანგებოდ განუვითარესო. ბიჭი პლატნერის გაკვეთილებს ინტერესით უსმენდა, საკუთარი გულმოდგინება და საგნის შესწავლის სურვილი რომ დაემტკიცებინა, მასთან ხშირად მიჰქონდა სხვადახვა სითხე ანალიზების ჩასატარებლად. პლატნერს მოსწონდა, რომ ბიჭს ცოდნის შეძენის სურვილი გაულვივა და რადგან მის სრულ უმეცრებაში დარწმუნებული იყო, სითხებს ზედაპირულ ანალიზს უტარებდა – მათი შემადგენლობის შესახებ ზოგად ცნობებს აწვდიდა. პლატნერზე მონაცემის ცნობისწადილმა ისე იმოქმედა, რომ ანალიტიკური ქიმიის შესახებ ნაშრომი გამონახა და საღამოობით მის კითხვას შეუდგა. ერთობ გა-

ოცებული დარჩა, როდესაც ქიმია საინტერესო მეცნიერება აღმოჩნდა. და უეცრად “სცენაზე” მომწვანო ფხვნილი გამოჩნდა. არადა, იმ მომენტამდე ყველაფერი კარგად მიღიოდა. საიდან გაჩნდა ფხვნილი, სამწუხაორიც, უცნობია. უიბლი ყვება დაუკერებელ ამბავს, რომ თითქოს ქალალდის პაკეტში ნახა, რომელიც მიტოვებულ კირის საწვავ ღუმელში იპოვნა. პლატნერისთვის და, შესაძლოა, თვით უიბლის ოჯახისთვის არ იქნებოდა ურიგო, თუკი იმ ადგილას, სადაც პაკეტი შეხვდა, ფხვნილს ცეცხლს მისცემდნენ. ნორჩ ჯენტლმენს ფხვნილი სკოლაში პაკეტით არ მიუტანია, არამედ სააფთიაქო რვაუნციანი ფლაკონით, რომელსაც გაზეთის ქალალდი ჰქონდა შემოხვეული. უიბლიმ ის პლატნერს დღის ბოლოს გადასცა. სკოლაში გაკვეთილების შემდეგ ოთხი ბიჭი იყო დატოვებული, იქაურობა რომ მიელაგებინათ – პლატნერი მათ ქიმიის კაბინეტში ელოდებოდა. ქიმიის სწავლებისთვის საჭირო თვალსაჩინოება სასეკსვილის სკოლაში, ისევ, როგორც პატარა, პროვინციული სკოლების უმრავლესობაში, მკაცრი სისადავით გამოირჩეოდა. თვალსაჩინოება მომცრო კარადაში ინახებოდა. სკოლის დირექტორმა პლატნერს გული ისე გაუწყალა, რომ მას კიდევ გაუხარდა, როდესაც უიბლი გამოჩნდა მწვანე ფხვნილიანი ფლაკონით ხელში — სახალისო გასართობად ჩათვალა. უიბლის ბედზე, პლატნერისგან საკმაოდ შორს იჯდა, თვალს ადევნებდა. ოთხმა ბიჭმა საქმეს თავი ანება – პლატნერს შესცეკროდნენ. მისი პრაქტიკული ქიმია, სამი აირის ფარგლებშიც კი, ერთობ სარისკო საქმიანობა გახლდათ.

მოგვიანებით ბიჭების მონათხრობი იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა პლატნერი, ერთმანეთს სიტყვასიტყვით დაემთხვა. მათი თქმით, ცოტაოდენი ფხვნილი მენზურაში ჩაყარა და მასზე მანიპულირება დაიწყო: ჯერ ქლორნყალბადი დაასხა, შემდეგ აზოტმუჟავა და შემდეგ, გოგირდმჯავა. რადგან ვერავითარი შედეგი ვერ მიიღო, აიღო ფირფიტა, მასზე მწვანე ფხვნილი მთლიანად გადმოყარა და ანთებული ასანთი მიუტანა. ფლაკონი ხელში ეჭირა. ფხვნილმა ბოლი აუშვა, შეიჭმუნა, დადნა და უცებ საშინელი ბათქით, თვალისმომჭრელად იფეთქა!

ბიჭემა ცეცხლი დაინახეს თუ არა, მერხის ქვეშ ჩახტნენ. არცერთი მათგანი არ დაშავებულა. ფანჯრის მინა ჩაიშსხვრა, დაფა კი თავის სადგარიანად გადაყირავდა. ჭერიდან გაჯი ჩამოცვიდა. მეტი არაფერი დაზიანებულა და როდესაც ბიჭებმა პლატნერი ვეღარ დაინახეს, იფიქრეს, რომ იატაკზე გდია, — ეტყობა, მერხები ეფარებაო. საშველად მივარდნენ, მაგრამ სახტად დარჩნენ, როდესაც ვერ იპოვეს. დაბწეულები კარს ეცნენ — დარწმუნებული იყვნენ, რომ პლატნერი დაჭრილია და ოთახიდან დერეფანში გავიდა. კარზი, ბიჭი, რომელიც პირველი გახტა კაბინეტიდან, კინაღამ მისტერ ლიჯეტს, სკოლის დირექტორს შეეჯახა.

მისტერ ლიჯეტი მსუქანი, ნერვიული, ცალთვალა მამაკაცი იყო. ბიჭები მოგვიანებით იხსენებდნენ, ოთახში დაგუდული ლანძღვა-გინებით შემოვიდაო. “ოჳ, თქვე მაიმუნებო! — შესძახა, — სადაა მისტერ პლატნერი?”

სადაა მისტერ პლატნერი? მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ეს კითხვა მრავალჯერ დაისვა. ისე ჩანდა, რომ ხატოვანი თქმა — “ატომებად დაიმალა” — ამჯერად რეალობად იქცა. პლატნერის უმცირესი ნაშთიც კი ვერ იპოვეს, — სისხლის ერთი წვეთი ანდა ტანსაცმლის ნაგლეჯი, — სრულიად არაფერი. როგორც ჩანს, ამქვეყნიურობიდან ისე იქნა ამოგლეჯილი, რომ მისი მცირედი კვალიც კი აღარ დარჩნილა. თვით პლატნერის გაუჩინარების ფაქტი, რაც აფეთქებას მოყვა, ეჭვს არ იწვევდა.

იმ ჭორებისა და მლელვარების აღწერა, რასაც სასეკსვილის სკოლასა და მთლიანად სასეკსვილში ჰქონდა ადგილი, აუცილებელი არ გახლავთ. ლიჯეტმა, თავის მხრივ, გააკეთა ყველაფერი, რათა ამ შემთხვევის მნიშვნელობა რამენაირად დაემცირებინა. შემოიღო სასჯელი, რომელიც შემდეგში გამოიხატებოდა: მოსწავლე, რომელიც პლატნერის სახელს ხმამაღლა ახსენებდა, ვალდებული იყო სავარჯიშოს 25 სტრიქონი გადაეწერა, კლასში კი გამოაცხადა, რომ მშვენივრად იცის, სადაა მისი ხელქვეითი. დირექტორი შიშობდა, რომ მომხდარი აფეთქება სკოლას რეპუტაციას შეულახავდა, ქიმიის პრაქტიკული შესწავლის პროცესში მიღებული უსაფრთხოების ზომების მიუხედავად. რეპუტაციაზე იმოქმედებდა ასევე პლატნერის სახელის გარშემო შექმნილი

საიდუმლოება. ამიტომ ლიჯეტი ყველანაირად ცდილობდა ამ შემთხვევისთვის ჩვეულებრივი, ყოფითი ინციდენტის ხასიათი მიეცა. ხუთივე თვითმხილველი საგულდაგულად დაპირითა, თანაც იმდენ ხანს აწვალა, რომ ბიჭებს ბოლოს საკუთარ გონებრივ შესაძლებლობებში ეჭვიც კი შეეპარათ.

მაგრამ მიღებული ზომების მიუხედვად, იმ არე-მარები ხმები ცხრა დღის განმავლობაში მაინც ჯიუტად ვრცელდებოდა, — თანაც საოცრად გაზვიადებული სახით. ამიტომ ზოგიერთმა მშობელმა თავისი შვილი სკოლიდან დროებით გამოიყვანა. ამ ამბავში გარკვეული როლი იმანაც ითამაშა, რომ საკმაოდ ბევრს დაესიზმრა პლატნერი. თანაც სიზმრები ერთმანეთსა ჰგავდა — თითქმის ყველამ ნახა პლატნერი, რომელიც დაეხეტებოდა მარტო, ანდა ვიღაცასთან ერთად, სადლაც, უცნაურად განათებულ ადგილას. ყველა სიზმარში პლატნერი გაფითრებული, გატანჯული იყო, ზოგჯერ ხელებს გაცხარებით იქნევდა. ერთორ ბიჭს დაესიზმრა, რომ პლატნერი საოცარი სისწრაფით მიადგა და თვალებში ჩახედა. სხვები კი პლატნერთან ერთად რაღაც უცნაურ, სფეროსებურ არსებებს გაურბოდნენ.

მაგრამ ეს აბდაუბდა უმალ დავიწყებას მიეცა, როგორც კი პლატნერი გამოჩნდა, — გაუჩინარებდან ერთი კვირის თავზე, ოთხშაბათს. ცხადია, უმალ კითხვები დაყარეს.

მის დაბრუნებასთან დაკავშირებული გარემოებანი ისევე უცნაური იყო, როგორც მისი გაუჩინარებისა. ოთხშაბათს მისტერ ლიჯეტმა მზის ჩასვლამდე დაასრულა საქმეები — საკუთარ ბაღში იყო და ხენდროს შეექცეოდა, — ძლიერ უყვარდა. ბაღი საკმაოდ დიდი ჰქონდა, მოუვლელი, მაღალო აგურის ღობით გარშემორტყმული. როდესაც მან თავი დახარა, განსაკუთრებით დიდი ხენდრო რომ აელო, ჰაერში რაღაცამ გაიელვა. ვერ მოასწრო მოხედვა, რომ იგრძნო, ზურგში რაღაც მძიმე მოხვდა. დარტყმისგან წინ გადავარდა, ხენდრო გაჭყლიტა, ხელში რომ ეჭირა, აპრეშუმის ცილინდრი კი ცალ თვალზე ჩამოეფხატა. მძიმე სხეული, რომელმაც ჩაუქროლა და ხენდროს ბუჩქებზე დაეცა, დაკარგული გოტფრიდ პლატნერი აღმოჩნდა — საშინალად გამოიყურებოდა. გაფითრებული იყო, თავშიშველი, საყელო დაჭკარგვოდა, ტანსაცმელი

ჭუჭყიანი ჰქონდა, ხელებზე კი სისხლის კვალი ეტყობოდა. მისტერ ლიჯეტი ისე განცვიფრდა, რომ ოთხზე დარჩა, ცალ თვალზე ჩამოეფხატული ცილინდრით. მერე კი გონს მოეგო და პლატნერს შეუტია, დაამუნათა, – უმსგავსოდ, ბრიყვულად იქცევით.

ამ არცთუ იდილიური სცენით ვასრულებთ იმას, რასაც პლატნერის ამბის გარეგნული ქარგა შეიძლება ვუწოდოთ. მისტერ ლიჯეტმა პლატნერი სკოლიდან როგორ დაითხოვა, ეს ჩვენთვის საინტერესო აღარაა.

ამ საქმის ყველა დეტალი, – სახელების, თარიღების და პირადი დახასიათებების ჩათვლით, – დაწვრილებით ანგარიშში შეგიძლიათ იხილოთ, „ანომალური მოვლენების კვლევის საზოგადოებამ“ რომ წარმოადგინა.

პირველ დღეს პლატნერის მარცხენა და მარჯვენა მხარეების საოცარ ადგილმონაცვლეობას ყურადღება არავინ მიაქცია. პირველად ეს მაშინ შენიშნეს, როდესაც მან დაფაზე წერა მარცხნიდან მარჯვნივ დაიწყო. იგი ამ გარემოებას მაღლავდა, როგორც შეეძლო, რადგან შიშობდა, რომ ეს მის მდგომარეობაზე ცუდად იმოქმედებდა. გულის გაადგილება კი რამდენიმე თვის შემდეგ გაირკვა, როდესაც პლატნერისთვის ნარკოზის ქვეშ კბილი უნდა ამოელოთ. ექიმს ძალზე უხალისოდ დართო ნება, რომ გაესინჯა, მერე კი დიდხანს არ თანხმდებოდა, „ანატომიის უურნალში“ მასზე მოკლე წერილი დაებეჭდათ. ამით ამოინურება ყველა ფაქტობრივი, მატერიალური საბუთი, რაც კი ხელთ გვაქვს და ახლა შეგვიძლია გადავიდეთ იმაზე, თუ რას ყვება თავად პლატნერი მომხდარის შესახებ.

ამ ამბის პირველი ნაწილი მეორისგან მკაცრად უნდა გავმიჯნოთ. რასაც აქამდე მოგითხობდით, ისეთი ჩვენებებით იყო გამყარებული, რაც სისხლის სამართლის საქმეთა ნებისმიერ სპეციალისტს დააკმაყოფილებდა. ყველა მოწმე დღემდე ცოცხალია, მკითხველს, თუ სურვილი აქვს, ხვალვე შეუძლია მოძებნოს ის ბიჭები და მისტერ ლიჯეტი, და ყველაფერი გამოჰკითხოს. თავად გოტფრიდ პლატნერი თავის ადგილნაცვალი გულითა და ფოტოებით ასევე ნებისმიერ მომენტში შეიძლება წარმოგიდგინოთ. იმის დამტკიცებაც კი შეიძლება, რომ იგი მართლა დაკარგული იყო ცხრა დღის განმავლობაში და ეს აფეთქების შედე-

გად მოხდა. ასევე ფაქტია, რომ უეცრად გამოჩნდა, თანაც უკვე შეცვლილი, ზუსტად ისე, სარკეში რომ იცვლება ანარეკლი. შეიძლება დავასკვნათ, ამ ცხრა დღის განმავლობაში პლატნერი სადღაც, ჩვენი განზომილების მიღმა იმყოფებოდა. ამის მოწმობანი გაცილებით არსებითი და ცხადია, ვიდრე მრავალი სხვა მოწმობა, რომელსაც ბრალდებული სახრჩობელამდე მიუყვანია.

გარდა მისი მონათხრობისა, თუ სად იმყოფებოდა, — თანაც ეს მონათხრობი მეტად აბურდული და წინააღმდეგობრივია, — არაფერი ვიცით. მისტერ გოტფრიდ პლატნერის დისკრედიტაციას სულაც არ ვაპირებ, მაგრამ უნდა აღვნიშნო ის, რაც ხშირად ავინცდებათ ავტორებს, ვინც ამოუცნობ მოვლენებზე წერენ, რომ, ამ შემთხვევაში, უტყუარი ფაქტებიდან გადავდივართ ფაქტებზე, რომლებიც გონიერმა ადამინმა შეიძლება დაიჯეროს, ან არ დაიჯერის, საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით. პირადად მე მირჩევნია, ობიექტურობა შევინარჩუნო, ვეცდები, ზუსტად გადმოვცე, რაც პლატნერმა მომითხოო.

ამ შემთხვევის შესახებ ჩემს სახლში, ჩიზლერჰერტში მომითხოო. წავიდა თუ არა, კაბინეტში შევედი, და ყველაფერი ჩავინიერებ. შემდეგ მან ჩემ მიერ გადაბეჭდილი აღნერა წაიკითხა, ასე რომ, გადმოცემის სიზუსტეში ეჭვი შეიძლება არ შეგვეპაროს.

მაშ ასე, პლატნერი ამბობს, რომ აფეთქების მომენტში დარწმუნებული იყო — მოკვდა. რაღაც ძალამ მოსწყვიტა იატაკს და უკან გადაისროლა. ეს საინტერესო მომენტია ფიქროლოგებისთვის, რადგან უკან ვარდნისას ფიქრობდა, რას დაარტყამდა თავს, ქიმიური მასალების კარადას თუ დაფის ჩარჩოს. ბოლოს კი იგრძნო, მინაზე დაეშვა, რაღაც რბილზე ზის. გაოგნდა. მერე კი შეტრუსული თმების სუნი ეცა და მოეჩვენა, რომ ლიჯეტის ხმა ესმის, მას რომ დაეძებდა. როგორც ჩანს, პლატნერი რაღაც ხანი ნახევრად გათიშული იყო.

თავიდან მოეჩვენა, რომ ისევ საკლასო ოთახშია. მკაფიოდ დაინახა ბიჭების გაოცებული სახეები და ლიჯეტი, რომელიც ოთახში შევიდა. ამაში იგი მტკიცედაა დარწმუნებული. რას ლაპარაკობდნენ, არ ესმოდა, მაგრამ ეს იმით ახსნა, რომ ექსპერიმენტის შედეგად

დარეტიანდა. იქ მყოფებს ბუნდოვნად ხედავ-და, – ეს კი იმით ახსნა, რომ ოთახი აფეთქების შემდეგ შავი კვამლით იყო სავსე. პლატნერს ადამიანები უტყვი აჩრდილებად ეჩვენებოდნენ. აფეთქების შემდეგ სახე ჯერ კიდევ ეწვოდა. როგორც მიყვებოდა, თავში ყველაფერი “აე-ბურდა”, პირველი, რამაც შეანუხა, საკუთარი მდგომარეობა იყო. შეეშინდა, აფეთქებამ ხომ არ დააბრმავა, ან დააყრუა. სხეულის ნაწილები ფრთხილად მოისინჯა. ცოტა ხანში შეგრძნებები გაუმძაფრდა და გაოცებით აღმოაჩინა, რომ თავის გარშემო საკლასო ოთახს ვეღარ ხედავს. ამის ნაცვლად, ნაცნობი ნივთებისა და ავეჯის ადგილას, რუხი ფერის გაურკვევლი ფორმები ჩანდა. ორმა ბიჭმა ხელების ქნევით გაიარეს მასში ისე, რომ ვერაფერი შენიშნეს. იმის წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა განიცადა ამ მომენტში პლატნერმა.

– მათი შეხება, – ყვებოდა პლატნერი, – მსუბუქი ნისლივით იყო.

პირველი, რაც პლატნერს აზრად მოუვიდა, ის იყო, რომ მკვდარია. რადგან სიკვდილზე საღი წარმოდგენა ჰქონდა, – ასე აღზარდეს, – მეტად გაუკირდა, სხეული რომ ისევ ჰქონდა. მერე კი გაიფიქრა, თვითონ კი არ მოკვდა, არამედ გარშემო ყველა დაიხოცა, აფეთქებამ გაანადგურა სკოლა და ყველა, ვინც კი იქ იყო, მის გარდა. მაგრამ ეს მეორე დასკვნა დამაკმაყოფილებლად არ მოეჩვენა, ამიტომ დაკვირვება განაგრძო.

პლატნერი საოცარ წყვდიადში აღმოჩნდა, მის ზემოთ რაღაც ბნელი ცარგვალი გადაიშალა! შავ ფონზე ერთადერთი ნათელი ლაქა სუსტი, მომწვანო ნათება გახლდათ – ცის კაბადონის ცალ მხარეს, კიდეზე. მერე შორს შავი მთების გრაგნილი გამოიკვეთა. ასეთი იყო მისი პირველი შთაბეჭდილება. თანდათანობით, თვალი მიეჩვია სიბრელეს და დამის წყვდიადში მწვანე გამონაშუქი გაარჩია, მართალია ძალზე სუსტი. ამ ფონზე ავეჯი და ყველაფერი, რაც საკლასო ოთახში იყო, ფოსტორიცირებად ლანდებად წარმოუდგა, ძლივს რომ ხედავ. პლატნერმა ხელი გაიშვირა და ხელმა კედელში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშენგაიარა, ბუხრის შორიახლოს.

იგი ყვებოდა, რაოდენ გაუძნელდა ვინმეს ყურადღების მიპყრობა. რაღაცას უყვიროდა ლოკეტს, ცდილობდა ბიჭების მზერა დაეჭი-

რა, მის გვერდით რომ დაბორიალობდნენ. ეს მცდელობა მხოლოდ მამინ შეწყვიტა, როდესაც ოთახში მისის ლიჯეტი შევიდა, რომელიც არ უყვარდა ისევე, როგორც დირექტორის ყველა სხვა ხელევეითს. პლატნერი მიყვებოდა, – შეგრძნება ჰქონდა, რომ დედამიწაზე იყო, მაგრამ თანაც მის ნაწილს აღარ შეადგენდა და ეს ძალზე არასასიამოვნო გახლდათო. მან თავისი შეგრძნება ერთობ ზუსტად შეადარა კატის განცდას, რომელიც ხედავს თაგუნას, მაგრამ ვერ სწვდება, რადგან მათ შორის შუშის კედელია. ყოველ ჯერზე, როდესაც მოძრაობას აკეთებდა, თითქოს რაღაც გაუგებარ დაბრკოლებას ანყდებოდა, ამიტომ მის გარშემო არსებულ მოჩვენებით გარემოსთან შეხებაში ვერ მოდიოდა.

პლატნერმა მიმოიხედა. შუშის ფლაკონი, რომელშიც მწვანე ფეხინილის ნარჩენი იყო, ისევ ხელში ეჭირა. ჯიბეში ჩაიდო და გარემო ხელით მოსინჯა. აღმოჩნდა, რომ კლდეზე ზის, რომელიც ხავერდივით რბილი ხავსითაა დაფარული. უფრო შორს რა იყო, ვეღარ დაინახა, მაგრამ ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, რომ მოშორებით, მთის ძირას, დამრეცი ზეგანი უნდა იყოს. ცის კაბადონზე მომწვანო ნათება ძლიერდებოდა. პლატნერი წამოდგა, თვალები მოიფშვინიტა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ციცაბო ფერდობზე დაშვება იწყო, მაგრამ ფეხი რაღაცას წამოჰქორა, კინაღამ წაიქცა და ისევ ჩამოჯდა კლდეზე, განთიადს დაველოდებიო. გარშემო ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. თითქმის არაფერი ჩანდა, სრული მდუმარება გამეფებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ცივი ქარი უბერავდა — არც ბალახის და ბუჩქების შრიალი ისმოდა, და არც არაფერი. მთა, სადაც ქვაზე იჯდა, კლდოვანი და ხრიოკი გახლდათ. მწვანე შუში ძლიერდებოდა, და მასთან ერთად სუსტი მონითალო ანაშუქი გამოჩნდა, რომელიც ცისა და კლდოვანი უდაბნოს სიბრელეს ოდნავადაც არ ფანტავდა. იქიდან გამომდინარე, რაც მერე მოხდა, მგონია, რომ ეს მონითალო ანაშუქი იპტიკური ილუზია იყო. მოყვითალო-მომწვანი ცაზე რაღაც შავმა გადაიქროლა. მერე კი ზარის ხმამაღალი რეკა მოისმა, მის ქვემოთ გადაშლილი ზეგანიდან ამოდიოდა. დაძაბული მოლოდინი დაეუფლა, რომელიც მით უფრო ძლიერდებოდა, რაც მეტად ნათდებოდა იქაუ-

რობა. დაახლოებით ერთი საათი, ან მეტიც კი, ქვაზე იჯდა და თვალს ადევნებდა მწვანე შუქს, რომელიც ყოველ წუთს ძლიერდებოდა, ზევით, ზენიტისეკენ მიიჩნევდა. ეს სინათლე რაც უფრო ძლიერდებოდა, დედამინის ლანდივით სურათი მით უფრო ფერმერთალდებოდა. ჩვენს პლანეტაზე მზის ჩასვლის დრო ახლოვდებოდა. რამდენადაც პლატნერი დედამინას ნარმოიდგენდა, მისი რამდენიმე ნაბიჯი ქვევით, ფერდობზე, ნიშნავდა, – საკლასო ოთახის იატაქში გაიარა და ახლა ქვედა, უფრო დიდ ოთახშია, – ჰაერშია ჭერსა და იატაქს შორის. მართლაც დაინახა მოსწავლები, რომლებიც მერხებთან ისხდნენ. მაგრამ მწვანე განთიადი რაც უფრო ძლიერდებოდა, ქვედა საკლასო ოთახის სურათიც მით უფრო სუსტდებოდა.

როდესაც პლატნერმა ქვემოთ ჩაიხედა, დაინახა, რომ მწვანე შუქი ზეგანის კლდოვან კიდეებზე გავრცელდა – წყვდიადში მწვანე შუქი წერტილებივით კრთოდა, გეგონება, ციცინათელებიაო. უცებ ხასხასა მწვანე ფერის ვეება ციური სხეული დაინახა, მთების გრაგნილის თავზე, – უზარმაზარი კლდოვანი მასები მის გარშემო შავ ჩრდილებად აღმართულიყო. უცრად უამრავი სფეროსებური ობიექტი შენიშნა. ამ დროს ზარი სულ უფრო სწრაფ ტემპში რეკადა, რაღაცნაირი დაჟინებით. ბიჭები, მერხებთან რომ ისხდნენ, თითქმის აღარ ჩანდნენ.

უცხო სამყაროს მწვანე მზის ამოსვლასთან ერთად დედამინა თანდათანობით ქრებოდა – ამ ყველაფერმა პლატნერი გააოგნა. იმ დროს, როდესაც იმ, სხვა სამყაროში ლამეა, ამ სამყაროში საგნების სიკაშკაშის გამო მოძრაობა რთულია. თავს იჩენს გადაუჭრელი, უპასუხო გამოცანა — თუ ეს მართლაც ასეა, სხვა სამყაროს არსებობის ერთ ნიშანსაც კი რატომ ვერ ვამჩნევთ? იქნებ იმის გამო, რომ ჩვენი დედამინა შედარებით უფრო განათებულია? პლატნერი აღწერს შუადლეს იმ სხვა სამყაროში და ამბობს, რომ იმ დროს იქაური შუქი ჩვენი ზამთრის შუაღამეს ჰგავს, როდესაც სავსე მთვარე ანათებს. ამდენად, ჩვეულებრივი ნახევრადჩაბნელებული ოთახის განათება საკმარისია იმისთვის, რომ სხვა სამუაროს ობიექტები ჩვენი თვალისთვის შეუმჩნეველი გახდეს. ეს იმავე პრინციპს ეფუძნება, რასაც შემდეგი ფაქტი, რომ ფოსფორიცირებადი სა-

გნები მხოლოდ სრულ სიბრულეში ჩანან. მას მერე, რაც პლატნერის მონათხრობი მოვისმინე, რამდენჯერმე ვცადე სხვა “სამყარო” დამენახა — ლამით ფიტოლაბორატორიაში ჩავიკეტე. უნდა გითხრათ, რომ, მართალია ძალზე ბუნდოვნად, მაგრამ რაღაც მომწვანო კონტურები გავარჩიე — ფერდობები და კლდეები. შესაძლოა, მყითხველი უფრო მეტს დაინახავს. პლატნერი მეუბნებოდა, რომ მას მერე, რაც დაბრუნდა, სიზმარში რამდენჯერმე ნახა და იცნო ის ადგილები, რაც “სხვა სამყაროში” იხილა. თუმცა, მგონია, ეს, უბრალოდ, მის გონებაში ჩარჩენილი სურათებია... სავსებით შესაძლებელია, რომ განსაკუთრებულად მახვილი მზერის პატრონმა “სხვა სამყაროს” ესა თუ ის სურათი ზოგჯერ შემთხვევით კიდეც გაარჩიოს.

თუმცა ეს უკვე თემიდან გადახვევაა.

როდესაც მწვანე მზე ამოვიდა, გრძელი შავი ქუჩა გამოჩნდა, სადაც მოგრძო შენობები იდგა. ვინრო სივრცეში მოქცეული ქუჩა ბუნდოვნად ჩანდა და წამიერი ყოყმანის შემდეგ პლატნერმა მისი მიმართულებით ფერდობზე დაშვება დაიწყო. ჩასვლა რთული მარტო იმიტომ კი არ იყო, რომ ფერდობი მეტად ციცაბო გახლდათ, არამედ იმიტომაც, რომ ქვები გლუვი და სლიპინა იყო. ხმაური, რომელსაც პლატნერი დაშვებისას იწვევდა, სამყაროში ერთადერთი ხმა გეგონებოდა, რადგან ზარის რეკადა. პლატნერი შენობებს რაც უფრო უახლოვდებოდა, მით მეტად ამჩნევდა, რომ ეს ნაგებობები საფლავის ქვებს, მავზოლეუმებსა თუ აკლდამებს ჰგავდნენ და მათგან მხოლოდ ფერით — შავი ფერით — განსხვავდებოდნენ (ისინი, როგორც წესი, თეთრი ფერისაა ხოლმე). უცებ მან შენიშნა, რომ ყველაზე დიდი შენობიდან უამრავი ფერმერთალი, მომრგვალო, მომწვანო ობიექტი გამოვიდა, იმის მსგავსად, ხალხი რომ გამოეფინება ხოლმე ეკლესიდან. ფართო ქუჩაზე სხვადასხვა მხარეს გაემართნენ, ზოგიერთი მათგანი თვალს მოეფარა გვერდითა გასასვლელებში და მერე ისევ გამოჩნდა მთის ფერდობზე, სხვები კი მომცრო შავ შენობებში შევიდნენ, ქუჩის გაყოლებაზე რომ იდგა.

პლატნერი ადგილზე გაშეშდა, – ამ სანახაობით გაშტერებული. იმის თქმაც არ შეიძლებოდა, რომ ეს არსებები “დადიოდნენ”,

რადგან ხელ-ფეხი არ ჰქონდათ. ადამიანების თავებს მოგაგონებდნენ, გომბეშოს ტანზე. მათი შემხედვარე პლატნერი ისე გაოგნდა, რომ შეშინებითაც კი არ შეშინებია. არსებები მისკენ მიიჩნევნენ, ცივი ქარი მათ ისე ერევებოდა, როგორც ორპირში – საპნის ბუშტებს. პლატნერმა უახლოესს შეხედა და ადამიანის ნამდვილი თავი დაინახა, – საოცრად დიდი, ფართოდ გახელილი თვალები ჰქონდა. მზერაში ისეთი სასონარკვეთა და სევდა იგრძნობოდა, პლატნერს ცხოვრებაში რომ არ ენახა. ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ არსებამ არ შეხედა, თვალი არ გააყოლა, გეგონებოდა, მზერას რაღაც უხილავ მოძრავ საგანს არ აცილებსო.

უეცრად პლატნერი მიხვდა, რომ ვეება თვალები რაღაცას მისჩერებოდნენ, რაც იმ სამყაროში ხდებოდა, რომელიც ცოტა ხნის წინ დატოვა. არსება უახლოვდებოდა. პლატნერს გაოგნებისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა. მერე კი რაღაც საწყალობელი, სუსტი ხმა გაოგონა. პლატნერმა სახეზე ცივი შეხება იგრძნო, არსებამ გვერდით ჩაუარა, ფერდობზე ასვლა იწყო!

უეცრად პლატნერს ლამისაა ელდა ეცა, – ის თავი მისტერ ლიჯეტის თავსა ჰგავდა. სხვა თავებს დააკვირდა, ფერდობზე რომ იყვნენ შეფენილი. არცერთი არ ჰგავდა იმათ, ვინც “სხვა სამყაროში”, ადამიანთა სამყაროში დატოვა. ერთი-ორი ახლოს მივიდა მასთან, მაგრამ პლატნერი გვერდზე გაიწია, გზა დაუთმო. უმრავლესობას ისეთივე სასონარკვეთილი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც პირველს და ისეთივე საწყალობელ ხმებს გამოსცემდა. ორი მათგანი ქვითინებდა, ერთი კი სასტიკად განრისხებული ჩახდა. სხვები თითქოს გულგრილები იყვნენ. ზოგიერთს მზერაში კმაყოფილებაც კი ეტყობოდა, თითქოს ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილესო. ამ უაზრო არსებებიდან ერთ-ერთი ლამისაა ექსტაზში იყო ჩავარდნილი, აშკარად რაღაცით ხარობდა. რამდენიმე საათი პლატნერი თვალს ადევნებდა, თუ როგორ ადიან არსებები ახლომდებარე ფერდობებზე. პლატნერმა დალმართზე დაშვება მხოლოდ მას მერე განაგრძო, რაც დარწმუნდა, არსებები შენობებიდან მეტი აღარ გამოდიან. მალე ისე ჩამობნელდა, რომ ნაბიჯის გადადგმა ჭირდა. არადა, ცა თითქოს

განათებული, მომწვანო ფერისა იყო. პლატნერი არც შიმშილს გრძნობდა, არც წყურვილს. მოგვიანებით, როდესაც მოსწყურდა, ყინულივით ცივ წყაროს წააწყდა, ვიწრო ზეგანის შუაგულში რომ მოჩეხჩეხებდა. როდესაც სასონარკვეთილმა პლატნერმა ხავსი გასინჯა, ერთობ გემრიელი ეჩვენა.

პლატნერი საფლავებს შორის დაბორიალობდა, ამ საოცარი მოვლენებისთვის უშედეგოდ ცდილობდა რაიმე ახსნა გამოეძინა. რაღაც ხნის მერე დიდ შენობასთან მივიდა, მავზოლეუმს რომ მიაგავდა. იქიდან თავების მსგავსი არსებები გამოვიდნენ. შიგნით, ბაზალტის საკურთხეველზე მწვანე შუქები ციმიტიმებდა, ზემოდან, გუმბათიდან სქელი, ზარის დასარეკი თოკი იყო ჩამოშვებული. კედლებზე უცნობი, ცეცხლოვანი ასოებით რაღაც სიტყვები ეწერა. სანამ პლატნერი ფიქრობდა, რა უნდა ყოფილიყო ეს ყველაფერი, ქუჩაში მძიმე ფეხის ხმა, ბრაგაბრუგი გაისმა. პლატნერი ქუჩაში გავარდა, მაგრამ ვერავინ დაინახა. უცებ მოუნდა, ზარი ჩამოეკრა, მაგრამ ბოლო წამს გადაწყვიტა, ფეხის ხმას გაპყოლოდა. პლატნერი გაიქცა, მაგრამ ვერ დაეწია. ყვირილი მორთო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ არავინ გამოეპასუხა. ზეგანი თითქოს უსასრულო იყო. მის ზედა კიდეს მქრქალი მომწვანო შუქი გასდევდა. ქვემოთ არცერთი უცნაური “თავი” არ ჩანდა. ეტყობა ზემოთ, ფერდობებზე იყვნენ. პლატნერმა აიხედა და დაინახა, – აქეთ-იქით აწყდებოდნენ, სწრაფად დაქროდნენ ჰაერში, უცებ ჩერდებოდნენ. ვეება თოვლის ფანტელებს მიამსგავსა, ოღონდ შავი და მომწვანო ფერისა იყვნენ.

პლატნერი მიყვებოდა, რომ შვიდი თუ რვა დღე უშეტესად იმით იყო დაკავებული, რომ ფეხის ხმას მისდევდა, მაგრამ ვერცერთხელ ვერ დაეწია. თხრილებში უწევდა ჩასვლა, ზევით-ქვევით დაძვრებოდა, მთებზე ადიოდა და ყველაგან ხედავდა თავებს, მისკენ რომ მოიწევდნენ. პლატნერი დღეებს არ ითვლიდა. ერთი-ორჯერ შენიშნა, რომ თავები უთვალთვალებენ, მაგრამ არავინ დალაპარაკებია. კლდეებში ეძინა. ვიწრო ზეგანზე დედამიწის ობიექტები აღარ ჩანდა, რადგან ჩვენი პლანეტიდან ის ადგილი მინის ქვეშ, დიდ სიღრმეზე უნდა ყოფილიყო. როდესაც თენდებოდა, ჩვენი სამყარო გამოჩნდებდა ხოლმე. ზოგ-

ჯერ პლატნერი მომწვანო კლდეებზე ადიოდა ბორძიკით, გარშემო კი ამ დროს სასეკსვილში ხეებს არჩევდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, სასეკსვილის ქუჩებში დადის, და თავად უხილავი, უმზერდა იმას, რაც ამა თუ იმ სახლში ხდებოდა. მერე კი აღმოაჩინა, რომ დედამინაზე თითქმის ყველა ადამიანს ერთ ან ორი უცნაური, უსხეულო არსება უთვალთვალებს!

ვინ იყვნენ ცოცხლების ეს „მოთვალთვალენი“, პლატნერმა ვერაფრით გაიგო. მათგან ორი, ცოტა ხნის მერე რომ დაინახა, საკუთარ დედას და მამას მიამსგავსა – როგორებიც ბავშვობიდან ახსოვდა. დროდადრო სხვა სახეებიც შეაცექერდებოდნენ ხოლმე: პლატნერი მათ თვალებს გარდაცვლილი ადამიანების თვალებს ამსგავსებდა, ადამიანებისა, რომელებმაც რაიმე ავნეს, ანდა პირიქით, დახმარება გაუწიეს ახალგაზრდობასა თუ ზრდასრულ ცხოვრებაში. როდესაც შეაცექერდებოდნენ, პლატნერს თითქოს რაღაც მძიმე, პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთი დააწვებოდა ხოლმე. შეეცადა დედას დალაპარაკებოდა, მაგრამ მან არ უპასუხა. დედა სევდიანად, დაუშინებით, ალერსიანად ჩაცყურებდა თვალებში – თითქოსდა მსუბუქი საყვედურითაც, – მაგრამ ხმას არ იღებდა!

პლატნერი ამას მიყვებოდა ისე, რომ არც კი ცდილობდა, რაიმე აქესნა. შეგვიძლია ვიმარჩიელოთ, – რას წარმოადგენენ ცოცხლების „მოთვალთვალენი“? თუკი მართლაც მიცვალებულები არიან, რატომ უმზერენ ესოდენი დაუშინებით ცოცხალთა სამყაროს, სამუდამოდ რომ მიატოვეს? სავსებით შესაძლებელია, – და მე ეს სამართლიანად მიმარია, – როდესაც ჩვენთვის სიცოცხლის კარი იხურება, როდესაც აღარ გვიჩევს სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევა, მაინც ვხედავთ იმას, თუ როგორ სრულდება ჩვენს მიერ დაწყებული საქმეები. თუკი ადამიანთა სულები გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლეს აგრძელებენ, უეჭველია, ადამიანთა ინტერესიც ასევე შენარჩუნებული აქვთ. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი კერძო მოსაზრებაა. პლატნერი არანაირ დასკვნებს არ აკეთებს, მას საამისოდ საკმარისი მასალა არ გააჩნია. კარგია, თუკი მკითხველი ამას ხვდება! პლატნერი მთელი დღეები იმ საოცრად განათებულ სამყაროში დაბორიალობდა, დედამიწის მიღმა რომაა,

თავბრუ ესხმოდა, ძალიან დასუსტდა – შიმშილი ანუხებდა.

ჩვენი დედამიწის დღე, უფრო სწორად, სასეკსვილის ნაცნობი სურათები თვალწინ ჰქონდა და ეს აწვალებდა. არ იცოდა, ნაბიჯი საით გადაედგა, ხშირად იმ უცნაური არსებების ცივ შეხებას გრძნობდა. როდესაც დაბნელდებოდა, მრავალი ეს „მოთვალთვალე“, მის გარშემო რომ იყვნენ, თავისი უწყვეტი, სასოწარკვეთილი მოთქმით, საოცრად უწვრილებდნენ გულს. პლატნერს მთელი სულითა და გულით სურდა ძველ ცხოვრებას დაბრუნებოდა, რომელიც ერთდროულად ესოდენ ახლოს იყო და – ესოდენ შორს. მის გარშემო არსებული საგნების არამინიერ იერსახეს მძიმედ აღიქვამდა. საშინლად აწვალებდნენ არსებები, მუდმივად კუდში რომ დასდევდნენ. პლატნერი უყვიროდა მათ, ლანძღავდა, ცდილობდა არ შეეხდა, გაურბოდა! მაგრამ ისინი მეტად დაუშინებულნი გახლდნენ! რაოდენ სწრაფადაც არ უნდა გაქცეულიყო, მუდმივად ეწეოდნენ.

მეცხრე დღეს, სალამოსკენ, გაიგონა, რომ იმ ვიღაც უხილავის ნაბიჯების ხმა ახლოვდება. იმ დროს იმ მთის ფერდობზე დაბორიალობდა, რომელზეც პირველ დღეს ჩამოვარდა, გასაოცარ „სხვა სამყაროში“ როდესაც მოხვდა. აჩქარებით დაეშვა დაღმართში, გზას ხელის ცეცებით მიიკვლევდა. უცებ მისი ყურადღება მიიპყრო იმან, რაც ოთახში ხდებოდა, ერთ-ერთ სახლში რომ იყო იმ ქუჩაზე, სადაც მისი სკოლა იდგა. ოთახში ორი ადამიანი დაინახა – ორივე ეცნობოდა. ფანჯრები ლია გახლდათ, ფარდა გადაწეული, ჩამავალი მზე მოგრძო ოთახს კარგად ანათებდა, – ჯადოსნური ფარნის სურათი გეგონებოდა მუქი ლანფშაფტის ფონზე. მზის შუქით განათებულ ოთახში სანთელი ენთო.

სანოლზე გამხდარი, საოცრად ფერმერთალი კაცი იწვა, დალვრემილი გამომეტყველება ჰქონდა. მომუშტული ხელები თავს ზემოთ აენია. სანოლის გვერდით, მომცრო მაგიდაზე, წამლების რამდენიმე ფლაკონი, პურის ნატეხი, წყლით სავსე ჭურჭელი და ცარიელი ჭიქა იდგა. დროდადრო კაცი ტუჩებს ამოძრავებდა, ეტყობა, რაღაცას ამბობდა, მაგრამ არაფერი ისმოდა. ქალი ამას ვერ ამჩნევდა. რაღაც ქაღალდების გარჩევით იყო დაკავებული, ძველ კარადაში რომ იყო შენახული. კარა-

და ოთახის საწინააღმდეგო კუთხეში იდგა. თავიდან სურათი მკაფიოდ ჩანდა, მაგრამ მის უკან მომწვანო დილა რაც უფრო თენდებოდა, მით უფრო ფერმერთალდებოდა და ბუნდოვანდებოდა.

ფეხის ხმა, რომელიც ესოდენ ხმამაღლა ისმოდა “სხვა სამყაროში” და ოდნავ გასაგონად, ჩვენთან, სულ უფრო ახლოვდებოდა. პლატნერმა შენიშნა, რომ მის გარშემო მრავალი ბუნდოვანი სახეა, რომლებიც დაკვირვებით უმზერდნენ იმას, რაც ოთახში ხდება. მანამდე ამდენი “ცოცხალთა მოთვალთვალე” ერთად არასოდეს ენახა, ზოგიერთი მათგანი ავადმყოფს მისჩერებოდა, სხვები ნაღვლიანად შესცეროდნენ ქალს, რომელიც სიხარბისგან გაფართოებული თვალებით დაექცებდა რაღაცას. ისინი პლატნერის გვერდით შეჯგუფდნენ – მათი კვნესა და მოთქმა გამუდმებით ესმოდა. ზოგჯერ სურათი უფრო მკაფიო ხდებოდა. თითქმის მთელი ამ დროის განმავლობაში სურათი ბუნდოვანი იყო, – თითქოს ცახცახებსო, – გეგონება ადამიანებს მწვანე ნაჭერში უყურებდა. ოთახში, ეტყობა, სიჩუმე იყო. პლატნერი მიყვებოდა, რომ სანთლის ალი ზემოთ მიინევდა, კვამლის აბსოლუტურად ვერტიკალურ ზოლს ქმნიდა, თანაც ყოველი ნაბიჯი ქუსილივით ესმოდა. და ეს სახეები! ორი მათგანი, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს იყვნენ ქალთან: ერთი ასევე ქალისა, ფერმკრთალი, ისეთი ნაკვთების მქონე, რომლებიც ოდესაღაც, შესაძლოა, ცივი და სასტიკი იყო, მაგრამ ახლა, რაღაცის გავლენით, შერბილებოდა, – დედამიწაზე დღემდე უცნობი სიბრძნის გავლენით! მეორე სახე კი, შესაძლოა, ქალის მამას ეკუთვნოდა. ორივე, როგორც ჩანს, რაღაც სისაძაგლეს ადევნებდა თვალს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა უკევ აღარ შეეძლოთ და რასაც ხელს ვეღარ შეუშლიდნენ. მომაკვდავს უამრავი არსება დაჲყურებდა, თუმცა მათ შორის მისი ნათესავები თუ მასწავლებლები არ უნდა ყოფილიყვნენ. სახეები, რომლებიც წინათ, ალბათ, უხეშები გახლდნენ, ახლა სევდას განეწმინდა! ყველაზე წინ ქალიშვილის სახე იყო, მას მხოლოდ მოთმინება და დაღლა ეტყობოდა, და პლატნერს მოეჩვენა, – გათავისუფლებას ელის. პლატნერს აღარ ჰქონდა უნარი, აღენერა ყველაფერი, რადგან უამრავი ლანდივით სახე ახსენდებოდა. ისინი

ზარის დარეკილზე შეიკრიბნენ. ყველა ისინი წამის განმავლობაში დაინახა. პლატნერი იმდენად დაქანცული და აღელვებული იყო, რომ თავისდაუნებურად ჯიბიდან მწვანეფხვნილიანი ფლაკონი ამოილო. მაგრამ როგორ – არ ახსოვდა!

უეცრად ფეხის ხმა მიწყდა. პლატნერი ელოდებოდა, რომ კვლავ გაიგონებდა მას, მაგრამ მის ნაცვლად ზარის რეკა გაისმა, თითქოს ბასრმა მახვილმა სიჩუმე გაჰკეთაო. ამის მერე არსებებმა დაიწყეს წინ და უკან რწევა და ხმამაღლი გოდება. ქალს არაფერი ესმოდა: რაღაც ფურცელს წვავდა სანთლის აღზე. ზარის მეორე დარეკვისას ყველაფერი ბინდმა მოიცვა, ყინულივით ცივმა ნიავქარმა ჩამოუქროლა “მოთვალთვალეებს”. შემოდგომის გამხმარი ფოთლებივით დაბზრიალდნენ, ზარის მესამე დარეკვაზე კი მათი მასიდან ლოგინისკენ რაღაც გაიჭიმა. ხომ იცით, სინათლის სხივი როგორია? ეს კი წყვდიადის სხივსა ჰგავდა და როდესაც პლატნერმა მეორედ შეხედა, დაინახა, – გრძელი ხელის ჩრდილია.

მწვანე მზემ უდაბური ჰორიზონტი გაანათა, სურათი გაბუნდოვანდა. პლატნერი ხედავდა, როგორ კონკულსიურად ცახცახებდა ზენარი ლოგინზე – მხარსზემოდან შეშინებული ქალი შესცეროდა.

“მოთვალთვალეთა” გუნდი ცაში აფრინდა, მწვანე მტვრის ღრუბელივით, ქარი რომ წამოხვეტს ხოლმე. ზეგანის ვიწრო გასასვლელისკენ, ტაძრისკენ გააქანა. პლატნერი უცებ მიხვდა ჩრდილის მსგავსი შავი ხელის მნიშვნელობას, რომელიც მას მხარსზემოთ გადასაწვდა და ნადავლი დაიჭირა. თავის მობრუნება ვერ გაძედა, იმ საშინელი ჩრდილისთვის რომ შეეხედა. თვალი მოხუჭა, რისთვისაც საოცარი ძალისხმევა დასჭირდა, გაიქცა, ოციოდე ნაბიჯი გაიარა და წაიქცა. პლატნერი ხელებზე დაეცა, ფლაკონი გაუვარდა, გატყდა და წამსვე აფეთქდა, როგორც კი მიწას დაასკდა.

მერე კი მისტერ ლიჯეტის წინ აღმოჩნდა, ძველ, კედელშემოვლებულ ბაღში, სკოლის უკან, – გასისხლიანებული და გაოგნებული.

პლატნერის თხრობა ამით სრულდება. ყველაფერი ვიღონე, რაც კი შემეძლო, – და, მე მგონი, წარმატებითაც, – მისი მონაყოლი რომ არ გამეზვიადებინა. ზუსტად ისეთივე

თანამიმდევრობით გადმოგეცით, როგორც პლატნერმა მომიყვა. შევეცადე სტილი დამეცვა, მის მიერ შექმნილი შთაბეჭდილება რომ არ განელებულიყო. ასე მაგალითად, ძალზე იოლი იქნებოდა ის სცენა, რომელიც მომაკვდავის სასთუმალთან ხდებოდა, გადამექცია შეთქმულებად, რომლის მონაწილე პლატნერიც გამოვიდოდა. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ასეთი ამბის გაყალბება არ შეიძლება, ნებისმიერი ჩარევა, ჩემი აზრით, იმ საინტერესო შთაბეჭდილებას გააფუჭებდა, რომელსაც ბნელი სამყარო ქმნის თავისი მწვანე შექითა და “ცოცხალთა მოთვალთვალეებით”. ესაა სამყარო, რომელიც ჩვენთვის უხილავი და მიუწვდომელია, თუმცა, ამისდა მიუხედავად, ჩვენს გარშემო!

ისლა დამრჩენია, დავუმატო, ვინსენტ-ტერაში, სკოლის ბალის უკან, მართლაც გარდაიცვალა კაცი, და მოხერხდა იმის დამტკიცება, რომ ეს პლატნერის დაბრუნების მომეტში მოხდა. გარდაცვლილი გადასახადების ამკრეფი და თან, სადაზღვევო აგენტი ყოფილა. მისი ქვრივი, რომელიც მასზე გაცილებით ახალგაზრდა გახლდათ, ერთი თვის წინათ ცოლად გაჰყვა მავან მისტერ ვიმპერს, ვეტერინარს ალბიდინგიდან. რადგან აქ მოყვანილი მოთხოვნა სასექსვილში გავრცელდა, ქალმა მითხრა, მისი სახელის სხენების უფლებას მომცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ყველას ვაცნობებ, რომ იგი კატეგორიულად უარყოფს პლატნერის ჩვენებას, რომელიც მისი ქმრის უკანასკენლ წუთებს აღნერს. რომ მას არავითარი ანდერძი არ დაუწვავს (არადა, პლატნერი ამას არც აბრალებდა), მისმა ქმარმა ერთადერთი ანდერძი დაწერა და ეს მათი ქორწინების დღეს მოხდაო. ერთი რამ კი ცხადია, იმ კაცის კვალობაზე, რომელსაც ის ოთახი წინათ არასოდეს ენახა, პლატნერი იქ მდგარ ავეჯს საოცრად ზუსტად აღწერს.

მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, გამეორება გამომივიდეს, ერთ გარემოებას კვლავ უნდა გავუსვა ხაზი. რადგან, თუ ამას არ გავაკეთებ, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ცრურნმენებს ვიზიარებ და დაუჯერებელი ამბებისა მჯერა. პლატნერის გაუჩინარებაც ცხრა დღის განმავლობაში დამტკიცებულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა სავსებით დასაშვებია, რომ ჰალუცინაციები

კაცს სხვა განზომილებაშიც შეიძლება დაემართოს. ყოველ შემთხვევაში, მეითხველმა ეს უნდა გაითვალისწინოს!

თარგმნა ირაკლი ლომოურმა

21 კარსკვლავი

სწორედ ახალი წლის პირველ დღეს სამამა ობსერვატორიამ თითქმის ერთდღოულად განაცხადა, რომ პლატნეტა ნეპტუნის – მზის გარშემო მბრუნავ ცდომილთაგან უშორესის – მოძრაობა ერთობ არაპროგნოზირებადი გახდა. ოგილვიმ ჯერ კიდევ დეკემბერში გაამახვილა ყურადღება მოძრაობის საეჭვო შენელებაზე. თუმცადა ამგვარი ცნობა დიდად არ დააინტერესებდა მსოფლიოს, რომლის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ნეპტუნის არსებობის შესახებ არც კი სმენოდა. გაჭირვეულებული პლატნეტის სამოქმედო არეში შორეული, ბუნდოვნად მოკიაფე ათინათის აღმოჩენა პროფესიონალი ასტრონომების გარდა არავისთვის გამხდარა მღლელვარების საბაზი. თუმცა კი სწავლული კაცების კეთილგონიერებას ჯერ კიდევ ამ ამბის გასაჯაროებამდე არ გამოჰქონია, რომ ახალი სხეული სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და სიკაშკაშეც ემატებოდა, მისი მოძრაობა დანარჩენი პლატნეტების მწყობრი გადაადგილებისაგან განსხვავდებოდა, ხოლო ნეპტუნი და მისი თანამგზავრი უპრეცედენტო მანძილით შორდებოდნენ ერთმანეთს.

მეცნიერებაში გაუთვიცნობიერებელ ადამიანს ძნელად თუ შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რაოდენ ჩაკეტილია მზის სისტემა. მზე თავისი ერთი ძენო პლატნეტებითურთ, პლატნეტი და მტვრითა და მოუხელთებელი კომეტებით, უკიდეგანო სივრცეში დატივტივებს, რომლის უსაზღვრობის წარმოსადგენად ყოველგვარი ადამიანური ძალისხმევა ფუჭი გარჯაა. ნეპტუნის ორბიტის მიღმა გადაშლილია სივრცე, სადაც, როგორც ადამიანთა დაკვირვებებმა ცხადყო, სითბოსა და სინათლის ნასახიც კი არ კრთის - ოც მილიონჯერ მილიონი მილის მანძილზე შავი წყვდიადია გამეფებული. ეს კი უმცირესი მანძილია თვით უახლოეს ვარსკვლავამდე. და რამდენიმე კომეტის გაელვებას თუ არ ჩავთვლით, რომლებიც ნაპერწკლების გალეულ კონაზე ნაკლებ არსებითი იყვნენ,

კაცობრიობისთვის არასდროს გაპრენტინებულა ეს უფსკურული მანამ, სანამ მეოცე საუკუნის გარიურაჟზე არ გამოჩენდა უცნაური ცდომილი. მატერიის უზარმაზარი მასა, ვეებერთელა და მძიმე, იდუმალებით მოცული წყვდიადიდან მოულოდნელად გამოქტრა მზის სინათლის გავრცელების რადიუსში. მეორე დღეს მისი დანახვა ნებისმიერი საშუალო ხარისხის ოპტიკური ინსტრუმენტით იყო შესაძლებელი – ჯერჯერობით ეს ერთი ციცქანა ნაპერნკალი იყო, ლომის თანავარსკვლავედის მახლობლად, რეგულთან რომ კიაფობდა. მას თვით საოპერო ბინოკლითაც კი შენიშნავდით.

სამ იანვარს დედამინის ოთხივ კუთხეში გაზეთის მყითხველებმა პირველად გააცნობიერეს ზეცაში გამოჩენილი უჩვეულო ზმანების ნამდვილი მნიშვნელობა. „პლანეტარული კოლიზია“ – ამგვარად დაასათაურა ლონდონის ერთ-ერთმა გაზეთმა თავისი სიახლეების სვეტი, და შემდეგ დიუშენის ჰიპოთეზაც გააუდერა, რომლის თანახმად, ეს ახალი უცნაური პლანეტა ნეპტუნს უნდა დასჯახებოდა. სახელგანთქმულმა კალმოსნებმა ამ თემის ირგვლივ უამრავი რამ დაწერეს და შეთხზეს. ასე რომ, იმ დღეს, სამ იანვარს, მსოფლიოს უმეტეს დედაქალაქებში რაღაც ციური ფენომენის მოვლენას მოელოდნენ გულის სიღრმეში, და როდესაც დაისს ლამის წყვდიადი მოჰყვა, ათასობით ადამიანმა მზერა ცისაკენ აღაპყრო, რათა ძველი, ყველასათვის ნაცნობი ვარსკვლავები ეხილათ – ისინი ისევე ციმიტიმებდნენ, როგორც წინათ.

მანამ, სანამ ლონდონში არ ინათა, სანამ მარჩბივის თანავარსკვლავედი და სხვა ვარსკვლავები არ გაფერმკრთალდა, არაფერი მოშხდარა. ნამდვილი ზამთრის აისი იყო, დღის შუქი სუსტად ილვრებოდა, ფანჯრები გაზისა და სანთლების ყვითელ ალს გაეჩირალდნებინა, რაც მიანიშნებდა, ხალხის უკვე ფეხზეა. უცრად მთქნარებამორეულმა პოლიციელმა უცნაური რაღაც შენიშნა, თავის საქმეზე მიმავალი ხალხი კი განცვიფრებისგან პირდაღებული შედგა, მუშებმა ნაადრევად ანებეს თავი სამუშაოს, არაქათგამოცლილმა და გადაფითრებულმა მერძევეებმა და გაზეთების დამტარებლებმა თავიანთ სახლებს მიაშურეს, უსახლკარო მანანნალებმა და საგუშაგოებზე მდგარმა ჯარისკაცებმა, სოფლის ყანებში მო-

მუშავე მოჯამაგირებმა, ბრაკონიერებმა, სახლებში რომ ბრუნდებოდნენ – ერთი სიტყვით, მრუმე შუქით მოცულმა მთელმა ქვეყანამ, – და ასევე ზღვაში გასულმა მეთევზეებმა, იხილეს დიდი თეთრი ვარსკვლავი, დასავლეთ ცისკიდურიდან რომ ამობრნტინდა მოულოდნელად!

ის ჩენი ზეცის ყველა ვარსკვლავზე უფრო მყაფიო იყო – უფრო კაშკაშა, ვიდრე დაისის ვარსკვლავი თავისი ნათების აპოგეაში. ბრნტინავდა არა როგორც სინათლის მერთალი ათინათი, არამედ როგორც პატარა მოჩახახახე დისკო. ერთმა საათმაც განვლო და საბოლოოდ გათენდა. სადაც მეცნიერებას ჯერ არ შეუღწევია, იქ ადამიანური შიშები იმარჯვებს – ჩურჩულით ვრცელდება ამბები ომებსა და უამიანობაზე, რომლებსაც ზეციდან მოვლენილი ასეთი ცეცხლოვანი ნიშნები გადაფარავს ხოლმე. მკვრივად ჩასხმული ბურები, მუქანიანი ჰოტენტოტები, ქვინსლენდელი ზანგები, ფრანგები, ესპანელები თუ პორტუგალიელები იდგნენ და ამ ახალი, უცნაური ვარსკვლავის ჩანავლებას უმზერდნენ.

ასიბით ობსერვატორიაში შეკავებული მლელვარება სულ უფრო ძლიერდებოდა, და ბოლოს ლამის კივილად გაისმა, როდესაც ორი შორეული სხეული ერთურთს შეასკდა. ყველა ციბრუტივით დატრიალდა, მოაგროვეს გადამლები აპარატები და სპექტროსკოპები, ყველანაირი ხელსაწყო, რათა ეს გამაონებელი სანახაობა – სამყაროს ნგრევა – დოკუმენტურად აღებეჭდათ. რადგანაც დედამინის ეს დობილი პლანეტა, რომელიც, რასაკვირველია, დედამინას ბევრად სჭარბობდა სიდიდით, მართლაც მთელი სამყაროსდარი იყო – ესოდენ მოულოდნელად გაეხვა სიკვდილის ალში. სივრცის უკიდეგანო წიაღებიდან ალზევებული პლანეტა ნეპტუნს შეასკდა და შეჯახებისას გამოყოფილმა მხურვალებამ ისინი ერთიან გავარვარებულ მასად აქცია. იმ დღეს, რიურაჟამდე ორი საათით აღრე, მსოფლიოს მიტკლისფრად თეთრმა დიდმა ვარსკვლავმა შემოუარა, რომელიც მხოლოდ მაშინ მიეფარა თვალს, როდესაც დასავლეთისკენ გადაინვერა და მის თავზე კი მზე აკაშკაშდა. ნებისმიერი ადამიანი შეკრთა, მაგრამ ამ მოვლენის თვითმხილველთაგან არავინ ყოფილა ისე განცვიფრებული, როგორც ის ზღვაოსნები, მუდმივად რომ

ადევნებენ თვალს ვარსკვლავებს, და გაშლილ ზღვაში ყოფნის გამო ციური სხეულის გამოჩენის შესახებ არაფერი სმენოდათ. ახლა ისინი უცქერდნენ, როგორ ამოდიოდა ის ჯუჯა მთვარის მსგავსად, ზენიტში ადიოდა, ცის თაღზე ჩერდებოდა და ღამისა დამლევს დასავლეთ ცისკიდურის მიღმა იძირებოდა.

ვარსკვლავის მორიგი ამობრნყინებისას ევროპის თავზე, ყველგან დიდალ დამკვირვებელს მოეყარა თავი. გორაკთა ფერდებს, სახლის სახურავებსა თუ გაშლილ ადგილებს შეჰვენოდნენ და აღმოსავლეთისკენ მიეპყროთ მზერა ახალი დიდი ვარსკვლავის ამოსვლის მოლოდინში. და, აი, ისიც ამოკიაფდა თეთრი ბაკმით, რაც თეთრი ცეცხლის გიზგიზს მოგაგონებდათ. ვინც წინა ღამით იხილა ვარსკვლავის ამოსვლა, ახლა მისი ხელახლა დანახვისას გრძნობებს ვერ იოკებდა.

— ის უფრო დიდია! — გაიძახოდნენ, — და უფრო კაშკაშა!

მართლაც, ერთი მეოთხედით შევსებული მთვარე, დასავლეთში რომ იძირებოდა, თავისი, შედარებით დიდი ზომის მიუხედავად, უცნაური ახალი ვარსკვლავის დისკოს კაშკაშით ვერ სჯაბნიდა.

— ახლა უფრო კაშკაშა! — გაიძახოდა ქუჩებს მოდებული ხალხი. ჩაბნელებულ ობსერვატორიებში ასტრონომებს სუნთქვა ეკვროდათ. ერთმანეთს დაძაბული უყურებდნენ.

— გვიახლოვდება! — ბუტყუტებდნენ, — გვიახლოვდება!

— გვიახლოვდება! — ეს სიტყვები ყველას პირზე ეკერა. ტელეგრაფის ღილაკების წააპუნშიც ეს გაისმოდა, სატელეფონო კაბელებშიც ეს შეტყობინება იგზავნებოდა, და ათასობით ქალაქში ასოთამწყობები ამ სიტყვებს კრეფდნენ: „გვიახლოვდება!“ ოფისებში მომუშავე ადამიანები ძრნოლატანილი შეძებოდნენ, კალამი ხელიდან უვარდებოდათ, ათასობით ადგილას საღაყიშოდ შეკრებილი ადამიანები უცაბედად აცნობიერებდნენ ამ სიტყვებში ჩაქსოვილ საშინელებას. „გვიახლოვდება!“ გაისმოდა ქუჩებში. ამასვე მოჰკრავდით ყურს მყუდრო სოფლების ყინულით დამზრალ შუკებში. ისინი, ვინც ამ ამბავს მბრუნავი ფირფიტებიდან იგებდნენ, ყვითლად განათებულ შემოსასავლელებში დგებოდნენ და გამვლელ-გამომვლელს ყვირილით აცნობებდ-

ნენ: „გვიახლოვდება!“ აღტყინებული და მორთულ-მოკაზმული, მომხიბლავი ქალბატონები ახალ ამბავს კისკისით უზიარებდნენ ერთმანეთს მეჯლისებზე, რითაც იმ ინტელექტუალურ ცნობისწადილს იჩემებდნენ, რაც სინამდვილეში არ გააჩნდათ.

— გვიახლოვდება! რაღა თქმა უნდა! რა საინტერესოა! მართლაცდა, რა ჭკვიანები არიან ადამიანები, ასეთ რაღაცას რომ მიაკვლიეს!

მარტოხელა მანანნალები თოვლიანი ღამით დაეხეტებოდნენ, ცას უყურებდნენ და ამ სიტყვების იმეორებდნენ, როგორმე მძიმე ფიქრებს რომ გაცეცოდნენ:

— ღამე ცივია, როგორც ეგ ტქვენი ქველმოქმედება. ვარსკვლავი თუნდაც მოგვიახლოვდეს, მაინც ვერ გაგვათბობს, ყველაფერი ძველებურად იქნება.

— რა თავში ქვად ვიხლი მაგ ახალ ვარსკვლავს? — მოთქვამდა მგლოვიარე ქალი, მიცვალებულის გვერდით რომ მოეყარა მუხლი.

სკოლის მოსწავლე, სისხამ დილას რომ ამდგარიყო, — გამოცდის ჩასაბარებლად ემზადებოდა, — ჭირხლით მოხატული ფანჯრიდან დიდ თეთრ ვარსკვალავს ჩაფიქრებული შეჰყურებდა.

— ცენტრისკენულობა, ცენტრიდანულობა, — ჩაილაპარაკა მუშტზე ნიკაპჩამოყრდნობილმა, — თუკი პლანეტა თავის ცენტრისკენულ ძალას დაკარგავს და მოძრაობის პროცესში გაჩერდება, ნეტავი მერე რა მოხდება? თუკი ცენტრიდანულად იმოძრავებს, მაშინ ხომ პირდაპირ მზეს შეასკდება. აი, მაშინ კი... ჩვენ რა მოგველის? ნუთუ...

ის დღეც მიიღია, და სუსხიანი წყვდიადის დადგომასთან ერთად უცხაური ვარსკვლავი კვლავ ამობრნყინდა. ამჯერად ის იმდენად სხივცისკროვანი იყო, რომ ცვილისფერი მთვარე მიმქრალ ყვითელ აჩრდილსლა თუ მოგაგონებდათ, დაისის უამს რომ გადიდებულიყო. სამხრეთ აფრიკის ერთ დიდ ქალაქში პატივ-საცემი წყვილი საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნდა, და ახლა ყველანი მათ დასახვედრად ქუჩებში გამოსულიყვნენ.

— ზეცაც კი გაჩირალდნებულია თქვენს საპატივცემულოდ, — შენიშნა მლიქენელმა. თხის რქის თანავარკვლავედის ქვეშ ორი შავკანიანი შეყვარებული, რომელთა ტროობა გარეუ-

ლი მხეცებისა და ავსულების შიშზე ძლიერი იყო, ლერნმოვანში ჩამალულიყო, სადაც ციც-ინათელები დაფარფატებდნენ.

— ეს ჩვენი ბედის ვარსკვლავია, — ნაზად ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, და მისი ციმ-ციმი ნეტარებით აღასესდათ.

მათემატიკის მაგისტრი თავის კაბინეტში საწერ მაგიდას მიუჯდა და ქალალდები უხეშად მისწინ-მოსწინა. გამოთვლები უკვე მოეთავებინა. პატარა ფლაკონში ჯერაც ჭანჭყარებდა გამოსაფხიზლებელი ნამალი, რომელიც მას ოთხი გრძელი ლამის თეთრად გათენებაში დაეხმარა. ყოველ დღე ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს, როგორც ყოველთვის უშფოთველი, საღი და მოთმინებით აღსავსე, ხოლო შემდეგ კვლავაც ამ უმნიშვნელოვანეს გამოთვლებს უბრუნდებოდა. ხელოვნური უძილობისგან სახე დალვრემოდა, გასავათებოდა, ჩაფამებოდა. მცირე ხნის განმავლობაში თითქოს ფიქრებში ჩაიძირა. შემდეგ სარქმლისაკენ გაემართა. ფარდა-ჟალუზი წკაპუნით აიკეცა მაღლა. ვარსკვლავი, რომელსაც ცარგვალზე ჯერაც ნახევარი გზა დარჩენდა გასავლელი, სახურავებისა, საკვამურებისა და სამრეკლოების თავზე კიაფობდა.

მათემატიკოსმა ვარსკვლავს ისე შეხედა, როგორც გულად მეტოქეს.

— შეგიძლია მომკლა, — თქვა მან მცირე დუმილის შემდეგ, — მაგრამ ამ ჩემს ერთი ბენო ტვინში მაინც მიგიჩენ ადგილს — და არა მხოლოდ შენ, მთელ სამყაროსაც დავიტევ. და არაფრისს დიდებით არ გაგიცვლი ადგილს. ახლაც კი...

პატარა ფლაკონს თვალი შეავლო.

— ძილი დრო არაა, — ჩაილაპარაკა.

მეორე დღეს, ზუსტად 12 საათზე შევიდა აუდიტორიაში, ჩვეულებისამებრ ქუდი მაგიდის კუთხეში მოათავსა და ცარცის ყველაზე დიდი ნატეხი გულდასმით შეარჩია. მის სტუდენტებში მოარულ ხუმრობად ქცეულიყო, რომ ლექციას მანამ ვერ დაიწყებდა, სანამ თითებში ცარცის ნატეხს არ დაიგულებდა, და ერთხელ ხმაც კი ვედარ ამოილოო, როდესაც ცარცი გადაუმაღლეს. შეჭალარავებული წარბებს ქვემოდან ახალგაზრდა სახეებს გადახედა, და მისთვის ჩვეული უშუალობით მოჰყვა საუბარს:

— კონკრეტულ გარემოებათა გამო, ჩემზე რომ არაა დამოკიდებული, — თქვა მან და დადუმდა, — ამ კურსს ბოლომდე ვერ მივიყვან. თუკი სათქმელს მოკლედ და გასაგებად მოვუყრით თავს, ჯენტლმენებო, კაცობრიობამ ამაოდ უცხოვრია.

სტუდენტებმა ერთმანეთს გადახედეს. ხომ არ მოეყურათ? ნუთუ ჭუიდან შეცდა? უმრავლესობამ წარბები აზიდა, ტუჩები ღიმილმა დაუმანჭა, მაგრამ ერთი-ორი კვლავაც დაძაბული მისჩერებოდა ლექტორის აუმღვრეველ, მშვიდ სახეს, შევერცხლილი თმა რომ ამშვენებდა.

— ალბათ, ურიგო არ იქნება, — განაგრძო მან, — ლექციას ჩემი გამოთვლების გაცნობას თუ დავუთმობთ, რამაც ამ დასკვნამდე მიმიყვანა. ვეცდები გასაგებად განგიმარტოთ... მოდი, ვივარაუდოთ, რომ...

დაფისკენ შებრუნდა — დაიგრამაზე ფიქრობდა, დაფაზე რომ უნდა დაეხაზა.

— რას ნიშნავს „ამაოდ უცხოვრია?“ — გადაუჩურჩულა ერთმა სტუდენტმა მეორეს.

— ყური უგდე, — მოუჭრა მან, ლექტორზე ანიშნა.

და ნელ-ნელა ყოველივეს ნათელი მოეფინა.

იმ დამით ვარსკვლავმა შედარებით გვიან ამოანათა, რადგანაც აღმოსავლეთისაკენ მოძრაობამ ლომის თანავარსკვლავედიდან ქალწულის თანავარსკვლავედისკენ წაყყანა. იმდენად ძლიერად ასხივებდა, რომ ცა მისი ამოსვლისთანავე ლილისფრად გაკაშკაშდა. არცერთი ვარსკვალავი აღარ ჩანდა, გარდა იუპიტერის, კაცელას, ალდებარანის, სირიუსის, და დიდი დათვის თანავარსკვლავედის ორი ყველაზე მსხვილი ვარსკვლავისა. თვალისმომქრელად კაშკაშდა, საოცრად ქათქათა იყო. დედამინის მრავალ კუთხეში ვარსკვლავს შემორკალული მქრქალი შარავანდიც შენიშნეს. ახლა ის ერთობ გაზრდილიყო. ტროპიკების მონმენდილ, კრიალა ცაზე რომ შეგეხედათ მისთვის, მთვარის მეოთხედ ზომასაც კი მისცემდით. ინგლისში მინაზე ჯერაც ჭირხლი იდო, მაგრამ ყველაფერი ისე იყო გაჩახჩახებული, როგორც ზაფხულის სავსემთვარეობას. იმ ცივ, მჭახე შუქში ჩვეულებრივ ნაბეჭდსაც ადვილად გაარჩევდით, ხოლო დიდ ქალაქებში ლამპიონების აღი გაფერმკრთალდა, ყვითლად ციმციმებდა.

იმ დამით მსოფლიოს ყველა კუთხეში რული არავის გაჰკარებია. მთელი

საქრისტიანოს სოფლების თავზე სუსხიან ჰაერში დაგუდული გუგუნი გაისმოდა, ფუტკრის სკის ხმას მოგაგონებდათ. და ეს ხმიანობა ქალაქებში განგაშის ზარად უღერდა. მილიონობით სამრეკლოსა თუ კოშკზე ზარები რეკლენ, დაძინების საშუალებას არავის აძლევდნენ, ეკლესიებში ლოცავას და ცოდვებისგან განდგომას მოუწიდებდნენ. მათ თავზე ვარსკვლავი ბრწყინავდა, რომელიც მით უფრო დიდი და კაშკაშა ხდებოდა, რაც უფრო იცრიცებოდა დამე, დედამინა კი მორიგ ბრუნს ასრულებდა საკუთარი ღერძის გარშემო.

ყველა ქალაქში გაეჩირა დადნებინათ სახლები და ქუჩები, ასევე, ნავსადგურებიც. ყოველი გზა, რომელიც კი შემაღლებისაკენ მიემართებოდა, მთელი ლამის განმავლობაში სინათლითა და ხალხით იყო სავსე. ზღვისპირა ცივილიზებული ქვეყნებიდან ჩრდილოეთისკენ მიცურავდნენ ადამიანებითა და ცხოველებით სავსე ხომალდები, რომელთაგან ზოგს ორთქლის ძრავები ჰქონდა, ზოგსაც - დაბერილი იალქები. მათემატიკის მაგისტრის გაფრთხილება მთელ მსოფლიოს მოედო ტელეგრაფით, და ას ენაზე ითარგმნა. ახალი პლანეტა და ნეპტუნი, მხურვალედ ჩახუტებულები, მზისკენ ერთიან მასად მიქროდნენ. ნამში ასიათასობით მილს ფარავდნენ, თანაც სისწრაფე იზრდებოდა. თუკი ამგვარად განაგრძობდნენ ფრენას, დედამინას ასი მილიონი მილის დაშორებით ჩაუქროლებდნენ და ამ უკანასკნელს ზიანს არ მიადგებოდა. მაგრამ მის მიერ გასავლელი გზის პირას ბრუნავდა მძლავრი პლანეტა იუპიტერი, რომელიც თავის მთვარეებთან ერთად მზის გარშემო დიდებულ წრეს არტყავდა. ყოველი წუთი მხოლოდ აძლიერებდა მიზიდულობას აპრიალებულ ვარსკვლავსა და უდიდეს პლანეტას შორის. და რა შედეგს მოიტანდა ეს მიზიდულობა? - იუპიტერი, ეჭვი არ არის, თავის ოპიტას დატოვებდა და ელიფსზე განაგრძობდა მოძრაობას, მზისაკენ მსწრაფი გიზგიზა ვარსკვლავი კი „ოლრო-ჩილრო გზას“ შემოივლიდა და ან დედამინას შეეჯახებოდ, ან და ძალზე ახლოს ჩაუფრენდა. „მიწისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები, ციკლონები, აპობოქებული ზღვები, ნარღვნა და ტემპერატურის პერმანენტული ზრდა, რაც, ჯერც

უცნობია, რა დონეს მიაღწევს,“ - აი, რა იწინასწარმეტყველა მათემატიკის მაგისტრმა.

ხოლო ცაზე, მისი სიტყვების დასტურად, სამყაროს ადსასრულის მომასწავებელი, ეული, ცივი, მოლაჟვარდისფრო ვარსკვლავი კამკაშებდა.

უამრავ ადამიანს, ვინც იმ დამით თვალების ატკივებამდე უმზერდა ცას, მოეჩვენა, რომ ვარსკვლავი შესამჩნევად მოახლოვდა. იმ დამეს ამინდიც შეიცვალა, ყინვა და სუსხი, მთელი ცენტრალური ევროპა, საფრანგეთი და ინგლისი რომ მოეცვა, უეცრად განქარდა, დათბა.

თუმცა კი ისეც ნუ გავიგებთ, რომ ხალხი მხოლოდ იმიტომ იყო მთელი დამე ლოცვად მუხლმყრილი, მხოლოდ იმიტომ მიცურავდნენ შორეულ ქვეყნებში გემებით და მხოლოდ იმიტომ მიფრინავდნენ მთა-გორიან მხარეებში შესახიზნად, რომ ვარსკვლავის გამოჩენამ მსოფლიოს ძრწოლა მოჰვარა.

არგენტინისა და სამხრეთ ატლანტიკის სანაპიროთა გასწვრივ მოქცევები ისე მოძლავრდა, რომ კაცობრიობას ამგვარი რამ ჯერ არ ახსოვდა. ბევრგან ქარიშხლებმა წყალი კონტინენტების შიგნით ააბორგა და მთლიანად დატბორა ქალაქები. ერთ ლამეში სიმბურვალემ ისე იმატა, რომ მზის ამოსვლა ჩრდილის მოახლოება გეგონებოდათ. დაინყო მიწისძვრები, რომლებმაც მთელი ამერიკა შეაზანზარა პოლარული წრიდან, ჰორნის კონცხამდე, მთები მიწასთან გაასწორა, ხმელეთი გახლიჩა, სახლები და ზღუდეები კი ქვა-ლორდად აქცია. ერთი ამგვარი მძლავრი შერყევის შედეგად ვულკან კოტოპახის ლამის ნახევარი ჩამოიშალა და გავარვარებულმა ნაკადმა გადმოხეთქა, ისეთმა მძლავრმა და სწრაფმა, რომ ერთი დღეში მიაღწია ზღვას.

ვარსკვლავი კი წყნარი ოკეანის თავზე მოძრაობდა, ფერმკრთალი მთვარე კუდში მისდევდა. მათ მოსასხამივით მოჰვებოდა ქარიშხლის ღრუბლები და მოქცევის ვეება ტალღები, რომელმაც ყოველ შემხვედრი კუნძული წალეკა, იქ მცხოვრები ადამიანები პირისაგან მიწისა აღგავა. ბოლოს და ბოლოს, ეს გააფთრებული, ორმოცდაათი ფუტის სიმაღლის კედელი, რომელსაც მხურვალე ქარი ერეკებოდა და თვალისმომჭრელ შუქს გაეჩახებინა, აზის სანაპიროებს დაატყდა

თავს და სიღრმეში შეიქრა. ჩინეთის ვაკეებს გადასწოდა. მცირე ხნის განმავლობაში თვით უმცხუნვარეს მზეზე უფრო გავარვარებული, უზარმაზარი და კაშკაშა ვარსკვლავი შეუბრალებელი ბრნყინვალებით დაპნათოდა ამ ვრცელსა და ხალხმრაგალ ქვეყნას, მის ქალაქებსა და სოფლებს, პაგოდებსა და ბაღებს, გზებსა თუ თვალუწვდენელ ბრინჯის ყანებს, მილიონობით ძილგამფრთხალ ადამიანს, რომლებიც უმწეობით მოგვრილი შიშით მისჩერებოდნენ სითეთრემდე გავარვარებულ ზეცას, მერე კი მათ გაშლეგებული ნიაღვარი დაატყდათ თავს. ხალხი მიმოიფანტა, თუმცა შიშით გონება-დაბინდულები და სუნთქვაშეკრულები უაზროდ გარბოდნენ. მათ უკან წყლის დაუოკებელი თეთრი კედელი აღიმართებოდა და მერე ყოველივეს სიკვდილი ნოქავდა.

თუკი ჩინეთი თვალისმომჭრელი თეთრი სინათლით გაჩახჩახდა, იაპონიას, იავასა და აღმოსავლეთ აზიის ყველა კუნძულის თავზე დიდი ვარსკვლავი მშუტავ სფეროდ დაეკიდა, რადგანაც მულკანები მის მისასალმებლად ორთქლის, ბოლისა და ფერფლის უზარმაზარ სვეტებს აფრქვევდნენ. ზევით მხურვალე აირები და ფერფლი ფარფატებდა, ქვევით კი გავარვარებული ნაკადი შლეგად მიედინებოდა. მთელი დედამინა მიწისძვრების შეტევების საგან გრგვინავდა და ზანზარებდა. მალე ტიპეტისა და ჰიმალაების მარადიულმა თოვლმაც დაიწყო ლხობა, და წყალი ათეულ ათობით მილიონ ნაკადად გაიჭრა ბირმისა და ინდოსტრიანის ვაკეებზე. ათას ადგილას აალებულიყო ინდოეთის ნოტიო-ტროპიკული ტყების ულრანი კენწეროები. ხეთა ზროებთან ადულებულ წყალში გაშავებული სხეულები ტივტივებდნენ და ჯერ კიდევ ახერხებდნენ გატოკებას სისხლისფრად აბრიალებული ცეცხლის ენების შუქზე. ბრმა ძრნოლით შეპყრობილმა ადამიანებმა სამდინარო გზებით მიაშურეს კაცობრიობის უკანსკნელ იმედს – გაშლილ ზღვას.

ვარსკვლავი ამჯერად საზარელი სისწრაფით იზრდებოდა, სულ უფრო ვარვარა და თვალისმომჭრელი ხდებოდა. ოკეანემ ტროპიკულ სარტყლებში ფოსფორული ციალი შეწყვიტა. მოთახთახ ორთქლი განუწყვეტლივ მგრგვინავი ტალღების თავზე აჩრდილისებრ ბურუსად შეიკრა. აქა-იქ გემები ჩანდნენ, ქარიშხლმა რომ გაიტაცა.

შემდეგ ღრუბლები შექუჩდა და ზეცა დაფარა, ჭექა-ქუხილმა კი ელვათა ცეცხლოვანი ძაფებით შეირა მთელი მსოფლიო. ყველგან ისეთმა კოკისპირულმა წვიმებმა დაუშვა, როგორიც ადამიანის თვალს ჯერ არ ეხილა. ხოლო იქ, სადაც ვულკანები წითელ ალს აფრქვევდნენ ღრუბელთა ჩარდახქვეშ, ციდან წუმწუმა ჩამოიღვარა. ყველგან წყალი ვაკეებიდან უკან იხევდა, და ხრნნაშეპარული წყალმცენარეებითა და ტალახით დაფარულ ხმელეთს აჩენდა. მინა ადამიანების თუ პირუტყვის გვამებით იყო მოფენილი. წყლის უნინდელ კალაპოტებში დაბრუნებას დიდი ხანი დასჭირდა - სტიქია გზად რეცხავდა ნიადაგს, სახლებსა თუ სოფლებს, მუსრავდა უზარმაზარ ჯებირებს და ანადგურებდა გიგანტურ კანიონებს. ამრიგად, ვარსკვლავისა და გვალვის დღეები ხანგრძლივა წყვდიადმა ჩაანაცვლა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მრავალი კვირა თუ თვე განუწყვეტლივ ზანზარებდა მინა.

მაგრამ ვარსკვლავი მიინავლა, და შიმშილისგან გატანჯულმა ადამიანებმა ნელ-ნელა ძალა მოიკრიბეს, კვლავაც თავიანთი დაქცეულ ქალაქების, გაპარტახებული ბეღლებისა და დატბორილი ყანებისაკენ გაიხედეს. იმ რამდენიმე დალენილმა გემმა, რაც ქარიშხლებს გადაურჩა, ფრთხილად გაიკვლია გზა ახალ ნიშნულებსა და ფარვატერებს შორის, რაც ერთ დროს ნაცნობი ნავსაყუდლებისგან დარჩენილიყო. და როდესაც ქარიშხლები დაცხრა, ადამიანები მიხვდნენ, რომ ყველგან დღე უფრო მცხუნვარე გახდა, ვიდრე უნინ, მზე გაზრდილიყო, თავის უნინდელ ზომაზე ერთი მესამედით შემცირებული მთვარე კი ყოველ ბრუნს დედამინის გარშემო ოთხმოც დღეს ანდომებდა.

მაგრამ აქ ადარ მოგითხობთ ადამიანთა იმ ახალი საძმოების შესახებ, რომლებიც შემდგომ ჩამოყალიბდა – ალარ გიამბობთ შენარჩუნებულ კანონებზე, წიგნებსა და მანქანებზე, იმ უცნაურ ცვლილებებზე ისლანდიას, გრენლანდიას და ბაფინის ყურის სანაპიროებს რომ შეემთხვა (იქ მისული მეზღვაურები კვლავაც მწვანედ ახასხასებულ ნალკოტში აღმოჩნდნენ და ძლივს ირწმუნეს საკუთარი თვალით ნანახი). ის არც დედამინის გავარვარებისა და კაცობრიობის განსახლებაზე გიამბობთ პლანეტის პოლუსებისკენ. ჩემი მიზანი მხოლოდ

ვარსკვლავის გამოჩენისა და მინავლების სეს-ახებ თხრობა გახლდათ.

მარსელი ასტრონომები (მარსზე ცხოვ-რობენ ასტრონომები, თუმც კი ადამიანთა-გან ძლიერ განიჩრჩევიან), რასაკირველია, ამ მოვლენით ძლიერ დაინტერესდნენ. ცხადია, მათ ყოველივეს საკუთარი თვალსაწიერიდან შეხედეს. „თუკი გავითვალისწინებთ იმ სამხე-დრო რაკეტის მასასა და ტემპერატურას, რო-მელიც ჩვენი მზის სისტემის გავლით მზისკენ იქნა გაშვებული, - წერდა ერთ-ერთი მათგანი, - არ შეიძლება არ განგვაცვიფროს დედამი-ნისადმი მიყენებულმა ეგზომ მცირე ზიანმა – დედამინისა, რომელსაც რაკეტამ ასე ახლოს ჩაუქროლა. ყველა უმთავრესი კონტინენტური თუ ჰიდროსფერული წარმონაქმნი ხელუხლე-ბელი დარჩა, და, რაღა თქმა უნდა, ერთად-ერთ შესამჩნევ ცვლილებად მხოლოდ თეთრად გაცრეცილი ლაქების (რაც, ალბათ, გაყინული წყალია) შემცირებას თუ მივიჩნევთ ორივე პოლუსის გარშემო.“ ეს ყველაფერი კი იმას ამტკიცებს, რომ რამდენიმე მილიონი მილის სიშორიდან, კაცობრიობის თავსდატეხილი უდიდესი კატაკლიზმიც კი არაფრად მოჩანს.

**იბეჭდება მცირედი შემოკლებით
თარგმნებს კონსტანტინე ქარდავაშ და
ირაკლი ლომოურმა**

ფილმერი

ფრენის ხელოვნების ათვისების საქმეში ათასობით ადამიანს მიუძლვის წვლილი - ერთს იდეა დაებადა, მეორემ ექსპერიმენტი ჩაატარა და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ერთი კაცის გონებრივმა ძალისხმევამ საქმე სისრულე-ში არ მოიყვანა. თუმცა ხალხის სასტიკად უსამართლო აზრმა ამ ათასობით ადამიანის ღვაწლი ერთ კაცს მიაწერა. ამრიგად, პირვე-ლალმომჩენად იწოდება ის, ვისაც ერთხელაც კი არ უფრენია. ამგვარადვე რაცხენ ჯეიმზ უატს ორთქლის მანქანის, ხოლო ჯორჯ სტე-ფენსონს - ორთქლმავლის გამომგონებლად. და უთუოდ ყველა ამ პატივსაცემ სახელთა-გან არც ერთს არ ხვდომია წილად ისეთი უც-ნაური და ტრაგიული დიდება, როგორც სა-ბრალო ფილმერს - მორიდებულ კაბინეტურ მეცნიერს. მან გადაჭრა პრობლემა, რომელიც,

ვინ იცის, უკვე მერამდენე თაობას საგონებ-ელში აგდებდა და თავგზას უბნევდა. მან ღილაკზე თითის ერთი დაჭრით შეცვალა ომი და მშვიდობა, ადამიანთა ცხოვრებისა და ბედ-ნიერების ლამის ყველა პირობა. ძნელად თუ მოიძებნება სხვა მაგალითი, რომელიც ესოდენ თვალსაჩინოდ წარმოაჩენს სწავლული კაცის კნინობას თავისივე ღვაწლის სიდიადესთან შედარებით. მრავალი რამ ფილმერის შესახებ ბურუსით არის მოცული და ასევე დარჩება. ფილმერები არასდროს იპყრობენ ბოსუელის-დარი (ბოსუელი ჯეიმზ (1740-1595) – სემუელ ჯონსონის, ცნობილი მწერლისა და ლექსიკო-ოგრაფის დეტალური ბიოგრაფიის ავტორი. – რედაქტ. შენიშვნ.) ბიოგრაფების ყურადღებას, თუმცა მისი ცხოვრების უმთავრესი მოვლენები და დამაგვირგვინებელი სცენა საკმარი-სადაა ცნობილი. ასევე მოგვეპოვება წერილე-ბი, ჩანაწერები და დოკუმენტები, რომლებშიც მისი სახელი მხოლოდ გაკვრითა ნახსენები. მათი ერთობლიობა ზოგად სურათს ემნის. წინამდებარე მოთხოვთ ფილმერის ცხოვრე-ბასა და გარდაცვალებაზე სწორედ ამგვარი ფრაგმენტებისგანაა შეკონინებული.

ისტორიის ფურცლებზე შემონახული ფილმერის პირველი სარწმუნო კვალი ჩანს დოკუ-მენტში, სადაც ლონდონის საიმპერიო კოლე-ჯის სახელმწიფო ლაბორატორიებში მუშაობის ნებართვას ითხოვს, როგორც ფიზიკის მიმარ-თულების სტიპენდიანტი სტუდენტი. იმავე დო-კუმენტში იგი საკუთარ თავს დუვრელი „სამხ-ედრო მეჩექმის“ (ანუ „მენალის“, მარტივად რომ ვთქვათ) ვაჟს უწოდებს. ასევე ქიმიასა და მათემატიკაში თავისი დიდად განსავლულო-ბის დასამტკიცებლად გამოცდების შედეგებს წარმოადგენს. სილატაკესა და გაჭირვებაზე წუწუნით ცდილობს პროფესიული საქმიანო-ბის საშუალება მოიპოვოს. ფილმერი წერს, რომ ლაბორატორია მისი უმთავრესი მიზანია, რადგან სწორედ იქ შეძლებს მთელი ცხოვრე-ბა ზუსტსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერ-ებებს მიუძლვნას. დოკუმენტზე გაკეთებული მინაწერი ცხადყოფს, რომ მისი სურვილი საბ-ოლოოდ დაკმაყოფილდა, თუმცა სახელმწიფო ლაბორატორიაში მისი წარმატებული საქმია-ნობის რამე წიშან-კვალის აღმოჩენა დღემდე ვერავინ შეძლო.

თუმცა დღესდღეობით ცნობილია, რომ ფილმერის მიერ კვლევითი მუშაობისადმი გამოვლენილი მოწადინების მიუხედავად, სანამ მთელი წლის გრანტს მოიპოვებდა, ხელზე მისაღები შემოსავლის გაზრდის ცდუნებას ვერ გაუმკავდა, სწავლას თავი მიანება და ერთ გამოჩენილ პროფესორსთან დაინყო მუშაობა, – მასშტაბური ჰელიოფიზიკური კვლევებისთვის ნარმოებულ გამოთვლების ფილმერი გასამრჯელოდ საათში ცხრა პენსს იღებდა – აღნიშნული კვლევები ასტრონომებს დღემდე საგონებელში აგდებს. ფილმერის ცხოვრების მომდევნო შვიდ წელიწადზე არაფერია ცნობილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლონდონის უნივერსიტეტის საარქივო ცნობებს, საიდნაც ვიგებთ, რომ იგი მათემატიკასა და ქიმიაში ბაკალავრის წოდების მიღებას ესწრაფვოდა. არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება იმის შესახებ, ფილმერი სად ან როგორ ცხოვრობდა, თუმცა ერთ რამეში ეჭვს ვერ შევიტანთ, თავს სწავლებით ირჩენდა და, იმავდროულად, სამეცნიერო საქმიანობასაც განაგრძობდა, საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი რომ დაემკვიდრებინა. შემდეგ კი, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, მის სახლს პოეტ არტურ პიქსის მიმოწერაში ვსვდებით.

“ალბათ, გახსოვთ ფილმერი, – სწერდა პიქსი თავის მეგობარ ვენსს, – უნდა გითხრათ, რომ ოდნავადაც არ შეცვლილა. კვლავაც სხაპასხუპით და ხისტად ლაპარაკობს, კვლავაც გაუპარსავია – როგორ ახერხებს ზოგიერთი სამი დღე წვერგაუპარსავმა იაროს? და ისეთი ემაკური გამოხედვა აქვს, გეგონება, მალულად აპირებს რაღაც გიმუხთლოს, შენზე წინ გაძვრეს; მისი გაქუცულსაყელოიანი პიჯაკიც კი არ შეცვლილია ამ წლების განმავლობაში. ბიბლიოთეკაში იჯდა და წერდა, მე კი ჩემი გულკეთილობის გამო მივუჯექი, შემებრალა: მან წამსვე შეგნებულად მომაყენა შეურაცხყოფა, თავის ნაწერს გადაეფარა. გეგონება, რაღაც ბრწყინვლე აღმოჩენა გააკეთა და ეჭვობს, რომ შეიძლება (მე, ვის წიგნსაც ბოდლეანის ბიბილოთეკა გამოსცემს!) იდეა მოვპარო. უნივერსიტეტში არაჩვეულებრივ ნარმატებას მივაღწიე, – სხვასხუპით მიყვებოდა, სიტყვებს ყლაპავდა, თითქოსდა ეშინოდა, რომ გავაწყვეტინებ, ბოლომდე არ

მოვუსმენ, მეცნიერებათა დოქტორის ხარისი მივიღეო, ისე მითხრა, თითქოსდა დიდი არაფერი მომხდარიყოს – თითქოს ისეთივე უმნიშვნელო ამბავი ყოფილიყოს, როგორცაა ეტლის გამოძახება.

მერე კი იჭვენეულად მკითხა, რითი ვარ დაკავებული, მისი ხელი კი (კედლად აღმართული მარჯვენა) ნერვულად ფარავდა ფურცელს, რომელშიც ძვირფასი იდეა იმაღებიდა – მისი ერთადერთი, მაშოკირებელი იდეა.

– პოეზია, – თქვა მან, – პოეზია. და რას ქადაგებთ მაგ თქვენი პიეზით, ჰიკს?

აი, როგორ ესმის პოეზია ჯერაც არგამოჩეკილ პროვინციელ პროფესორს. ღმერთს მადლობას ვნირავ მთელი გულით და სულით, მოცალეობის ჩემი ძვირფასი ნიჭი რომ არა, შესაძლოა, მეც იგივე გზა მელოდა – დოქტორის ხარისხი და სულიერი სიცარიელე…”

ვგონებ, რომ ეს მოკლე და საინტერესო დახასიათება ფილმერს თავისი აღმოჩენის ზღუბლზე (ან ცოტა ხნით ადრე) მიესადაგება. ჰიქსი ცდებოდა, როდესაც ფილმერს პროვინციაში პროფესორობას უწინასწარმეტყველებდა. შემდგომ მას ვხედავთ “ხელოვნებათა საზოგადოებაში” გამართულ ლექციაზე – “კაზურუე და მისი შემცვლელები”. იგი უკვე იყო პლასტიკურ ნივთიერებათა დიდი საწარმოს ხელმძღვანელი და იმავდროულად, როგორც ამჟამად ცნობილია, დიდი ბრიტანეთის ჰაერნაოსანთა საზოგადოების წევრი. თუმცა კი იგი კამათებში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, უთუოდ განეზრახა თავისი დიადი ჩანაფიქრი სხვათა დახმარების გარეშე აღესრულებინა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში მანამ, სანამ ხელოვნებათა ხელშეწყობის სამეფო საზოგადოებამდე მიაღწევდა, ორი წლის განმავლობაში, რამდენიმე ჰატენტი აიღო ნაჩეარევად და სხვადასხვა, არც თუ სოლიდური საშუალებით აუწყა საზოგადოებას, რომ დაასრულა ორიგინალური კვლევა, რაც საფრენი აპარატი აგების საშუალებას აძლევს. ამის შესახებ პირველი პირდაპირი ცნობა იაფეასიან გაზეთში გამოჩნდა, ცნობის ავტორი ფილმერის სახლის მეზობელი გახლდათ. ასეთი აჩეარება ხანგრძლივი, მოთმინებით აღსავს, გასაიდუმლოებული მუშაობის შემდეგ, ალბათ, იმ ამაო შიშით აიხსნება, რაც გამოიწვია ცნობამ, რომ ამერიკელმა

თაღლითმა მეცნიერმა, ბუტლიმ გამოაცხადა, ახალი აღმოჩენა გავაკეთეო და ფილმერს მოეწვენა, თითქოს მან შეიძლება დაასწროს, იდეა წაართვას.

თუმცა რა იყო სინამდვილეში ფილმერის იდეა? – მართლაც ძალზე მარტივი რამ. აერონავტიკის განვითარება მანამდე ორი განსხვავებული გზით მიდიოდა: ერთი მხრივ, ჰაერბურთები, ჰაერზე მსუბუქი დიდი საფრენი აპარატები, რომლებიც საიმედო იყვნენ აფრენისას და შედარებით უსაფრთხონი, დაშვებისას, მაგრამ სრულიად უმწეონი სუსტი ქარის დროსაც კი; მეორე მხრივ — ჰაერზე მძიმე აპარატები, რომლებიც ჯერ-ჯერბით, მხოლოდ თეორიულად დაფრინავდნენ — ვეება ბრტყელი მოწყობილობები, რომლებიც მოძრაობაში მძიმე ძრავების მეშვებით მოდიოდნენ და პირველივე დაშვებისას, უმეტესად იმსხვრეოდნენ. მაგრამ თუკი მხედველობაში არ მივიღებთ გარდუვალ დანარცხებას ფრენის დასასრულს, რის გამოც მათი გამოყენება შეუძლებელი გახლდათ, საფრენი აპარატების წონა მათ თეორიულ უპირატესობას ანიჭებდა — ეფურინათ ქარის სანინააღმდეგო მიმართულებით, რაც ესოდენ აუცილებელია ჰაერნაოსნობის პრაქტიკული მნიშვნელობისთვის. ფილმერის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ მან განვირიტა, თუ როგორ გაეერთიანებინა ჰაერბურთისა და მძიმე საფრენი მოწყობილობის ურთიერთსაპირისპირო, და აქამდე თითქოს შეუთავსებელი, ღირსებები ერთ აპარატში, რომელიც, სურვილისამებრ, შესაძლოა ჰაერზე მსუბუქიც ყოფილიყო და მძიმეც. ეს იდეა ფილმერს თევზის საპარო ბუტშმა და ფრინველების ქვლებში არსებულმა საპარო ღრუებმა უკარნახა. მან გამოიგონა მოწყობილობა, რომელიც შედგებოდა კუმშვადი და სრულიად ჰერმეტული საპარო ბალონებისგან, რომლებიც გაფართოებისას საფრენ აპარატს მაღლა ააფრენდენენ, შემდეგ კი, შეკუმშულები იმ “კუნთოვანი სისტემით”, გარს რომ შემოახვია, თითქმის მთლიანად აპარატის კორპუსში მაღლებოდნენ; ეს ყველაფერი დამაგრებული იყო ხისტი მიღების კარკასზე და როდესაც აპარატი დაშვებას იწყებდა, ჰაერი მიღებიდან ბალონებში გადაიტუმბებოდა ერთობ ორიგინალური მოწყობილობის მეშვეობით და იქ იმდენი ხანი რჩებოდა,

რამდენიც აერონავტს სურდა. წინამორბედი აეროპლანებისგან განსხვავებით, ამ აპარატს არც ფრთები ჰქონდა და არც ხრახნი. მის ერთადერთ მექანიზმს მცირე ზომის, კომპაქტური და მძლავრი მოწყობილობა წარმოადგენდა, ჰაერბურთების დასაკავშირებლად რომ გამოიყენებოდა. ფილმერის ჩანაფიქრით, ამგვარ აპარატს დიდ სიმაღლეზე უნდა შესძლებოდა აფრენა, თუკი ჰაერი მიღებიდან ბურთებში გადაიტუმბებოდა, რაც ამ უკანასკნელთა მოცულობას გაზრდიდა, ხოლო შემდეგ, თუ ბურთები დაიჩუტებოდა და ჰაერი უკანვე — მიღებში — გადავიდოდა, სიმძიმის ცენტრის ცვლილებით ის ნებისმიერი მიმართულებით შეძლებდა გადაადგილებას დახრილ სიბრტყეზე. შეკუმშვისას აპარატი სიჩქარესაც აკრეფდა და წონასაც დაკარგავდა, ხოლო ქვემოთ ქროლვისას დაგროვილი ძალის მომენტის გამოყენება მორიგი აფრენისთვის იქნებოდა შესაძლებელი — საჭირო იყო კვლავაც სიმძიმის ცენტრის ცვლილება და ბურთების გაბერვა. ერთი ევ არის, ამგვარი იდეის ხორცესასმელად, რომელიც დღესაც გამართული საპარო აპარატების აწყობის საფუძველია, უდიდესი ჯაფა იყო საჭირო. მოგვიანებით, როდესაც ფილმერი დიდების მნიშვნელზე აღმოჩნდა, გარს დახვეულ უურნალისტებს უამბობდა, თუ როგორი “თავდავიწყებული და თავგანწირული სულისკვეთებით” ირჯებოდა საჭირო ნაწილების დასამზადებლად. განსაკუთრებული ძალისხმევა მან დეფორმირებადი ბურთების შიდაქსოვილის დამზადებას დაახარჯა. იგი მიხვდა, რომ სრულიად ახალი ნივთიერების მიღება იყო აუცილებელი. იმისთვის, რომ ამგვარი ნივთიერება მოეპოვებინა და დაემუშავებინა, „ზან იმაზე მეტი თავგადაკლული შრომა გასწია, ვიდრე თვით თავისი მთავარი და გაცილებით დიდი აღმოჩენის გასაკეთებლად”, — სწორედ ასე აუწყა მან უურნალისტებს, რომელთა განცვიფრებაც საუცხოოდ ემარჯვებოდა.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ინტერვიუები უმაღლე მოპერატორის განცხადებას საკუთარი გამოგონების შესახებ. ხუთმა წელმა განვლო, ის კი კვლავაც თავის კაუჩუკის სანარმოში რჩებოდა, რაც მისი მიზერული შემოსავლის ერთადერთი წყარო გახლდათ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის გველის ტყავში

ძვრებოდა, რათა ერთობ გულგრილი საზოგადოებისთვის თავისი გამოგონების მნიშვნელობა ეუწყებინა. მოცალეობის უამის უდიდეს ნაწილს იგი სამეცნიერო თუ ყოველდღიური ბეჭდური გამოცემებისათვის წერილების მიწერას უთმობდა, რომლებშიც მისი კვლევების საბოლოო შედეგს აღწერდა და ფინანსურდახმარებასაც ითხოვდა. თუმცა ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ მისი წერილები არავის აინუშშიც კი არ ჩაეგდო. უქმე დღეებს ფილმერი დიდი ლონდონური რედაქციების შეეიცარებთან ფუქ საუბარში ატარებდა, თუმცა ამ უკანასკნელთა დარწმუნებას ვერაფრით ახერხებდა, რედაქციებში არ უშევებდნენ, — ერთი ხანობა იმასაც ცდილობდა, სამხედრო სამინისტროს მხარდაჭერა მოეპოვებინა. ჩვენ ხელთა გვაქვს გენერალ-მაიორ ვოლფაიერის მიერ გრაფ ფროგისადმი მიწერილი საიდუმლო წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ფილმერი “ერთი ახირებული, ჩიტირეკია ტიპია”. გენერალ-მაიორმა ეს მისთვის ჩვეული მოჩვენებითი დამაჯერებლობით გამოხატა, რითაც იაპონელებს საშუალება მისცა ამ საქმეში ჩვენზე მეტად დანინაურებულიყვნენ, და ჩვენდა სავალალოდ, ისინი დღემდე ინარჩუნებენ ამ უპირატესობას.

მერე კი აპკი, რომელიც ფილმერმა კუნშვადი ჰაერბურთებისთვის გამოიგონა, ახალი ნავთობის ძრავის სარქველებისთვის გამოსადევი აღმოჩნდა და მან, თავისი აპარატის საცდელი ეკზემპლარის ასაგებად თანხები მიიღო. უმალ თავი დაანება კაუჩუკის ქარანას, შეწყვიტა წერილების და სტატიების წერა და ფარულად შეუდგა საქმეს (როგორც ჩანს, მის ყველა წამოწყებას საიდუმლოების ელემენტი სდევდა თან). იგი, ეტყობა, ხელმძღვანელობდა ცალკეული დეტალების დამზადებას, რომლებიც შორდიჩი არსებულ შენობაში გადაჟქონდა, თუმცა საბოლოო მონტაჟი დიმჩერის მახლობლად, კენტის საგრაფოში მოხდა. აპარატი დიდი არ იყო, ადამიანს ჰაერში ვერ აიყვანდა, სამაგიეროდ ფილმერმა მეტად მარჯვედ გამოიყენა ის, რასაც ახლა მარკონის სხივებს უწოდებენ (ავტორი რადიოს გულისხმობს — რედ. შენიშვნა.). ამ მექანიზმის პირველი გაფრენა ბარფორდ-ბრიჯის ველების თავზე, კენტის საგრაფოში განხორციელდა. ფილმერი მართავდა თავის აპარატს და

საგანგებოდ კოსტრუირებული, ელექტროძრავიანი ტრიციკილით მიჰყვებოდა.

ფრენა, საერთო ჯამში, მეტად წარმატებული აღმოჩნდა. აპარატი დიმჩერიდან ბარფორდ-ბრიჯში ურმით ჩაიტანეს. ის თითქმის 300 ფუტის სიმაღლეზე აფრინდა, შემდეგ სწრაფად დაიწყო დაშვება, ლამისაა დიმჩერის მაილწია, მერე მობრუნდა, ისევ აფრინდა, წრე დაარტყა და დაჯდა მინდორზე ბარფორდ-ბრიჯის სასტუმროს უკან. დაშვებისას უცნაური შემთხვევა მოხდა. ფილმერი ტრიციკილიდან ჩამოვიდა, თხრილი გადაკვეთა, ოციოდე იარდი გაიარა თავისი აპარატის მიმართულებით — და უცებ ხელები აიქნია, გონდაკარგული მინას დაენარცხა. მხოლოდ მაშინ გაახსენდათ იქ მყიფებს, რომ გამოცდის დროს ფილმერი მიცვალებულივით გაფითრებული იყო, და მეტად აღელვებული ჩანდა, — თუმცა, გონება რომ არ დაეკარგა, ეს არავის გაახსენდებოდა. მოგვიანებით კი, ბარფორდ-ბრიჯის სასტუმროში, უცებ ისტრიულად აქვითინდა.

ამ ამბის თვითმხილველთა რაოდენობა ოციც არ იქნებოდა, და თან უმრავლესობა გაუნათლებელი იყო. ნიუ-რომნელმა ექიმმა იხილა აპარატის აფრენა, მაგრამ დაფრენა აღარ დაუნახავს, რადგანაც მისი ცხენი ფილმერის ტრიციკლზე დაყენებულმა ელექტროძრავამ დააფრთხო და ყალყზე შემდგარმა მხედარი ძირს გადმოაგდო. ფრენას თვალს ადევნებდა მორიგეობისგან თავისუფალი, ეტლში მჯდომი ორი კონსტებლი კენტიდან; იქვე აღმოჩნდა მწვანილეულით მოვაჭრე, თავის კლიენტებთან რომ მიდიოდა, გამოჩნდა ორი ქალბატონი ველოსიპედებზე — მხოლოდ ამ თვითმხილველებზე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ განათლებული ადამიანები იყვნენ. იქვე იყო ორი რეპორტიორი — ერთი ფოლკსტოუნის გაზეთს წარმოადგენდა, ხოლო მეორე ერთი უნიჭი უურნალისტი იყო, რომლის გზის ხარჯებიც თავად ფილმერმა დაფარა. ფილმერს, რომელსაც მუდამ ენადა თავისი გამოგონებისთვის ჯეროვანი რეკლამა შეექმნა, ახლა უკვე ხელენიფებოდა ეს საქმე. მეორე უურნალისტი იმ კალმოსანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც თვით ყველაზე სარწმუნო მოვლენების გაბიაბურება შეუძლიათ, და სწორედ მისი ნახევრადსარკასტული წერილი მომხდარის შესახებ გამოქვეყნდა პოპულარული უურნალის

გვერდებზე. თუმცა, ფილმერისდა სასიკეთოდ, ამ უურნალისტს ამბის სიტყვიერად გადმოცემა უკეთ ემარჯვებოდა, ვიდრე წერილობით — როდესაც მან ბენგჰარსტს, “ახალი გაზეთის” მესაკუთრეს, აღნიშნულ თემაზე დამატებითი სტატიების დაწერის თხოვნით მიმართა, ეს უკანასკნელი საქმის არსს მაშინვე ჩასწოდა — იგი ხომ ყველაფერთან ერთად ლონდონური უურნალისტიკის ერთ-ერთი ყველაზე გაქნილი და გაიძვერა წარმომადგენელი იყო. რეპორტიორი გაქრა ისე, რომ, ალბათ, შესაფერისი გასამრჯელო არც კი მიუღია და ბენგჰარსტი, თავად ბენგჰარსტი, წარმომადგენელი იყო. რეპორტიორი გაქრა ისე, რომ, ალბათ, შესაფერისი გასამრჯელო არც კი მიუღია და ბენგჰარსტი, თავად ბენგჰარსტი, წარმომადგენელი იყო. რეპორტიორი გაქრა ისე, რომ, ალბათ, შესაფერისი გასამრჯელო არც კი მიუღია და ბენგჰარსტი, თავად ბენგჰარსტი, წარმომადგენელი იყო. რეპორტიორი გაქრა ისე, რომ, ალბათ, შესაფერისი გასამრჯელო არც კი მიუღია და ბენგჰარსტი, თავად ბენგჰარსტი, წარმომადგენელი იყო.

როგორც კი ბენგჰარსტმა მოჰკიდა საქმეს ხელი, ფილმერის „განმარტოება“ დიდებით შეიცვალა. გამომგონებელი თვალის დახამსამებაში სენსაციად იქცა. როდესაც 1907 გაზეთებს ათვალიერებ, გიკვირს, თურმე როგორ სწრაფად და რა წარმოუდგენელ დონეზე დე შეიძლება გაპერო სენსაცია. გაზეთებმა ივლისში ჯერ არაფერი იციან ფრენის შესახებ და არც სურთ, რომ იცოდნენ, თავისი დუმილით აშკარად ადასატურებენ მოარულ წარმოდგენას, რომ ადამიანს არ შეუძლია ფრენა და არც უნდა ეცადოს. აგვისტოში კი ფრენამ და ფილმერმა, ფრენამ და პარაშუტებმა, საპარო ტაქტიკამ და იაპონიის მთვარობამ, ფილმერმა და ისევ ფრენამ გაზეთების პირველი გვერდებიდან უკანა პლანზე განდევნა ომი იუნაში და ოქროს საბადოები ზემო გრენლანდიაში. მერე კი ბენგჰარსტმა გადასცა მას 10000 ფუნტის, მერე კიდევ 5000, დაუთმო თავისი მშვენიერი ლაბორატორიები, მანამდე უქმად რომ ჰქონდა, და რამდენიმე აკრი მინა თავისი მამულის გვერდით, სარეის ბორცვებზე “დააბული და მჩქეფარე” (ბენგჰარსტის ჩვეულია სტილია) სამუშაოს დასასრულებლად, რომლის შედეგი იქნებოდა ისეთი აპარატის შექმნა, რომელიც ადამიანს ჰაერში აიყვანდა. ამავე დროს, ფულჰემში, ბენგჰარსტის საკუთარი სახლის ბაღში, მაღალი კედლით რომ

იყო გარშემორტყმული, რჩეული სტუმრები თვალს ადვენებდნენ, ფილმერი თავის მოქმედ მოდელს ჰაერში როგორ უშვებს. ძალზე დიდი ხარჯის გაწევით, თუმც კი საბოლოო მოგებით, “ახალმა გაზეთმა” მკითხველს იმ პირველი საზეიმო გამოცდის მშვენიერი ფოტოები შესთავაზა.

აქ კი კვლავაც არტურ ჰიქსისა და მისი მეგობრის, ვენსის მიმოწერა გვეხმარება:

“ფილმერი დიდების ზენიტში ვნახე, — წერს ჰიკსი, ცოტა არ იყოს, შურითაც კი, რაც სრულიად ბუნებრივია პოეტისთვის, მოდიდან რომ გადავიდა, — საგულდაგულოდაა დავარცხნილი და სუფთად გაპარსული, ისე აცვია, გეგონება, სამეფო საზოგადოებაში ლექცია უნდა წაიკითხოს: ყველაზე მოდური, ლაქის წვეტიანი ფეხსაცმელები, საერთო ჯამში კი — საოცარი ნაზავია გაამაყებული გენიოსისა დამფრთხალ, გაუთლელ პროვინციალთან, საზოგადოების დასანახად რომ გამოჭიმეს. ფერმერთალია, თავი წინ აქვს წანეული, პატარა მოყვითალო თვალებს აქეთ-იქით ეჭვით აცეცებს, საქებარ სიტყვებს იქერს. მისი კოსტიუმი მშვენივრადაა შეკერილი, მაგრამ ტანზე მაინც ისე აზის, გეგონება, მზა ტანსაცმლის მაღაზიაშია ნაყიდი. ისევ ისე გაუგებრად მეტყველებს, მაგრამ შეიძლება მიხვდე, რომ მისი სიტყვა საკუთარი ბერსონის უზომო განდიდებითაა აღსავსე. საკმარისია ბენგჰარსტმა წამით გვერდზე გაიხედოს, ფილმერი უმაღსევების ზურგსუკან იმალება, და როდესაც ბენგჰარსტი სტოვებს მას, ვთქვათ, მდელოზე გადის, ჩანს, თუ როგორ დელავს, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნისო, ნერვიულად მოძრაობს, ულონო ხელებს მუშტად კრავს. დაძაბულია, სასტიკად დაძაბული. და ესაა ჩვენი — და არა მხოლოდ ჩვენი — საუკუნის უდიდესი გამომგონებელი! ყველაზე გასაოცარია, რომ არაფერ მსგავსს აშკარად არ მოელოდა, ყოველ შემთხვევაში, ესოდენ თავბრუდამხვევ წარმატებას. ბენგჰარსტი ერთი ნაბიჯითაც არ შორდება, — ძვირფასი ნადავლის ფხიზელი დარაჯია. დარწმუნებული ვარ, იმ თავის მდელოზე მიიყვანს ყველას, ვინც კი საჭირო იქნება, ეს წამოწყება რომ წარმატებიტ დაგვირგვინდეს; გუშინ იქ პრემიერ-მინისტრიც კი ჰყავდა და უნდა ვთქვა, რომ ამ ღირსეულ პირველებას პირველივე ვიზიტისას ისე ეჭირა თავი, თითქოს თა-

ნასწორებთან ჰქონდა საქმე. წარმოიდგინეთ! ფილმერი! ჩვენი არარაობა, ჩვენი ფეხხუმი ფილმერი – ბრიტანული მეცნიერების დიდება! მის გარშემო ჯგროდ შეკრებილან მშვენიერი არისტოკრატი ქალები, უღერს მათი ნერილა, მელოდიური ხელი. შეგინიშნავთ, დღევანდელ დღეს დიდებული ქალბატონები რაოდენ ცნობისმოყვარენი არიან? “ო, მისტერ ფილმერ, ეს როგორ მოახერხეთ?” უბირი ადამიანები უჩვეულო სიტუაციებში იძნევიან და კითხვებს გაუგებრად პასუხობენ ხოლმე. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რას ეუბნებოდა!.. “თავგანწირული და თავგადაქლული შრომით, ქალბატონო, და შესაძლოა... მიძნელდება ამის თქმა, მაგრამ... ასევე, ჩემი გარკვეული ნიჭის წყალობით...”

იმ მომენტამდე ჰიქსი და “ახალი გაზეთის” ილუსტრირებული დამატება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდნენ. ერთ-ერთ ფოტოზე საფრენი აპარატი ქვება მდინარისკენ, მის ქვეშ კი, ხეებს შორის, ჩანს ფულპემის ეკლესის სამრეკლო; მეორე ფოტოზე ფილმერი ზის მოწყობილობასთან, რომელიც აპარატს მართავს, მის გარშემო შეკრებილან ძლიერნი ამაქვეყნისა და მშვენიერი ქალბატონები; ბენგჰჰარსტი უკანა პლანზე ჩანს თავმდაბალი, მაგრამ ერთობ შემართული გამომეტყველებით. ფოტო ძალზე შთამბეჭდავია. წინ, ისე, რომ ბენგჰჰარს თითქმის ფარავს, დგას ლედი მერი ელკინზორნი, რომელიც ფილმერს დაკვირვებით შესცერის, ჩაფიქრებული. კვლავაც მშვენივრად გამოიყურება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 38 წლისაა და მხრებზე ტვირთად უამრავი ჭორ-მართალი ანევს; ამ ფოტოზე იგი ერთდერთია, ვინც სრულიად არ პოზირებს, თითქოს ვერც კი ამჩნევს ფოტოგრაფს.

ესაა ფაქტების გარენული მხარე, თუმცა მათ, რასაკვირველია, თავისი სიღრმისეული შინაარსიც აქვთ. მოვლენების არის კი საკმაოდ ბუნდოვანია. რას გრძნობდა ფილმერი იმ პერიოდში? რა ავისმომასწავებელი ეჭვები უღრღნიდა გულს იმ ახალთახალი, მოდური სმოენიგის ქვეშ? მისმა პორტრეტებმა გაზიარდა აფრელა, – ყველაზე იაფფასიანით დაწყებული, ყველაზე პრესტიულით დამთავრებული. მას მოიხსენებდნენ, როგორც “ყველა დროის უდიდეს გამომგონებელს”. მან ნამდვილი საფრენი აპარატი გამოიგონა! სა-

რეის სახელოსნოში იმ ზომის აპარატი მზად-დებოდა, რომელიც ადამიანის ჰაერში აყვანას შეძლებდა, – ეს დღე სულ უფრო ახლოვდებოდა. მსოფლიოში არავის ეპარებოდა ეჭვი, – ეს ხომ ამდენად ლოგიკური და ბუნებრივი იყო! – რომ როდესაც აპარატი მზად იქნებოდა, სწორედ იგი, ფილმერი, მისი გამომგონებელი და შექმნელი, კანონიერი სიამაყითა და სიხარულით ალსავსე, აიჭრებოდა ცაში და როგორც ბლებში გაინავარდებდა.

თუმცა ჩვენ შესანიშნავად მოგვეხსენება, რომ ამგვარი სიამაყე და სილალე ფილმერისთვის უცხო გახლდათ. მაშინ ეს აზრი თავში არავის მოსვლია, თუმცა კი ყველაფერი სწორედ ასე იყო. ძნელი მისახვედრი არაა, რომ იმ დღეს მას უამრავი აზრი უტრიალებდა თავში, ხოლო პირადი მკურნალისადმი გაგზავნილი მცირე წერილიდან, რომელშიაც ის გამუდმებულ უძილობას უჩიოდა, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ იგივე ფიქრები მას დამღამობითაც უკარგავდა მოსვენებას – შესაძლოა, ფრენა თეორიულად უსაფრთხო იყო, მაგრამ ჰაერში ათასიოდე ფუტის სიმაღლეზე ფარფატი შიშის ზარსა სცემდა. ამ აზრმა ჯერ კიდევ მაშინ მოიცვა, როდესაც “ამ და ყველა ეპოქის უდიდეს გამომგონებლად” შერაცხეს. მან თითქოს ისიც წარმოიდგინა, თუ როგორაა უკიდეგანო სიცარიელის თავზე გამოკიდებული. შესაძლოა, ოდესლაც, შორეულ სიყმანვილეში, დიდი სიმაღლიდან გადმოიხედა ანდა ცუდად დაეცა. ვინ იცის, შესაძლოა, ცალ მხარეზე, უხერხულად დასჩემდა ძილი, და ამიტომაც ესიზმრებოდა კოშმარები, როგორ ვარდება საშინელი სიმაღლიდან. ამ შიშის ძალმოსილებაში ახლა იოტისოდენა ეჭვსაც ვერ შევიტანთ.

აშკარაა, თავისი კვლევების პირველ დღეებში მას არ უფიქრია, თავად რომ მოუწევდა ფრენა. მისი ოცნებების მწვერვალს მფრინავი აპარატი წარმოადგენდა, მაგრამ ახლა მას უფრო მაღალი მწვერვალი უნდა დაეპყრო – თავბრუდამხვევ სიმაღლეზე აფრენილიყო ცაში. დიახ, ის იყო გამომგონებელი და მას ეკუთვნილდა გამოგონება. მაგრამ ის არ იყო მფრინავი, და ახლადა აცნობიერებდა იმას, რომ ყველა მის აფრენას მოელოდა. ეს აზრი მას მოსვენებას უკარგავდა, მაგრამ ბოლო წუთამდე მღელვარება არაფერში დასტყობია.

ამასობაში ის ბენგპარსტის შეუდარებელ ლაბორატორიებში ციბრუტივით ტრიალებდა, ინტერვიუებს იძლეოდა, მონიწებულ მოპყრობას იფერებდა, რჩეული ტანსაცმლით იმოსებოდა, ნარჩევ საკვებს შეექცეოდა, ფუფუნებაში ჩაფლულ ბინაში ცხოვრობდა და ერთობ ხვავრიელ ნადიმებსაც აწყობდა — ალბათ, ამგვარი განცხრომის ნება მას ჰქონდა კიდეც, თუკი გავიხსენებთ შიმშილის იმ ხანგრძლივ წლებს, დიდებისა და ნარმატების მიღწევამდე რომ განვლო.

გარკვეული დროის შემდგომ ფულჰემში ყოველკვირეული შეკრებები შეწყდა. ერთ დღეს მოდელი უცებ მოიშალა, უმართავი გახდა, ან კიდევ, შესაძლოა, ფილმერს მთავარეპისკოპოსის ნათქვამას საქებარმა სიტყვებმა ისე გაიტაცა, რომ დაავწიყდა დროზე გადაეცა ბრძანება. ასე იყო თუ ისე, სწორედ იმ დროს, როდესაც მთავარეპისკოპოსი მსოფლიოში უგრძეს ლათინურ ციტატას წარმოთქვამდა (ზუსტდ ისე, რომანის პერსონაჟი სასულიერო პირები რომ ამბობენ ხოლმე), აპარატმა ჰაერი უფრო შეეულად გაკვეთა, ვიდრე საჭირო იყო და ფულჰემ-როუდზე ჩამოვარდა, ომნიბუსი-დან სამიოდე იარდის დაშორებით. გასაოცარი და თითქოს თვითონაც გაოცებული აპარატი წამით გაშეშდა, და ნამსხვრევებად იქცა, შემთხვევით ომნიბუსში შებმული ცხენის სიცოცხლე შეინირა.

ფილმერს მთავარეპისკოპოსის ბოლო სიტყვები აღარ გაუგია. წამოხტა, გაოგნებული უყურებდა, როგორ ვარდებოდა მისმა ქმნილება, მერე კი სულაც თვალს მიეფარა. ფილმერის გრძელი, თეთრი ხელები მართვის ახლა უკვე გამოუსადეგარ მოწყობილობას ჩაფრენოდნენ ჯერაც. მთავარეპისკოპოსმა ფილმერის ცისკენ აპყრობილ მზერას თავისი წოდებისთვის შეუფერებელი მღელვარებით გააყოლა თვალი.

გზიდან მოღწეულმა გრუხუნმა, ყვირილმა და გნიასმა ფილმერი გაოგნებული მდგომარეობიდან გამოარკვია.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა და სკამზე დაეშვა ულონოდ.

დანარჩენები თვალებს აცეცებდნენ, ცდილობდნენ როგორმე დაენახათ დაკარგული აპარატი. ზოგიერთები სახლში შებრუნდნენ.

თუმცა, ამისდა მიუხედავად, დიდი ზომის საფრენი აპარატის აწყობა ოდნავადაც არ შეფერხებულა. ამ საქმეს ფილმერი მისთვის ჩვეული სიდინჯითა და მეტისმეტი სიფრთხილით უძლვებოდა, თავში კი ათასგვარი აზრი უტრიალებდა. იგი უდიდესი მონძომებით ზრუნავდა აპარატის სიმძლავრისა და გამძლეობის გაუმჯობესებაზე. როგორც კი იოტი-სოდენა ეჭვი მაინც გაჩნდებოდა, ყველაფერს გვერდზე გადადებდა მანამ, სანამ ეს ეჭვი ბოლომდე არ აღმოიფხვრებოდა. მისი უფროსი თანაშემწერ უილკინსონი ამ მუდმივ გადავადებათა გამო დიდად ჯავრობდა, რაც, მისი დაუინებული მტკიცებით, არაფრისმომცემი იყო. ბენგპარსტმა “ახალ გაზეთში” ფილმერის მოთმინებასა და ურყევ რწმენას ხოტბა შეასხა, თუმცა საკუთარ მეულლესთან საუბრისას ლანძღვდა. ამავე დროს, მაკენდრიუმ, მეორე თანაშემწერ, ფილმერს სიბრძნე და წინდახედულება მოუწონა.

— ჩევნ წარმატებას მივაღწევთ, ხალხო, — ამბობდა მაკენდრიუ, — ფილმერი თავისი საქმის დიდოსტატია.

როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდა, ფილმერი უილკინსისა და მაკენდრიუს წვრილად განუმარტავდა, თუ როგორ მუშაობდა და კონტროლდებოდა საფრენი აპარატის თითოეული დეტალი — ბოლოს და ბოლოს, ის დღეც ხომ დადგებოდა, როდესაც აპარატი ზეცაში აიჭრებოდა.

ახლა ვფიქრობ, ფილმერს მაშინ თავისი გრძნობებში გარკვევა რომ მოეხერხებინა, და ზუსტად განესაზღვრა აფრენის გეგმა, ესოდენ მტკიცებულ ტანჯვას უპრობლემოდ დაალწევდა თავს. გონებაში ყველაფერი რომ დაგეგმილ-დაწყობილი ჰქონიდა, აურაცხელი რამის გაკეთებას შეძლებდა. რასაკვირველია, ბევრ ძალისხმევას არ საჭიროებდა ექიმის მოძებნა, რომელიც დაამტკიცებდა მისი გულის სისუსტეს, ან იტყოდა, რომ მის კუჭსა და ფილტვებში რაღაც მთლად რიგზე არ ჰქონდა, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მსგავსი არაფერი მოუმოქმედებია. შესაძლოა, ამის თავი რომ ჰქონდა, ერთხელ და საბოლოოდ იტყოდა, არ ვაპირებ გაფრენასო. ასეა თუ ისე, რაოდენ დიდიც არ უნდა ყოფილიყო მის სულში გაბატონებული შიში, მას მაინც არ შეეძლო გაბედულად, ცივი გონებით ემოქმედა.

რატომლაც მგონია, რომ მთელი ამ ხნის გან-
მავლობაში საკუთარ თავს არწმუნებდა, როცა
უამი ჩამოჰკრაგს, სათანადოდ ვიქები მომზა-
დებულიო. იგი იმ ადამიანს მოგაგონებდათ, ვი-
საც ვერ გაუგია, რომ მძიმე ავადმყოფობითაა
შეპყრობილი და გაიძახის, ოდნავ შეუძლოდ კი
ვარ, მაგრამ მალე გამოვკეთდებიო. ამასობაში
საფრენი აპარატის დასრულებას აჭიანურებ-
და, თანაც არ უარყოფდა გავრცელებულ ხმას,
რომ გაფრენას თავად აპირებდა. მისი გაბედ-
ულების შესახებ ნაადრევად გამოთქმული
საქებარი სიტყვების მოსმენა სიამოვნებას ანი-
ჭებდა. და მის ფარულ გულყრებს მხედველო-
ბაში თუ არ მივიღებთ, იოტისოდენა ეჭვსაც
ვერ შევიტანთ, რომ მთელი ეს ხოტბა-დიდება
ფილმერს გულზე საოცრად ეფონებოდა და
აბრუებდა კიდეც.

ლედი მერი ელკინჰორნმა მისი მდგომარეო-
ბა კიდევ უფრო გაართულა.

საიდან დაინყო მათი ურთიერთობა? — ეს
კითხვა ჰიქსისთვის მუდმივ თავსატეხს წარ-
მოადგენდა. ალბათ, თავდაპირველად ლედი
მერი ფილმერისთვის უბრალოდ მომხიბლავი
არსება იყო - მიუკერძოებლად მიკერძოებული.
შესაძლოა, ლედი მერიმ ფილმერს ყურადღება
მაშინ მიაქცია, როდესაც ცაში მფრენ თავის
“ურჩეულს” მართავდა. ალბათ, სწორედ მაშინ
მოეჩვენა იგი მეტად გამორჩეულ პიროვნებად.
შემდეგ, რაღაც ნამს, ისინი, ალბათ, მარტონი
დარჩნენ, და დიად გამომგონებელს იმის სიმა-
მაცეც კი ეყო, პირად გრძნობებზე ლულლუ-
ლით ეთქვა რაღაც. თუმცა, როგორაც უნდა
დაწყებულიყო, ეს ურთიერთობა ნამდვილად
დაინყო და სულ მალე დანარჩენი სამყაროს
ყურადღების ცენტრშიც მოექცა — იმ სამ-
ყაროსა, ლედი მერი ელკინგტონის საქციელში
დღენიადაგ რომ ეძებდა რაღაც განსაკუთრე-
ბულსა და თავშესაქცევს. ამან საქმის მსვლე-
ლობა დაბრკოლა, რადგან ფილმერის უბინო
სულში გაღვივებულმა გრძნობამ აიძულა თვა-
ლი გაესწორებინა იმ საფრთხისთვის, შიშის
ზარს რომ სცემდა. არადა, სიყვარული ისეთ
გაბედულ ნაბიჯებსაც ადგმევინებს ხოლმე
ადამიანს, რასაც სხვა შემთხვევაში არას-
დიდებით არ გადადგამდა.

შეგვიძლია მხოლოდ ვიმკითხაოთ, თუ რა
გრძნობებით განიმსჭვალა ლედი მერი ფილმ-
ერის მიმართ, ანდა რას ფიქრობდა მასზე.

ოცდათვრამეტი წლის ასაკში ადამიანს საკმაო
სიბრძნე უნდა ჰქონდეს დაგროვილი, თუმცა,
შესაძლოა, გონება არც იმდენად უჭრიდეს,
ხოლო წარმოსახვა კი ჯერაც ისე ცხოველი
ჰქონდეს, რომ დიდებული რაღაცები წარ-
მოდგინოს და შეუძლებელს შეასხას ხორცი.
მერის ფილმერი მნიშვნელოვან პიროვნებად
წარმოუდგა, რასაც ყოველთვის მოაქვს შედე-
გი. მისი აზრით, გამომგონებელი გასაოცარ
ძალას ფლობდა — ყოველ შემთხვევაში, გვერ-
დიდან ასე ჩანდა, ჰაერში აფრენილი მოდელ-
ის მართვისას ფილმერი ჯადოსნის უნარს ავ-
ლენდა, ქალები კი რატომლაც ჰქონიათ, რომ
თუ მამაკაცს ერთ საქმეში შესწევს საოცარი
ძალა, ესე იგი, ყველაფერში ძლევამოსილია.
ამრიგად, მის თვალში, ფილმერის გარებრიბი-
სა თუ საქციელის მანკიერებანი მის ღირსებე-
ბად გარდაიქმნა. ფილმერი ხომ მორიდებული
იყო, საკუთარი თავის წარმოჩენას ერიდებო-
და, მაგრამ როდესაც ჭეშმარიტი თვისებების
გამომუდავნების უამი დადგებოდა, მის ნამდ-
ვილ სახეს ყველა იხილავდა!

ან განსვენებულმა მისის ბემპტონმა გო-
ნივრულად მიიჩნია, ლედი მერისთვის ფილმ-
ერზე შეხედულება გაეზიარებინა და უთხრა,
გვარიანი ფეხსუმიაო.

— რასაკვირველია, სრულიად განსაკუთრე-
ბულია, იმ ადამიანებს არ ჰგავს, ვისთანაც
აქამდე მქონია ურთიერთობა, — წყნარად და
აუმღვრევლად მიუგო ლედი მერიმ.

მას შემდეგ, რაც მისის ბემპტონმა მის უშ-
ფოთველ სახეს მალულად გახედა, მიხვდა,
ლედი მერისთვის მეტი ალარაფერი ჰქონ-
და სათქმელი, თუმცა სხვებთან კი გემოზე
იჭორავა.

და, აი, თავისით, შეუმჩნევლად მოინია უამი
დიადი დღეც გათენდა — დღე, რომლის დად-
გომაც ბენგჰარსტმა მკითხველ საზოგადოე-
ბას (ანუ მთელ მსოფლიოს) აღუთქვა; დღე,
როდესაც დიდი ხნის ნანატრი გაფრენა განხ-
ორციელდებოდა. ფილმერმა ეს გარიერაჟი
იხილა — წყვდიადს მისჩერებოდა, უყურებდა,
თუ როგორ მქრქალდებოდნენ ვარსკვლავები,
როგორ უთმობდა ადგილს რუხი და მარგალ-
იტისფერ-მენამული გამა კრიალა ლაუგარდ-
ისფერს, როგორ ახლოვდებოდა უღრუბლო,
მზიანი დღე. ყოველივე ამას იგი ბენგჰარსტის
ტიუდორ-ჰაუსის საძინებლის ფანჯრიდან

ადევნებდა თვალს. როდესაც ვარსკვლავები საბოლოოდ მიინავლნენ, ხოლო საგნებს წყვდიადის საფარველი ჩამოშორდა, მკაფიოდ გაარჩია წიფლნარის მიღმა, პარკის კიდეზე გაჩაღებული საზეიმო სამზადისი, მწვანე პავილიონის მახლობლად. განსაკუთრებით საპატიო მაყურებელთათვის სამი ტრიბუნა მოეწყოთ, იქაურობა ლობით შემოემიჯნათ. იქვე დააყენეს ჩარდახები და ფარდულები, ანძებზე ალმები ფარფატებდნენ, რომელთა აღმართვა ბენგჰჰარსტს უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა, თუმცა უქარო ალიონის სხივებში ალმები ჩამუქებულიყო და მომჩვარულიყო. ამ ყველათვის შუაღულში კი იყო რაღაც უზარმაზარი, ბრეზენტი რომ ჰქონდა გადაჰარებული. ეს რაღაც უცნაური გახლდათ, კაცობრიობისთვის თითქოს ავისმომასწავებელი ნიშანივით იყო — თითქოსდა რაღაცის საწყისი, რაც ყველაგან მოიკიდებდა ფეხს, ყოველ კუთხე-კუნჭულს გადასწვდებოდა და ადამიანთა ყოველგვარ ნახელავზე აღზევდებოდა, ყველაფერს შეცვლიდა, თუმცა ფილმერი ამდაგვარზე არ ფიქრობდა, უცნაური საგანი იმდენად აღელვებდა, რამდენადაც თავად მას ეხებოდა. ვიღაცრებმა გაიგონეს, გვიან ღამით როგორ გაუჩერებლად სცემდა ბოლთას თავის ოთახში — ვეებერთელა სახლი ხომ სტუმრებით იყო სავსე, სახლის პატრონ-რედაქტორს შემჭიდროების ტექნიკა ჩინებულად აეთვისებინა. დილის ხუთი საათი იქნებოდა (ან შეიძლება უფრო ადრეც), როდესაც ფილმერი ოთახიდან გავიდა პარკში, რომელიც ამომავალ მზეს უკვე გაენათებინა. ირგვლივ ჩიტები დაფრენდნენ, ციყვები დახტოდნენ, შველები დარბოდნენ. მაკენდრიუ, რომელიც ასევე ადრიანად დგებოდა, შეხვდა მას და საფრენი აპარატი კიდევ ერთხელ შეამოწმეს ერთად.

ბენგჰჰარსტის დაუინების მიუხედავად, საეჭვოა, რომ ფილმერს იმ დილით პირში ლუქმა ჩაედო. როგორც ჩანს, მან მაშინვე თავის ოთახს მიაშურა, როცა სტუმრებმა გამოსვლა იწყეს. შემდეგ, ათი საათი იქნებოდა, როდესაც ბუჩქებს შორის, ხეივანები მოჰყვა ხეტიალს, ალბათ, იმიტომ, რომ აქ ლედი მერი ელკინჭორნს მოჰკრა თვალი. ლედი მერი თავის ძველ, სკოლისდროინდელ მეგობართან, მისის ბრიუის-კრეივენთან დასეირნობდა, გაცხოველებული საუბრით ჰქონდათ გართული.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმერი ამ უკანასკნელს არ იცნობდა, მივიდა მათთან და ერთხანს გვერდით მიჰყვებოდა. მეტად უხერხული მდგომარეობა შეიქნა, კარგა ხანს ყველა დუმდა. ლედი მერიმ, მიუხედავად თავისი გამჭრიახობისა, ვერ მოიფიქრა, რა ეთქვა. მისის ბრიუის-კრეივენმაც ვერ მოისაზრა, სიტუაცია როგორ განემუხტა.

— ფილმერი ძალზე უბედურ ადამიანად წარმომიდგა, — იხსენებდა იგი მოგვიანებით, თუმცა, იმავდროულად, საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდა, — მას თითქოს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა დახმარება სჭირდებოდა, რათა ხმის ამოღება გაეხედა. მაგრამ, აბა, როგორ უნდა დავხმარებოდით, როცა არ ვიცოდით, რა სურდა?

თორმეტის ნახევრისთვის პარკში საზოგადოებისათვის განკუთვნილი ადგილები უკვე გადავსებულიყო. გრძელ, ვიწრო გზაზე, პარკს რომ უვლიდა გარშემო, ეკიპაჟები უწყვეტი ნაკადად მოდიოდნენ. ხოლო უზადო კოსტიუმებში გამოწყობილი სტუმრები, რომლებმაც ღამე სახლში გაათენეს, საფრენი აპარატისკენ ფეხით მიემართებოდნენ, — მდელო ხალხით იყო მოფენილი. ფილმერი ორ კაცთან ერთად მიდიოდა, რომელთაგან ერთი აღუნერელი სიხარულით აღსავსე ბენგჰჰარსტი იყო, ხოლო მეორე — ჰერნაოსანთა საზოგადოების პრეზიდენტი, სერ თეოდორ ჰიკლი. მათ უკან მოაბიჯებდნენ მისის ბენგჰჰარსტი, ლედი მერი ელკინჭორნი, ჯორჯიანა ჰიკლი და ეკლესიის წინამდლვარი. ბენგჰჰარსტი ერთობ ვრცლად და მფერმეტყველურად ბაასობდა, ხოლო როდესაც წამით ჩერდებოდა, ჰიკლი ფილმერის საქებარ სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე. ფილმერი მათ შორის მიდიოდა და კრინტს არ სძრავდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პასუხის გაცემა აუცილებელი იყო. მათ უკან მისის ბენგჰჰარსტი წინამდლვრის კაზმულსიტყვაობას უგდებდა უურს — იგი ყოველთვის უდიდესი გულისყურით უსმენდა სასულიერო მაღალიერარქებს, რისგან სოციალრი აღმასვლის ათმა წელიწადმაც კი ვერ განკურნა. ლედი მერი კი ამ ადამიანის მომჩვარულ მხრებს შეჰყურებდა — ადამიანისა, რომლის მსგავსსაც აქამდე არასოდეს გადაჰყრია — და იოტისოდენა ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ცოდაც და, მთელ მსოფლიოს განაცვიფრებდა.

როგორც კი ადამიანთა ეს ჯგუფი იქ შეკრებილმა საზოგადოებამ შენიშნა, ყველა გამოცოცხლდა, გაისმა მისალმებები, თუმცა არცთუ ხმაშეწყობილი და გამამხნევებელი. როდესაც საფრენ აპარატამდე ორმოცდაათიოდე იარდილა რჩებოდა, ფილმერმა ნაჩქარევად მოიხედა უკან, თვალით გაზომა მანძილი, მანდილოსნებს რომ აშორებდა, და ენა ამოედგა, – თავისი ინიციატივით პირველად დაილაპარაკა მას მერე, რაც სახლიდან გამოვიდა. ხმა ოდნავ ჩახლეჩოდა. ბენგჰჰარსტს სიტყვა გააწყვეტინა, რომელიც იმ მომენტში პროგრესის თაობაზე მსჯელობდა.

– ყური მიგდეთ, ბენგჰჰარსტ... – თქვა მან და დადუმდა.

– დიახ, – მიუვი ბენგჰჰარსტმა.

– მინდა, რომ... – გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა, – თავს ცუდად ვგრძნობ.

ბენგჰჰარსტი ადგილზე გახევდა.

– რაო? – შეჰყვირა.

– უცნაური გრძნობაა, – ფილმერმა გზა განაგრძო, თუმცა კი ბენგჰჰარსტი ადგილზე გაჩერებულიყო, – არ ვიცი. შეიძლება ცოტა ხანში თავი უკეთაც ვიგრძნო. თუ არადა... მაკენდრიუ...

– თავს ცუდად გრძნობთ? – დაეკითხა ბენგჰჰარსტი და მის ფერმიხდილ სახეს მიაჩერდა.

– ძვირფასო! — ამოლერლა მან, როდესაც მისის ბენგჰჰარსტი მიუახლოვდათ, – ფილმერი ამბობს, თავს შეუძლოდ ვგრძნობო.

– სულ ოდნავ ცუდად, – ამოილუდლულა ფილმერმა, რომელიც ცდილობდა ლედი მერის მზერას გაქცეოდა, – ალბათ, მალე გადამივლის..

ცოტა ხნით დუმილმა დაისადგურა.

და სწორედ მაშინ ფილმერმა გაიფიქრა, ამჟევეყნად ყველაზე მარტოსული ადამიანი ვარო.

– რაც უნდა იყოს, – დაარღვია სიჩუმე ბენგჰჰარსტმა, – საცდელი გაფრენა აუცილებლად უნდა განხორციელდეს. იქნებ ცოტა ხნით სადმე დაჯდეთ, დაისვენოთ...

– ეს, ალბათ, მის ბრალია, ამდენი ხალხი რომ შეიკრიბა, – ჩაილაპარაკა ფილმერმა.

უხერხული სიჩუმე კიდევ ერთხელ ჩამოვარდა. ბენგჰჰარსტმა ფილმერს გამომცდელი მზერა ესროლა, შემდეგ კი ღობესთან შემოჯარულ ხალხს გადაავლო თვალი.

– ძალიან სამწუხაროა, – თქვა სერ თეოდორ ჰიკლიმ, – მაგრამ მაინც... ვიმედოვნებ... თუკი თქვენი თანაშემწენი... რასაკვირველია, თუკი თავს ცუდად გრძნობთ და განწყობაც აღარ გაქვთ...

– არ მგონია, მისტერ ფილმერს მსგავსი რაღაც წუთით მაინც გაევლოს გულში, – ჩაერია საუბარში ლედი მერი.

– მაგრამ თუ მისტერ ფილმერის ნერვები ესოდენ დაძაბული აქვს, – ჩახველებით მიუგო ჰიკლიმ, – იქნება ჯობდეს, არც ეცადოს, რადგან ეს მისთვისვე იქნება საზიანო.

– დიახაც, უნდა ეცადოს და სწორედ იმიტომ, რომ სახიფათოა, – დაიწყო ლედი მერიმ თუმცა ფრაზა ბოლომდე არ მიიყვანა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი და ფილმერი შეხედულება ყველასთვის ისედაც ცხადი გახლდათ.

ფილმერი თავის თავს ეპრძოდა.

– მიმაჩნია, რომ სწორედ მე უნდა გავფრინდე, – თქვა ფილმერმა, მინას ჩასჩერებოდა. შემდეგ აიხედა და ლედი მერის მზერას გადააწყდა.

– დიახ, მსურს გავფრინდე, – თქვა მან და ლედი მერის სუსტი ლიმილი შეაგება. შემდეგ ბენგჰჰარსტისკენ იბრუნა პირი, – ცოტა ხნით რომ შემძლებოდა სადმე მომეთქვა სული ჩრდილში, ბრბოსგან მოშორებით,...

ბენგჰჰარსტი თანდათან ჩასწვდა სიტუაციას.

– შემობრძანდით ჩემს პატარა ოთახში, მწვანე პავილიონშია, – შესთავაზა ფილმერს, – იქ მეტად გრილა.

ამ სიტყვებით ფილმერს ხელიც ჩაჰკიდა. ფილმერმა კვლავ ლედი მერი ელკინჭორნს გახედა.

– ხუთ წუთში ჩვეულ მდგომარეობაში ვიქნები, – უთხრა, – ძალიან, ძალიან ვწუხვარ...

ლედი მერი ელკინგჰორნმა პასუხად გაუღიმა.

– ვერც კი ვიფიქრებდი, – უთხრა ფილმერმა ჰიკლის და მორჩილად გაჟყვა ბენგჰჰარსტს ხელიხელჩაჭიდებული.

დანარჩენებმა თვალი გააყოლეს.

– როგორი ფაქიზია, – ჩაილაპარაკა ლედი მერიმ.

– უდავოდ, ერთობ წევროტული ტიპია, – აღნიშნა წინამდღვარმა, რომელიც ამჟევეყნად

ყველას ასე ეძახდა, ეკლესიის მრავალშვილინი მსახურების გარდა.

— რასაკვირველია, — კვერი დაუკრა ჰიკლიმ, — საერთოდაც რა აუცილებლობაა, რომ თვითონ გაფრინდეს? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გამოგონებაა?

— აბა, ამას თავიდან როგორ აიცილებს? — დაეკითხა ლედი მერი. მის ხმას სარკაზმის ელფერი დაპრავდა.

— ყველაზე ცუდი ის იქნება, თუ უეცრად ავად გახდება, — თქვა მისის ბენგჰჰარსტმა და ხმაში სიმკაცრე გამოერია.

— არა, ავად არ გახდება, — გამოეპასუხა ლედი მერი, რომელსაც გაახსენდა, როგორ შეხედა მას ფილმერმა.

— ყველაფერი რიგზე იქნება, — ამხნევებდა ფილმერს ბენგჰჰარსტი, როდესაც პავილიონისაკენ მიდიოდნენ, — ერთი ყლუპი ბრენდი გადაპერით მხოლოდ, და ეგაა. ყველას დაუმტკიცებთ, ვინ ხართ... თავადაც კარგად გესმით, რომ ძალზე ცუდი იქნება, თუკი ვინმე სხვა გაფრინდება თქვენს ნაცვლად...

— არა, არა, მინდა გავფრინდე, — მიუგო ფილმერმა, — არაფერი მიჭირს. თუ სიმართლე გინდათ, თითქმის მზადა ვარ... თუმცა არა, ჯერ იმ ერთ ყლუპ ბრენდის დავლევ.

ბენგჰჰარსტი მას პატარა ოთახში შეუძლვა, ცარიელი გრაფინი აიღო და ბრენდის მოსატანად გავიდა. მისმა არყოფნამ დაახლოებით ხუთ წუთს გასტანა. იმ განვლილ ხუთ წუთს დაზუსტებით ვერავინ აღნერს. ტრიბუნების აღმოსავლეთ მხარეს შეკრებილი ხალხი დროდადრო ფანჯარაში ფილმერის სახეს დალადავდა ხოლმე, რომელიც მომდევნო წამს მქრქალდებოდა და იკარგებოდა. ბენგჰჰარსტმა რაღაც სესძახა და მთავარ ტრიბუნას მოეფარა, მერე კი პავილიონისაკენ მიმავალი მაურდომიც გამოჩნდა ლანგრით ხელში.

ოთახი პავილიონში, სადაც ფილმერმა თავისი უკანასკნელი გადაწყვეტილება მიიღო, პატარა და მყუდრო გახლდათ, — სადა, მწვანე ფერის ნაჭრით გადაკრული ავეჯითა და ინგლისური ყაიდის, ჩუქურთმიანი საწერი მაგიდით. ბენგჰჰარსტი პირად ცხოვრებაში დიდი პრეტენზიულობით არ გამოირჩეოდა. კედლებზე ჯორჯ მორლანდის სურათებიდან გაკეთებული გრავიურები ეკიდა, იქვე იყო წიგნების თაროც. რაც მთავარია, ბენგჰჰარსტს

საწერ მაგიდაზე წვრილეკლიბრიანი თოფი დარჩენოდა, ხოლო ბუხრის ლავგარდანის კუთხეში კოლოფი იდგა, რომელშიც სამი თუ ოთხი ტყვია გახლდათ ჩარჩენილი. ფილმერი ბოლთას სცემდა — მძიმე, მტანჯველი სიტუაციიდან გამოსავალს ეძებდა. ჯერ მაგიდაზე დაგდებულ მომცრო, კოხტა თოფს მიუახლოვდა, ხოლო შემდეგ კოლოფის პატარა წითელიარლის შეავლო თვალი:

“კალიბრი 22. გრძელი.”

როგორც ჩანს, გონება უეცრად გაუნათდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფილმერზე ეჭვი არავის გასჩენია, როდესაც გასროლის ხმა გაისმა, თუმც კი პატარა ოთახში თოფს გამაყრუებლად უნდა ექუხა, ხოლო საბილიარდოში იმ დროს რამდენიმე კაცი იმყოფებოდა — იმ ორ ოთახს ერთმანეთისგან მხოლოდ სიფრიფანა კედელი მიჯვავდა. რა წამს ბენგჰჰარსტის მაჟორდომმა კარი შეალო და კვამლის მწვავე სუნი იყნოსა, მომხდარის არს მაშინვე ჩასწვდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბენგჰჰარსტის შინამოსამსახურეთაგან ბევრი აქამდეც ჩინებულად ხვდებოდა, რა აზრებს აეფორიაქებინა ფილმერის გონება.

მთელი დღე ბენგჰჰარსტს ისე ეჭირა თავი, როგორც, მისი ზარით, შეშვენოდა ადამიანს, ვისაც უეცარად საზარელი უბედურება დაატყდა თავს. სტუმრები გამეტებით ცდილობდნენ სახეზე არ შეტყობოდათ, რომ მშვენივრად აცნობიერებენ, გარდაცვლილმა ბენგჰჰარსტი სასტიკად გააბითურა. როგორც პიქსმა მიამდო, პუბლიკა წამში აორთქლდა, ლონდონისკენ მიმავალ მატარებელში კი ერთ კაცსაც ვერ ნახავდით, რომელსაც არ ეთქვა, რომ ადამიანი ვერასოდეს გაფრინდება. “და მაინც, — ამბობდნენ ზოგიერთები, — რაკი მან ამდენი ჯაფა გასწია, შეეძლო ეცადა მაინც.”

დღის მიწურულს, მარტოდ დარჩენილი ბენგჰჰარსტი საბოლოოდ გატყდა, ემოციებს ველარ იკავებდა. როგორც მითხრეს, გულამოსკვნილი აქვითინებულა, რაც წამდვილად შთამბეჭდავი სურათი უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, არ დავიწყებია იმის თქმა, რომ ფილმერმა ცხოვრება დაუნგრია, და მაკენდრიუს საფრენი აპარატი ნახევარ კრონად მიჰყიდა.

– მე კი მეგონა... – დაიწყო მაკენდრიუმ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მაგრამ სიტყვა აღარ დაასრულა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მომდევნო დილას ფილმერის სახელს უფრო ნაკლებად მოჰკრავდით თვალს „ახალი გაზიეთის“ გვერდებზე, ვიდრე ნებისმიერ სხვა ყოველდღიურ გამოცემაში. საზოგადოებრივი აზრის დანარჩენმა ორგანიზატორებმა განსხვავებული აქცენტებით, მათვის შესაფერი ღირსებითა და კომპეტენციის მეტ-ნაკლები დონით, ქვეყნიერებას აუწყეს „ახალი საფრენი აპარატის სრული ფისკუ“ და „თაღლითის თვითმკვლელობა“. თუმცა ჩრდილოეთ სარეის მაცხოვრებლებში ამ ცნობას ისეთი აუიოტაჟი არ გამოუწვევია, როგორიც იმ დროს დატრიალებულ უჩვეულო ატმოსფერულ მოვლენებს.

წინა საღამოს უილკინსონმა და მაკენდრიუმ გაცხარებით დაიწყეს კამათი, თავიანთი შეფის მიერ ჩადენილი ამ უკიდურესი ქმედების ფეშმარიტი მიზეზის გარკვევას ცდილობდნენ.

– საბრალო, ცოტა არ იყოს, მშიშარა გახლდათ, – თქვა მაკენდრიუმ, – მაგრამ ცოდნით კი ნამდვილად იმდენი იცოდა, რომ თაღლითობას ვერ დავწამებ. და მე მზად ვარ, ეს ყველას დავუმტკიცო, მისტერ უილკინსონ, როგორც კი სულს ოდნავ მოვითქვამთ. საცდელი ფრენების დროს აურზაურს ვერ ვიტან.

და მანამ მთელი მსოფლიო საფრენი აპარატის მიერ განცდილ მარცხზე ლაპარაკობდა,

მაკენდრიუ ეპსომისა და უიმბლდონის თავზე დანავარდობდა, ხან ძირს ეშვებოდა და ხანაც მაღლა ადიოდა. რაც შეეხება ბეგზარსტს, რომელიც კვლავ აღივსო იმედითა და ენერგიით, ცაში მონავარდე მაკენდრიუს დაედევნა — ღამის პიუამაში გამოწყობილი ავტომობილს მიაგრიალებდა, – საზოგადოებრივ უსაფრთხოების წესებსა და ადგილობრივ სავაჭრო პალატს არაფრად აგდებდა. მან საძინებლის ფანჯრიდან დალანდა ცაში მოფარფატე აპარატი, ხელი სტაცა კინოკამერას (რომელშიც ფირის ჩადება დაავიწყდა) და მანქანში ჩახტა. ახლა ის მაკენდრიუს დასდევდა, მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. ფილმერის ცხედარი კი მწვანე პავილიონში ესვენა ბილიარდის მაგიდაზე, სუდარანაფარებული.

თარგმნეს კონსტანტინე ქარდავამ და
ირაკლი ლომოურმა

ჟიანზელათა იმპერია

კაპიტანმა უერილომ მიიღო ინსტრუქცია, რომლის თანახმად თავისი ახალი, ზარბაზნიანი გემით, „ბენჯამინ კონსტანტით“ უნდა აეღო გეზი სოფელ ბადამასკენ, რომელიც მდინარე ბატემოს შენაკად გუარამადას ნაპირას მდებარეობდა და ადგილობრივებს შემოსული ჭიანჭველების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა. კაპიტანი დაეჭვდა, უფროსობა ხომ არ დამცირისო?.. მისი კარიერული წინსვლა რომანტიკულიც გახლდათ და სირთულეებით აღსავსეც, რაც დიდნილად ცნობილი ბრაზილიელი ბანოვანის ტრფობამ და მისმა ვნებიანმა თვალებმა განაპირობა. გაზიეთები „დიარიი“ და „ო ფუტურო“ ამის შესახებ ერთობ უპატივცემულოდ წერდნენ. ახლა კი იგრძნო, ეს შემთხვევა ქილიკისთვის მორიგ საბას მისცემდა.

იგი კრეოლი გახლდათ და ამიტომ ეტიკეტიცა და დისციპლინაც ჭეშმარიტი პორტუგალიელისა ჰქონდა. ერთადერთი ადამიანი, ვისაც გულს უშლიდა, მის გვერდში მყოფი ლანკაშირელი ინჟინერი ჰოლროიდი გახლდათ. სხვა ყველაფერთან ერთად, ამ უკანასკნელთან ურთიერთობა კაპიტანს საკუთარი ინგლისურის გაუმჯობესების საშუალებასაც აძლევდა. იგი ხომ ძლივს გამოთქვამდა „ტჰ“ ბერას.

– ვგონებ, რომ საოცარ უაზრობაში გამხვიეს, – ამბობდა ის, – აბა, რა უნდა იღონოს ადამიანმა ჭიანჭველების წინააღმდეგ? ისინი ხომ მოდიან და მიდიან?

– როგორც ამბობენ, – მიუგო ჰოლროიდმა, – ესენი არ ჩქარობენ წასვლას. თქვენ მიერ ნახსენები ყმანვილი სამბო იყო...

– ზამბო სხვადასხვა სისხლის შერევის ნაყოფია..

– სამბო. მან თქვა, რომ ხალხი ტოვებს იმ ადგილს!

კაპიტანი ერთ ხანს გაბრაზებული აბოლებდა.

– ეს ამბები უსათუოდ უნდა მომხდარიყო, – ამოლერლა მან ბოლოს, – რა არის ეს? ჭიანჭველების შემოსევები და ყოველივე ამდაგვარი ლვთის ნებით ხდება. ტრინიდადშიც მოხდა მს-

გავსი რამ – პატარა ჭიანჭველები ფოთლებს მიეზიდებოდნენ. ყველაფერს შემოაძარცვეს საფარველი, ფორთოხლის ხეები იქნებოდა, თუ მანგოსი! და რა? ზოგჯერ ჭიანჭველათა ურდოები სახლებში იქრებოდა და იქაურობას იკლებდა, თუმცადა ისინი სხვა ჯიშისანი იყვნენ. შენ დროებით ტოვებ სახლს მანამ, სანამ ისინი ყველაფერს არ მიასუფთავებენ. უკან ბრუნდები და სახლი გაკრიალებულია, თითქოს ახლად ნაშენი! აღარც ტარაკნებია სადმე, აღარც ბალლინჯოები და რწყილებიც არ დახტიან იატაკზე!

- ყმანვილი სამბო, – მიუგო ჰოლროიდმა,
- კი სულ იმას გვიკიუნებს, რომ რაღაც სხვა ჯურის ჭიანჭველები არიანო.

კაპიტანმა მხრები აიჩეჩა, ნაფაზი დაარტყა და სიგარეტს დაჟინებით მიაშტერდა. ცოტა ხანში კი კვლავ თემას დაუბრუნდა:

– ჩემო ძვირფასო ოლროიდ, აბა, მე რა უნდა ვუყო ამ ჯოჯოხეთიდან ამომძვრალ ჭიანჭველებს?

კაპიტანი ჩაფიქრდა.

– სასაცილოა უბრალოდ, – თქვა მან ბოლოს. თუმცა შეუადლისას იგი სრულად შეიმოსა თავის ფორმაში და ნაპირზე გადავიდა. მალე ქილებისა და ყუთების გემისკენ მოზიდვა დაიწყეს, ბოლოს კი თავად კაპიტანიც გამოჩნდა.

ჰოლროიდი კი საღამოს სიგრილეში გემბანზე მოკალათებულიყო, სიგარეტის ბოლს ღრმად ისუნთქავდა ფილტვებში და ბრაზილიის ხედით ტკბებოდა. აგერ უკვე მეექვსე დღე ილეოდა, რაც ისინი მდინარე ამაზონის აღმა მიცურავდნენ და ატლანტიკიდან რამდენიმე ასეული მილი მიჯნავდათ. კიდით კიდემდე, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ზღვასავით გადაჭიმულიყო ცისკიდური, სამხრეთით კი ვერაფერს დაინახავდი, გარდა შამბარმოდებული ქვიშიანი კუნძულისა. ტალახის-გან ამლვრული, ბლანტი წყალი კი უწყვეტად მოედინებოდა. მდინარე კაიმანებით იყო სავსე, ზედაპირთან კი კოლიბრები დაფარფატებდნენ. ხეთა ზროები უწყვეტ რიგად მოტივტივებდა. და ჰოლროიდის სულში სრული, უკიდეგანო სიცარიელე გაბატონებულიყო. ქალაქი ალემკუარი თავისი უბადრუკი ეკლესითა და გარდასული ნათელი დღეებიდან შემორჩენილი გახუნებული ნანგრევებით ის-ევე ჩაკარგულიყო ველური ბუნების წიაღში,

როგორც ექვსპერსიანი საპარას უდაბნოში – სახლის სახურავების მაგივრობას იქ ხშირი ბალახი სწევდა. ჰოლროიდი ჯერაც ჭაბუკი იყო. ის პირდაპირ ინგლისიდან ჩამოვიდა და პირველად აღმოჩნდა ტროპიკებში. ინგლისში კი ბუნება სრულად იყო დამორჩილებული, მიჯნებითა თუ არხებით შემოსაზღვრული. აქ მან ერთბაშად გაისიგრძეგანა ადამიანის უბადრუკობა. ისინი ექვსი დღის განმავლობაში მიცურავდნენ მდინარეზე და სულ უფრო სცილდებოდნენ ზღვას. ადამიანის დანახვა კი ისევე იშვიათად შეიძლებოდა, როგორც ეგზოტიკური ფარვანასი. ერთ დღეს რომ კანოეს მოჰკერეს თვალი, მეორე დღეს შორეული ნავსადგომი დალანდეს. ეგ იყო და ეგ, მას მერე ძე ხორციელის ჭაჭანება აღარ ყოფილა. ჰოლროიდი უკვე იმასაც კი ფიქრობდა, რომ ადამიანი იშვიათი სახეობის ცხოველია, რომლის არსებობა ჯერაც ბერვზე ჰკიდია.

რაც მეტი დღე გადიოდა, მით უკეთ აცნობიერებდა იგი ამას. მდინარე ბატემოსკენ დაკლაკნილ გზას მიუყვებოდა და ამ ღირსშესანიშნავ მეთაურს მხარს უმშვენებდა, რომელსაც ერთადერთი დიდი ზარბაზანი ებარა და თანაც ნაბრძანები ჰქონდა, ჭურვები უქმად არ დაეხარჯა. ჰოლროიდი დიდი მონდომებით სწავლობდა ესპანურს, მაგრამ ნამყო დროს ჯერაც ვერ გასცილებოდა და საყველპუროდ თუ შეეძლო ლაპარაკი. ზანგი ცეცხლფარეში იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მის გარდა ინგლისური იცოდა, და ისიც ერთობ ჩიქორთული ინგლისური. კაპიტნის ქვემდგომი მეთაური პორტუგალიელი და კუნხა ფრანგულად კი ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ფრანგული დიდად განსხვავდებოდა იმ ენისგან, რომელიც ჰოლროიდმა საუსპორტში შეისწავლა. ამიტომაც მათი საუბრები ზრდილობიანი მისალმებითა და ამინდზე თქმული მარტივი ფრაზებით შემოიფარგლებოდა. ხოლო ამინდი აქ, ისევე როგორც ამ ახალი განმაცვიფრებელი სამყაროს ნებისმიერ კუთხეში, ადამიანთა მიმართ შეუბრალებელი იყო. დღისითაც ცხელოდა და ღამითაც. ირგვლივ ადენილი ობშივარი (თვით ქარიც კი ობშივარს ჰგავდა) ლპობადი მცენარეების სუნად ყარდა. იქ იყვნენ კაიმანები და ეგზოტიკური ფრინველები, სხვადასხვა ჯურისა და ზომის ბუზები, ხოჭოები, ჭიანჭველები, გველები და მაიმუნ-

ები. ყველანი გაოცებულნი ჩანდნენ იმით, თუ რას სჩადიოდნენ ადამიანები ატმოსფეროში, რომელშიაც მზის შუქი არავის ჰევრიდა სილალეს, ხოლო ლამე – სიგრილეს. ტანისა-მოსის ტარება აუტანელი იყო, მაგრამ არც უიმისობა შეიძლებოდა, თუ დღისით მზიზე დახრაკვას არ აპირებდი, ლამით კი – აურაცხელი კოლოს ნადავლად ქცევას. გემბანზე ყოფ-ნისას თვალისმომჭრელ კაშკაშს შეიძლებოდა დაეპრმავებინე, ხოლო კაიუტაში ჩასვლისას სული დაგეხუთებოდა. შუადღისას რაღაც ბუ-ზები მოფრინავდნენ, რომელთაც ემარჯვებო-დათ, ადამიანის მკლავები თუ წვივები გან-საკუთრებით მნარედ დაენესტრათ. კაპიტანი უერილოც კი, რომელსაც ერთადერთს ხელე-ნიფებოდა ამ ფიზიკური ტანჯვების შემსუბ-უქება, თანდათან სულ უფრო მოსაპეზებე-ლი ხდებოდა. ჰოლროიდს ისე მონოტონურად უამბობდა თავის სასიყვარულო თავგადასავ-ლებს, თითქოს კრიალისანს მარცვლავდა. ხანდახან სთავაზობდა სპორტულ გასართობს და მაშინ კაიმანებს თოფს ესროდენენ. დროგ-ამოშვებით შემეჩერებულ ხეებში ადამიანთა ნასახლარსაც მიადგებოდნენ ხოლმე, იქ ერთი დღით რჩებოდნენ, ღვინით ყელს ისველებდ-ნენ, ან უბრალოდ ფეხს მოირთხამდნენ. ერთ ღამეს კრეოლ ქალიშვილებთანაც იცეკვეს, რომელთათვის ჰოლროიდის დამტვრეული ესპანური მშვენივრად გამოიდგა, – ესპანური წარსული და მომავალი დროების გარეშე. მა-გრამ ყოველივე ეს მარტოოდენ ცალკეული გამონათებები თუ იყო ამ გრძელსა და მდორე გზაზე, რომელზეც ისინი გემის მოდგანდგარე ძრავას მიჰყავდა. ეჭვი არ არის, რომელიდაც ნაკლებად ცნობილი ღვთაება ღვინის ბოთლად გარდასახულიყო და გემის კიჩოდან წვერამდე ყველას საერთო მხიარულებით აცდუნებდა.

მაგრამ ყოველი შეჩერებისას უერილო სულ უფრო მეტს იგებდა ჭიანჭველების შესახებ და თავისი მისიისადმი ინტერესიც სულ უფრო მეტად უდივივდებოდა.

– ეს ჭიანჭველები სრულიად ახალ სახეო-ბაა, – თქვა მან, – ჩვენ, ალბათ, უნდა გაე-დეთ... მოიცა, რას ეძახით, ენტომოლოგებს?.. ჰო, ენტომოლოგები უნდა გავხდეთ. დიდ-ზე დიდი ჭიანჭველები არიან. ხუთი სანტი-მეტრის სიგრძის! ზოგიც კიდევ უფრო დიდი! სასაცილოა, არა? მაიმუნებივით გაგვაგზავნეს

მწერების შესაგროვებლად... თუმცა მათ მთე-ლი ქვეყანა გადაჭამეს.

უერილომ უეცრად იფეთქა:

– ნარმოუდგინეთ, უეცრად ევროპასთან პრობლემები რომ შეგვექმნას, მე კი ამ გადა-კარგულში ვარ. მალე რომ-ნეგროს სათავეე-ბამდეც მივაღწევთ, ზარბაზანი კი ერთხელაც არ გამისვრია!

მუხლი დაიზილა და ჩაფიქრდა.

– ადამიანები, აქ რომ ცეკვავდნენ, სხვა ადგილებიდან მოვიდნენ. მათ ყოველივე და-კარგეს, რაც ებადათ. ჭიანჭველები მათ სახლს შეუადგისას დაესხნენ თავს. ყველანი გარეთ გამოცვიდნენ. იცით, როცა ჭიანჭველები ჩნდებიან, ყველა მაშინვე გაქცევით შველის თავს, ისინი კი მთელს სახლს აპარტაჟებენ. თუ დარჩები, მათ ლუკმად იქცევი, ხვდებით ხომ? კეთილი, ამჟამად ისინი უკუქცეული არიან. როგორც ამბობენ, ჭიანჭველები გაგვცილდ-ნენო... თუმცა ისინი არსადაც არ წასულან. როცა ხალხმა თავიანთ სახლებში შესვლა სცა-და, როცა ვიღაც ბიჭუნამ შედგა ფეხი სახლში, მაშინვე ჭიანჭველები მიესივნენ.

– მთელი ურდო შეესია?

– დაკინეს. სახლიდან ბლაგილით გამო-ვარდა. წყალში ჩახტა და ჭიანჭველებიც ჩახ-რჩო. ჴო... – უერილო დადუმდა, ამღვრეული თვალები ჰოლროიდის პირისახესთან მიიტანა და ჰოლროიდის მუხლზე თითის კვირისტავები ააპაკუნა.

– ის იმავე ღამით გარდაიცვალა, თითქოს გველმა დაგესლაო.

– როგორ, დაინესტრა? ჭიანჭველების მიერ?

– აბა, რა ვთქვა? – უერილომ მხრები აიჩე-ჩა, – შესაძლოა ძალზე მნარედ დაკინეს... აქ სამსახური იმიტომ დავიწყე, რომ ადამი-ანებთან მებრძოლა. ეს არსებები კი, ეს ჭიან-ჭველები მოდიან და მიდიან. აბა, მათთან ომი რა ჩვენი საქმეა?

ამის შემდეგ კაპიტანს ჰოლროიდთან არ-აერთხელ ჩამოუგდია სიტყვა ჭიანჭველებზე, და როცა კი მათ საშუალება ეძლეოდათ, რო-მელიმე, თვით ყველაზე უბადრუკ სამოსახლოს სწვეოდნენ, წყლის, მზის შუქისა და შორეული ხეების სიღრმეში რომ იყო ჩაკარგული, ჰოლ-როიდს თავისი გაუმჯობესებული ესპანურის

წყალობით სულ უფრო მკაფიოდ ესმოდა სიტყვა „საუბა“, ყველას რომ პირზე ეკერა.

ახლა ჰოლრობიდაც ცხოველი ინტერესი აღეძრა ჭიანჭველათა მიმართ. და რაც უფრო უახლოვდებოდა დანიშნულების ადგილს, მისი ინტერესიც სულ უფრო ლვივდებოდა და ცხოველდებოდა. ჟერილომ უეცრად სასიყვარულო ისტორიებს თავი ანება და პორტუგალიელი ლეიტენანტი საოცრად ენანცილიანი შეიქნა. მას რაღაცები გაეგებოდა ფოთოლიჭამია ჭიანჭველების შესახებ და თავის ცოდნას უშურველად უზიარებდა ჰოლრობის. იგი მას უამბობდა ციცქანა მუშებზე, რომლებიც ლაშერობენ და ომობენ, და დიდ მუშებზე, რომლებიც მათ განაგებენ და მეთაურობენ. ეს უკანასკნელი ადამიანს კისერზე აცოცდებიან, კენებ და სისხლს ადენენ. იგი ჰყვებოდა, თუ როგორ ანანცერებენ ჭიანჭველები ფოთლებს და სოკოებისგან სასთუმალს იმზადებენ, მათი ბუდეები კარაკასში ასობით იარდზეა გადაჭიმული. მთელი ორი დღე სამი კაცი იმაზე დავობდა, ჭიანჭველებს თვალები აქვთ თუ არაო. მომდევნო შუადლეს კამათი მეტად გაცხარდა, სანამ ჰოლრობიდა არ განმუხტა დააბულობა, როდესაც ნავით მდინარის ნაპირს გაუყვა ჭიანჭველების მოსახელთებლად და დასათვალიერებლად. მან უამრავი განსხვავებული ეგზემპლარი მოიხელთა და უკან დაბრუნდა. ზოგ მათგან ჰქონდა თვალები, ზოგსაც – არა. მერე იმის თაობაზე გააჩაღეს კამათი, ჭიანჭველები ინესტრებიან თუ იყინებიანო.

– იმ ჭიანჭველებს, – თქვა ჟერილომ, რანჩოში მოსმენილი ინფორმაცია როცა შეაჯამა, – დიდი თვალები აქვთ და ბრმად არ დარბიან, როგორც ეს ამ მწერების უმეტესობას სჩვევია. არამც და არამც! ისინი კუთხეში იყუუებიან და თვალს ადევნებენ შენს ყოველ მოქმედებას!

– და ინესტრებიან? – ჰქითხა ჰოლრობიდა.

– დიახაც, ინესტრებიან. შხამს ნესტარში ინახავენ.

ჟერილო დაფიქრდა.

– არც კი ვიცი, ადამიანები ამ ჭიანჭველებს როგორ უნდა გაუმკლავდნენ. როცა უნდათ, მოდიან და როცა უნდათ, მიდიან.

– მაგრამ ესენი ხომ ნასვლას აღარ აპირებენ.

– მოუწევთ, – მოუჭრა ჟერილომ.

ტამანდუს შემდეგ ოთხმოცი მილის სიგრძეზე ვიწრო და უკაცური ნაპირია გადაჭიმული. კიდევ განაგრძობთ გზას და მთავარი მდინარისა და ბატემოს შენაკადის შერწყმას იხილავთ, დიდ ტბას რომ მოგაგონებთ. მათ შემდეგ კი უღრანები ახლოვდება, უღრანები, რომელთაც მოგზაურები, როგორც იქნა, მიადგნენ. არხის მოვანილობა აქ იცვლება – მკვეთრად მიხვეულ-მოხვეული ხდება. „ბენჯამინ კონსტანტი“ იმ ღამით ხეთა მრუმე ჩრდილქვეშ მიაბეს თოკით. პირველად მრავალი დღის შემდეგ სიგრილემ დაპბერა. ჟერილომ და ჰოლრობიდა მოსაღამოვებულზე ფეხი მოიფრთხეს, სიგარები გააბოლეს და ამ გასაოცარ გრძნობებს მიეცნენ. ჟერილოს გონება ჭიანჭველებითა და მათ შესაძლებლობათა შესახებ ფიქრებით იყო აღსავსე. ბოლოს და ბოლოს იმედგადანურულმა და თავგზაბნეულმა გადაწყვიტა თვალი მოეხუჭა და გემბანზე გაფენილ ლეიბზე წამოწვა. მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, ჩაეძინა, ჟერილომ უსასოოდ ჩაილაპარაკა:

– რა შეიძლება ადამიანმა ჭიანჭველებთან გაანციოს?.. ამაოა ეს ყველაფერი.

მარტოდ დარჩენილ ჰოლრობიდა ისლა დარჩენილ დაკენილი მაჯები ექავა და ფიქრებს მისცემოდა. ფალშბორტზე იჯდა და მანამ უგდებდა ყურს ჟერილოს ფშვინვას, სანამ ამ უკანასკნელს არ ჩაეძინა. შემდეგ მისი გულისყური ტალღების ტყლაშუნმა მიიპყრო. ამან მასში უკიდეგანობის შეგრძნება გააღვიძა, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა პარას დატოვების მერე, რაც მდინარეს აუყვნენ. ფარანი ძლივსღა ბუტავდა, თავდაპირველად რაღაც ჩქამი გაისმა, მერე კი კვლავაც დუმილმა დაისადგურა. მან მზერა ზარბაზნიანი გემის შუაგულში აღმართული კონსტრუქციების ბუნდოვანი მოხაზულობებიდან ნაპირზე, უფრო სწორად კი უღრანის იგავმიუწვდომელ შავ იდუმალებაზე გადაიტანა. ტყეში ციცინათელები კიაფობდნენ, და უცხო, იდუმალი შრიალი ისმოდა...

ხმელეთის უკიდეგანო სივრცე აოცებდა და თრგუნავდა. მან იცოდა, რომ ზეცაში ადამიანები არ დაფიქრენ, ვარსკვლავები კი უკიდეგანო კოსმოსში მოჭიატე ნაპერწკლებია. მან იცოდა, რომ ოკეანე უსაზღვრო და დაუმორჩილებელია, მაგრამ ინგლისში ყოფნისას

მიჩვეული იყო იმ აზრს, რომ ხმელეთი ადა-
მიანთა საკუთრებაა. რასაკვირველია, ინგლის-
ში ხმელეთი ადამიანებისაა, ველური ბუნება
დამორჩილებულია. ყველგან, სადაც კი თვა-
ლი წვდება, გზები, ღობები და სრული დაც-
ულობაა. ატლასების მიხედვითაც, ხმელეთი
ადამიანთა სამფლობელოა და სხვადასხვა-
ფრადაა აჭრელებული, რათა ოკეანეების
უკიდეგანო სილურჯესთან ესოდენ მჭახე კონ-
ტრასტსა ქმნის. მას იოტისოდენა ეჭვიც არ
გასჩენია, რომ ერთ დღეს დედამიწის ყველა
კუთხე-კუნძულში სახნავ-სათესები გაჩნდე-
ბოდა და კულტურული მცენარეები გაშენდ-
ებოდა, გზები დაიგებოდა, ტრამვას ხაზები
გაივლიდა, კანონი კი ყველას უსაფრთხოებას
უზრუნველყოფდა. ახლა კი ამაში ეჭვი შეეპ-
არა.

ტყეს სამანი არ უჩანდა და უძლეველო-
ბის სურნელს აფრქვევდა, ხოლო ადამიანი,
საუკეთესო შემთხვევაში, დროებითი, დამ-
არცხებისათვის განწირული ინტერვენტის
შთაბეჭდილებას ტოვებდა. ადამიანს შეეძლო
მრავალი მილი ევლო გიგანტური ხეების მდუ-
მარე შერკინებაში, ლიანები რომ ახრჩობდნენ,
ყველგან იყო მჭახე ფერის ყვავილები. ყველ-
გან ფუთფუთებდნენ კაიმანები, კუები, აუ-
რაცხელი ჯურის ჩიტი თუ მწერი. იქ მკვიდ-
რობდნენ, ეს მათი საუფლო იყო და ადამიანი
მახრჩობელას ან მხეცის ლუკმად იქცეოდა,
მწერი ან სიცხე გადაიყოლებდა, როგორც კი
იქაურობას გაკაფავდა და ერთი ციცქნა მი-
ნის ნაკვეთისთვის ნადირსა და მწერებს შეე-
ბრძოლებოდა. დაღმა მდინარეზე ადამიანი
უკვე გაეძევებინათ. იმ უკაცრიელ შენაკადებს
შერჩენოდა სახელი “კაზა”, თუმცა ჩამონგრეუ-
ლი თეთრი კედლები და დალენწილი კოშკები
უკანდახევაზე მეტყველებდა. იქ ადამიანზე
მეტად ჰუმები და იაგუარები ბატონობდნენ.

მაგრამ ვინ იყო იქაურობის ნამდვილი ბა-
ტონ-პატრონი?

ჰოლროიდს ყველაფერი მოაგონდა, რასაც
კი უერილო ჭიანჭველების შესახებ უამბობ-
და. ისინი შეამს გველებივით იყენებდნენ და
დიდი ზომის ნინამძღოლებს ემორჩილებოდ-
ნენ, როგორც ფოთლებისმჭამელი ჭიანჭველე-
ბი, ხორცით იკვებებოდნენ და რა ადგილსაც
შეესეოდნენ, იქვე რჩებოდნენ.

ტყე დუმდა. წყალი გემის ბორტზე ტყ-
ლაშუნობდა. ჩამოკიდებულ ფარანს ფარვანე-
ბი უხმაუროდ აწყდებოდნენ.

— რა შეიძლება ადამიანმა გააწყოს? — უერ-
ილომ ამოიოხრა, გვერდი იცვალა და კვლავ
ჩაეძინა. ჰოლროიდი ფიქრებიდან გამოერკვა,
რომლებიც კოლოების წუილის ფონზე კიდევ
უფრო ავისმომასწავებელი ხდებოდა.

II

მომდევნო დილას ჰოლროიდმა შეიტყო,
რომ ბადამადან ორმოცი კილომეტრის დაშ-
ორებით იმყოფებოდნენ და ამიტომაც სანა-
პიროებისადმი აღძრული ინტერესი გაუცხ-
ოველდა. იგი მაშინვე გემბანზე ამოდიოდა,
როცა კი გარესამყაროს ხეირიანად დათვა-
ლიერების საშუალება ჰქონდა. თუმცა არსად
კაცის ჭაჭანება არ იყო, თუკი მხედველობაში
არ მივიღებთ სარეველა ბალახებით გაბარდ-
ნილი სახლების ნაშთებს და დიდი ხნის წინათ
გაუკაცრიელებული მოუქს მონასტრის მწვან-
ითმოსილ ფასადს, რომლის უდაბური სარკმ-
ლიდან ხე ამოზრდილიყო. უდაბურ ბჭეებთან
დიდრონი ჩიტები დანავარდობდნენ. იმ დილ-
ით რამდენიმე უცნაურმა ყვითელმა პეპელამ
ნახევრადგამჭვირვალე ფრთებით გადაუფრი-
ნა მდინარეს, ზოგიც ფარანთან მითარფატდა
და ადამიანთა მიერ იქნა მოკლული. მზე შუბის
ტარზე იქნებოდა შემდგარი, როდესაც ისინი
მიტოვებულ კუბერტას მიადგნენ.

თავდაპირველად მიტოვებული სულაც არ
გეგონებდათ: ორივე იალქანი აღემართათ,
შუადღის უძრავ ჰაერში მომჩვარული ეკიდა,
ცოტა უფრო წინ კი, ქიმზე, ადამიანი იჯდა.
მეორე ადამიანი თავდაღმა გაწოლილიყო,
თითქოს ეძინა, სიგრძეზე გადებულ „ხიდზე“,
დიდ კანოეებს რომ აქვთ ხოლმე შუაში. მა-
გრამ ყოველივე ეს მხოლოდ ერთი შეხედვით
ჩანდა ასე. როდესაც კუბერტა ზარბაზინან
გემს მიუახლოვდა, ცხადი შეიქნა, რომ რაღაც
რიგზე ვერაა. უერილომ კუბერტა ჭოვრიტით
შეათვალიერა, ქიმზე მუდომი კაცის უცნაუ-
რად ჩამუქებულ სახეს დაკვირდა. აშკარად
უცხვირო ინდიელი იყო. თანაც, კი არ იჯდა,
უფრო მოკრუნჩეულიყო. რაც უფრო დიდხანს
აკვირდებოდა მას კაპიტანი, მით უფრო უქრე-

ბოდა ყურების სურვილი, მაგრამ ბინოკლის თვალიდან მოცილებასაც ვერ ახერხებდა.

თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა ეს, როდესაც ჰოლროიდის მოსახმობად დაიძრა, შემდეგ კი უკანვე გამობრუნდა, კუბერტაზე მყოფებს ხმამაღლა გასძახა. კუბერტას კიდევ ერთხელ დაუყვირა, როდესაც კუბერტამ მის გემს გვერდით ჩაუარა. კუბერტას სახელი - „სანტა როზა“ - სავსებით მკაფიოდ იკითხებოდა. როდესაც კუბერტა სულ ახლოს მოცურდა და ოდნავ შეტორტმანდა, დაკრუნჩული სხეული ძირს ისე ჩამოზვავდა, თითქოს ყველა სახსარი მოსწყდაო. ქუდი მოსტვრა და მისი თვალისათვის უსიამო თავი მოაშიშვლა, გვამი კი მოწყვეტით გადაიქცა და გემის მოაჯირს მიღმა ჩაქანდა.

- კარამბა! - შესძახა ჟერილომ და მოახლოებული ჰოლროიდისკენ იბრუნა პირი,

- დაინახეთ? - ჰკითხა კაპიტანმა.

- მკვდარია! - მიუგო ჰოლროიდმა, - დიახ. ჯობია, ნავი გააგზავნოთ. იქ რაღაც ვერაა რიგზე.

- შემთხვევით სახეზე არ შეხედეთ?

- სახეზე რა სჭირს?

- სჭირს კი არადა... ოპ!.. სიტყვები არ მყოფნის...

კაპიტანმა ჰოლროიდს ზურგი აქცია და ენერგიული, მომთხოვნი მეთაურის როლში შევიდა.

ზარბაზნიანი გემი კანოეს მიუახლოვდა, გაუსწორდა და ნავი ჩაუშვა. ნავში მსხდომ ლეიტენანტ და კუნხას და სამ მეზღვაურს კუბერტაზე ასვლა ევალებოდათ. მას შემდეგ, რაც ლეიტენანტმა გემბაზე ფეხი შედგა, მოძალებულმა ცნობისწადილმა კაპიტანი აიძულა, გემით თითქმის კუბერტას შიბჯენოდა. ასე რომ, ჰოლროიდის თვალინ მთელი „სანტა როზა“ გადაიშალა გემბანიდან ტრიუმებამდე.

ახლა მან თვალნათლივ დაინახა, რომ გემის მთელი ეკიპაჟი ორი მიცვალებულისგან შედგებოდა და თუმცა კი მათი სახები ვერ გაარჩია, კარგად დაინახა მათი გაფარჩეული ხელები, რომელებზეც ხორცი ნაფლეთებად ეკიდა. ეს იმაზე მეტყველებდა, რომ ორივე გვამი ერთობ უცნაურად იხრწნებოდა. თავდაპირველად ჰოლროიდის მთელი ყურადღება უმწეოდ ჩამოყრილმა კიდურებმა და ბინძური ტანსაცმლის ორმა უცნაურმა გროვამ მიიყვ-

რო, თუმცა შემდეგ მზერა ლია ტრიუმზე გადაიტანა, სკივრებითა და ყუთებით რომ იყო სავსე, მერე კი კიჩოზე, სადაც უცნაურად ცარიელი მომცრო კაიუტა ჩანდა. მაშინდა შენიშნა, რომ გემბანის შუა ადგილი შავი მოძრავი წერტილებითა მოფენილი.

იმ შავმა წერტილებმა მისი ყურადღება მიიპყრო. ისინი ადამიანთა გვამებს შორდებოდნენ. ყველა მიმართულებით მიძრაობდნენ, - ეს სურათი წარმოუდგა გონებაში, - როგორც ხალხი, ხარების ბრძოლიდან რომ გამოდის.

იგრძნო, ჟერილო გვერდით დაუდგა.

- კაპიტანო, - თქვა მან, - ბინოკლი თან გაქვთ? იქნებ გემბანის შუა ნაწილი დაათვალიეროთ?

კაპიტანმა რაღაც უკამაყოფილოდ ჩაიბურტყუნა და ბინოკლი მიაწოდა, რასაც გულდასმით დაკვირვების რამდენიმე წუთი მოჰყვა.

- ჭიანჭველებია, - თქვა ინგლისელმა და ბინოკლი ჟერილოს დაუბრუნა.

მოეჩვენა, რომ ჩვეულებრივი შავი ჭიანჭველები იყვნენ, ოლონდ ზომით უფრო დიდები, ხოლო მათ შორის შედარებით მოზრდილებს, რუხი მოსასხამებივით რაღაც ჰქონდათ. თუმცა რაიმეს დაბეჯითებით თქმა ძნელი იყო, რადგან ცოტა ხანი აკვირდებოდა. ლეიტენანტმა და კუნხამ ტრიუმიდან თავი ამოყო, რასაც მოკლე საუბარიც მოჰყვა.

- ბორტზე უნდა ახვიდეთ, - უთხრა ჟერილომ.

ლეიტენანტმა მოუგო, რომ კუბერტა ჭიანჭველებითაა სავსე.

- ჩექმები ხომ გაქვთ, - უთხრა ჟერილომ.

ლეიტენანტმა საუბრის თემა შეცვალა.

- ეს ადამიანები რამ მოკლა? - იკითხა მან.

კაპიტანმა ჟერილომ დაინუყო მსჯელობა, რომელიც ჰოლროიდს ალარ ესმოდა. კამათი სულ უფრო ცხარე ხდებოდა. ჰოლროიდმა ბინოკლი მოიმარჯვა და კიდევ ერთხელ დააკვირდა ჯერ ჭიანჭველებს, მერე კი გემის შეუგულში განოლილ ორ ცხედარს.

ის ჭიანჭველები ერთობ დაწვრილებით აღმინერა. მითხრა, რომ ისინი ისეთივე ზომისანი იყვნენ, როგორიც მის მიერ მანამდე ნანახი ჭიანჭველები. შავები იყვნენ და გარკვეულ, წინასწარ შერჩეული მიმართულებით მოძრაობდნენ, რაც ჩვეულებრივი ჭიანჭველების ქაოტურ ფუსფუსს არაფრით

ჰგავდა. დაახლოებით ყოველი მეოცე თავის თანამოძმეულზე მოზრდილი იყო, გამორჩეულად დიდი თავი ება. ამან კიდევ ერთხელ გაახსენა უფროსი მუშები, რომლებიც, როგორც ამბობენ, ფოთოლჭამია ჭიანჭველებს ხელმძღვანელობენ. მათ მსგავსად, ეს ჭიანჭველებიც უმეტესწილად კოორდინირებულად და შეთანხმებულად მოძრაობდნენ. უცნაურად მოძრაობდნენ, სხეულები თითქოს უკან გადაეგდოთ და ისე გადაადგილდებოდნენ, გეგონებოდა, წინა ფეხებით რაღაცის გაკეთებას აპირებდნენ. მას ისიც კი მოეჩვენა (თუმცა, რასაკირველია, ამ დასკვნის მართებულობაზე თავს ვერ დადებდა, დასაკვირვებელი ობიექტების სიშორიდან გამომდინარე), რომ მათ უმეტესობას აღჭურვილობის მსგავსი რაღაც ჰქონდათ, რომელიც სხეულზე თითქოს ლითონის სირმებისგან ნაქსოვი თეთრად მოლაპლაპე ძაფით იყო მიმაგრებული.

ბინოკლი ეგრევე დაუშვა, როდესაც გააცნობიერა, რომ კაპიტანსა და მის ქვემდგომს შორის კამათი მეტისმეტად გამწვავდა.

— ეს თქვენი მოვალეობაა, — თქვა კაპიტანმა, — ბორტზე უნდა ახვიდეთ. ეს ბრძანებაა.

ლეიტენანტს უარის თქმამდე ალარაფერი უკლდა. მის გვერდით მულატი მეზღვაური გამოჩნდა.

— დარწმუნებული ვარ, ჭიანჭველებმა მოკლეს, — უცებ ინგლისურად თქვა ჰილროიდმა.

კაპიტანი გაცოფდა. პოლონიდს არაფერი უთხრა.

— ბორტზე ასკლა გიბრძანეთ! — პორტუგალიურად დაუღრიალა ქვემდგომს, — თუკი არ დამემორჩილებით, ეს ამბოხი იქნება! ნამდვილი ამბოხი. ამბოხი და ლარიობა! სად გაქრა თქვენი ჩევეული გულადობა? ბორკილებს დაგადებთ, მერე კი ჩაგაძალებთ!

მერე გინებას და წყველა-კრულვას მოყვა, აქეთ-იქით ანყდებოდა ცოფმორული. მუშტებს იქნევდა, თავს ველარ იმორჩილებდა. გაფითრებული ლეიტენანტი კი მდუმარედ იდგა და უყურებდა. ეკიპაჟის გაოგნებული წევრები ნელ-ნელა მიუახლოვდნენ.

უეცრად, როდესაც კაპიტანი ერთი წამით დაცხრა, ლეიტენანტმა გმირული გადაწყვეტილება მიიღო, სამხედრო სალამი მისცა, ძალა მოიკრიბა და კუპერტაზე აძვრა.

— აჲ! — აღმოხდა ჟერილოს, მერე კი პირი მოკუმა ხაფანგივით. პოლონიდმა შენიშნა, ჭიანჭველები და კუხნას ჩექმებს როგორ ერიდებოდნენ. პორტუგალიელი ნელა მიღიოდა ცხედრებისკენ, შედგა, დაიხრა, ოდნავ შეყოყმანდა, ერთ-ერთს ქურთუე გააძრო და გვამი გადააბრუნა. ტანსაცმლიდან ჭიანჭველები ამოცვიდნენ. და კუნხა უკან გახტა, გემბანზე ჭიანჭველების ფეხით სრესას მოჰყვა.

პოლონიდმა ბინოკლი თვალებთან მიიტანა. მან დაინახა, თუ როგორ მიმოიფანტნენ ჭიანჭველები და ისეთი რაღაცის კეთება დაიწყეს, რასაც ჭიანჭველები არასოდეს აკეთებენ. მათ გადაადგილებას არაფერი საერთო არ ჰქონდა ჩევეულებრივი ჭიანჭველას ბრმა მოძრაობასთან. ისინი უყურებდნენ ლეიტენანტს ისე, როგორც ბრძო შეიძლება უმზერდეს გიგანტ მონსტრს, რომელმაც ის გაფანტა.

— რისგან მოკვდა? — დაუყვირა კაპიტანმა.

პოლონიდს იმდენი პორტუგალიური კი ესმოდა, რომ გაეგო პასუხი, გვამი ისეა გამოჭმული, რომ მიზეზის დადგენა შეუძლებელია.

— და წინ რაღაა? — იკითხა ჟერილომ.

ლეიტენანტმა წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და პორტუგალიურად უპასუხა. უეცრად შედგა და უცნაურად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, თითქოს რაღაც უხილავ არსებებს სრესდა, შემდეგ კი სწრაფად გადგა განზე. ყურადღებას წამითაც არ ადუნებდა, შებრუნდა და ტრიუმისაკენ წავიდა. ფორდებული ავიდა, სადაც ნიჩბები იყო მიმაგრებული, მცირე ხნით მეორე ცხედართან დაიხარა, ხმამალლა ამოიოხრა, შემდეგ კი მტკიცე ნაბიჯით გაბრუნდა უკან - კიჩისთან მდებარე კაიუტისკენ. კაპიტანს მიუბრუნდა და საუბარი გააპა. ორივენი ცივად, თუმცა კი პატივისცემით მიმართავდნენ ერთურთს, რაც მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა იმ მძვინვარებასა და შეურაცხყოფასთან, რამდენიმე წუთის წინ რომ გაისმოდა. პოლონიდს ამ საუბრის მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტები ესმოდა.

მან კვლავ მოიმარჯვა ბინოკლი და თავის-და გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ჭიანჭველები გემბანის ყველა გამოსაჩენი ნაწილიდან გაკრეფილიყვნენ. გემბანის ქვეშ სიბნელეს მიაჩერდა და მოეჩვენა, რომ იქიდან უამრავი თვალი უმზერს.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ კუბერტა მი-
ტოვებულია, მაგრამ იმდენად იყო სავსე ჭიან-
ჭველებით, რომ იქ მეზღვაურების გაგზავნა,
ლამე რომ დარჩენილიყვნენ, საშიში გახლდათ,
ამიტომ სხვა გზა არ იყო, ბუქსირზე უნდა აეყ-
ვანათ. ლეიტენანტი წინ გავიდა, რომ ნასროლი
ბოგირი მიეღო და კუბერტაზე მიება, ნავში
მსხდომი მეზღვაურები კი ფეხზე წამოდგნენ,
დროზე რომ დახმარებოდნენ. ჰოლროიდმა ბი-
ნოკლით შეხედა კანოეს.

იგი თანდათან სულ უფრო მეტად რწმუნდე-
ბოდა, რომ კუბერტაზე, თუმც კი თვალისთვის
უხილავი, მაგრამ გამალებული მუშაობა მიმ-
დინარებოდა. მიხვდა, რომ ვეებერთელა ჭიან-
ჭველები, ასე, ორი ინჩის სიგრძისანი, უჩვეუ-
ლო მოყვანილობისა და მისთვის გაუგებარი
დანიშნულების ტვირთს ერთი მოფარებული
ადგილიდან მეორისაკენ ეზიდებოდნენ. გამო-
საჩენ ადგილებში გრძელ რიგებად კი არ მოძ-
რაობდნენ, არამედ გაშლილ, სიგანეზე გადაჭ-
იმულ მნკრივებად, რაც, რაოდენ უცნაურიც
უნდა იყოს, თანამედროვე ფეხოსანთა სწრაფ
მსვლელობას მოგაგონებდათ მათკენ გახსი-
ლი ცეცხლის ქვეშ. უამრავი მათგანი მკვდრე-
ბის ტანსაცმლის ნაკუნებით იფარავდა თავს,
და იმ ადგილას, რომელზეც და კუნხას უნდა
გაევლო, ჭიანჭველების მთელ არმიას მოეყარა
თავი.

ჰოლროიდს არ დაუნახავს, ჭიანჭველები
ლეიტენანტს როგორ დაესხნენ თავს, მაგრამ
ახლაც იოტისოდენა ეჭვიც არ ეპარება, რომ
მათ საგულდაგულოდ დაგეგმილი შეტევა გა-
ნახორციელეს. უეცრად ლეიტენანტმა წამოი-
ყვირა და გინებით ფეხებზე ხელების რტყმას
მოჰყვა.

— დამნესტრეს! — იყვირა მან, კაპიტნისკენ
მიბრუნდა. სახე უერილოს მიმართ სიძულვილ-
ითა და საყვედურით დაღრეჯვოდა.

იგი გემის ბორტს გადაევლო, თავის ნავ-
ში ჩახტა, იქიდან კი წყალში გადაეშვა. ჰოლ-
როიდმა დაგაფუნის ხმაც გაიგონა.

სამმა კაცმა წყლიდან ნავში აათრია. იმავე
ლამეს გარდაიცვალა.

ჰოლროიდი და კაპიტანი კაიუტიდან გა-
მოვიდნენ, სადაც ლეიტენანტის გასიებული
და დასახიჩრებული სხეული ესვენა. კიჩოს-
თან ატუზულები მისჩერებოდნენ ავისმომას-
ნავებელ ხომალდს, რომელიც ბუქსირით მი-
ჰყავდათ. დახუთულ, კუნაპეტ ლამეს ხანდახან
თუ გაჰკვეთდა ღრუბლებზე არეკლილი ელ-
ვის იდუმალი კრომა. ხომალდს ბუნდოვანი
შავი სილუეტი მიჰყვებოდა, ანძების თავზე
შავი ბოლი მიცურავდა, კუბერტას იალქნები
იბერებოდა და ხმაურობდა.

უერილოს კი კვლავაც ლეიტენანტის გა-
ბოროტებული სიტყვები ახსენდებოდა, სასიკ-
ვდილო სარეცელზე სიცხიანს რომ აღმოხდა.

— მან თქვა, რომ მე მოვკალი, — შფოთავდა
კაპიტანი, — ეს კი უბრალოდ აბსურდია. ვიღაც
ხომ უნდა ასულიყო გემბანზე. ნუთუ მაშინვე
გაქცევით უნდა ვუშველოთ თავს, როგორც კი
ეს შეჩვენებული ჭიანჭველები გამოჩნდებიან?

ჰოლროიდს კრინტიც არ დაუძრავს.
ფიქრობდა ციცქანა შავი არსებების ორგანი-
ზებული შეტევის შესახებ მზით განათებულ,
ცარიელ გემბანზე.

— იგი ვალდებული იყო, წასულიყო, — იმ-
ეორებდა უერილო, — სამსახურებრივი ვალ-
დებულების შესრულებისას მოკვდა. რა
უფლებით მადანაშაულებდა? მომკალიო!..
საბრალო... როგორ ამბობენ?.. შეურაცხადი
იყო. ცოტათი გარეკა, ეტყობა. შხამისგან მთ-
ლად გასივდა... ჰმ..

ორივე დადუმდა. დიდხანს აღარ ამოულიათ
ხმა.

— ჩვენ ჩავძირავთ კანოეს. ან სულაც დავწ-
ვათ..

— და მერე?

ამ შეკითხვამ უერილოს წონასწორობა დაა-
კარგვინა. ხელები აღშფოთებით გაიქნია.

— და რა უნდა მოუხერხო? — დაიყვირა მან,
და მისი ხმა გაავებულ კივილს დაემსგავსა,

— რაც უნდა იყოს, — კივილებშუა გამოსცრა,
— ყველა ჭიანჭველას, კუბერტაზე რომ არიან,
ცოცხლად დავწვავ!

ჰოლროიდი საუბარში აღარ ჩართულა.
მაიმუნების შორეული კივილი და ჭყივილი
იმ ჩახუთულ, ნესტიან ლამეს ძრნოლისმომ-

გვრელი ხმებით ავსებდა, ხოლო როდესაც ზარბაზნიანი გემი იდუმალებით მოცულ, შავ ნაპირებს მიუახლოვდა, ამას ბაყაყების გულისგამაწვრილებელი ყიყინიც დაერთო.

— მაშ, რა უნდა გააწყოს ადამიანმა? — გაიმეორა კაპიტანმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ. და უცებ გამხეცებულმა გადაწყვიტა, „სანტა როზას“ ახლავე დავწვავო. ეს აზრი ყველას მოქონა და საქმეს ხალისით შეუდგნენ. ბაგირი მოქაჩის, გადაჭრეს, ნავს ძირს გადაუძახეს და ნავთი გადაასხეს, და მალე კუბერტა ტროპიკული ღამის წყვდიადში გიზგიზა ალმა მოიცვა. ჰოლროიდი თვალს ვერ სწყვეტდა კუნაპეტ სიბრელეში ავარდნილ ყვითელ ალს, და ასევე, ტყის თავზე გაკლაკნილ ელვას, მყისიერ სურათებს რომ გამოაშუქებდა ხოლმე. მის უკან ცეცხლფარეში იდგა, ისიც ცეცხლს უმზერდა. ისე აღლდა, რომ საკუთარი ლინგვისტიკის სიღრმეებშიც კი შეიჭრა:

— საუბამ მოკურცხლა... — თქვა მან, — უაჲაუ! — და გულიანად გადაიხარხა.

მაგრამ ჰოლროიდი ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ გემბანიან კანოეზე შეხიზულ იმ ციცქანა არსებებს თვალებიც ჰქონდათ და აზროვნების უნარიც.

მთელი ეს სურათი მას ენით აღუწერელი სიბრივისა და სიბეცის გამოვლინებად მიაჩნდა, მაგრამ, მართლაც, „რა უნდა გააწყოს ადამიანმა მათ წინააღმდეგ?“ ამ შეკითხვამ განსაკუთრებით მაშინ დააფიქრა ახალი ძალით, როდესაც გემი, როგორც იქნა, ბადამას მიადგა.

ის დასახლება, პალმის ფოთოლგადახურული სახლებით, ხვიარამოდებული შაქრის წისქვილითა და ხისგან ნათალი თუ ლერწმისაგან დაწნული ჰატარა ნავმისადგომით, სრულიად ცარიელი ჩანდა, ჩამიჩუმი არ ისმოდა, კაცის წიშან-წყალი არ ეტყობოდა. ჭიანჭველებს კი ამ სიშორეზე ვერ გაარჩევდნენ.

— გაქცეულან, — თქვა უერილომ, — მაგრამ მაინც ვცადოთ, დავუძახოთ, ვიყვიროთ, და-ვუსტვინოთ.

ჰოლროიდმა ყვირილი და სტვენა მორთო. კაპიტანი მტანჯველმა ეჭვებმა შეიძყრო.

— ჩვენ ერთადერთი რაღაც დაგვრჩენია, — თქვა მან ბოლოს.

— რა? — იკითხა ჰოლროიდმა.

— ყვირილი და სტვენა გავაგრძელოთ.

ასეც მოიქცნენ. კაპიტანი გემბანზე დააბიჯებდა და თავის თავს უესტიკულაციით ელაპარაკებოდა. გეგონებოდა, თავში ათასი აზრი უტრიალებსო. სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა. თითქოს წარმოსახვითი სამსჯავროს წინაშე წარმოთქვამდა სიტყვას ესპანურად თუ პორტუგალიურად. ჰოლროიდის განაფულმა ყურმა გაკვრით ნახსენები აღჭურვილობაც დაიჭირა. და უცებ მან ამ ყველაფერს ინგლისურად მოუყარა თავი:

— ჩემმ ძვირფასო ჰოლროიდ! — შეჰყვირა მან, — რა უნდა გააწყოს ადამიანმა?

ისინი ნავში ჩასხდნენ, ბინოკულიც წაიღეს და დასახლების სანახავად გასცურეს. უამრავი დიდრონი ჭიანჭველა შენიშნეს, რომლებიც გაშეშებულები თვალს ადევნებდნენ გუშაგებივით. უერილომ მათ რამდენჯერმე ესროლა პისტოლეტიდან, მაგრამ ამაოდ. იქვე მდგარ სახლებთან ჰოლროიდმა მიწის უცნაური ნაგებობები დაინახა, რაც, აღბათ, სოფელში გაპატონებული ჭიანჭველების ნახელავი იყო. როდესაც მკვლევარებმა ნავმისადგომს ჩაუარეს, ადამიანის ჩონჩხი დალანდეს, წელზე სამოსის ნაფლეთები რომ შერჩენდა. პირწმინდად დახურული ჩონჩხი მზეზე ლაპლაპებდა. ერთ ხანს შესცემოდნენ....

— ვალდებული ვარ, მათ სიცოცხლეზე ვიზრუნო, — თქვა უეცრად უერილომ.

ჰოლროიდი კაპიტნისაკენ მიტრიალდა, მიაშტერდა და ბოლოს მოისაზრა, რომ მას მხედველობაში გემის ეკიპაჟი ჰყავდა, - რომელიც, სინამდვილეში, სხვადასხვა რასისა და ჯურის ადამიანთა ნაკრები გახლდათ.

— ხელეთზე რაზმს ვერ გავგზავნი. არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელი. მათ დაგესლავენ და დაიხოცებიან. შხამისგან გასივდებიან და სიკვდილის წინ შემაჩვენებენ. ყოვლად შეუძლებელია... და თუ ნაპირზე გადასვლაა საჭირო, მხოლოდ მე გადავალ. სქელი, მძიმე ჩექმებით. ჩემს სიცოცხლეზე მე ვაგებ პასუხს. იქნებ გადავრჩე. თუმცა, შესაძლოა, არც გადავიდე. არ ვიცი, არ ვიცი.

ჰოლროიდი კი ფიქრობდა, რომ მან ძალიანაც კარგად იცოდა, თუმცა კრინტი არ დაუძრავს.

— ეს ყველაფერი, — შესძახა უერილომ, — ჩემს გასამასხრებლადაა მოწყობილი!

მათ სხვადასხვა მხრიდან შემოუარეს ჩონჩხეს და შემდეგ გემისკენ იბრუნეს პირი. უერილოს ყოფილი აუტანელი შეიქნა. როგორც იქნა, შეუძლის მიწურულს გემი მდინარის დინებას აჰყავა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ მძიმე კითხვაზე პასუხს მიღებდა, მზის ჩასვლისას კი უკან მიბრუნდა და ღუზა ჩაუშვა. ქარიშხალი დაინტერესობოდა მაგრამ მალევე მინელდა, ღამე საოცრად გრილი და წყნარი დაიჭირა და გემბაზე ყველას ჩაეძინა. ყველას, გარდა უერილოსი, რომელიც ბორგავდა და ბურტყუნებდა. გამთენისას ჰოლროიდი გააღვიძა.

- რაშია საქმე? – იკითხა ჰოლროიდმა.
- გადაწყვეტილია, – მიუგო კაპიტანმა.
- რა? ნაპირზე გადასვლას აპირებთ? –

შესძახა ჰოლროიდმა, რომელიც სრულიად გამოფეხილდა.

– არა! – თქვა კაპიტანმა და მცირე ხნით დადუმდა, – გადაწყვეტილია, – გაიმეორა.

ჰოლროიდი მოთმინებას კარგავდა, მაგრამ მაინც მორჩილად ელოდა.

– მოკლედ ასე, – თქვა კაპიტანმა, – დიდი ზარბაზნიდან გავისვრი!

და მართლაც გაისროლა! ღმერთმა უწყის, ამის თაობაზე ჭიანჭველებმა რა იფიქრეს, მაგრამ გაისროლა. ორჯერ გაისროლა დიდი ზარ-ზეიმით. ეკიპაჟის ნევრებმა ყურები დაიცვეს. ყველაფერს ომის დაწყების სუნი უდიოდა. ჯერ იყო და შაქრის მიტოვებული წისქვილი ააფეთქეს, შემდეგ ნავმისადგომის მოშორებით მდგარი ცარიელი ფარდული აქციეს ნაცარ-ტუტად. მერე კი უერილოს ამაზე გარდაუვალი რეაქცია დაეწყო.

– აქედან არაფერი გამოვა, – უთხრა ჰოლროიდს, – არაფერი. საერთოდაც არაფერი. უკან უნდა გავპრუნდეთ და ახალ მითითებებს დაველოდოთ. ამ ჭურვების გამო ნამდვილი ჯოჯონეთი ატყდება... ჰო! ნამდვილი ჯოჯონეთი! თქვენ ეს არ გესმით, ჰოლროიდ...

- სხვა რა შემეძლო? – აღმოხდა კაპიტანს.

შეუძლე გადაცილებული იყო, როდესაც გემი უკანა გზას დაადგა, სალამო უამს კი მთელი ეკიპაჟი ხმელეთზე გადავიდა, რათა ლეიტენანტის ცხედარი მიწისთვის მიებარებინა, – მეორე ნაპირზე, სადაც იმ ახალ ჭიანჭველებს გამოჩენა ჯერ ვერ მოესწოროთ.

ეს ამბავი სამი კვირის წინ ჰოლროიდისგან ნაწილ-ნაწილ მოვისმინე. ახალი სახეობის ჭიანჭველებმა იმდენად დაუკარგეს მოსვენება, რომ იგი ინგლისში დაბრუნდა, რათა, როგორც თავად ამბობს, „ადამიანები გონს მოიყვანოს“ ამ ჭიანჭველების შესახებ მონათხრობით, ვიდრე „ბოლო უამს თითზე კბენანი“ მოგვიწევდესო. იგი ამბობს, რომ ისინი ბრიტანეთის გვიანასთვისაც საფრთხეს წარმოადგენენ, რომელიც ათას მილზე ოდნავ მეტად თუ არის დაშორებული მათი სამოქმედო არეალისგან, და რომ კოლონიათა სამინისტრომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიხედოს მათ.

– ესენი ხომ მოაზროვნე ჭიანჭველები არიან! განა ვერ ხვდებით, ეს რას ნიშნავს? – გაცხარებით გაიძახოდა.

ისინი, რასაკვირველია, ძალზე საშიში მავნებლები არიან და ბრაზილიის მთავრობა ერთობ კეთილგონივრულადაც მოიქცა, როდესაც მათი განადგურების ეფექტური მეთოდისთვის ხუთასი ფუნტის ოდენობის პრემია დააწესა. ისიც უდავოა, რომ მას შემდეგ, რაც ისინი პირველად გამოჩენდნენ ბადამას მიღმა ბორცვებზე სამიოდე წლის წინ, განსაციფრებელი წარმატებები მოიპოვეს. მათ თითქმის სრულად იგდეს ხელთ სამოც მილზე გადაჭიმული მდინარე ბატემოს სამხრეთ ნაპირი, იქიდან ადამიანები ერთიანად განდევნეს, პლანტაციები და დასახლებები თავიანთ სამფლობელოებად აქციეს და, სულ მცირე, ერთი ხომალდი მაინც მიისაკუთრეს. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ მათ როგორლაც კაპუარნას ერთობ წყალუხვი შენაკადიც გადალახეს და ამაზონისკენ დაძრულებმა მრავალი მილი განვლეს. ალბათ, ეჭვის ნატამალიც აღარ უნდა გვქონდეს, რომ ისინი, თავიანთი გონიერების და სოციალური ორგანიზების დონით, ჩვენთვის აქამდე ცნობილ ჭიანჭველათა ყველა სახეობას აჭარბებენ. იმის მაგივრად, რომ ცალკეულ თანასაზოგადოებებად იყვნენ განაწილებულნი, ისინი ერთიან ნაციას აყალიბებენ. მაგრამ მთავარი და უშუალო საფრთხე ამით კი არაა განპირობებული, არამედ მათი უნარით, გონივრულად გამოიყენონ შხამი გაცილებით დიდი მტრების წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, მათი შხამი გველისას ძალიან ჰყავს, და ისიც საფიქრებელია, რომ შხამს ისინი ერთობლივი ძალისხმევით გამოიმუშავებენ, ხოლო შედარებით მოზრდილი ინდივიდები ნემსივით წევეტიან კრისტალში იმარაგებენ მას, რათა ადამიანებზე თავდასხმისას გამოიყენონ.

რასაკვირველია, მეტად რთულია გამოწვლილვითი ინფორმაციის მოძიება დედამიწაზე ბატონობის ახალ პრეტენდენტთა შესახებ. არავინაა მათი საქმიანობის თვითმხილვითი თუ მოამბე, პოლროიდის ზერელე დაკვირვებებს თუ არ ჩავთვლით. ზემო ამაზონის რეგიონში მოარულ ხმებად დადის ყველაზე დაუჯერებელი ლეგენდები ამ ჭიანჭველების ძალმოსილებისა და სიმარჯვის შესახებ. ეს ლეგენდები დღითი-დღე სულ უფრო უჩვეულო ხდება, რადგანაც დამპყრობელი მწერების მდგრადი წინსვლა ათასგვარი შიშით ასაზრდოებს ადამიანურ წარმოსახვას. ამ უცნაურ ციცქა არსებებს არა მარტო ცეცხლისა და ლითონის საიდუმლოთა ცოდნასა და შრომის იარაღების ფლობას მიაწერენ, რომელთა საშუალებით შექმნილი საინჟინრო საოცრებებით მათ ჩრდილოელი გენიოსების განცვიფრებაც კი შეძლეს, – ჩვენ ხომ ჯერაც ვერ გაგვიცნობიერებია ის საოცრება, რაც 1841 წელს „საუბებმა“ რიო-დე-ჟანეიროდან პარაპიბას ქვეშ გვირაბის გათხრით მოახდინეს. იმ ადგილას გვირაბი უფრო ფართოა, ვიდრე ტემზა ლონდონის ხიდის ქვეშ. მათ ასევე მიაწერენ ჩვენი წიგნების ანალოგიური ორგანიზებული და დახვეწილი მეთოდების ცოდნას ინფორმაციის მენახვისა და კომუნიკაციის სფეროში. აქამდე მათი წისვლა დაუოკებელი იყო, ისევე როგორც ტერიტორიების შეძოერთება და ადგილობრივი მოსახლეობის განდევნა თუ შემუსვრა. მათი რიცხვიც თვალსა და ხელს შუა იზრდება და პოლროიდს მტკიცედ სწამს, რომ ისინი საბოლოოდ დაჯაბნიან ადამიანებს მთელი ლათინური ამერიკის კონტინენტზე.

და რატომ გაჩერდებიან ტროპიკულ სამხრეთ ამერიკაში?

თუმცალა, ასეა თუ ისე, ისინი ჯერაც იქ მკვიდრობენ. 1911 წლისთვის, ან დაახლოებით მაგ პერიოდში, თუკი ისინი ამავე ტემპით განაგრძობენ წინსვლას, კაპუარანას რკინიგზის სადგურს დალაშქრავენ, რითიც ევროპელი

კაპიტალისტების ყურადღებასაც მიიპყრობენ. 1920 წლისთვის ამაზონის ნახევარი უკვე გავლილი ექნებათ. ჩემი ვარაუდით, 1950 ან, მაქსიმუმ, 1960 წელს კი ევროპასაც აღმოჩენენ.

თარგმნეს კონსტანტინე ქარდავამ და ირაკლი ლომოურმა

ამპავი გამოუცდელი აჩრდილისა

ვითარება, რომელშიც კლეიტონმა თავისი უკანასკნელი ამბავი მოგვითხრო, დღემდე ცხოვლად წარმომიდგება თვალწინ. ჩვეულებისამებრ აგიზგიზებული ბუხრის წინ იყო თავის საყვარელ სავარძელში მოკალათებული. მის გვერდით მჯდარი სენდერსონი შროპშირულ თხის ჩიბუხს ენეოდა, რომელზეც თავისი სახელი დაეწერა. იქვე იყვნენ ევანსი და უბადლო მსახიობი ვიში, რომელიც ერთობ მოკრძალებული პიროვნება გახლდათ. შაბათის იმ დილას ყველანი კლუბ „სირინზში“ შევიკრებეთ — კლეიტონმა წინა ღამეც იქ გაატარა, ჩვენგან განსხვავებით, რამაც, რასაკვირველია, მას თხრობის დაწყების საბაბი მისცა. თავს გოლფის თამაშით ვიქცევდით მანამ, სანამ ბინდი არ ჩამოწვა. მას შემდეგ, რაც ვისადილეთ, საინტერესო ამბის მოსასმენად მოვეწყეთ. როდესაც კლეიტონმა თხრობა დაიწყო, ჩვენ, ცხადია, ვიფიქრეთ, რომ ცრუობდა. შესაძლოა, მისი მონაყოლი მართლაც სიცრუე გახლდათ, რასაც ძალიან მალე მკითხველი ჩემზე უკეთესადაც განსჯის. კლეიტონს ისე ეჭირა თავი, თითქოს რაღაც თავშესაქცევი, თუმც კი მართალი ისტორიის თხრობა ჰქონდა განზრაბული, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყოველივე ეს გამოუსწორებელი მატყუარას მიერ იყო შეთხული.

– მაშ, ასე, – თქვა მან, როდესაც ბლუჯა-ბლუჯად ამოფრქვეული ნაპერნეკლების ყურებით გული იჯერა, სენდერსონმა შეშის ნაპობს რომ აყრევინა, – იცით, რომ გუშინ აქ მარტო არ ვიყავი?

– მსახურებს თუ არ ჩათვლით, – ჩაურთო ვიშმა.

– რომლებსაც სხვა ფლიგელში სძინავთ, – ჩაილაპარაკა კლეიტონმა, – ერთი სიტყვით, რას ვამბობდი... – ერთ ხანს სიგარას აწვალებ-

და, თითქოს ჯერაც ყოყმანობდა, სათქმელი გაემხელა თუ არა. ბოლოს კი მშვიდად და აუმღვევრლად განგვიცხადა, – აჩრდილი და-ვიჭირე!

– მაშ, აჩრდილი, არა? – იკითხა სენდერსონმა, – აბა, სადაა?

ხოლო ევანსმა, რომელიც ყოველთვის კლეიტონის პატივისმცემელი იყო, თანაც ახლახანს ამერიკიდან დაბრუნებულიყო, სადაც მთელი ოთხი კვირა გაატარა, შესძახა:

– ნუთუ მართლა დაიჭირეთ აჩრდილი, კლეიტონ? ძალზე გამახარეთ ამით! აბა, ახლავე ყველაფერი წვრილად გვიამბეთ.

კლეიტონმა პასუხად მიუგო, ახლავეო, და სთხოვა კარი დაეკეტა.

მერე თითქოს შობოდიშებით გამოშედა.

– რასაკვირველია, მალულად არავინ მოგვისმენს, მაგრამ სულაც არ მსურს ამ ჩვენი დიდებული კლუბის რეპუტაცია მოხეტიალე აჩრდილების შესახებ გავრცელებული სმებით შევბლალო. უამრავი მრუმე კუთხე-კუნძულისა და მუხის ხის ფილების ფონზე ამგვარი დაუდევრობის გამოჩენა გონივრული არ იქნება. თანაც ის აჩრდილი, რომ იცოდეთ, აქაურობის მუდმივი სტუმარი არ ყოფილა. არა მგონია, ოდესმე კიდევ მოგვევლინოს...

– იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ არ დაგიმნივდევიათ? – ჰკითხა სენდერსონმა.

– არც ამდენად გულქვა ვარ, – უპასუხა კლეიტონმა.

სენდერსონმა გაოცება გამოხატა. სიცილი აგვიტყდა, კლეიტონს კი შეეტყო, რომ ეწყინა.

– მესმის, – თქვა მან და ცალყბად გაიღი-მა, – თუმცა სიმართლე ისაა, რომ ნამდვილად აჩრდილი იყო. ამაში ისევე არ მეპარება ეჭვი, როგორც იმაში, რომ ახლა თქვენ გესაუბრებით. სახუმაროდ სულ არ მცხელა და სრულ ჭეუზეც გახლავართ.

სენდერსონმა ისე, რომ კლეიტონისთვის თვალი არ მოუცილებია, ჩიბუხი ძლირად მოქაჩა და კვამლის წვრილი ნაკადი გამოუშვა, რაც ყოველგვარ სიტყვაზე მეტად მეტყველი იყო.

კლეიტონს მისი ეს “პასუხი” აინუშმიაც არ ჩაუგდია.

– ცხოვრებაში ამაზე საოცარი არაფერი მინახავს. იცით, მანამდე აჩრდილებისა და

მოჩვენების არსებობისა არ მჯეროდა. მაგრამ ერთ-ერთ მათგანს აქ გადავაწყდი, რაშიც იოტისოდენა ეჭვიც კი არ მეპარება.

ამჯერად იგი უფრო ღრმად ჩაეფლო ფიქრებში, მორიგი სიგარა მოიმარჯვა და თავისი განუშორებელი საუცხოო ჭაყვით მისი თავის ნაკვეთას შეუდგა.

– გაესაუბრეთ? – ჰკითხა ვიშმა.

– დიახ. ასე, ერთი საათი ვსაუბრობდით.

– მოუბარიცაა? – ვკითხე და სკეპტიკოსების რიგებს შევუერთდი.

– საბრალო ცუდ დღეში იყო, – მომიგო კლეიტონმა და თავი ჩაქინდრა. მის ხმაში ყველება ბუნდოვნად გამოსჭვიოდა.

– მოთქვამდა? – იკითხა ვიღაცამ.

კლეიტონმა ამოოხვრას გულ-მუცელიც ამოაყოლა.

– ღმერთო ყოვლადმოწყალეო! – თქვა მან,

– მართლაც რომ... – შემდეგ კი, – საბრალო ყმაწვილ! მართლაც რომ...

– სად გამოიჭირეთ? – ჰკითხა ევანსმა თავისი შეუდარებელი ამერიკული აქცენტით.

– არასოდეს მიფიქრია, – განაგრძო კლეიტონმა ისე, რომ ყურიც არ შეუბრტყავს, – რაოდენ საბრალო შეიძლება იყოს აჩრდილი...

ამის შემდეგ კვლავაც ლოდინმა მოგვინია, სანამ ასანთის ძიებაში ჯიბების იჩხრეკდა და სიგარას მოუკიდებდა.

– უპირატესობა ჩემს ხელში იყო, – ბოლოს ამოღერდა.

არცერთ ჩვენგანს არსად ეჩქარებოდა.

– ხასიათი, – განაგრძო მან, – ისეთივე რჩება სხეულთან განშორების შემდეგ, როგორიც მანამდე იყო. სწორედ ამას ვივიწყებთ ყველაზე ხშირად. სულით ძლიერი და მიზანსწრაფული ადამიანები აჩრდილად გადაქცევის შემდეგაც უწინდებურად ძლიერნი და მიზანსწრაფული რჩებიან. იცით, ალბათ, რომ მოხეტიალე აჩრდილების უმრავლესობა მონომანიაკივით ერთი იდეით არის შეცყრობილი. საოცარი სიჯიუტით ცდილობენ, როგორმე უკან რომ დაბრუნდნენ. ეს ბერავი არსება კი არაფერს არ ცდილობდა...

უცებ თავი ასწია და ოთახს თვალი მოავლო.

— ყოველივეს ალალი გულით ვამბობ, — თქვა მან, — მაგრამ სწორედ ეს არის საქმის არსი. თუმცა კი ერთი შეხედვით იგი ძალზე სუსტ არსებად მეჩვენა... .

ანთებული სიგარა ჰაერში შემოატარა.

— გრძელ დერეფანში სეირნობისას გადავაწყდი. გვერდულად იდგა. შევხედე და მაშინვე მივჩვდი, რომ აჩრდილი იყო. მაშ, სხვა ვინ იქნებოდა ასეთი გამჭვირვალე და მოთეთრო. მასში მომცრო სარკმელი დავინახე, დირეფნის ბოლოს ხომ იყო. დაძაბუნებულად მეჩვენა არა მხოლოდ მისი გარეგნობის, არამედ ქცევის გამოც. ისე მომჩერებოდა, თითქოს არ იცოდა, რა ექნა. ერთი ხელით კედელს მიყრდნობოდა, მეორე კი პირზე აეფარებინა. აი, ასე!

— გარეგნობას აღვიჩერთ? — ჰკითხა სენდერსონმა.

— ერთობ სუსტი ჩანდა. გამხდარი კისერი ჰქონდა, ყურებს უკან ორი ჩალრმავება მოუჩანდა — აი, აქ და აქ. ჰატარა ბრტყელი თავი, მეჩხერი თმა და მეტად უშნო ყურები. მხარ-ბეჭიც განწლობილი, თეძოებზე ვიწრო. მოშვებული საყელო, იაფფასიანი მოკლე პიჯაკი, მოფლაშული შარვალი, კიდეები რომ გასცევთოდა. აი, სწორედ ამგვარად წარმომიდგა. ჩქამის გაულებლად ავედი კიბეზე. სანათი ხელში არ მქონდა — სანთლებიცა და ჭრაქიც მაგიდაზე ეწყო. რბილი საშიანო ფეხსაცმელი მეცვა. როგორც კი საფეხურები ავათავე, მაშინვე შემომეფეთა. გახევებული მივაცქერდი. შიში არ მიგვრძნია. ვგონებ, მსგავს წუთებში ადამიანებს არ ეუფლებათ იმგვარი ძრწოლა ან აღტყინება, როგორც ეს ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ ხოლმე. “ლმერთო ყოვლადმონწყალეო! — გამიელვა თავში, — აი, როგორც იქნა, აჩრდილიც მოგვევლინა! არადა, უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ერთი წამითაც არ დამიშვია აჩრდილების არსებობა.”

— ჰმ, — თქვა ვიშმა.

— ვგონებ, მან ჩემი იქ ყოფნა მყისვე იგრძნო. მკვეთრად მოტრიალდა ჩემსკენ და თვალინი უმწიფარი ახალგაზრდის სახე წარმომიდგა: ჰაჭუა ცხვირი, მეჩხერი, თხელი ულვაში, გალეული ნიკაპი. ასე ვიდექით წამიერად და ერთურთს ვუშზერდით, თვალს ვერ მისწორებდა. შემდეგ, როგორც ჩანს, თავისი დიადი მოწოდება გაახსენდა. შეტრიალდა, მოიჭიმა,

თავი წინ წამოწია, მკლავები ჯერ აღაპყრო, შემდეგ კი, აჩრდილთა ჩვეულებისამებრ, გაშალა და ჩემსკენ დაიძრა. როგორც კი ყოველივე ეს მოითავა, ყბა ჩამოუვარდა, და გაწელილი “ბუუუ” აღმოხდა. არა, არა, მერწმუნეთ — იოტისოდენადაც არ ყოფილა დამზაფრავი. სადილს ახლახანს გეახლებოდით და მთელი ბოთლი შამპანურიც მქონდა დალეული. სრული სიმარტვის გასაქარნყლებლად ორი-სამი — შეიძლება, ოთხი ან ხუთი — ჭიქა ვისკიც მქონდა დალეული. ასე რომ, კლდესავით მტკიცად ვიდექი და იმაზე მეტად არ ვიყავი დამფრთხალი, მოჩვენების მაგივრად ბაყაყი რომ მტაკებოდა.

— ბუუუ! — ვუთხარი, — აბა, ეს რას ჰგავს? თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ. რას აკეთებთ ჩვენთან?

— ბუუუ! — გაიმეორა მან. მისი დალმეჭილი სახე ახლაც თვალწინ მიღდას.

— ბუუუ! კარგი, დაწყნარდით! კლუბის წევრი ხართ? — ვკითხე მე და იმის საჩვენებლად, რომ ანგარიშს ოდნავადაც არ ვუწევდი, პირდაპირი მასში გავიარე და სანთელი ავანთე.

— ხმა გამეცით, მაშ, კლუბის წევრი ხართ თუ არა? — გავიმეორე შეკითხვა და ალმაცერად გახვედე.

გვერდზე ოდნავ გაიწია, სახე დაღვრემილი ჰქონდა.

— არა, — მომიგო მან ჩემი დაუინებული მზერის პასუხად, — კლუბის წევრი არ ვარ... მე აჩრდილი ვარ.

— ეს არ გაძლევთ უფლებას, შემოხვიდეთ კლუბ “სირინოზში”. ვინმეს სანახავად ხომ არ მოსულხართ, ან რამე ამგვარი მიზეზი ხომ არ გაქვთ?

რამდენადაც შემეძლო, მტკიცედ მეჭირა თავი, რათა ვისკით მოგვრილი მოთენთილობა მას შიშით მოგვრილ სისუსტედ არ აღექვა. ანთებული სანთელი მოვიმარჯვე და გავუპირდაპირდი.

— აქ რას აკეთებთ? — დავეკითხე.

მან ხელები უმწეოდ დაუშვა და აღარ დაულმუვლია. ერთ ხანს ასე იდგა ის, შემცბარი, გაშტერებული — ჩერჩეტი, მოუხეშავი ყმაწვილკაცის აჩრდილი.

— ადამიანებს ვეცხადები, — ამოილულლულა.

– აქ არაფერი გესაქმებათ, – ვუთხარი მშვიდად.

– მე აჩრდილი ვარ, – თითქოს თავდასაცავად მომიგო მან.

– შეიძლება ასეცაა, მაგრამ აქ სახეტიალოდ არავითარი საპაპი არ გაქვთ. ეს ლირ-სეული კერძო კლუბია. თანაც ჩვენი კლუბის წევრები ხშირად გვსტუმრობენ ხოლმე თავისი ბავშვებითა და მათი გადიებთ. თუკი კვლავაც აქ იბორიალებთ, ადვილი შესაძლებელია, პატარას გადაეყაროთ და გული გაუხეთქოთ. ვგონებ, ამაზე არც გიფიქრიათ.

– არა, სერ, – მომიგო მან, – არ მიფიქრია.

– გმართებდათ კი. განა ვერ ხვდებით, რომ ამ ადგილთან ხელი არ გაქვთ? იქნებ აქ გამოგასალმეს სიცოცხლეს, ან რამე ამგვარი მოხდა?

– არამცა და არამც, სერ. უბრალოდ ვიფიქრე, რადგან ძველია, კედლები კი – მუხის ფილებით მოპირკეთებული...

– თავის გასამართლებლად ეს არ გამოგადგებათ, – თვალი თვალში გავუყარე, – დიდად შეცდით, აქ რომ გამოგვეცხადეთ.

ბოლო სიტყვები მეგობრული უპირატესობის გრძნობით ალსავსემ წარმოვთქვი. მერე ვითომ ასანთების მოსაქებნად მოვყევი ჯიბეების ქექვას, ბოლოს კი ალალმართალი მზერით ავხედე.

– თქვენს ადგილას რომ ვიყო, მამლის ყივილს არ დავუცდიდი, ეგრევე ავორთქლდებოდი.

შემცბარი მეჩვენა.

– სერ, საქმე ის არის, რომ... – დაიწყო მან.

– აქედან ავორთქლდებოდი, – სიტყვა ჩამოვართვი და ხმაში ფოლადი ჩავისხი.

– სერ, საქმე ის არის, რომ... რატომლაც... არ გამომდის...

– არ გამოგდით?

– არა, სერ. ერთი წვრილმანის თქმა გადამ-ავინწყდა. მე აქ დავლივლივებ წუხანდელი შუალამიდან მოყოლებული. განჯინებს, ცარიელ საძინებლებსა და მსგავს ადგილებს ვაფარებთავს. თვითონაც არ ვიცი, რა მჭირს. წინათ არასოდეს მქონია გამოცხადება და ახლა, ცოტა არ იყოს, დაბნეული ვარ.

– დაბნეული?

– დიახ, სერ. აქედან გასვლა რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ამაოდ. ეტყობა რაღაც წვრილმანი დამავიწყდა, რის გამოც ვეღარ ვახერხებ უკან დაბრუნებას.

ამან კიდევ უფრო გამაკვირვა – ისეთი დაბერივებული სახით მიყურებდა.

– უცნაურია, – ვთქვი მე. როგორც კი ხმა ამოვილე, მომეჩვენა, თითქოს ქვევით ვიღაც დადის, – ოთახში შემომყევით და ყოველივე წვრილად მიამბეთ. ჩემთვის, რასაკვირველია, გაუგებარია თქვენი სიტყვები...

რის შემდეგაც ვეცადე ხელი ჩამეჭიდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ეს იგივე იყო, კვამლის ფთილას რომ წავპოტინებოდი! მგონი, ჩემი ოთახის ნომერიც კი გადამავიწყდა — ასეა თუ ისე, მახსოვს, როგორ შევდიოდი სხვადასხვა ოთახში. ძალზე გამიმართლა, რომ სახლის იმ წაწილში ერთადერთი სულიერი მე ვიყავი. მანამ ვიპორიალე, სანამ ერთ-ერთ ოთახში ჩემს ხარახურას არ მოვკარი თვალი.

– აპა, მოვედით, – ვთქვი მე და სავარაძელში მოვკალათდი, – ჩამოვეჯექით და ყველაფერი მიამბეთ. რატომლაც მგონია, რომ თავს უხერხულ, სასაცილო მდგომარეობაში გრძნობთ, ყმანვილო.

– კეთილი, – მითხრა მან და მერე კი განმიცხადა, რომ დაჯდომა არ სურდა! ერჩივნა, ოთახში ზევით-ქვევით ელივლივა, თუკი ჩემთვის სულერთი იქნებოდა. მეც ნებაზე მივუშვი, და სულ მალე სერიოზული საუბარი დავიწყეთ. როცა სრულად მოვინელე ვისკი და სოდა, თანდათან გავაცნობიერე, თუ რა უცნაურ სიტუაციაში ვარ... ჩემს წინაშე დასრიალებს ნახევრად გამჭვირვალე, კლასიკური ყაიდის მოჩვენება, უხმაურო, ლაპარაკის უნარს თუ არ ჩავთვლით. მყუდრო, ძველ, განკრიალებულ, შპალერგაკრულ საძინებელში დალივლივებდა. მის ნახევრად გამჭვირვალე სხეულში ჩანდა სპილენძის შანდლების ბზინვარება, ბუხრის ცხაურზე ცეცხლს ანარეკლი და გრავიურების ჩარჩოების კედლებზე. სწორედ იქ მომითხრო მან ყოველივე თავის ბედშავ, ხანმოკლე ცხოვრებაზე, ახლახანს რომ დასრულდა ამქვეყნად. იცით, გამომეტყველება ბოლომდე ალალი არ ჰქონია, მაგრამ როცა გამჭვირვალე ხარ, სიმართლის დამალვა გაგიჭირდება.

— ჰომ... — წარმოთქვა ვიშმა, რომელიც სავარძელმი შესწორდა.

— რა ბრძანეთ? — ჰკითხა კლეიტონმა.

— გამჭვირვალედ ყოფნა სრული სიმართლის თქმის ტოლფასია? რაღაც არა მგონია, — თქვა ვიშმა.

— მაშ, რაღაც არა გგონიათ, არა? — გამოაჯავრა კლეიტონმა უბადლო თავდაჯერებით, — რა გაეწყობა, რომ ნამდვილდ ასე იყო. გარწმუნებთ. თუმცა არ ვფიქრობ, რომ მისი ყოველი სიტყვა ბიბლიური ჭეშმარიტება გახლდათ. მან მიამბო, თუ როგორ დაემშვიდობა სიცოცხლეს — ლონდონის ერთ-ერთ სარდაფში ჩასულა სანთლით ხელში, რათა ენახა, სად უონავს აირო. მაგ დროს იგი ლონდონის კერძო სკოლაში ინგლისურის მასწავლებლად მუშაობდა.

— საბრალო! — აღმომხდა.

— მეც სწორედ ეს გავიფიქრე. და რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით მეტად ვრწმუნდებოდი ჩემი აზრის სისწორეში. ჩემს წინაშე ლივლივებდა მოჩვენება, ისეთივე უაზრო სიკვდილის შემდეგ, როგორიც სიცოცხლეში იყო. ერთობ გესლიანად ლაპარაკობდა საკუთარ დედ-მამასა თუ სკოლის მასწავლებელზე, ერთი სიტყვით, ყველაზე, ვისთანაც კი ამქეყნად საქმე ჰქონია... მეტისმეტად ფიცხი გახლდათ. მისი თქმით, ვერავინ უგებდა და ჯეროვნადაც ვერ აფასებდა. ტოლებთან არ თამაშობდა, გამოცდებზე — იჭრებოდა.

— ზოგი უბედულ ვარსკვლავზე იბადება, — დაიჩივლა, — როგორც კი საგამოცდო ოთახში ან სადმე სხვაგან შევაბიჯებდი, თითქოს ყველაფერი ერთიანად მავინცდებოდა.

საცოლეც ჰყოლია დაგულებული, რომელიც, ეჭვი არ არის, მასსავით გულჩილი იქნებოდა. თუმცა აირის გაუონვის დროს მომხდარმა ინციდენტმა მის ყოველგვარ საქმიანობას ბოლო მოულო.

— და ახლა სად იმყოფებით? — ვკითხე მე, — ვგონებ, სწორედ რომ...

პასუხად რაღაც მიკიბ-მოკიბა. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მისი ყოფა ჯერაც ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველი იყო. იგი სულთა იმ სავანიდან იყო, სადაც არც ცოდვაა და არც მადლი. დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი. იგი მეტისმეტად თავკერდა და

დაუკვირვებელი იყო იმისთვის, რომ ნათლად აეხსნა, სად რა ხდება. ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ვინც არ უნდა ყოფილიყო, მან მონათესავე სულებთან დაივანა — იმ ახალგაზრდა ლონდონელთა აჩრდილებთან, რომელთაც გაღვიძებისას სენტ-მერი-ლე-ბოუს ეკლესის ზარების რეკვა ჩაესმოდათ, ქრისტიანულ სახელებს ატარებდნენ, და, რა თქმა უნდა, მრავალჯერ უსაუბრიათ ერთმანეთში “მოკვდავთა წინაშე გამოცხადებისა” და მისთანათა შესახებ. დიახაც, მოკვდავთათვის გამოცხადების შესახებ! მათ ხომ მოვლინება გასაოცარ თავგადასავლად ესახებოდათ, თუმცა უმეტესობა ამის გაკეთებას კიდეც შიძობდა. მან კი, ასე შემზადებულმა, გაბედა და მოგვევლინა.

— აი, ეს მესმის! — თქვა ვიშმა, რომელსაც ცეცხლისთვის თვალი გაეშტერებინა.

— ასეა თუ ისე, ამგვარი შთაბეჭდილება შემექმნა, — ერთობ თავმდაბლურად მიუგო კლეიტონმა, — რა თქმა უნდა, მისი ნაამბობის უტყუარობაზე ბევრი არ მიფიქრია, მაგრამ, ერთი შეხედვით, მართლაც ასეთი წარსული უნდა ჰქონოდა. ოთახში დაფრინავდა, თავის ბედერულობაზე სუსტი, დაგუდული ხმით მოთქვამდა. თანაც ღობე-ყორეს ედებოდა, სათქმელს თავს ვერ აბამდა. იმაზე მეტად გალეული, ჩერჩეტი და უაზრო იყო, ვიდრე ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემს საძინებელში არ იქნებოდა, კინწისკვრით გავაგდებდი.

— ხდება ხოლმე, — თქვა ევანსმა, — ამქეყნად ასეთ უბადრუკ არსებასაც შეიძლება შეხვდეს კაცი.

— საგარაუდოა, რომ მათ ისევე, როგორც ჩვენ, თავიანთი მოჩვენებებიც ჰყავთ, — გამოვთქვი მოსაზრება.

— ერთადერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ მან თანდათან საკუთარი უბადრუკობა გააცნობიერა. ის აურზაური, რაც ამქეყნად მოვლენით გამოიწვია, უკვე ჰქინებული და გამოცხადდა, მაგრამ მორიგი მარცხი კი ინვნია. ისიც კი გამიმხილა, რომ გამუდმებული მარცხისათვის იყო განწირული. ამბობდა, რომ სიცოცხლეში რისთვისაც არ უნდა მოეკიდა

ხელი, ყველგან ხელი მოეცარა და მომავალშიც ასე იქნებოდა — მის ამ სიტყვებში არასოდეს დავეჭვდები. მაგრამ ვინმე, რომ მის მიმართ ლმობიერი ყოფილიყო, ვინ იცის... აქ იგი დადუმდა და შემომაცქერდა. მერე კი მითხრა, რომ რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მომჩენებოდა, არავის არ გამოუვლენია მისდამი ესოდენი თანალმობა, რამდენიც მე. მაშინვე მივხვდი მისი საუბრის ფარულ განზრახვას, და გადავწყიტე, დაუყოვნებლივ წერტილი დამესვა. შესაძლოა, მე მართლაც გულქვა არაკაცი ვარ, მაგრამ ასეთი თავკერძა არარაობასთან მეგობრობა, გინდ გამჭვირვალე ყოფილიყო და გინდ, ხორცესხმული, ჩემს ძალებს აღემატებოდა. ამიტომაც სასწრაფოდ წამოვდექი.

— ამაზე ნუ დაიხარჯებით, — ვუთხარი, — სხვა რამეზე გმართებთ დაფიქრება: როგორ დაიხსნათ თავი ამ სიტუაციიდან, თანაც, მაქსიმალურად სწრაფად. აბა, ჭკუა-გონებას მოუხმეთ და ეცადეთ.

— არ გამომდის, — მითხრა მან, — იქნებ თქვენ გეცადათ მათი გაკეთება.

— მათი? რას გულისხმობთ? — იყითხა სენდერსონმა.

— “პასების”, — მიუგო კლეიტონმა.

— “პასების”?

— ჰო, ხელებით შესრულებული რთული მოძრაობების. (იგულისხმება ჟესტები, ხელების მოძრაობა მაგიური ზემოქმედების მიზნით. — რედ. შენიშვნა). მათი მეშვეობით მოგვევლინა და მათივე გამოყენებით უნდა გაბრუნდეს უკან. ღმერთო ჩემო! ნუთუ ყველაფერი უნდა დაგიღეჭოთ?

— კი მაგრამ განა ეს შესაძლებელია რაღაც ჟესტებით? — დავიწყე მე.

— ძვირფასო სერ, — მომიბრუნდა კლეიტონი, ყოველი სიტყვა ხაზგასმით წარმოთქვა, — თქვენ გსურთ, ყველაფერი ძირისძირობამდე აგიხსნათ. მე თავადაც არ ვუწყი, როგორ ხდეა ეს. ამ საკითხზე იმდენივე ვიცი, რამდენიც თქვენ. მან ეს როგორლაც შეძლო. სწორად შეასრულა “პასები” და უეცრად გაქრა.

— ნუთუ თქვენ, — დამარცვლით ჰკითხა სენდერსონმა, — თვალს ადევნებდით ამ “პასებს”?

— დიახ, — მიუგო კლეიტონმა, რომელიც კვლავაც ფიქრებს წაელო, და შემდეგ ისევ

განაგრძო, — ფრიად საკვირველი იყო. სიჩუ-მით აღსავსე ლამეს, ამ მყუდრო ქალაქში, ამ უკაცრიელი სასტუმროს დუმილით მოცულ ოთახში მე და ის გალეული, მქრქალი აჩრდილი ვიყავით. არსაიდან ჩქამი არ ისმოდა, ჩემს ხმასა და ხელების ქნევისას მის ქშენას თუ არ ჩავთვლით. ერთი სანთელი სულ მთლად ჩაიღვენთა ბურის თავზე, მეორე კი — მაგიდაზე. ხან ერთი და ხანაც მეორე სანთლის ალი მაინც ლიცლიცებდა... ჩემს თვალწინ მეტად უცნაური რაღაც ხდებოდა.

— არაფერი გამომდის, — შესძახა, — ალბათ, აღარც მიწერია...

ამ სიტყვებით უეცრად საწოლთან მიგდებულ პატარა ბალიშზე ჩაიკეცა და აქვითინდა. ღმერთო ყოვლადმოწყალეო, რაოდენ ბერძავი და უმწეო იყო მაშინ!

— გული არ გაიტეხოთ! — ვცადე მენუგეშებინა, მხარზე ხელის დატყაბუნებაც მინდოდა, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, ხელს სიცარიელეში ვიქნევდი! იცით, მაშინ უკვე აღარ ვიყავი უწინდებურად მშვიდი და უდრტვინველი. უკვე მთელი არსებით შევიგრძნობდი ამ ყველაფრის უაზრობას. მახსოვს, როგორ წავიღე უკან ხელი და ონდავ გაოცებული გავშორდი.

— მხნეობა მოიკრიბეთ და კიდევ ერთხელ სცადეთ!

იმისათვის, რომ შემეგულიანებინა და დავხმარებოდი, მეც მასთან ერთად დავიწყე “პასების” კეთება.

— როგორ? — შესძახა სენდერსონმა, — “პასების” კეთება დაიწყეთ?

— დიახ, “პასების”.

— კი მაგრამ... — ვთქვი მე იმ აზრით შეშფოთებულმა, რომელსაც ჯერაც ვერ გადმოვცემდი სიტყვებით.

— ფრიად საინტერესოა, — გამაწყვეტინა სენდერსონმა, და ჩიბუხიდან თამბაქო გამობრტყა, — მაშ, აჩრდილმა გაგიმულავნათ...

— თავს არ ზოგავდა, რომ გაემულავნებინა ეს საიდუმლო.

— აბა, როგორ? — დაეჭვდა ვიში, — თავად გასინჯეთ, რომ გაემულავნებინა, თქვენც მის გზას გაჰყვებოდით.

— სწორედ რომ ასეა! — გახარებულმა ავიტაცე მისი აზრი, რადგანაც შევძელი სიტყვებისთვის თავი მომეუარა.

— სწორედ რომ ასეა, — თქვა კლეიტონმაც, რომელიც ფიქრმიცემული ნაკვერჩხალს ჩასწერებოდა.

მცირე ხნით დუმილმა დაისადგურა.

— გამოუვიდა ბოლოს და ბოლოს? — იკითხა სენდერსონმა.

— გამოუვიდა. ორივენი გვარიანად დავშვრით, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გამოუვიდა. მას უკვე სრულიად გადასწურვოდა იმედი, ნაკინგლავებულებიც ვიყავით, მაგრამ უეცრად მთხოვა ყველაფერი შედარებით ნელა გამეეკეთებინა, რათა მას თვალის დევნების საშუალება ჰქონოდა.

— მგონია, გვერდიდან თუ დავაკვირდები, შეცდომას მაშინვე შევამჩნევ.

დავყაბულდი.

— ვიცი! — შესძახა უეცრად.

— რა იცით? — ვკითხე მე.

— ვიცი, ვიცი, — პასუხად გაუთავებლად იმეორებდა, მერე კი ბრაზნარევი ხმით მითხრა:

— არ მიყუროთ, თორემ ვერ შევძლებ ამის გაკეთებას. გესმით, უბრალოდ ვერ შევძლებ. თავიდანვე ასე უნდა მოვქცეულიყავით. მე ადვილად ვლიზიანდები, თქვენ კი მაბნევთ.

ერთ ხანს ვდავობდით. მე, რასაკვირველია, მსურდა ჩემი თვალით მენახა ყოველივე. ჯორივით გაჯიუტდა, მე კი საოცრად დაღლილი ვიყავი, არაქათი ერთიანად გამომაცალა.

— კეთილი და პატიოსანი, — ვუთხარი ბოლოს, — არ შემოგხედავთ.

და სარკისაკენ ვიბრუნე პირი, საწოლის გვერდით მდგარ გარდერობზე რომ იყო დატანებული. მსურდა სარკეში დამენახა, რას გააკეთებდა. ხელები მოწყვეტით ჩამოეჭვა, ხელის გულები კი ამოეტრიალებინა — ასე, და აი, უკანასკნელი მოძრაობაც: დგახარ გამართულად, ხელებს შლი და თავს დრეკ. სწორედ ასე მდგარს ვუყურებდი. და უცებ გაქრა! იქ აღარავინ იდგა! გაუჩინარდა! სარკეს ზურგი ვაქციე — აღარავინ იყო. მხოლოდ მე ვიდექი მარტო, სანთლის ალი ლიცლიცებდა, თავში კი დომხსალი მქონდა. რა მოხდა? ან იქნებ არც არაფერი მომხდარა? იქნებ მხოლოდ მეზმანა? სწორედ ამ წამს საათმა ერთხელ ჩამოჰკრა, რითაც თითქოს დასასრული მამცნო და ამ ამბავს უგერგილო წერტილი დაუსვა. “ბომ!” — სწორედ ასე. მოსამართლესავით ფხიზელი

ვიყავი. გონებაც დამეწმინდა. შამპანურიცა და ვისკიც სადღაც აორთქლებულიყო. გამოგიტყვდებით, თავს უცნაურად — არა, მეტად უცნაურად — ვგრძნობდი. ღმერთო ყოვლადმოწყალეო!

კლეიტონმა წამით შეავლო თვალი სიგარის ნამწვავს.

— ეს არის და ეს, — როგორც იყო ამოღერლა მან.

— და შემდეგ დაიძინეთ? — ჰკითხა ევანსმა.

— სხვა რაღა დამრჩენოდა?

ერთმანეთს გადავხედეთ. ძალიან გვინდოდა ქილიკი დაგვეწყო, მაგრამ კლეიტონის ხმასა და ქცევებში გამკრთალი უჩვეულო რაღაც სუმრობის განწყობას გვაკარგვინებდა.

— მაშ კარგი, და “პასებზე” აღარაფერს გვეტყვით? — ჰკითხა სენდერსონმა.

— ჰო, ალბათ, შემიძლია გაჩვენოთ კიდეც.

— ო! — თქვა სენდერსონმა და ჯიბიდან ჯაყვა ამოილო, რათა თიხის ჩიბუხიდან ნამწვი ამოფხიყა.

— იქნებ ახლავე გეჩვენებინათ, — შესთავაზა მან და ჯაყვა დაკეცა.

— სწორედ მაგას ვაპირებ, — მიუგო კლეიტონმა.

— “პასები” არ გაჭრის, — თქვა ევანსმა.

— და რომ გაჭრას? — ვთქვი მე.

— იცით, ალბათ, აჯობებს თავი შევიკავოთ, — თქვა ვიშმა და ფეხები წინ გამოსწია.

— რატომ? — გაიოცა ევანსმა.

— არ გვინდა, — დაიუინა ვიშმა.

— მან ხომ რიგიანად არც კი იცის, როგორ უნდა მათი გაკეთება, — შეედავა სენდერსონი და ჩიბუხში თამბაქო ჩატენა.

ვიშთან კამათი მოგვივიდა. იგი ამტკიცებდა, კლეიტონის მიერ მსგავსი რამის გაკეთება, ცეცხლთან თამაშს ჰგავსო.

— კი მაგრამ თქვენ ხომ ამის არ გჯერათ? — ვკითხე მე.

ვიშმა ცეცხლს მიჩერებული კლეიტონისკენ გააპარა მზერა.

— მჯერა... ნახევრად და უფრო მეტადაც... ასე თუ ისე, მჯერა...

— კლეიტონ, — ვთქვი მე, — თქვენ დაოსტატებული მატყუარა ხართ. ამბის უმეტესი ნაწილი თითქოს სარწმუნოა, მაგრამ,

აი, ეს გაუჩინარება... მაშ, გამოტყდით, რომ ეს ყველაფერი თქვენი გამონაგონია!

კლეიტონს ჩემი სიტყვები აინუშმიც არ ჩაუგდია — წამოდგა, ბუხრის წინ გაფენილი ფარდაგის შუაში დადგა. ერთ ხანს დაძაბული მიშტერებოდა თავისი ფეხსაცმლების ჭვინტებს, შემდეგ დაუინებული მზერა მოპირდაპირე კედელზე გადაიტანა და გახევდა. შემდეგ ხელის მტევნები საკუთარ თვალებს გაუპირდაპირა და ამგვარად დაიწყო...

სენდერსონი “თავისუფალი ქვის მთლელი” იყო, “ოთხი გვირგვინოსანი წმინდანის” კალევითი ლოუის წევრი — იმ ლოუისა, რომელიც ეგზომ რუდუნებით შეისწავლის ფრანკმასონობის გარდასულ თუ ამჟამინდელ საიდუმლოებებს. სენდერსონი ამ მეცნიერთა შორის ბოლო ადგილს არ იყავებდა. კლეიტონის მოძრაობებს ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალს.

— ვერაფერს ვიტყვი, — თქვა მან, როცა კლეიტონმა უესტიკულირება დაასრულა, — წამდვილად გცოდნიათ, კლეიტონ, რადგანაც ყოველივე ზედმინევნით სწორად შეასრულეთ. ერთი ეგ არის, პატარა წვრილმანი გამოგრჩათ.

— ვიცი, — მიუგო კლეიტონმა, — შემიძლია დაბეჭითებით გითხრათ კიდეც, რომელი.

— მაშ, ბრძანეთ.

— აი, — კლეიტონმა მკლავები უცნაურად გამოზინება და ხელის გულები წინ გამოსწია.

— დიახ.

— სწორედ ეს უესტი არ გამოსდიოდა, — თქვა კლეიტონმა, — მაგრამ ეს მიბრძანეთ, თქვენ საიდანლა...

— თქვენს მონათხრობში მრავალი რამ ჯერაც ბუნდოვანია ჩემთვის, მაგრამ ყველაზე მეტად მაოცებს ის, თუ როგორ შეძლით ასეთი რამის შეთხზვა, — თქვა სენდერსონმა, — მაგრამ ამ საკითხში კარგად გახდლავართ ჩახედული. მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე განაგრძო, — ეს “პასები”... ერთ-ერთ შიდამასონურ მისტიკურ მიმართულებასთან არის დაკავშირებული, რომელიც, ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია... თორემ სხვაგვარად, მაშ, როგორ? — აქ იგი ცოტა ხანს ისევ ჩაფიქრდა, — ალბათ, არაფერი დაშავდება, თუკი ხელის გულების სწორ მოძრაობას გაჩვენებთ... თუ

იცით, ახალი არ იქნება თქვენთვის, და თუ არა, გაიგებთ.

— არაფერს ვუწყი, — თქვა კლეიტონმა, — გარდა იმისა, რაც იმ საბრალომ წუხელ ილულ-ლულა.

— კეთილი, როგორც არის, — თქვა სენდერსონმა და თავისი გრძელტარიანი თიხის ჩიბუხი ფრთხილად შემოდო ბუხრის ზედა თაროზე. შემდეგ კი ხელით ძალზე სწრაფად გააკეთა რაღაც მოძრაობები.

— ასე, ხომ? — ჰკითხა კლეიტონმა, რომელიც სენდერსონის ყოველ მოძრაობას იმეორებდა.

— კი, ასე, — თქვა სენდერსონმა და ჩიბუხი კვლავ მოიმარჯვა.

— ახლა კი, — განგვიცხადა კლეიტონმა, — ყოველივეს უსათუოდ სწორად გავაკეთებ.

ჩანავლებული ცეცხლის წინ დადგა და შემოგვლიმა. მაგრამ ვფიქრობ, რომ მის ღიმილში მცირეოდენი ჭოჭმანი გამოსჭვიოდა.

— თუკი დავინუყებ... — თქვა მან.

— მე არ დავინუყებდი, — უთხრა ვიშმა.

— ყველაფერი რიგზე იქნება! — დაამშვიდა ევანსმა, — მატერია არსად არ ქრება. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ რაღაც ფოკუსმოკუსით კლეიტონი აჩრდილთა საუფლოში ამოყოფს თავს? — გულმშვიდად იყავით! კლეიტონ, შეგიძლიათ დაიწყოთ და განაგრძოთ მანამ, სანამ არაქათგამოცლილს არჩამოგივარდებათ ხელები.

— არ მჯერა ამ ყველაფერის, — თქვა ვიშმა, წამოდგა და კლეიტონს მხარზე ხელი ჩამოსდო, — თუმცა, როგორლაც კი შესძელით, თქვენი მონათხრობი ნახევრად მერწმუნა, და არ მსურს, რომ ეს გააკეთოთ!

— გასაგიშებელია პირდაპირ, — შევძახე, — ვიშს დამიხედეთ, შეშინდა!

— დიახაც, შევშინდი, — დამიდასტურა ვიშმა ნამდვილი თუ საუცხოოდ გათამაშებული მღელვარებით, — მჯერა, რომ თუკი ამ მოძრაობებს გააკეთებს, აქედან წავა.

— არაფერიც არ მოხდება, — ვთქვი, — მოკვდავთათვის ამ სამყაროს დატოვების ერთადერთი გზაა გაკვალული, ხოლო კლეიტონს ჯერ კიდევ ოცდაათი წელი აშორებს ამ გზას. ესეც არ იყოს... რაღაც მოლანდება! ნუთუ ფიქრობთ, რომ...

ვიშმა მოძრაობით გამაწყვეტინა. სკამებს შორის გაიარა, მოხატული ლანგრის გვერდით შედგა, ერთხანს გაჩერდა.

— კლეიტონ, — თქვა მან, — ნამდვილი ბრიყვი ხართ.

კლეიტონს თვალებში ოხუნჯობის ნაპერ-ნკალი აუკიაფდა და ვიშს პასუხად ღიმილი შეაგება.

— ვიშმა მართალია, — თქვა მან, — თქვენ ყველანი კი ცდებით. მე მართლაც წავალ. როგორც კი უკანასკნელ “პასსაც” გავაკეთებ, როგორც კი ხელი უკანასკნელად გაკვეთს ჰერს, პრესტრო! და ამ ფარდაგზე აღარავინ იდგება, დარწმუნებული ვარ, ასე მოხდება. მეტი კამათი აღარ მსურს. დაე, ვცადოთ.

— არა, — თქვა ვიშმა, ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, გაჩერდა, კლეიტონმა კი ხელები აღაპყრო, რათა “პასები” გაემორობინა.

იმ წუთას ყველანი დაძაბულები ვიყავით — უფრო ვიშის საქციელის გამო. ვისხედით და კლეიტონს თვალს არ ვაცილებდით. რაღაც გრძნობაშ შემბოჭა და გამახევა, თითქოს თავით ფეხამდე ფოლადის დაჭიმულ ზამბარად ვიქეცი. და სწორედ ამ დროს, კლეიტონმა მეტად მშვიდად და სერიოზულად დაიწყო “პასების” შესრულება, წინ და უკან ქანაობდა, იხრებოდა, ხელებს აბრუნებდა და იქნევდა. როდესაც უნდა დაესასრულებინა, წინ გადმოიხარა, ამ დროს ვიღაც აწრიალდა, ვიღაცამ კი კბილი კბილს დასცა. მის ბოლო უესტს ასე აღვნერდი: მკლავები ფართოდ გაიქნია და თავი ასხია. როდესაც ბოლო მოძრაობაც გააკეთა, სუნთქვაც კი შემერა. რა თქმა უნდა, ეს სასაცილო იყო, მაგრამ მოჩვენებებზე შეთხზული ამბების მიერ მოგვრილ გრძნობებზე ყველას მოეხსენება. ბოლოს და ბოლოს, ეს სადილის შემდეგ ხდებოდა, უცნაურ, ძველ და მრუმე კუთხე-კუნჯულებით სავსე სახლში. მაშ, გაქრებოდა თუ არა?

იმ საოცარ წამს მკლავებგაშლილი და აუმღვრეველი იდგა, გაცისკროვნებული სახე ფარნის თვალისმომჭრელ კაშკაშში ზეცისკენ აღეპყრო. წამი საუკუნესავით გაიჭიმა. მერე კი ყველამ თითქოს შვებით ამოვისუნთქეთ. შევცეროდით, მაგრამ არ ქრებოდა. ყოველივე ეს სისულელე იყო. რაღაც უაზრობა მოგვითხრო, და ლამის დაგვარწმუნა მის უტყუარობაში, ეს

იყო და ეს! და სწორედ იმ წამს კლეიტონს გამომეტყველება შეეცვალა.

თავად შეიცვალა, ვითარცა გაჩირალდებული სახლი, რომელშიც უეცრად აქრობენ შუქს. მზერა უეცრად გაუხევდა, ღიმილი კი ბაგებზე მიეყინა. ასე იდგა ერთ ხანს მდუმარედ. იდგა, ოდნავ ირწეოდა.

ეს წამი ასევე საუკუნედ გვეჩვენა. მერე კი, უეცრად სკამები ამოძრავდა, საგნები ძირს ჩამოცვივდა. ყველანი მივვარდით... მას თითქოს მუხლები მოეკვეთა, წინ გადაიქცა. პირდაპირ ევანსს ჩაუვარდა ხელებში...

ყველანი გავოგნდით. ერთი წუთის განმავლობაში ვერცერთმა ჩვენგანმა ხმა ვერ ამოიღო. დავინახეთ ეს, თუმცა ვერ დავიჯერეთ... როდესაც გონის მოვედი, აღმოვაჩინე, რომ მის გვერდით ვდგავარ მუხლებზე. ჟილეტი და პერანგი დაფხრებილი ჰქონდა. სენდერსონს ხელი მის გულზე ედო.

ერთი სიტყვით, ისლა დაგვრჩენოდა, ფაქტი გვერწმუნა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად სწრაფად ვალიარებდით მომხდარს. ერთი საათის განმავლობაში იწვა იქ. ახლაც წევს ჩემს მეხსიერებაში, გაშავებული, საოცრად გარინდებული. ცხადია, კლეიტონმა იმ სამყაროში დაივანა, რომელიც ერთდროულად ეგზომ ახლოსაა და ეგზომ შორსაა ჩვენი სამყაროდან, და იქ მოსახვედრად მან იმ ერთადერთი გზით ისარგებლა, რომლის გავლაც მოკვდავთ ხელენიფებათ. თუმცა, იქ საბრალო აჩრდილის შელოცვამ გაისტუმრა თუ უეცრამა გულის დამბლამ მოულო ბოლო, როგორც ამას სასამართლო ექსპერტი ამტკიცებს, ჩემი განსასჯელი არაა. ეს შემთხვევა ერთ-ერთია იმ უთვალავი ამოუცნობი საიდუმლოდან, რომლებიც მანამ დარჩება პასუხგაუცემელი, სანამ ყოველივეს ერთიანად არ მოეფინება ნათელი. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცი: იმ წამს, როდესაც “პასები” დაასრულა, იგი შეიცვალა, შეტორტმანდა და ჩვენს წინ დაეცა — მკვდარი!

თარგმნეს კონსტანტინე ქარდავაძლა და ირაკლი ლომოურმა

ვერილები

რედაქციისგან: ჰერბერტ უელსი, გარდა იმისა, რომ გამოჩენილი ფანტასტი მწერალი იყო, ასევე საზოგადო მოღავე და პუბლიცისტი გახლდათ. თავისი მრნამსით იგი სოციალისტი (და გარკვეულწილად, უტოპისტი) იყო. გთავაზობთ მოკლე წერილს, სადაც კარგად ჩანს მისი დამოკიდებულება თანადორული კაპიტალისტური სისტემის მიმართ.

პერპერტ უელსი

დოლარი, როგორც ღმერთი

მე პრაქტიკული გონიერის პატრონი ვარ და ადამიანის რელიგიაზე მისი საქმეებით ვმსჯელობ. თუკი კაცი გამუდმებით ლოთობს, თუკი სასმელის გულისთვის მზადაა ყველაფერზე წავიდეს და ყველაფერი დაივინწყოს, რაც კი რამ კარგი არსებობს ამქეყნად, ჩემთვის სულერთია, რომელი გაცვეთილი რელიგიური იარღიყი აქვს მიწებებული – ბაპტისტის, სუნიტის, ინდუისტის, ბუდისტის, ორთოდოქსის, ქრისტიანული მეცნიერების მიმდევრის თუ ათეიისტის, რადგან მისი ნამდვილი ღმერთი – სასმელია. თუკი ყველა ცხოვრებისეულ ფასეულობას დოლარებით გამოხატავს, თუკი დოლარების დაკარგვა მისთვის სრული კრახის ტოლფასია, ხოლო მათი მომგებიანად და სხვების დასანახად დახარჯვა მის ენაზე „სიკეთის ქმნას“ ნიშნავს, ჩემთვის სულერთია, რა რელიგიას მისდევს, რადგან მისი ჭეშმარიტი ღმერთი სწორედაც დოლარია.

მრავალმა დოლარისთავანისმცემელმა იცხოვრა და მოკვდა, შურისგან იტანჯებოდა და მონინებისგან თრთოდა, მაგრამ გავპედავ და სიმართლეს ვიტყვი, მათ ღვთაებაზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენა არ მაქვს. მას იგივე ემართება, რაც სხვა მრავალ ცრულმერთს. მეტყვება, რომ ღმერთ-დოლარს თავისი თაყვანისმცემლების გადარჩენის ძალა შესწევდეს. მეტყვება, რომ თავისი თავის გადარჩენას მაინც მოახერხებს.

გაფურჩქვნის უამს ის მართლაც ძლევამოსილი ღვთაება გახლდათ. მას ხელწიფებოდა

შეკვრა და განხსნა. ვერც ერთ საქმეს ვერ წამოიწყდებდი, თუკი დოლარი მას კაპიტალით არ უზრუნველყოფდა. შეიძლება გქონდა თავისუფალი სამუშაო ძალა და გამოყენებელი მასალის გორებულება გადახდილი არ იქნებოდა, რაც უნდა დიდი ყოფილყო მოთხოვნა, არაფერი გამოგივიდოდა, სანამ ღვთაება მოწყალე თვალით არ გადმოგხედავდა. მთავარი საზრუნავი ყველასი, ვინც ადამიანის სამსახურს ცდილობდა, – თავს უძღვნიდა სამეცნიერო კვლევას, ანდა ეხმარებოდა მას, ამა თუ იმ სახის ქველმოქმედებით იყო დაკავებული, „სახსრების მოძიება“ გახლდათ. თანდათანობით ამ ღვთაებამ მთელი მსოფლიო დაიპყრო. დედამიწის ყოველი კუთხიდან კრებდა ხარკს, მთელი მსოფლიოს ოქრო მიედინებოდა მის უზარმაზარ საგანძურში (ამასაც არ სჯერდებოდა, უფრო მეტის გადახდას მოითხოვდა, ვიდრე ადამიანს შეეძლო).

ამ ღვთაების ქურუმთა სწავლება აცხადებდა, რომ ყველა ადამიანი მისი მონაა. მაგრამ მონები აჯანყდნენ. მათ ურჩიეს დოლარის თავყვანისმცემლებს ფულზე ჯვარი დაესვათ და თავის დაგირავებულ ქვეყნებში ისე დაინტეს საქმიანობა, თითქოს ვალებისგან თავისუფლები იყვნენ. შეძლეს მიემართათ საქონლის გაცვლისა და კოლექტიური საკუთრების სისტემისთვის, ფული იმდენად გაუფასურდა, რომ ის საპნის ბუშტად იქცა, და ბოლოს, ვალების ანულირება მოეხდინეს.

იმ დღიდან, რაც ფული გაჩნდა, კაცობრიობის ისტორია, ესაა მსგავსი ამბოხებების, საკრედიტო ვალდებულებებისგან გათავისუფლებისა და ამით გამოწვეული სიხარულის ისტორია. ტყუილად უწევდნენ წინააღმდეგობას მევახშები და კრედიტორები, რომლებმაც დოლარისგან ფეტიში შეიქმნეს. ამაოდ იყვნენ დაკავებული წვრილმანი არითმეტიკით. კრეზი ოქროს ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავყვანისმცემელი იყო ძველ სამყაროში. კადნიერი მკრეხელები აუჯანყდნენ, მისი ოქროს კერპი დაადნეს და ხახაში ჩასხეს.

ნიგნიდან „გზამკვლევი ახალ სამყაროში“, 1941წ.

თარგმნა ირაკლი ლომოურმა

არჩილ ქიქვაძე

პერპერტ უელსი - სსოვნა მომავლიდან (გიოგრაფიული ნარკვევი)

ლიტერატურის ისტორიაში არსებობენ ადამიანები, რომელთაც ხედათ პატივი, ახალი ჟანრის დამფუძნებლებად ქცეულიყვნენ, გადაეცვიათ გატკეპნილი შარაგზებიდან და საკუთარი, უცხო ბილიკებით დაეწყოთ სვლა. მათ სხვებიც მიჰყვნენ უკან და ეს უსიერი ბილიკები თანდათანობით ახალ შარაგზებად გატკეპნეს.

ფანტასტიკური ლიტერატურის ჟანრს, შეიძლება ითქვას, სამი ასეთი წინამძღოლი: მერი შელი, უიულ ვერნი და ჰერბერტ უელსი ჰიყავდათ. არცერთი მათგანის სახელი ქართველი მეითხველისთვის უცხო არ არის. ბავშვობაში სწორედ ამ მწერლებმა გვაზიარეს საშინელებათა, სათავეადასავლო თუ სამეცნიერო-ფანტასტიკურ ნაწარმოებებს. ამჯერად სწორედ ჰერბერტ უელსზე ვისაუბრებთ.

ალბათ, არაა შემთხვევითი, რომ სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის პატრიოარქი, მისტერ უელსი სწორედ დიდ ბრიტანეთში დაიბადა – ევროპის იმ ნაწილში, რომელიც სამრეწველო-ტექნიკური (და არა მხოლოდ ამ) კუთხით ყველაზე მეტად დაწინაურებული გახლდათ (შედარებისთვის, 1861 წელს, როდესაც რუსეთის იმპერიაში პატონი მიმობის გაუქმება დაიწყეს, ლონდონში მეტროპოლიტენის პირველი ხაზი გაჰყავდათ) და, მაშასადამე, ტექნიკურატიული ფონი მსგავსი ლიტერატურული ჟანრის შექმნისთვის სათანადო გახლდათ. ვიქტორიანული განათლების სისტემამ, რომელმაც დაწყებითი და საშუალო განათლება იმპერიის ყველა ქვეშევრდომისთვის საგალდებულოდ აქცია, განათლების დონე მასიურად აამაღლა. ლიტერატურულ სალონებში მოდური გახდა საუბრები არა მხოლოდ ლიტერატურაზე, უკანასკნელ მოდებსა თუ პოლიტიკურ ინტრიგებზე, არამედ ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებსა თუ ახალ სამეცნიერო წარმოდგენებსა თუ თეორიებზე. მეტიც, მსგავსი განხილ-

ვები ნელ-ნელა გასცდა არისტოკრატიისა თუ ბურჟუაზიისთვის განკუთვნილ სალონებს და მოსახლეობის ფართო მასებს მოედო. სწორედ ამ დროს, როდესაც დიდ ბრიტანეთში და შემდეგ ევროპაში ტექნიკურატიული ცივილიზაცია მთელი ძალ-ღონით იფურჩქებოდა და მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ცხოვრების დონე გეომეტრიული პროგრესით განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა, 1866 წლის 21 სექტემბერს, კენტის საგრაფოს ქალაქ ბრომლიში (დღეს ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთი გარეუბანი), მებალის, მოვიანებით კი ფაიფურით მოვაჭრისა და მოახლის ოჯახში დაიბადა ჰერბერტ უელსი.

უელსების ნაბოლარა ვაჟი ცელქი და მოუსვენარი იყო. რვა წლის ასაკში პატარა ჰერბერტმა ფეხი მოიტეხა. სწორედ ამ ტრავმამ უბიძგა ბიჭს წიგნებისკენ. ოჯახის ფინანსური საქმეები მაინცადამაინც კარგად არ მიდიოდა, რის გამოც ბიჭს ადრეული ასაკიდან მოუწია მუშაობის დაწყება. 1888 წელს უელსმა დაამთავრა ლონდონის უნივერსიტეტი ბიოლოგიის განხრით. თავისი სპეციალობის გარდა, უელსს სხვადასხვა სფეროში მოუწია მუშაობა: იყო აფთიაქარი, მასწავლებელი. მაგრამ, რაც მთავარია, იყო ცნობილი ბიოლოგის, თომას ჰექსლის ასისტენტი.

1895 წელს გამოვიდა 29 წლის უელსის პირველი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები, „დროის მანქანა.“ გამოსვლისთანავე წიგნმა მთელს ბრიტანეთში ფურორი მოახდინა და ელვის სისწრაფით გავრცელდა ევროპასა და ამერიკაში. სწორედ ამ წიგნში, აინშტაინამდე ათი წლით ადრე, ჰერბერტ უელსმა გამოთქვა იდეები ჩვენი სამყაროს ოთხანზომილებიანი მოწყობის, სივრცე-დროითი კონტინუუმის არსებობის და ფარდობითობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ წიგნზე იმხელა მოთხოვნა გაჩნდა, რომ მაღაზიებში მისი პოვნა თითქმის შეუძლებელი იყო. წიგნმა უელსს საყოველთაო პოპულარობა მოუტანა. წიგნი უამრავ ენაზე ითარგმნა. მის მიხედვით შეიქმნა არაერთი სპექტაკლი, რადიო და ტელედადგმა, გადაიღეს არაერთი ფილმი. სწორედ ამ ნაწარმოებმა დაუდო საფუძველი დღევანდელ დღემდე ფრიად პოპულარულ იდეას დროში გადაადგილების შესახებ. ქართველი მკითხვ-

ელისთვის ასე ნაცნობი წიგნის აღწერით თავს არ შეგანყენთ. საკმარისია ითქვას, პირველად სწორედ ამ წიგნში გამოითქვა ვარაუდი, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი საზოგადოებრივი კეთილდღეობის უპირობო გარანტიას სრულიადაც არ ნარმოადგენს და ტექნოკრატიულ მიღწევებს სიფრთხილად უნდა მოვეპყროთ, რათა საზოგადოება დარტყმის ქვეშ არ აღმოჩნდეს.

უელსის ნანარმოებები, გარდა იმისა, რომ დახვეწილი და ტექნოკრატიული, ხისჭი სამეცნიერო-ფანტასტიკური სტილით გამოიჩევა, ამასთან ერთობ წინასწარმეტყველურიც აღმოჩნდა. მათ შორისაა 1898 წელს გამოსულ უელსის „მაგნუმ ოპუსი“ – „სამყაროთა ომი“, რომელმაც ჰერბერტ უელსს არა მხოლოდ პოპულარობა, არამედ საყოველთაო აღიარება მოუტანა. ეს ორი ნანარმოები, „დროის მანქანა“ და „სამყაროთა ომი“ დღემდე სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის უანრის ფუძემდებლურ, კლასიკურ ნანარმოებებად მიიჩნევა. უნდა ითქვას, რომ ორივე მათგანი თარგმნილია ქართულ ენაზე.

სწორედ ამ ნანარმოებში, პირველ მსოფლიო ომამდე, გერმანელების მიერ იპრიტის და ბრიტანელების მიერ ტანკების გამოყენებამდე თითქმის ოცი წლით ადრე უელსმა იწინასწარმეტყველა ბრძოლა მომწამვლელი აირებით, შეჯავშნული ტექნიკით, ავიაციით და სპეციფიკური სხივური იარაღით, რომელსაც დღეს ლაზერის სახელწოდებით ვიცნობთ. ამავე ნანარმოებში გამოითქვა პირველად იდეა დედამიწაზე უცხო ცივილიზაციის წარმომადგენელთა აგრესიული შემოჭრის შესახებ, რომელიც მოგვიანებით სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ თემად იქცა.

ნანარმოებს უზარმაზარი გამოხმაურება მოჰყვა. 1938 წელს ამერიკელმა კინორეჟისორმა, ორსონ უელსმა (ჰერბერტ უელსის ვაჟმა), ნანარმოების რადიოდადგმა შექმნა, რომლის მოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიტანა. გადაცემა რეპორტაჟის, პირდაპირი ეთერის სახით იყო წარმოდგენილი (რასაც ახლა “მოდელირებულ ქრინიკას უწოდებენ”), რის გამოც რადიოდადგმას შეერთებული შტატების რიგ რაიონებში მასო-

ბრივი არეულ-დარეულობა და პანიკა მოჰყვა. სხვათა შორის, იგივე განმეორდა 1949 წელს ქალაქ კატოში, ეკვადორის დედაქალაქში, სადაც ასეთივე რადიოდადგმა განახორციელეს (განრისხებულმა მოქალაქებმა დედაქალაქის რადიოსადგური დაარბიუს, – დაიღუპა 6 ადამიანი).

მსგავსი წინასწარმეტყველური იდეები გვხვდება რომანებში „როდესაც მძინარე გაიღვიძებს“ და „ომი ჰერში.“ 1905 წელს უელსმა ნამოაყენა გონიერი ჭიანჭველების იდეა ნანარმოებში „ჭიანჭველათა იმპერია“ (რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ცნობილ ფრანგ ფანტასტზე, ბერნარ ვერბერზე ტრილოგია „ჭიანჭველებზე“ მუშაობისას.). ხოლო 1914 წლის ნანარმოებში „განთავისუფლებული სამყარო“ აღწერილია მეორე მსოფლიო ომი, რომელიც იწყება 40-იან წლებში და მთავრდება ატომის დაშლის პრინციპზე მოქმედი ატომური ბომბის (ნანარმოებში ზუსტად ეს სახელწოდებაა გამოყენებული) გამოყენებით, რომელსაც თვითმფრინავიდან აგდებენ. ვფიქრობთ, აქ კომენტარები ზედმეტია.

1923 წელს უელსმა ასევე პირველმა ნამოაყენა პარალელური სამყაროების არსებობის იდეა ნანარმოებში „ადამიანები, როგორც ლმერთები“. ეს იდეა მოგვიანებით არაერთმა ფანტასტმა აიტაცა. მაგალითად აიზეკ აზიმოვმა თავის გახმაურებულ ნანარმოებში „თავად ლმერთები“. უელსს ეკუთვნის „ანტიგრავიტაციის“ ცნებაც („პირველი ადამიანი მთვარეზე“), ასევე „დროის დამაჩქარებელის“ და ბევრი სხვა.

ფანტასტიკურმა ნანარმოებებმა უელსს დღევანდელი საზომითაც კი წარმოუდგენელი პოპულარობა, უზარმაზარი ტირაჟები, ხელშეკრულებები, ლექციები და მოგზაურობები, საბოლოო ჯამში კი ფაფუნებით ცხოვრება მოუტანა. მწერლის არნახულ პოპულარობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ეს უანრი ევროპისთვის ფაქტიურად უცხო იყო – თუ უიულ ვერნის ნანარმოებებს არ ჩავთვლით, რომელიც ხისჭი სამეცნიერო-ფანტასტიკისგან განსხვავებით, უფრო სათავგადასავლო და პოპულარული ენით გადმოცემული სამეცნიერო თხრობა გახდდათ. უელსის სახელი ყველა პირზე ეკერათ. უელსს ლამისაა პოლიტი-

კური დიდების შარავანდი მოსავდა ევროპის და ამერიკის საშუალო და დაბალი სოციალურ ფენების წარმომადგენელეთა თვალში. უნდა ითქვას, რომ უელსი თავს სოციალისტად მიიჩნევდა, თუმცა მარქსიზმს აკრიტიკებდა. მონაწილეობდა ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბერნარდ შოუსა და უინსტონ ჩერჩილთან. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ჩერჩილი და უელსი ერთმანეთს პოლიტიკურ ოპონენტებად ექცნენ, კარგი ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს.

სწორედ უელსის მემარცხენეობა (მარქსიზმისადმი მისი არაორაზროვნად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად), აღმოჩნდა მიზეზი იმისა, თუ რატომ უყვარდათ უელსი ყოფილ საბჭოთა კავშირში. უელსმა რამდენჯერმე იმოგზაურა რუსეთში. პირველად 1914 წელს, მეფის დროს, მეორეჯერ 1920 წელს, საბჭოთა რუსეთში, შემდეგ 1923 წელს, როდესაც ოფიციალურად ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირი. და ბოლოს, 1934 წელს. მას ჰქონდა შეხვედრები ლენინთან და სტალინთან. საბჭოთა კავშირში მისი წიგნები ლამისაა მილიონიანი ტირაჟებით იპეტდებოდა და თითოეულ საბჭოთა ოჯახს თავის ბიბლიოთეკაში უელსის ერთი ნაწარმოები მაინც მოეძევებოდა.

უელსმა სამეცნიერო ფანტასტიკის განვითარების საქმეში უზარმაზარი წვლილი შეიტანა. მომდევნო პერიოდის ფანტასტებმა მისტერ უელსისგან არაერთი თემა თუ იდეა ისესხეს და განავითარეს. სიცოცხლის ბოლო პერიოდში უელსი ძირითადად რეალისტური ჟანრის ნაწარმოებებს ქმნიდა, რომლებიც შედარებით ნაკლებადაა ცნობილი.

უელსი გარდაიცვალა 1946 წლის 13 აგვისტოს, 79 წლის ასაკში. ანდერძის თანახმად მისმა ვაჟიშვილებმა სახელოვანი მამის სხეულს კრემაცია ჩაუტარეს და ფერფლი ლა-მანშის სრუტეს მოაბნიერა. 1970 წელს საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა თავის კონგრესზე მთვარის უკანა მხარეზე ერთ-ერთ კრატერს სამეცნიერო-ფანტასტიკის პატრიარქის სახელი მიანიჭა.

კლუბის ცენტრა შემოქმედება

ილია გაგუაშვილი

306 არის ლეიტო?

|

დათო ჯაში გონის უცნაურ პალატაში მოეგო — ოთხივე... არა, ექვსივე... თუ ხუთივე... მოკლედ, ყველა კედელი შუშის იყო. განა ჩამუქებული, ჩვეულებრივი, გამჭვირვალე შუშის. დათო სანოლში იწვა და ვენაში წვეთოვანი ჰქონდა შეერთებული. მრგვალი... არა, ცილინდრული... არა, კუბური ფორმის ჭურჭელი საიდანაც მილში სასიამოვნო მწვანე ფერის ბლანტი სითხე მოედინებოდა, ჰაერში ლივლივებდა. პალატას ლირიკული, მონოგრაფური ბერება ავსებდა. დათომ გაიფიქრა, რომ ეს უწყვეტი ზუზუნი გაცილებით სჯობდა მისი საყვარელი “Dark Side”-ის შესავალს და საერთოდ, „პინკ ფლოიდის“ ყველა მელოდიას. განძრევა ეზარებოდა. თავს კარგად გრძნობდა. ხედავდა, რომ პალატაში ამ ბერისა და წვეთოვანის მეტი არაფერი იყო, ხოლო თავად პალატა უზარმაზარ, უფრო სწორად კი უსასრულო დარბაზში ეკიდა. ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ, მარცხნივ და კიდევ რამდენიმე სხვა მხარეს, ყველაფერი კარგად ჩანდა. წესით, უნდა დაინტერესებულიყო, აქ როგორ მოხვდა, მაგრამ გადაწყვიტა, ამაზე სხვა დროს ეფიქრა. თვალები დახუჭა, უნდოდა მონოგრაფური ბერება ბოლომდე შეეგრძნო. აზროვნება კი არ სურდა... ან არ შეეძლო.

— არა, არა, თვალებს ნულარ დახუჭავ! — ჩაესმა ხავერდოვანი ხმა, — პირიქით, ცოტა ხნით უნდა გააქტიურდე.

„მაშინ, ეს საკაიფო ზუზუნი გამორთეთ,“ — ფიქრის ბორძიკით უპასუხა დათომ, ისე რომ ხმა არ ამოუღია.

— გაახილე თვალები! — გაიმეორა ხავერდოვანმა ხმამ.

გაახილა. პალატაში არავინ იყო. მიმოიხედა. გარეთ, უსასრულო დარბაზში, უამრავი ადამიანი საქმიანობდა. პირდაპირ ჰაერში დადიოდნენ, სხვადასხვა დონეზე, იატაკის გარეშე. ზოგი ადიოდა, ზოგი — ჩადიოდა. ბევრი

მონიტორთან იჯდა.... უსკამოდ. ზოგიც კიდევ სხვა რაღაცით იყო დაკავებული, უბრალოდ, ჯაშმა ყველაფერი უცბად ვერ გაარჩია.

„ეტყობა, იატაკები პროსტო არ ჩანს“, – გაითიქრა. ფიქრი აღარ დაბმია. ზანტად წამო-ჯდა საწოლზე.

– საერთოდ არ არის! — უთხრა ხავერდო-ვანმა.

– რა?

– იატაკები.

– ვა...

სასიამოვნო ბგერა ისევ ნეტარი ძილისკენ ექაჩებოდა.

– ჩამოყავი ფეხები. ავად კი არა ხარ.

– ეს საკაიფო ზუზუნი მაქლიავებს.

– არა უშავს. ეს პროგრამა თითქმის უკვე ჩაგიტვირთე. მერე სხვა უნდა დაგიყენო.

უცებ, დათოს მოეჩვენა, რომ მიხვდა, ვინც ელაპარაკებოდა. საწოლიდან ფეხები ჩამოჰყო, ოდნავ წელშიც გაიმართა. თვალები მოჭუტა, კარგად რომ დაენახა. რატომლაც, პალატიდან მოშორებით, დაახლოებით ორმოცდათ... არა, ათ... არა, ოცდახუთ მეტრში, მონიტორთან, მისკენ ზურგით მჯდომ მსუქან, მელოტ კაცს მიაქცია ყურადღება. კაცი გაფაციცებული მისჩერებოდა მონიტორს და პარას თითებს აჭერდა, ეკრანზე კი ფერები იცვლებოდა. მეტი არაფერი. თუმცა, ამსიშორიდან რას გაარჩევდი.

– სწორად მიხვდი. მე გელაპარაკები, – ისევ გაისმა ხავერდოვანი ხმა, – ეს კი იმას ნიშნავს, ჩემო კარგო, რომ ახალი თანამშრომლების შერჩევაში არასდროს ვცდებით.

– მე ვარ ახალი თანამშრომელი?

– ხო, შენ. არაფერზე ინერვიულო, თან-დათანობით აგიხსნი ყველაფერს.

დათო წამოიზლაზნა. ოთახში გაიარ-გამოი-არა. წვეთოვანი თან დაპყვებოდა.

– რაო, რა თქვი? რა ჩამიტვირთე?

– როგორ გითხრა... დაახლოებით „ვინ-დოუზს“ ვაყენებ. უფრო სწორად, „ვინდოუზი“ უკვე დაგიყენე და ახლა პროგრამებს ვტვირ-თავ.

– მე რა, კომპიუტერი ვარ?

– აბა?!... თან, რაკი მალევე მიხვდი ამდენ ხალხში რომელი გელაპარაკებოდა, როგორც ჩანს, ძალიან მაგარიც.

ჯაში გაჩუმდა.

„ისე, მართლა. ეს ტიპი ხომ შორს ზის, ზუ-რგით. პირის მოძრაობას მე ვერ ვხედავ და სახეში არ მიყურებს...“ – კეფის ფხანით ისევ საწოლზე ჩამოჯდა. აშკარად უკეთ აზროვნებდა. ალბათ იმიტომ, რომ მათრობელა ზუზუნი შეწყდა.

– მართალია, – უპასუხა მსუქანმა მელოტმა, – და, საერთოდ, სულაც არ არის აუცილებელი ხმამალლა ილაპარაკო. რა თავს იყლავ? ხომ ხედავ, შენი გაფიქრებულიც კარგად მესმის. მეც ფიქრით გპასუხობ. უი, უი, პროგრამა ჩატვირთულა. ახლავე დაგიყენებ ახალს.

დათომ დაინახა, რომ მსუქანი წამოდგა, მონიტორი ცხვირსახოცივით დაკეცა, პერანგის ჯიბეში ჩაიდო და მისკენ გამოემართა.

„ერთი, შეფთან შევალ. მგონი დროა ბრა-ზილიელებმა ქვეყანაში რკინიგზის მშენებლობას სერიოზულად მიხედონ. კოეფიციენტი ერთს უახლოვდება“, – მოესმა.

– რა შუაშია ბრაზილია?

– მე არ მითქვამს, – უთხრა ხავერდოვანმა.

ჯაში დაიბანა. მიმოიხედა. მსუქანი მისკენ მოაბიჯებდა და კეთილად ილიმებოდა.

„47 დღეში, ინდონეზიაში, ისევ მიწისძვრა იქნება. ცუნამიც. ის ბავშვი, სახელად სურია ვიდჯაჯა, ხომ არ გაგვერიდებინა იქაურობას?“

– არც ეს მითქვამს. მე შენსკენ მოვდივარ. აქ ყველას თავისი საქმე აქვს.

დათომ გამჭვირვალე იატაკს ქვემოთ ჩაიხედა. ქერა ქალი ნერვიულად ისრესდა ნიკაპს.

„რა ვუყო ამ ვიდჯაჯას? სადმე წაყვანაც არ ივარგებს.“

პალატის კარი გაილო. მსუქანი და მელოტი ფართე ღიმილით შემოვიდა.

– ფიქრების გაფილტვრა უნდა გასწავლო, თორემ ყველას თუ უსმინე, გაგიუდები. ახლავე ჩაგიტვირთავ მაგ პროგრამასაც. გამომიშვირე ხელი.

ჯაში დაემორჩილა. მსუქანმა ძველი წვეთოვანი საოცარი ოსტატობით გამოაძრო და ახალი შეუერთა, უფრო სწორედ მიადო. გამჭვირვალე, გრძელი შლანგის ბოლო პარას აიპრიხა და უფერო სითხით სავსე ჭურჭელი გამოებერა. პალატაში მონიტორული ულარუნი გაისმა.

– ეს მუსიკა არ ვარგა.

— არც ის იყო მუსიკა და არც ეს.

„მესამე განცყოფილების საყურადღებოდ. ევროპაში თერთმეტი მილიონ სამასასამოცდახუთი ათას ოცდაშვიდი კაცი კუჭშია შეკრული. დააკვირდით პროცესის დინამიკას. შესაძლოა ჩარევა გახდეს საჭირო“.

— ფუ, შენი!

— დაწყნარდი. ხომ გითხარი, მალე ისწავლი ფიქრების გაფილტვრას, — გაეღიმა მსუქანს.

— კი მაგრამ, სად ვარ?! — იკითხა უცებ დათომ და მიხვდა, რომ ეს კითხვა, წესით, გამოფხიზლებისთანავე უნდა გასჩენოდა.

— იქ, საიდანაც დედამინა იმართება. შენ, ჩემი არ იყოს, სანამ ხალხთან ცხოვრობდი, ეტყობა გეგონა, რომ ყველაფერი თავისითავად, ფიზიკის, ქიმიის, და რაღაც სხვა კანონების შესაბამისად მიმდინარეობს, არა? არა, ჩემო დათო, თავისით არაფერი ხდება. მართვა უნდა ყველაფერს.

— არაფერიც არ მეგონა. ამაზე საერთოდ არ მიფიქრია.

— უცნაურია. არადა, მაგარი ხარ. დიდი ხანი გაკვირდებოდით და ზუსტად ვიცით, რომ ამ საქმისთვის ხარ ზედგამოჭრილი.

„ევრიკა! დადგინდა! კარგი სიმტონია კიდევ 63 წელი არ არის საჭირო. დედამინაზე ბადრი-ჯინის, ყაბაყის, კიტრის და სხვა ორლებნიანთა მოყვანას შეუშლის ხელს. შეიძლება ამ კლასში შემავალ ოჯახთა ნახევარი სულაც გააქროს, რის გამოც, სამხრეთ ამერიკაში, ტოქსიკური სარეცხი ფხვნილების მოხმარება ნორმას გადააჭარბებს“, — ტაში შემოჰკრა პალატის გვერდით ერთბაშად სამ მონიტორთან მიმჯდარმა, ყურსასმენებიანმა ხუჭუჭა ახალგაზრდამ, წამოიჭრა, მონიტორები დაგრაგნა, იღლიაში ამოიჩარა და სადღაც გაიქცა.

— დროზე დამიყენეთ რა ეს ფილტრი! — ცოტა არ იყოს გაღიზიანდა ჯაში, მაგრამ მსუქანი უკვე კარში გადიოდა, უკან აღარ მოუხედავს.

— მერე მოვალ, როცა საჭირო იქნება. თუ რამე გენდომება მკითხე, — შემოჰტიქრა ზურგიდან.

„უი, ნეტავ, ჩემები როგორ არიან?! ალბათ, მეძებენ და გულს ასკდებიან, საწყლები.“

— შენი აქ გადმოყვანიდან დედამინის დროით უკვე ორმოცდასამი წელიწადია გასუ-

ლი, ასე რომ, მაგაზე ნულარ ინერვიულებ, — მიიღო პასუხად.

ასეთი რამის გაგონებაზე დათო ჯაში, ალბათ, უნდა დაზაფრულიყო, მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ ცნობად მიიღო.

— კაროჩე, ყველა გზა მოჭრილი ყოფილა, რა. კი მაგრამ, სად ვარ, სადმე ღმერთის ოფისში?

მსუქანმა კაცმა ხავერდოვანი ფიქრით გადაიხარხა.

— იო, ღმერთო ჩემო. ჩენ მხოლოდ და მხოლოდ დედამინის მართვისა და პროცესთა დაგეგმარების სამსახურში ვართ, მეტი არსად.

— კი მაგრამ, ღმერთი?

— რა ვიცი, მე. ღმერთის არსებობა, ჩემო კარგო, რწმენის საკითხია.

დათო რამდენიმე წუთით დადუმდა. შემდეგ დაიძაბა და თვალსმოფარებულ მსუქანს რომ გაეგო, შეძლებისდაგვარად ხმამაღლა გაიფიქრა.

— და აქაური შეფი ვინ არის? ადამიანია თუ ვინმე... ანგელოზი?

— რასაკვირველია, ადამიანი... რაებს კითხულობ, ხომ გითხარი, დედამინის მართვისა და პროცესთა დაგეგმარების სამსახურში აგიყვანეთ, წირვაზე კი არ ხარ.

— და ამ ადამიანს თავისი შეფები ჰყავს?

— კი, მას და დირექტორატის რამდენიმე წევრს აქვთ კავშირი ირმის ნახტომის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების მართვის ცენტრთან. ისე, რომ იცოდე, ადამიანები იმ ცენტრის წარმომადგენლებს ვერც კი ხედავენ. ისინი არამატერიალურ ცივილიზაციას ეკუთვნიან.

— და იქნებ, სწორედ იქ არის ღმერთი.

— კაცო, ხომ გითხარი, ღმერთი რწმენის ამბავია-მეთექი. მართლა კარგად შეგარჩიეთ. უკვე რამდენი და რანაირი კითხვები დამისვი. შენ ადგილას სხვას ან შეეშინდებოდა, ან ტირილს მოჰყვებოდა, — ამდენი წელიწადი თუა გასული, ჩემები ცოცხლები აღარ იქნებიან და რაღაც ასეთი... იცი? შენ დღეში რომ ვიყავი, დანეცულობისგან არსენალის და ვულვერჰემპტონის თამაშის ანგარიში ვიკითხე, როგორ დამთავრდა-მეთექი.

— ინგლისელი ხარ?

— ჰო.

— და მე რატომ არ ვიკითხე ჩემების ამბავი? ან რატომ არ შემეშინდა?

– მე რა ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ მაგარი ხარ. ოლონდ, თავიდანვე ნუ იფიქრებ, რომ შესაძლოა ღმერთი შენ ხარ. არ გინდა. არ ივარგებს.

„ვისკონსინში სასწრაფოდ სერიული მკვლელია საჭირო. აუცილებელი არ არის, სექსუალური მანიაკი იყოს. ნაყინის დამტარებელი თუ იქნება, აჯობებს“, – ჩაერია საუბარში ვილაცის საქმიანი ამონაფიქრი. ჯაშმა აიხედა. პალატის ზემოთ, სათვალიან კაცს შუბლი შთამბეჭდავად შეექმუხნა.

– გეხვეწები, რა, ფილტრის ამბავი დამიჩქარე...

– ყველაფერი თავის დროზე იქნება...

...დათო ჯაშს ძილი მოერია.

– ისე, ხომ შეიძლება, რომ მართლა მე ვარ ღმერთი, ესენი კი ამის გაგებაში მეხმარებიან... – გაიფიქრა, მაგრამ გადალლილმა აზრი ვეღარ განავითარა. ის გამჭვირვალე ოთახში გულალმა ინვა და ფშვინავდა.

პოროფების პლანეტა

უამრავი ყუმბარა ცვიოდა. ისინი პლანეტის ზედაპირს ენარცხებოდნენ და სკდებოდნენ. ზედაპირი გამსკდარ ყუმბარათა შიგთავსმა დაფარა. მისი უცხო სუნი ხომალდშიც კი აღწევდა. ილუმინატორიდან ჩანდა, რომ პლანეტაზე განთხეული შიგთავსი ორგანშემზარავ ნაკადებად გაერთიანებულიყო და სამყაროს დაქცევით ემუქრებოდა. ავი ღრიანცელი იდგა. ყუმბარათა ვარდნისა და სკდომის ხმას, სხვა მრავალი უცხო და ძრწოლვისმოგვრელი ხმაურიც ერთვოდა. კაპიტანმა ყველა ფილტრის ჩართვა ბრძანა. ფილტრები უკიდურესი სიმძლავრით მუშაობდნენ, მაგრამ თავიანთ ფუნქციას სრულყოფილად მაინც ვერ ასრულებდნენ. ეკიპაჟი ახალ, უცხო და ბოროტ გარემოს მხედველობითაც გრძნობდა, ყნოსვითაც და სმენითაც. კაპიტანი ვაჟკაცურად იდგა, შემართული იძლეოდა განკარგულებებს, მაგრამ დრო რომ ჰქონოდა, ალბათ, ისიც სხვებივით დაწყევლიდა იმ ნამს, როდესაც სივრცით რუკაში რაღაც შეიცვალა და ხომალდმა გეზი დაკარგა. აშკარად, პროგრამამ აურია. შეცდნენ, ტექნიკას ბოლომდე რომ ენდნენ. კოორდინატთა ერთი ძველებუ-

რი მთვლელი და მართვის მექანიკური პულტი უნდა დაეტოვებინათ.

გარშემო კი საშინელება ტრიალებდა. დამცავი ველი ყუმბარებს ხომალდზე დაცემის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ რყევას ვერაფერს უშვრებოდა. ამას ცალი მხრიდან პერიოდულად მოვარდნილი გრიგალი ემატებოდა. გრიგალს ძლიერი შეუილიც სდევდა, რომელსაც გვერდიდან დაშენილ ყუმბარათა ნიაღვარი ემთხვეოდა. რადარებმა დააფიქ-სირეს, რომ პერიოდულ გრიგალთან ერთად სივრცეს უზარმაზარი ჩრდილიც ჩაუქროლებდა. როგორც ჩანს ჩრდილი, გრიგალი, შეუილი და გვერდიდან მოყრილ ყუმბარათა ნაკადი ერთმანეთთან იყო კავშირში.

– კაპიტანო, იქნებ, გავერიდოთ აქაურობას? – გაბედა შტურმანმა, თუმცა, თავადვე ეჭვობდა, რომ სანამ ცენტრიდან სწორ მიმართულებასა და კოორდინატებს არ შეატყობინებდნენ, ბრმად შორს გაფრენა უარესი იქნებოდა; ამ ჯოჯოხეთურ სამყაროში კი უსაფრთხო ადგილი არსად ჩანდა – ასეთი, ხომალდის უახლესმა აპარატურამ ვერ ალმოაჩინა.

ის იყო კაპიტანს შტურმანისთვის პასუხი უნდა გაეცა, რომ ცენტრიდან მესიჯი მოვიდა: „თქვენი ადგილმდებარეობა აღმოჩენილია. შეეცადეთ მხედველობიდან აღარ დაგვეკარგოთ. სწორ კოორდინატებსა და ინტ-სტრუქტიებს სამ ნტკავიში მოგანოდებთ.“

– სამ ნტკავის, წესით უნდა გავუძლოთ, – ჩაილაპარაკა შტურმანმა და უცებ შეამჩნია, რომ ზემოდან ყუმბარების ცვენა ჯერ მკვეთრად შენებდა, შემდეგ კი შეწყდა.

– ოჳო, ეს კარგია! – ლოყა შეუთამაშდა კაპიტანსაც.

ეკიპაჟის წევრებიდან ზოგმა ილუმინატორში გაიხედა. ზოგი სივრცული კამერიდან მონიტორებზე გამოტანილ გამოსახულებას მიაჟრერდა. ზემოდან ყუმბარები მართლა აღარ ცვიოდა, სამაგიეროდ ჩრდილი, გრიგალი, შეუილი და ყუმბარათა გვერდიდან ფრქვევა გრძელდებოდა. ორი შემზარავი ნაკადიც ძველებურად მიედინებოდა, თუმცა... რაღაც დადებითი ტენდენცია მაინც იგრძნობოდა ამ ყველაფერში. თითქოს, ცოტა განათდა.

– ნაკადების სისწრაფე და ინტენსივობა კლებულობს, – გაისმა დინამიკებში მესამე განყოფილების მორიგის ხმა.

– როგორც ჩანს, ბრძოლა შენელდა. ორნახევარი ნტპავიც უნდა გავძლოთ, – ჩაილაპარაკა კაპიტანმა.

დრო საშინლად ნელა გადიოდა. როდესაც ცენტრიდან ახალი კოორდინატების მიღებამდე ერთნახევარ ნტპავიზე ოდნავ მეტილა იყო დარჩენილი, ხომალდის წევრებმა ახალი ხიფათი აღმოაჩინეს. არა, ბოროტების პლანეტის წიაღიდან ამომძვრალი ექვსფეხა, მწერის-მაგვარი დიდრონი არსებები იმდენად საშიშნი არ იყვნენ – როგორც კი პირველივე მათგანი ხომალდს მიუახლოვდა, კაპიტანმა აგრესიული მუხტის ჩართვა ბრძანა და მწერისმაგვართ მათკენ გამოხედვის ყოველგვარი სურვილი გაუქრათ. სახიფათო ის იყო, რომ ზედაპირმა დაინტყო ზანზარი. კვლავ გადაიტვირთა კამერები და რადარები. მეორე, ანუ ანალიტიკის განყოფილებაში, სხვადასხვა ეკრანზე დიაგრამას დიაგრამა, მონაცემს მონაცემი ცვლიდა.

– თითქოს, უზარმაზარი ობიექტები ამოძრავდნენ, კაპიტანო. წარმოუდგენელი ზომის გამო თვალით მათ აღქმას ვერ ვახერხებთ, მაგრამ რყევათა მიმართულების, შუქ-ჩრდილთა ვექტორისა და ბერის ანალიზი გვაჩვენებს, რომ ის, რაც ახლა ჩვენ გარშემო ხდება, ყველაზე მეტად რაღაცის გადაადგილებას ჰგავს. ჯერჯერობით ვერაფრით დავადგინერთ, რა მოძრობას, რაიმე ხელოვნური კონსტრუქცია, საბრძოლო-სატრანსპორტო საშუალება თუ ცოცხალი არსება. შესაძლოა, საბრძოლო ქვედანაყოფები იცვლიან დისლოკაციის ადგილს. ვაგრძელებთ მუშაობას ობიექტის ან ობიექტების იდენტიფიცირებისთვის, – პირადად მოახსენა ხომალდის უფროსს მეორე განყოფილების ხელმძღვანელმა.

კაპიტანს ახლა ოდნავ შესამჩნევად შეუთამაშდა წარბი.

– რაღაც უცხო ტრიალებს ჩვენს თავს, უჩვეულო, შეუსწავლელი... და პრობლემაც სწორედ ეს არის, – გაიფიქრა მან და დროის აღმრიცხველს დახედა. 0,9 ნტპავი რჩებოდა, – ჰმ, უზარმაზარი საბრძოლო ტრანსპორტი?...

მეგასამყაროების შესახებ მას მხოლოდ ფანტასტიკური უანრის წიგნებსა და მეცნიერთა თეორიულ ნაშრომებში წაეკითხა. ჩამოჯდა, ბლოკნოტის ღილაკს დააჭირა თითო. მიკროფონი ჩაირთო.

– გამოსაკვლევია, რატომ არ მოვხვედრილვართ ასეთ მოცემულობაში ადრე. როგორც ჩანს, გარკვეულ მიზეზთა გამო მხოლოდ ერთი ტიპისა და ჯგუფის მარშრუტებს ვირჩევდით. ან, შესაძლებელია, ცენტრში ჩვენზე გაცილებით მეტი იცან, მაგრამ ინფორმაციას ასაიდუმლოებენ. ერთი ფაქტია, დღეს აქ აპარატურის შეცდომის წყალობით ამოვყავით თავი, – ჩაინიშნა მან და ბლოკნოტი გამორთო.

* * *

წვიმამ კი გადაიღო. პეკინის გამზირზე ფეხით მოსიარულები გამოჩნდნენ. ზოგი მარტო მიიჩქაროდა; იყვნენ წყვილებიც; მერე, სკოლის მოსწავლეთა ჯგუფმა ჩაიარა. გამზირის გასწვრივ, ჭადრების ძირში, ჭიანჭველები ამოძვრნენ მიწიდან. იმდენი არ იყო, დარში რომ იცის, მაგრამ აქა-იქ, ფუსფუსებდნენ თავიანთვის. ტროტუართან, ბორდიურს მიღმა, წყლის უკვე შემცირებული ნაკადი ლუკისკენ მიედინებოდა. მეორე ნაკადი, რომელიც ცუდად დაგებული ალსფალტის გამო, ყოველი წვიმის დროს ზედ ტროტუარზე ჩნდებოდა, შეწყდა. მისგან დიდი გუბე დარჩა. ერთადერთი, რაც სმოგში დამხრჩვალ ქალაქში არ შეცვლილა, მანქანების ნაკადი იყო. მიშეუილებდნენ ავტომობილები და ტროტუარისკენ დაუდევრად აშეფებდნენ ტალახიან წყალს.

– აუ, ბიჭო, ნახე, რა საკაიფო რაღაცა გდია, – უთხრა გრძელცხვირა, სასაცილო ბიჭმა ღიპიან კლასელს.

– მიდი, რა, კაცო, მომიკიდე! – მუჯლუგუნი ჰკრა მეგობარს ღიპიანმა. ბიჭები უკვე რამდენიმე თვე გულმოდგინედ მეცადინეობდნენ სიგარეტის წევაში.

გრძელცხვირამ სანთებელა აანთო და ისევ ბორდიურისკენ მიტრილადა, მაგრამ იქ ვეღარაფერი დაინახა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ მისი ძმაკაცი სიგარეტის მოკიდებას 0,9 ნტპავის მოუნდებოდა.

გაგა ნახუსრიშვილი

პატარა ზეპრა (ზღაპარი)

შობის ღამე ახლოვდებოდა. ცაც უჩვეულოდ თეთრი იყო და თოვას აპირებდა. რატომდაც დღის განმავლობაში ძალიან დავიღალე, თუმცა დიდი არაფერი საქმე გამიკეთებია. პაპაჩემის დანატოვარ ტახტზე წამოვწექი და ტკბილად ჩამეძინა. ისე, როგორც ბავშვობისას. პაპას ფერადი ფანჯრებით დახატული ზეპრა მესიზმრა. უცნაური, სხვანაირი, პატარა ზეპრა.

— ეი, გამარჯობა, — მიესალმა პატარა ზეპრა წითელგულა ჩიტს, რომელიც ხის ტოტზე იჯდა და მხიარულად უსტვენდა.

— როგორ ხარ, გილოცავ, — უეცრად შეწყვიტა სტვენა.

— რას მილოცავ?

— დამდეგ შობას, რა თქმა უნდა, — გაიკვირვა ჩიტმა.

— ეეჭ, აღარ მახსოვდა, რომ შობა მოდის.

— რატომ? ისეთი რა დაგემართა? — შეწუხდა ჩიტი.

— აბა, როგორ? აღმოვაჩინე, რომ ყველა ზეპრა თეთრია შავი ზოლებით

— მერე?

— როგორ მერე... მე კი შავი ვარ და თეთრი ზოლები მაქვს.

ჩიტმა ზეპრა ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— უი, მართლა, — თქვა გაკვირვებულმა, — მაგრამ რატომ ღელავ, ისეთი რა არის?..

— შენთვის ადვილია, — იწყინა ზეპრამ.

— რა გწყინს, ისეთი რა გითხარი? ხოიცი, რომ ყველას მაინც... ყველას ძალიან გვიყვარხარ.

— მადლობა, — წაიბურდლუნა პატარა ზეპრამ და თავი ჩაქინდრა.

— იცი, რას გეტყვი? ღამით მესტუმრე და ჩემს დამზადებულ საშობაო საკენჭე დაგ-პატიჟებ. მგონი, ძალიან გემრიელი გამომივიდა. გელოდები, — მხიარულად ჩაუსტვინა და სახლისკენ გაფრინდა.

— ეეჭ, რატომ გავჩნდი ასეთი. არავის არ ესმის ჩემი, — დაიჩივლა თავისთვის.

ტყეში ერთი ყველასგან გამორჩეული დათვი ცხოვრობდა. ჩვეულებრივ, ზამთარში დათვები იძინებენ ხოლმე. ზამთრის პირს ისიც იძინებდა. მხოლოდ საშობაოდ ფხიზლობდა. შობას ეგებებოდა, თაფლს გემრიელად მიირთმევდა და ისევ აგრძელებდა გაზაფხულამდე ძილს. ძალიან საინტერესო აზრები მოსდიოდა თავში. განსაკუთრებით, როცა საყვარელ თაფლს შეექცევოდა. ამიტომაც ბრძენი, ფილოსოფოსი დათვი შეარქვეს. პატარა ზეპრამც მოიფიქრა და მასთან მივიდა, რა თქმა უნდა, თავის ზოლებზე ჰყითხა.

— ჰმ, ჩაფიქრდა დათვი, — ეს საკმაოდ რთული კონცეფციაა.

— ეგ რაღაა? — გაიკვირვა პატარა ზეპრამ.

— ხოოო, — ჩაფიქრდა ისევ დათვი. დინჯ მურა სახეზე მოისვა დიდრონი, ღონიერი თათი, — მაშასადამე, ეს არის, როცა რაიმეს აყალიბებ...

— რას აყალიბებ?

— ჭკვიანურ აზრებს, ცხადია... ხოო, სულ აღარ კითხულობენ წიგნებს ჩვენი ბავშვები, მაგრამ ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

— ჩემი ზოლების ვერაფერი გავიგე და, აბა, რა უნდა ჩამოვაყალიბო? — იწყინა ზეპრამ.

— ხოო, მაშასადამე, — ჩაფიქრდა ჩვეულებისამებრ დათვი, — ჰმ, მოდი ამაღამ ჩემთან და ისეთი საშობაო თაფლით გაგიმასპინძლდები, რომ ეს შენი ბრიყვული ზოლები სულ დაგავიწყდეს...

იმედგაცრუებული ზეპრა სახლში ბრუნდებოდა თავჩაქინდრული და დარდიანი. გზაზე ხნიერი კუ შემოხვდა. რა არ უნახავს ამ კუს ქვეყანაზე: ომი, მშვიდობა, შიმშილი, ფუფუნება, ღალატი, სიყვარული... ამბობდა, რომ პრეისტორიული ხანაც კი ახსოვდა. მაგრამ

ამ შემთხვევაში მგონი ცოტა მეხსიერება ღალატობდა. თანაც ამ ბოლო დროს ერთი უცნაური რამეც დასჩემდა, ცხოველები ადამიანებს დაემსგავსნენ და ხმას არავის გავცემ, სანამ ისევ არ გაცხოველდებიანო — დაიფიცა და უყოფანოდ შეასრულა. სულ დუმდა. არავის ელაპარაკებოდა. მაგრამ პატარა, დარდიანი ზებრა უსაზღვროდ შეებრალა და თავის ფიციც უმალ დაარღვია.

— რატომ ხარ ასე სევდიანი? დღეს დარღი არ შეიძლება შვილო.

— რატომ? — ჰკითხა გულუბრყვილოდ პატარა ზებრამ.

— შობა ღამე დგება...

რა თქმა უნდა, ზებრამ თავის ზოლებზე ჰკითხა.

— ეს არ არის მთავარი, შვილო, — მიუგო კუმ.

— აბა, როგორ?

— მთავარია, რომ კეთილი ხარ.

— მართლა, რატომ ვარ კეთილი? — გაუკირდა პატარა ზებრას, — მხიარულმა ჩიტმა და ფილოსოფოსმა დათვმაც მითხრეს, რომ ვუყვარვარ.

— აბა, როგორ? — გამოაჯავრა თბილად, ხომ გახსოვს, რატომ ხარ კეთილი.

— რატომ?

— არ გახსოვს? მხიარულმა ჩიტმა საშობაო საკენეკი დაკარგა, შენ კი ნამცხვარი აჩუქე.

— იფ, რა გემრიელი იყო. — ნერწყვი მოადგა პატარა ზებრას.

— ფილოსოფოსი დათვიც, შობა ღამეს ვერ იღვიძებდა და შენ გააღვიძე.

— ჰო, გაუხარდა და იმდენი თაფლი მაჭამა... როგორ არ მახსოვდა, დაიმორცხვა პატარა ზებრამ, სირცხვილისაგან ისე განითლდა, რომ ზოლებიც აღარ უჩანდა, — თქვენ რა სიკეთე გაგიკეთეთ?

— მე არ მჭირდება შენი სიკეთე... აუცილებელი არ არის ვინმემ სიკეთე გაგიკეთოს, რომ გიყვარდეს. ხომ ხედავ, არავის ველაპარაკებოდი და ხმა მარტო შენ გაგეცი, რადგან ყველაზე კეთილი ხარ.

— მართლა ყველაზე კეთილი? — დაიბნა პატარა ზებრა.

— ჰო, შვილო. ნურაფერზე დარდობ. აიხედე მაღლა, როგორი თეთრი, ნათელი ცაა.

მალე შობა გვესტუმრება და თოვლიც წამოვა. სხვანაირად თეთრი თოვლი.

— ეი, მართლა რა კარგია, რომ სხვანაირი ვარ... — გაიხარა პატარა ზებრამ.

ამ დროს გამეღვიძა. მომეჩვენა, რომ ასეთ ბეჭინიერს არასოდეს გამღვიძებია. თითქოს, უფალი მესტუმრა სიზმრად; ამ სხვანაირი, პატარა, კეთილი ზებრის სახით. ფანჯარაში გავიხედე, უკვე თენდებოდა, გარეთ სხვანაირი სითეთრით თოვდა.

ნებრ ჰინქარაული

დამასტე

ცხელი, ცხელი ზაფხულის გავარვარებული ღამე იყო, როცა პირველად ვუღალატე ჩემს ჩვევას და დილის მაგიერ, შუალამით, მაშინ, როცა ირგვლივ ყველა სულიერი სიზმრის ბურუსში იყო გახვეული, სამყაროს საცქერლად სახლიდან გავედი.

იმ დღეს ჭრიჭინობელებმაც კი უღალატეს საკუთარ ჩვევას და დილიდანვე ამღერდნენ.

ღამით, კარის ზღურბლის გადაბიჯებისთანავე, მოვიხსენი თვალებზე აკრული მამიდი-სეული ხილაბანდი, რომელსაც სამი დღის მანძილზე ვატარებდი. პირველი, რაც შევიგრძენი, სრული სიჩუმე იყო. ისეთი სიჩუმე, პირველი თოვლის მოსვლისას რომ იცის. ისეთი სიჩუმე, მხოლოდ მთამ რომ იცის. ისეთი სიჩუმე, როგორიც მხოლოდ ადამიანის ფეხდაუდგმელმა, საკრალურმა ბილიკებმა და სალოცავებმა იციან.

არც ღობის მიღმა მოთქრიალე მდინარის ხმა, არც ჭრიჭინობელების სიმღერა, არსაიდან არავითარი ჩქამი არ ისმოდა. სამყარო განაბული და დამუნჯებული იყო, რომ ბოლომდე მოეცა ჩემთვის ამ წუთების შეგრძნების საშუალება.

და ყველაფერი ცისფერი იყო... სიბნელეში ჩაძირული ხეებიც, ცაც, ჰაერიც კი.

„სამყაროს აღსასრულიც დამდგარა-თქო“, გავიფიქრე და გული დამწყდა, რომ ამას მოვესწარი.

* * *

– მორჩი! მეტი ალარ შემიძლია, ეს რა ქა-
ჯობის ხასიათზე ხარ!

– ჩაცეცხლე... ჩაცეცხლე... და ენა დაიმოკ-
ლე. გრძელი გზა გვაქეს წინ და საწვავი გჭირ-
დება, – პირში ძალით მასხამს მამიდა ცეცხ-
ლივით არაყს და მეორე ხელით მხრებზე თბილ
ქურთუკს იცმევს.

– რა გრძელი გზა... ერთი საათია, რაც
ჩამოვედი. თქვენთან სტუმრებს ასე მალე
აპანდურებენ კარში?

ცალი წარბი ამინია, ზუსტად ისეთი ლიმ-
ილით, როგორიც მხოლოდ მან იცოდა. ერთ-
დროულად „როგორ მომენატრე მამაძალლო“-
სა და „ყოფას გიტირებ“-საც რომ ნიშნავდა.
ამდენი წლის შემდეგ მამიდასთან, მშობლი-
ურ სოფელში ჩასულმა ვერც კი გავიგე, ასე
უცებ როგორ ჩამაყარა ხახაში ცხელ-ცხელი,
სახელდახელოდ მოდუღებული ხაჭორბო, ჩამასხა ღმერთმა უწყის, რამდენი ჭიქა არაყი
და ახლა ასე საშვილიშვილოდ გამოპრუ-
ტუნებულს სად და რატომ მიმათრევდა.

– მამიდა, ღამეა, – კიდევ ერთხელ ვცადე
წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ შენც არ მო-
მიკვდე, ქერიში წამავლო თავისი გაჩირკული,
თეთრი, ძვლებამოჩრილი ხელი და კარისაკენ
მიბიძგა.

წავპარბაცდი და პეტონის კედელს მივეხ-
უტე. საგნები ერთმანეთში იზილებოდნენ.
ცოტა ხნის შემდეგ ერთ საგანზე ვცადე მხედ-
ველობის ფოკუსირება და სარკმლის რაფაზე
საკმაოდ დიდხანს ვუცქირე ვარსკვლავისე-
ბრი ობობისა და ტარაკნის ორთაბრძოლას.
არ ვიცი, როგორი მათგანის გამარჯვებით
დამთავრდა, რადგან ისევ მწვდა კისერთან
საყვლომი წვრილი თითები და პირდაპირ
ტერასაზე ამომაყოფინა თავი. სუფთა ჰაერის
ნაცვლად მაშინვე თამბაქოს კვამლმა დამინვა
სუნთქვა.

– ჩქარა, ჩქარა, მთვარის ამოსვლამდე
უნდა მოგასწროთ! – ყურთან წამისისინა ის-
ეთი მტკიცე ხმით, რომელსაც ბავშვობიდან
ვიცოდი, რომ არ უნდა შევწინააღმდეგებოდი.
ჰოდა, მეც უკანასკნელი ძალა დავატანე მუხ-
ლებს და მთვარეულივით ჩავუყევი კიბეებს.
მალე ფეხევეშ ღორლი შევიგრძენი და მივხვ-

დი, რომ უკვე ეზოს გავცდით და ნაკვეთები-
სკენ, შარაგზაზე მივაბიჯებდით.

– სად მივდივართ, იმას მაინც არ მეტყვი,
ქალო? – ამოვილულლულე.

პასუხად მარტო ჭრიჭინების ზუზუნი და
უკან დარჩენილი რომელილაც სახლის ეზოდან
ძალლის ყეფა მოისმა. თვალები ფართოდ რომ
გავახილე, წინ მხოლოდ მამიდას შავი სილუ-
ეტი და მის ხელში ანთებული ციცინათელა
დავინახე. დროდადრო ციცინათელას წოვდა,
რომ უფრო აგიზგიზებულიყო და კარგად გაე-
ნათებინა ჩვენთვის გზა. მაჯაზე კვლავ მის
ჩინჩხისებურ თითებს შევიგრძნობდი.

მგონი, მთელი ღამე ვიარეთ.

როცა მთვარე და მისი სილუეტი ერთმანეთს
გაუსწორდნენ, მხოლოდ მაშინ შევჩერდით.

სულს ძლივს ვითქვამდი, გულის ბაგაბუგს
ყელში ვგრძნობდი, ამოფრქვეულ არყის გე-
მოსთან ერთად. გულიც მერეოდა, მაგრამ
თავს ვიკავებდი. ბალაზე ჩამოჯდომა ვცადე,
უკანასკნელმა სალმა აზრმა მითხრა, რომ სიგ-
რილე ცოტა გონს მომიყვანდა, მაგრამ უცებ
გველნაპენივით უკან დავიხიე და თავიც ვე-
ლარ შევიმაგრე. წვივებით დავეცი მიწაზე და
თვალი ველარ მოვწყვიტე მამიდას ჩრდილს,
რომელიც ჩემგან მოშორებით, გორის თავზე
შემდგარიყო და მთლიანად ღრუბლებში გახ-
ვეულიყო. მის ზურგსუკან ცა ჭექდა, ჩემს
თავზე კი სილურჯეში ჩაჭედილი ვარსკვლავე-
ბი ბრნყინავდნენ. მამიდას ციცინათელები...

– დედაშენს შევპირდი, რომ არ დაგივი-
ანებდი... ახვარი ბავშვი ხარ, პირობა გამატებ-
ინე, ამდენ ხანს არ ამოხვედი! – გადმომძახა
სასხვათაშორისოდ, ჩემკენ მოისროლა ჩაქრა-
ლი ციცინათელა და გრძელი საჩვენებელი
თითოთ მანიშნა, მასთან მივსულიყავი.

დამბურებელა, მაგრამ ურჩიბა არც მი-
ფიქრია. ძლივს ავფორთხებდი, მუხლიც როგორც
იქნა გავმართე. ახლოს რომ მივედი, სიბნელე-
ში გავარჩიე მისი თვალები, ციცინათელებზე
უფრო მანათობელი, ცისფერშუქიანი თვალე-
ბი, რომლებიც, არ ვიცი, მთვრალს მომეჩვენა
თუ არა, მაგრამ აშკარა სიბრალულით მიც-
ქერდნენ.

თავშალი მოიძრო და მიწაზე გამიფინა.
მერე პატარა ბავშვივით დამსვა, თავისი ქურ-

თუკი გაიძრო, მომახურა და უცერემონიოდ დაეშვა გორიდან.

– აქ მტოვებ ქალო, სულ გააფრინე? – ენა დამება აღმფოთებისგან, მაგრამ თვალების ბრიალით მანიშნა „მანდ დარჩიო“ და მეც გამოვუტყდი თავს, რომ პროტესტის კი არა, განძრევის თავიც აღარ მქონდა. გულგახეთქილი ვუცერდი, როგორ უჩინარდებოდა სიბნელეში მისი გამხდარი სილუეტი და უკვე შორიდან მისწვდა ჩემს სმენას მისი მტკიცე ხმა:

– დედაშენს შევპირდი!

მოწყვეტით ჩავემხე ბალახებში და მკ-ვდარივით ჩამეძინა. ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე კოკისპირულად წვიმდა.

* * *

დედა არ მახსოვდა. არ ვიცი, როგორ და რატომ გარდაიცვალა, მამას მასზე არასოდეს უსაუბრია. მისი სახელის ხსენება თითქოს აკრძალული იყო, ტაბუ ეღო. სიმართლე ვთქვა, მუდმივ მივლინებებში ჩაკარგულ მამას ისე იშვიათად ვხედავდი, მშობლის ალქმასაც ვერ ვასწრებდი. ბავშვობა მამიდასთან გავატარე, სოფელში. არავის ვგონებივართ დედა-შვილი, მე ნახშირივით შავი, შავთვალა ვიყავი, ის კი დედაჩემივით თეთრი და ცისტვალა. ხასიათითაც არაფერი გვიგავდა ერთმანეთს და მაინც, ამქვეყნად ყველაზე უკეთ მას ესმოდა ჩემი. ყოველთვის ესმოდა ჩემი. ბავშვობაში ზოგჯერ მეგონა, რომ ჩემი აზრების კითხვაც კი შეეძლო და როცა რაღაც დანაშაულს ჩავიდენდი, ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა. ის მაინც ხვდებოდა.

როგორი მახსოვს მამიდა... არანორმალური, ე.წ „მამალი ქალი“ იყო. ასეთს სხვას არავის შევხვედრივარ. სოფლელებს არ უყვარდათ, ერიდებოდნენ და ეშინოდათ მისი. ზედმეტად პირდაპირი, უკმეხი და თავისი სიტყვის უკიდურესად გამტანი იყო. ზუსტად იცოდა, ვისთვის რა უნდა ეთქვა, რომ გაეჩუმებინა.

ოჯახი არ შეუქმნია. ზოგჯერ მგონია, რომ არც უფიქრია ამაზე. მას შემდეგ, რაც მამა დედაზე დაქორწინდა და სოფელში ჩაიყვანა, ის და დედაჩემი საუკეთესო მეგობრები გახდნენ. ერთად ატრიალებდნენ თეფშებს, ერთად იხედებოდნენ ყავის ნალექში და ათასგვარ

მკითხავებთან თუ მჩხიბავებთან დადიოდნენ. დედას უნდოდა, წინასწარ სცოდნოდა, ეყოლებოდა თუ არა ბიჭი. ამბობდნენ, რომ მამიდაჩემი ჩემს მშობლებს მას შემდეგ დაემდურა, რაც გაიგო, რომ დედამ რამდენიმე აბორტი გაიკეთა, ისე არ უნდოდათ მათ გოგოს გაჩენა. ბედმა მაინც ისე ისურვა, რომ არა და არ ეყოლათ ბიჭი და ასე გამაჩინა ბოლოს ისევ გოგო – მე. ჩემს მშობიარობას კი თან გადაჰყვა.

მამიდამ მაშინვე ყველაფერი მიატოვა და სოფელში გადასახლდა. ჩემი აღზრდაც მან ითავა და როცა სკოლის ასაკი მომივიდა და მამაჩემმა ჩემი თბილისში წაყვანა გადაწყვიტა, სწორედ მაშინ მოსვლიათ საბოლოო კონფლიქტი. ისეთი საშინელი კონფლიქტი, რის შედეგადაც მამიდას საერთოდ შეუწყვეტია მასთან კონტაქტი.

არ უნდოდა მამიდას ჩემი გაშვება.

მეც სულ ორჯერ, თუ სამჯერ ჩავედი მთელი 10 წლის განმავლობაში.

იმ ღამეს კი, ჯაზუტელებთან ერთად ექსკურსიიდან დაბრუნებისას გზად ჩემს სოფელზე გავიარეთ. ნაცნობი ადგილების დანახვისას უცებ შემომილიტინა სულში ბავშვობამ, უცებვე გავაჩერებინე ავტობუსი და მამიდასაც მოჩვენებასავით გამოვეცხადე.

კინაღამ ჭკუიდან შეიძალა სიხარულით....

უცნაური სიხარული და სიყვარული იცოდა...

უცნაურადაც გამოხატავდა...

და ასევე უცნაურად აღმოვჩნდით იმ ღამით სოფლის განაპირა გორაკზე.

არ გამკვირვებია,... მხოლოდ ახსნას ველოდი.

* * *

იმ ღამით ციცინათელები მესიზმრა. მერე მახსოვს, სიზმარში ავდექი და ბოლომდე ავუყუევი აღმართს. იქ სიპებისგან გაკეთებული ნიში დამხვდა.

* * *

პირველი, რაც გამოღვიძებულმა შევიგრძენი, ტუჩებზე შერჩენილი სველი ბალაზის გემო იყო. რა გასაკვირია, მთელი ღამე პირქვეჩამხობილი ვეგდე.

იდაყვებზე წამოვინეთ თუ არა, დამაცემინა.

— ფუ, რა ასფალტის ბავშვი ხარ, — მომესმა ზურგსუკან.

მივბრუნდი გაბრაზებული და მის გულ-გრილ მზერას წავაწყდი. სახეზე ენერა, რომ ჩემი საშველი არაფერი იყო.

— აღარ არის დრო, ამიხსნა? — ახლადა-მოწვერილ მზეს შევხედე და სველი ქურთუკი გავიძრე.

— მე დედაშენს შევპირდი, — იყო უცვლელი პასუხი და მეტი აღარც მიკითხავს, პირდაპირ წამოვკეტი და გორის აღმართს ავუყევი.

კისრისტებით გამომეკიდა და შეშლილი სახით გამაჩერა.

თვალებში ჩავხედე და ჩემ უკან არსებული ნიშის ახარეკლი შევნიშნე.

მაშინვე ყველფერს მივხვდი.

მამიდაც მიხვდა, რომ მივხვდი და ისევ ცისფერი სიბრალულით დამინტო ცქერა.

მამიდა ბავშვობაში ხშირად მიყვებოდა ერთ ზღაპარს თუ ლეგენდას ჩვენს სოფელზე, სოფლის სალოცავზე და მასთან დაკავშირებულ საიდუმლო ტრადიციაზე.

ჩვენს ქალებს ფარული ჩვეულება ჰქონიათ. ყოველი გოგონა, რომელიც 15 წლის გახდებოდა, ღამით, სოფლის ბოლოში, გორაკზე მდებარე სალოცავთან აჰყავდათ და გათენებამდე მარტოს ტოვებდნენ. ამბობდნენ, რომ იმ გორაკის მეორე ბოლოს, კლდეებში პარალელური სამყარო არსებოდა. თუ გოგონა დაიცავდა პირობას, რომ ნიში იქით არ გადავიდოდა, მას სალოცავი ფარულ ნიჭს გაუხსნიდა, ან თავის ბედს აჩვენებდა. იგი

ცა-ღრუბელთ გამრიგე ღვთაების, „და-მასტეს“ სახელზე იყო აგებული და იქ ქალს ფეხის დადგმა ეკრძალებოდა. სოფლის დედაკაცები მკაცრად ინახავდნენ ამ საიდუმლო ტრადიციას კაცებისგან დაფარულად. იყო შემთხვევებიც, როცა ცნობისმოყვარე გოგონებს ნიში გადაულახავთ, მაგრამ ზოგი მათგანი გაგიჟებულა, ზოგიც გარდაცვლილა, ზოგიც კი უკვალოდ დაკარგულა. ერთი მათგანი კი ერთი დღე-ღამე არ გამოჩენილა, შემდეგ კი დაბრუნებულა სულ მთლად გაჭალა-არავებული და დამუნჯებული. არავინ იცოდა, რა იხილა მან კლდეებში. სიცოცხლის ბოლომ-

დე სიტყვა არ უთქვამს და ბოლოს ვერაფრით რომ ვერ დაუტევია ნანახი, თავი მოუკლავს.

ეს არცთუ ისე მხიარული ისტორია ზღაპარივით ჩამორჩენოდა გონებაში. არ ვიცი, მამიდა რატომ მიყვებოდა მას ყოველი დაძინების წინ, რატომ სურდა კარგად დამემახსოვრებინა.

ნიშის დანახვისთანავე ყველაფერს მივხვდი. დამასტებზე ვიყავით.

ის ქალი კი, ვინც თავი მოიკლა, დედაჩემი იყო.

იმასაც მივხვდი, დედაჩემმა კლდეებს იქით რა... კი არა და..... ვინ ნახა... რამდენი ნახა... როგორები ნახა... და რატომ ვერ დაიტია.

მამიდა დიდხანს იჯდა ბალაზე სიგარე-ტით, დიდხანს მიცქერდა ცისფერი სიბრალულით და ბოლოს თავი გააქნია.

„დაგიგვიანდა მოსვლა. მთელი ღამე გეძინა“.

თავი დავუქნიე და ჩუმად წამოვდექი. ბილიკიც უხმოდ ჩავათავეთ და უხმოდვე მივედით სახლამდეც. ბარგიც ისე შევკარი, არაფერი მითქვამს და მხოლოდ მაშინ, როცა ორლობებებს შევუყევი, მისი შეკივლება გავიგონე. იმ წამსვე მივხვდი, რომ მამიდასაც ჰქონდა დამასტებზე ღამე გათენებული, მოთმინების გამოცდაც წარმატებით ჩაებარებინა და სასურველი ნიჭიც მიეღო.

მამიდა მართლა კითხულობდა აზრებს.

არც მე მძინებია იმ ღამით.

და რა წამსაც ორლობებებშის ეს გავაანალიზე, მამიდამაც უკვე იცოდა

* * *

ახლა კი ვცხოვრობ ჩემი უჩვეულო ნიჭით და აღარ ვიცი, რა სჯობდა — ცნობისმოყვარეობამოთოვილი საკუთარ ჯილდოს დავესაჯე, თუ დედაჩემივით სიგიურის სასჯელს გავეთავისუფლებინე. ალბათ, მეც მისი სასჯელი ვარ. ალბათ, დამასტებზე თავისი ხელით მოკლულ ჩემს დებთან ერთად ჩემი მომავალიც ნახა. პირველად ამაზე მაშინ დავფიქრდი, როცა მივლინებიდან დაბრუნებულ მამას შევამჩნიე ცისფერი ნათება — სამ დღეში მოკვდა. შემდეგ ამას მოჰყვა მეზობლის ბიჭის ცის-

ფერი ნათება და მანაც სამ დღეში ავარიით დაასრულა სიცოცხლე. ასე გაგრძელდა ჩემს კლასელებზე, ნათესავებზე, უბრალო ნაცნობებზე და უცნობ ადამიანებზეც კი, ვისაც სიკვდილი ელოდა. მე წინასწარ ვხედავდი, ვინ უნდა წასულიყო, ვხედავდი და ვიტანჯებოდი.

მაშინ კი, ცხელი, ცხელი ზაფხულის გავარვარებულ ლამეს, როცა პირველად ვუღალატე ჩემს ჩვევას და დილის მაგირ, შუალამით, მაშინ, როცა ირგვლივ ყველა სულიერი სიზმრის ბურუსში იყო გახვეული, სამყაროს საცქერლად სახლიდან გავედი.

იმ დღეს, როცა ჭრიჭინობელებმაც კი უღალატეს ჩვევას და დილიდანვე ამღრდნენ,

კარის ზღურბლის გადაბიჯებისთანავე მოვიხსენი თვალებზე აკრული მამიდისეული ხილაბანდი, რომელსაც სამი დღის განმავლობაში ვატარებდი და პირველი, რაც შევიგრძენი, სრული სიჩუმე იყო. ისეთი სიჩუმე, პირველი თოვლის მოსვლისას რომ იცის. ისეთი სიჩუმე, როგორიც მხოლოდ მთამ იცის. ისეთი სიჩუმე, როგორიც მხოლოდ ადამიანთა ფეხდაუდგმელმა, საკრალურმა ბილიკებმა და სალოცავებმა იციან.

და ყველაფერი ცისფერი იყო,... სიბრელეში ჩაძირული ხეებიც, ცაც, ჰაერიც კი.

„სამყაროს ალსასრულიც დამდგარა-თქო“, – გავიფიქრე და გული დამწყდა, რომ ამასაც მოვესწარი. თუ სამ დღეში ქვეყნიერების ალსასრული უნდა მოვიდეს, ყველაფერს ის სჯობს, წავიდე და მამიდა ვნახო – დავასკვენი და იმ დღესვე ჩავაკითხე სოფელში.

მამიდა დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგა უხმოდ და გაოცებული მიყურებდა თვალებში. პირველად ვნახე დამუნჯებული.....

სოფელში დიდხანს დადიოდა ჭორად, მამიდამ მიცვალებულ ძმიშვილს სახეზე სუდარა არ გადახადა, მაგრამ ჭირისუფლებმა მაინც შეამჩნიეს, შავტუხა გოგოს, შავი თვალებით რომ დაიბადა, კუბოში მწოლიარეს, როგორი არამინიერი, ცისფერი თვალები ჰქონდაო....

(მოთხოვთა პირველად დაიბეჭდა კუებულში „ინსომნია-2015“)

ანა ჩიქოვანი

“რატომ არ არის ნახსენები პატა გიგლიაში?”

სამზარეულოში ვდგავარ, ხელში სათამაშო თავი მიჭირავს და ჩემზე უბედური არავინაა ქვეყნად... სიყვარული ათასგვარი არსებობს, მაგრამ საყვარულის ობიექტის დაკარგვა ყოველთვის ერთნაირად გაუსაძლისაა...

ძნელია ამის თქმა, მაგრამ მე უგულო კაცი ვარ; თუმცა ჩემს ცხოვრებაშიც იყო დიდი სიყვარული, რომელიც ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო.

ერთ დილას (ჩემთვის დილა თორმეტი საათის მერე იწყება) გუჯამ დამირეკა, – „საღამოს ჩემთან ამოდი, კარგი ამბავი მაქვს შენთვისო“, – განმარტებებით თავი არ შეუწუხებია. მისგან კარგი ამბავი, ჩემი ნახატის გაყიდვა თუ იქნებოდა, მეტი არაფერი... გუჯა ჩემსავით მარტოხელა კაცია; დიდი მეგობრები არასდროს ვყოფილვართ, მაგრამ საქმეს დასჭირდა და... ის მშრალ ხიდთან, თავის ნახელავ სუვენირებს ყიდდა, მე კი ჩემს ნახატებსაც ვაძლევდი ხოლმე გასაყიდად; მოკლედ, ეს გარიგება ორივესთვის ხელსაყრელი იყო.

საღამოს გუჯას სამზარეულოში ვიჯექი და ტრადიციულად, ძლვნად მიტანილ არაყს, გუჯას საფირმო „ჩიუი-ბიუის“ ვაყოლებდი. ძალად იდუმალი გამომეტყველებით მომზირალ მასპინძელს განგებ არაფერს ვეკითხებოდი. ეს კაცი დიდი მოთმინებით არ გამოირჩეოდა და ორი ჭიქის მერე იფეთქა;

– აღარ უნდა მკითხო, რა საქმეზე დაგიბარე!?

– რა კითხვა მაგას უნდა, ნახატი გაყიდე, არა?

– ვააა, რა სტრანნი ტიპი ხარ, ის მაინც არ გაინტერესებს, რომელი ან რამდენად გაიყიდა?

– ჰა, თქვი. რომელია!?

– რომელი კი არა, ყველა! ეგეთი რამე, მე არ მახსოვს ძმაო... ვიღაც ინასტრანნი მასტები მოვიდნენ, ფასები იკითხეს და ვაფშე ყველა წაიღეს... ფული ჩეჩქად ჰქონდათ, სუდოლარები... მეთქი, ჩემ სუვენირჩიკებსაც იყ-

იდიან, მაგრამ იმენაა ამ მხატვრის ნახატები გვინდაო და მორჩა...

— რამდენი მოგცეს სულ? — მოულოდნელი სიხარულისაგან ისიც კი დამავინყდა, რამდენი ნამუშევარი მქონდა გუჯასთან.

— რა ფასებიც დაგადეთ, იმ ფასად გაიყიდა, არც უვაჭრიათ... ხო იცი, მე უცხო ენებიდან მარტო რუსული და სომხური ვიცი, მარა იმას კი მივხვდი, რო ხვალე, შენი ნახატებიანად აი, ამ სასტუმროში უნდა მიაკითხო. — გუჯამ პარკში შეხვეულ დოლარების დასტასთან ერთად, სავიზიტო ბარათიც გამომინოდა.

— ჩემი წილი ავიღე ძმაო, დანარჩენი ეგ არი... — არყის ჭიქა ანია, — გილოცავ, ბრატ! გისურვებ, მალე მილიონერი გაიჩითო უბანში...

ჭიქას მეც ინსტიქტურად დავწვდი და რაღაც მადლობისმაგვარი ვთქვი; არაყი უცებ გადაცყარი, არც სიმწარე მივრძნია, არც გემო... ტვინი მიფეთქვდა, ამდენი ფული ჩემი ხელობისთვის არასოდეს ამილია... ოქროს-ფერი შრიფტით დაბეჭდილი სავიზიტო ბარათის უკანა მხარეზე, ხელით, ინგლისურად იყო მიწერილი სასტუმროს სახელი და დრო. ათი საათისთვის მიბარებდნენ ...

გუჯასთან ლაპარაკის თავი აღარ მქონდა... ის იყო წასვლისა უნდა დამელია, რომ კარზე ზარი გაისმა. გუჯა გავიდა და უკან მოხუც ქალთან ერთად დაბრუნდა.

— ღმერთმა გამარჯვებით გატაროს შვილო!- მიპასუხა მისალმებაზე ქალმა და უზურგო სკამზე ფრთხილად, მაგიდაზე ჩაჭიდებით და-ჯდა.

— გაიცანი მამუკაჯან, დედაჩემი, ნაზი. ეს რომ არ მყავდეს, წყალი წამიღებდა! — თქვა გუჯამ და ჭიქა დაუდგა ქალს.

— ეჱ, შენზე დარდი მომკლავს მე! ერთი ქალი რით ვერ მოინახა საშენო, მე სადამდე გეყოლები მრეცხავად?! აქეთ საპატრონო ვარ, წევა მანუხებს და წელკავი! — აქოთქოთდა ქალი.

— ეეე, ნაზი დეიდა, ცოლის შენახვის თავი არც მე მაქვს, აი, მალე გავმდიდრდებით და ოჯახსაც მოვეკიდებით... ვითომ მხარი დავუ-ჭირე გუჯას.

— ჰა, დედიჯან, დაილოცე და გადაჲკარი! — ჭიქა არყით შეუვსო შვილმა.

— გაგიმარჯოთ შვილებო, გაგმართლებო-დეთ ცხოვრებაში! — თქვა ნაზიმ და წარბიც არ შეუხრია, ისე გამოცალა სასმისი. მერე ყველი ჩამოციცქნა და გუჯას მიუბრუნდა.

— მაშ ერთი კატის პოვნა რა იყო, მარტო რომ არ ვინანნალო ეზო-ეზო! წამომყე, იმ ფულად, მარო რომ იძლევა, ნემსს იპოვნიდა თი-ვაში კაცი!

— ვაა, სად ვნახო, ათასი კატა დარბის უბანში, მე რა ვიცი, რომელია!? — ხმას აუწია გუჯამ.

— მე ვიცი, სულ ხელში ეჭირა მაროს; ჭრე-ლია, შავ-თეთრი, ზორო ქვია, დაძახებაზე ეგრევე მორბისო, მარომ... ასი დოლარი ჩემი სამი თვის პენსიაა, რა, არა ლირს გარჯად!?

— რა კატაა ასეთი, ას დოლარად რომ ფასობს? — ყასიდად ვიკითხე მე, თუმცა იმაზე ვფიქრობდი, რომელი ნახატები მიმეტანა უცხოელებთან.

— რა კატაა და მოლაპარაკე კატაა! — თვალისპატუნით მითხრა გუჯამ.

— ?

— ჰო, მაშ! მე მაგ კატის ლაპარაკი არ გა-მიგია შვილო, მაგრამ, მარო ამბობს, სახელს მიძახის და მელაპარაკება კიდეცო. გიუჯი არ გეგონოს, ბიზმესმენი ქალია... ჯერ ფაჩუჩებსა ქსოვდა და ყიდიდა; ერთი წლის წინ კი, ვიღაც მარიფათიანი კლიენტი გამოუჩნდა და ისე ააწყო საქმე, რუსეთში და ამერიკაში აგზავნის ნაქსოვებს, თვითონაც ხშირ-ხშირად დადის საზღვარგარეთ. მთელი სანაცნობო, ვინც კი ქსოვა იცოდა, თავის ბიზნესში ჩააბა. წინდ-ებიდან დაწყებული, პალტოებით დამთავრებული, ყველაფერს ხელითა ქსოვენ. თვითონ ხომ გამდიდრდა ზღაპრულად და მქსოველებ-საც არ აკლიათ პურის ფული. ახლა იძახის, რაც ზორო დავკარგე, საქმე უკან მიმდისო და ას დოლარს იძლევა იმ კატის პოვნაში... — სსაპასხუპით ჩამოარაკურაკა ნაზიმ. ეტყობოდა ეს ისტორია მრავალჯერ ჰქონდა მონათხრობი. სიტყვა „ბიზმესის“-წარმოთქმისას წარბებს მაღლა სწევდა.

— ეგ ძვირფასი კატაც უცხოეთში იყიდა? — ვიკითხე ისევ.

— უცხოეთში არაა! — ცხვირი აიმრიზა ქა-ლმა, — ერთი მანანნალა, ტილიანი კატა იყო... ეგ ოხერი სწორედ ერთი წლის წინ, ძალად შეუვარდა მაროს სახლში; რამდენჯერაც გააგ-

დო, იმდენჯერ მობრუნდა და ბოლოს დაიტოვა მარომ. ახლა კიდევ დოლარებს იძლევა იმ ქეციან კატაში.

— ერთი კვირა არაა, რაც დაიკარგა? აცალოს, გაიგულავებს ქალებში და დაბრუნდება რაღა... ეგრე იციან კატებმა, — გაიღრიჭა გუჯა.

— თვითონ თუ დაბრუნდება, დოლარებს მე ვინ მომცემს?! წამო გუჯი, დედა გენაცვალოს, დაღამებულზე გამოდიან ეგ ოხრები და იქნებ ვიპოვოთ სადმე! მე მარტომ რომც ვნახო, ვერ დავიჭრ... ფულის ნახევარიც შენი იყოს! — სმაში თაფლი გაურია მოხუცმა.

გამახსენდა, რომ ერთი კვირის წინ, მეც სწორედ ასე, ძალად შემომივარდა კატა სახლში. ძალები ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ კატებს რატომდაც ვერ ვიტანდი. იმ საძაგელმა ბევრი მარტინინა და საწოლის ქვეშ მახობიალა, მაგრამ ვერ გავაგდე... სახლშიც დარჩა და თავიც შემაყვარა. თუმცა სახელი არ დამირქევია, „ქსი-ქსი“-ს ძანილზეც მორბის, გასასეირნებლად სარკმელში გადაძვრება და უკან იგივე გზით ბრუნდება, მე არ მანუხებს... ახლა, ალბათ, ჩემს საწოლზე წევს და სძინავს.

გუჯა და ნაზი დეიდა კატის საძებრად წავიდნენ, მე კი ჩემს ხვალინდელ შეხვედრაზე ფიქრით და ქურთუკის შიდა ჯიბეში ჩანოლილი სქელი კონვერტით ბედნიერი გავუყევი სახლისკენ გზას.

ბინაში შესულს კატა გამომეგება. სამზარეულოში შევედი, მაცივრიდან იაფთასიანი ძეხვი გამოვიდე მშიერი ცხოველის დასაპურებლად. კატამ სუნი იკრა და გადაირია, კნაოდა, ფეხებზე მეგლასუნებოდა. ძეხვი ჩამოვჭერი და პირდაპირ იატაკზე დავაგდე; მაშინვე დააცხრა. „მოლაპარაკე კატის!“ ამბის გამოხე, ალბათ ნებისმიერი ჩემსავით მოიქცეოდა; ძეხვის ნაჭერი ავიღე და როცა ისევ შემომაჩერდა მორიგი ლუკმის მისაღებად, რატომდაც წელა და დამარცვლით ვუთხარი ჩემი სახელი — „აბა, თქვი,

მა-მუ-კა, თქვი და მოგცემ, მა-მუ-კა...“ კატა უკანა ფეხებზე შემდგარი ცდილობდა ძეხვს მიწვდომოდა, ბრჭყალის გაკვრაც სცადა. ჩემს საქციელზე გამეცინა, მოვინდომერა მეც „დრისიროვშიკობა“... ლუკმა დავუგდე და შემოსასვლელში გავედი. ის იყო, ქურთუკი გავიხადე, რომ ხელი საკიდთან გამეყინა...

სამზარეულოდან ვიღაცამ არაბუნებრივი, მჩხავანა ხმით დამიძახა:

— მაა-მუუ-კაააა...

ლამე თეთრად გავათენე. უცხოელებთან შეხვედრაც კი გადამავინყდა. კატამ მხოლოდ ერთხელ „დამიძახა“ მაგრამ, მისი ურუანტელისმომგვრელი ხმა ისევ ყურებში მედგა. როცა შიშს მოვერიე, „დავგუგლე“ და „მოლაპარაკე კატების“ უამრავი ვიდეომასალა ამომიყარა; ინგლისურად თუ რუსულად „მოლაპარაკე“ ფისოები, ძირითადად ისეთ სიტყვებს იძახდნენ, რომლებიც ფონეტიკურად მათ კატურ „მაიუ“-ს ჰგავდა, ძირითადად შეშინებული, გამწარებული ფისოები „იძახდნენ“ ერთ-ორ მარცვლიან სიტყვებს. მამა, მას, მალა, ძალა, გადასასვლელი კატები; ინგლისელები კი - mommy, mom, why, what, meat, well..... გაიძახოდნენ განწირული ხმით; კადრს მიღმა კი ადამიანები იხოცებოდნენ სიცილით. არა, ჩემი კატის „მა-მუ-კუაა“ სასაცილო ნამდვილად არ იყო; მართალია, ჩემი სახელიც მშვენივრად ესადაგება კატის იოგების შესაძლებლობებს, მაგრამ ეს მაინც სხვა იყო, რას.

იმ ღამეს, ნაზი დეიდას ყოველი სიტყვა გონებაში მრავალჯერ დავატრიალე; უეჭველია, ჩემი კატა სწორედ ის მოლაპარაკე ფისო იყო, რომელსაც ყოფილი პატრონი „ზოროს“ ეძახდა. ის ქალი ერთი კვირაა კატას დაეძებს, ზორო, ალბათ, გამოექცა და მე მომეკედლა... პოო, ჩემი ნამუშევრების უეცარი წარმატება და მოულოდნელი შეკვეთაც საეჭვოდ ჰგავდა მაროს „ბიზნესფენომენის“ აფეთქებას... კატის მსგავსება სახელგანთქმულ კინოგმირთან უდავო იყო; ცხოველის თეთრ თავს, თითქოს მიხატული, შავი ნიღაბი ამშვენებდა; ცალი ყური შუაზე გახეული ჰქონდა და როგორც მეომარ კატას შეეფერება, თავდაჯერებული და ცოტა თავებდიც იყო...

ფანჯარაში შემოსულმა დილის შუქმა თითქოს გონება გამინათა და წუხანდელი „სასწაული“ იშვიათ, მაგრამ ჩვეულებრივ მოვლენად ჩავთვალე. უცხოელებთან შესახვედრად საგანგებოდ გამოვეწყვე, მაგრამ ის ფიქრი არ მასვენებდა, მართლა „ბიზნეს-

მენ“ მაროს კატა შევიკედლე თუ არა... ფისო ჩემს ფეხებთან იწვა და უშფოთველად ეძინა. პოლანდიური ძროხასავით შავ-თეთრად აჭ-რელებულ ზუგზე ხელი გადავუსვი, შემოსასვ-ლელში გავედი და ეჭვებისგან საბოლოოდ თა-ვის დასახსნელად კატას სახელით მიღმართე.

– ზორო! – მოკლედ და არც ისე ხმამაღლა გავძახე მძინარეს. კატა წამში ჩემთან გაჩნდა, ფეხზე გამეგლასუნა და „მა-მუუ-კუურრ“-ო დაიკრუტუნა....

როგორ მოვქცეულიყავი ამ უცნაურ არსე-ბასთან? ძველებურად რომ ვეღარ დავუცაცხ-ანებდი მაგიდაზე ახტომისთვის ან ისედაც გაძუყული სავარძლის ფხაჭვნისთვის, უკვე ცხადი იყო.

– შეხვედრაზე მეჩეარება, ჭკვიანად იყა-ვი! – ვუთხარი კატას და ჩემმა სულიერმა თუ გონებრივმა ჯანმრთელობამ დამაფიქრა, რადგან მომეჩვენა, რომ კატამ თავი დამიკრა და თქვა, – „მა რაა“.....

* * *

არ ვიცი, მართლაც ზოროს წყალობით, თუ უცნაური დამთხვევით, ჩემი ცხოვრება რადი-კალურად შეიცვალა. თავაუღებლად ვმუშაობდა. შთაგონებისა და მუზების ლოდინი პროფე-სიონალებს რომ არ ჩევვიათ, ვიცი, მაგრამ მე ასეთ ტემპში და ასე ნაყოფიერად არასდროს მიმუშავია. თავადაც არ მესმოდა, როგორ გა-მომდიოდა ეს. სადღაც გაქრა თეთრ ტილოზე პირველი ხაზის, პირველი ფერის დადების შიში; არავითარი ყოყმანი, არც თემისა და „სათქმელის“ ძიება... ფუნჯი და „მასტეხინი“ თითქოს თავად პოულობდა საჭირო ფერსა და მონასმს.

კატა ჩემი „შემოქმედებითი წვის“ უცვლელი მოწმე იყო. ძველ სავაძელზე მოკალათებულს ძირითადად ეძინა ან თვლემდა, თუმცა ჩემს ჯანმრთელობაზე „ზრუნვასაც“ ახერხებდა; როცა ხმამაღალი კნავილით ითხოვდა საკვებს, მეც მაშინ მახსენდებოდა ჭამა. რას ვგრძნობ-დი ამ კატის მიმართ? – ცოტა შიშს, პატივ-ისცემას და სიყვარულს... დიახ, უსაზღვროდ შემიყვარდა ზორო; მე აღმოვაჩინე სამყარო, რომელსაც კატები ალამაზებენ და ავსებენ თავიანთი გრაციოზულობით, მშვენიერე-ბით, გრძნეულებითა და იდუმალებით. ახალი

მსოფლედველობა ჩემს შემოქმედებაში თავ-ისთავად აისახა..

* * *

არავისთვის, არაფერი მითქვამს კატის შესახებ; გუჯასთან გავწყვიტე ურთიერთობა. „პიზმესმენი“ მარო მთელს ქალაქში ზოროს ფოტოებს ავრცელებდა წარწერით – „მპოვნე-ლი დასაჩუქრდება 300\$-ით“.

სტუმრების მიღება არასდროს მიყვარდა და კატის გამო საერთოდ ავკრძალე ნებისმიერი ვიზიტი ჩემს ბუნაგში. ზოროს გარეთ გაშვება მეშინოდა. ვინ იცის, როდის რა მოეპრიანებო-და, იქნებ სხვასთან გაქცეულიყო ან ეცნოთ და მაროსთვის მიეყვანათ. მისი შეღებაც კი ვიფიქრე, მაგრამ ვერ გავუბედე, ამას ნამდ-ვილად არ მაპატიებდა. სპეციალური, არომა-ტიზებული ქვიშა ვიყიდე და კატის ტუალე-ტი მოვაწყვე; ჩემი ბუნაგის სახასიათო სუნს (ზეთის საღებავების, გამხსნელისა და ლაქის არომატები) ახალი კომპონენტი დაემატა – კა-ტის შარდის მძაფრი სიმყრალე. არომატიზე-ბულ ქვიშაშიც ისაქმებდა, მაგრამ უკვე თავის ტერიტორიად მიჩნეულ სახლსაც „ნიშნავდა“. ვეტექიმმა მირჩია, „დაკოდე და ალარც სახლს დასვრის და ალარც გარეთ წონიალი მოუნდე-ბაო“, მაგრამ ამას როგორ ვაკადრებდი ზო-როს?

საკუმელი ჩავრაზე; თავი ტყვედ რომ არ ეგრძნო, ღამდამობით თავად დამყავდა სა-სეირნოდ საყელოშებმული ზორო. ამ პროცე-დურით არცერთი არ ვიყავით კმაყოფილი: მას საყელო არ მოსწონდა, მე კი კატით მოსეირნე დარტყმულის იმიჯი.

გამოფენებზე საღებავშეუმშრალი ტილოე-ბიც გამქონდა; ალფროთოვანებული რეცენ-ზიები, შეკვეთები, გამოფენები, მიწვევები და ფული, ბევრი ფული... ახლა ცოლის შენახვის თავი მქონდა, მაგრამ სურვილი – არა... ზორო ავსებდა ჩემს ცხოვრებას კიდით-კიდემდე. მასთან საუბარი უკვე ბედნიერება იყო ჩე-მთვის: სრული გაგება მის თვალებში; ზუსტი რეაქციები უკბილო ხუმრობებზეც კი; სწორედ მიზანში მოხვედრილი მისი პასუხები „არა“, „რატომ“, „მა რაა“... მის მიერ წარმოთქმული „მა-მუუ-ვუაა“ ქვეყნად ცველაზე ტკბილმო-ვან გალობასა და მუსიკას მერჩია. ვალიარებ,

რომ ზოგჯერ ჩემი ქცევები, ნორმალურად არც მე მეჩვენებოდა... მაგალითად, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა ზოროს ამონასუნთქი ჰაერის ჩასუნთქვა. მისი პანია, ვარდისფერი ნესტოებიდან გამოსულ ჰაერის ჭავლს ხარბად ვენაფებოდა; ტანში ნეტარების ურუანტელი მივლიდა, იმის წარმოდგენისას, რომ ამ ჰაერით, მისი ფილტვებიდან წამოდებულ, მის ნანილს ვითვისებდი. არ მბეზრდებოდა ჩემი ღუნდულა ფისოს ცქერა: როგორ ივარცხნიდა ხაოიანი ენით ბერგს; როგორი გრაციოზული ნახტომით ინაცვლებდა ჩემი მხრიდან სავარძელზე და პირიქით... რა მშვენიერი იყო მზის სხივებს მიფიცხებული ზორო! მისი აპრეშუმივით ნაზი ბეწვი ბრწყინვალე შარავანდედივით იშლებოდა ოქროსფერ შუქზე, ხოლო, მოლისფერ თვალებში ნემსებივით დაწვრილებული გუგები არამინიერთან შეხების შეგრძნებას მიემნიდა... მიყვარდა ზორო, მისი იდუმალი, მიღმიერის მწვდომი მზერა მნუსხავდა და ყოველ ჯერზე ჩემს მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას კვითხულობდი მასში.

* * *

ჩემი ტილოები ცნობილ საგამოფენო დარბაზებში იფინებოდა. მე კი ვერსად წასვლას ვერ ვპედავდი ზოროს დაკარგვის შიშით; მარტოს, საათზე მეტ ხანს არასდროს ვტოვებდი. პრეზენტაციები, ბანკეტები, ინტერვიუ ტელევიზიისთვის... ყველაფერს ზუსტად ვგეგმავდი და არსად ვჩერდებოდი.

მეგობრებსა და ნათესავებს ჩემი წარმატება კი უხაროდათ, მაგრამ თანდათან ჩემი მოუცლელობისა თუ „კონსპირაციის“ გამო, ჩათვალეს, რომ ფული და სახელი თავში ამივრდა და არავის ალარ ვკადრულობ; ჰოდა ჩამოშორდა ყველა... არასდროს ვყოფილვარ ასე პოპულარული და მარტოხელა ერთდროულად. ზორო იყო ჩემი მეგობარიც, ოჯახიც და სიყვარულიც.

* * *

გაბმულმა ზარმა და კარზე მონოტონურ-მა კაკუნმა წყობიდან გამომიყვანა. ზორო უცნაურად აკნავლდა. წაყრუებამ არ გაჭრა... სალებავში ამოსვრილი თითები ჩვარზე

შევიწმინდე, ზორო სააბაზანოში ჩავკეტე და გინებით გავემართე კარისკენ.

სადარბაზოში უცნობი ქალი იდგა. მისი გემოვნებით შერჩეული, ძვირფასი ტანისამოსი დისონანსს ქმნიდა სახესა და აღნაგობასთან. მსგავსი „მშვენიერება“ ძეველ მულტფილმში მყავდა ნანახი - „ბაბაიაგა“ რომ ერქვა. ჩემმა ქვეცნობიერმა წამის მეასედში გადაამუშავა მიღებული ინფორმაცია: ასაკი, ჩაცმულობა, გაავებული მზერა, განცხადებებითა და სურათებით გაძეგილი საქალალდე (ეს უკანასკნელი ინფორმაცია ჩემი ცხოველი ფანტაზიისა და უღალატო გუმანის ნაკარნახევი გახლდათ)...

- რა იყო, ქალბატონო, რა ჩამოიღეთ კარი... იქნება არ ვართ სახლში და რამეე?!. - მძიმედ გავწელე ხმოვნები და „ბაბაიაგას“ ამრეზით ჩავაცერდი. ქალის რეაქცია სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა; მეგონა, რომ ასეთ „დახვედრას“ მინიმუმ უნდა შეეძინებინა მოხუცი, მაგრამ ქალი აქეთ გადმოვიდა შეტევაზე:

- ზრდილობას მოუხმეთ ახალგაზრდავ! მეყველაფერი ვიცი და დაუყოვნებლივ მოვითხოვ დამიბრუნოთ ჩემი კატა!

ქალის გამკიცანი, ისტერიული მომართვა ზოროს ყურს მიწვდა და აბაზანიდან კნავილი და კარზე ფხაჭუნი მომესმა, მგონი სახელსაც უძახდა ყოფილ პატრონს.

- წადი ქალო, თავი გამანებე, კატა არა კრაკადილი არ გინდა?! - სულელური ფრაზა წამოვისრილე და კარის მიხურვა დავაპირე. ქ-ნი მარო ადვილად დანებებას არ აპირებდა სახელურს ჩაფრინდა, ცალი ფეხი კარის ღიობში შემოყო და გაშმაგებით ცდილობდა სახლში შემოჭრას.

- ზორო, ზორიკო, მოდი ჩემთან სიხარულო! - ყვირდა ბებრუხანა უკვე ცრემლნარევი, აკანკალებული ხმით. „ბრძოლა“ წამები გაგრძელდა, „ვაჯობე“ და კარი გადავრაზე. ქალი კიდევ დიდხანს მოთქვამდა სადარბაზოში; ხან იმუქრებოდა, ხან იხვენებოდა... მე სააბაზანოში ვიჯექი და ზოროს ვაწყნარებდი.

* * *

სასამართლო პროცესი დიდხანს გაიწელა. მსგავსი საქმე ჩვენს ქალაქში კი არა, არსად

არ განუხილავთ თემიდას მსახურთ. დაიკითხა უამრავი მოწმე: ნათესავები, მეზობლები, ვეტერექიმები, ნაცნობ-უცნობი... ორივე მხარის ინტერესებს საუკეთესო ადვოკატები იცავდნენ და რა გასაკვირია, რომ დავას ბოლო არ უჩანდა. უკვე ყველა ეჭვობდა, რომ ეს „ომი“, უბრალო კატის გამო არ ატყდებოდა. უურნალ-გაზეთები ქ-ნ მაროს მიერ მინოდებული ზოროს სურათებით იყო აქრელებული. არც მე მაკლდა მედიის ყურადღება; ქუჩაში ცხვირის გაყოფა მეშინოდა „ყვითელი“ უურნალისტების გადამკიდეს.

ათასი ფანტასტიკური თუ მისტიკური ისტორია შეთხეს; მარტო სტატიების სათაურები რად ლირდა: „უცხოპლანეტელი კატა“; „ზორო - ლუციფერის მსახური“; „ზორო უცხოელი მილიარდელის მეკვიდრეა“; „ეკლესია გმობს ზოროს სასამართლო პროცესს“; „ნარმატების ანდამატი ფისუნია“; „რატომ არაა ნახსენები კატა ბიბლიაში?“ და სხვ.

ნერვები დაწყვეტაზე მქონდა, ვერ ვმუშაობდი და შეუსრულებელი შეკვეთები მიგროვდებოდა... ზორო საყელოს როგორც იქნა შეეგუა, მაგრამ გარეთ ღამითაც ვეღარ გამყავდა, რადგან ყველა, მისი პოტენციური გამტაცებელი მეგონა. სამზარეულოს სარკმელი, რომელიც ზოროსთვის გარეთ გასასვლელი ერთადერთი გზა იყო, სულ დაკეტილი ვერ იქნებოდა, ამიტომ მწერების სანინააღმდეგო ბადე საკუთარი ხელით მივაჭედე; ხელმარჯვე ასეთ საქმეებში არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ნახევრად ჩაჭედებული ლურსმნების მიუხედავად, ბადე თავის დანიშნულებას ასრულებდა – ზორო ბადეში ვერ გაძვრებოდა. საწყალი კატა საათობით კნაოდა სარკმელთან; გაბმით შეძახდა და რამდენჯერმე მოსაფერებლად განვდილ ხელზეც მიკინა.

* * *

ბავშვობიდან მამით ობოლს, ხუთი წლის წინ დედაც გარდამეცვალა. დიდხანს ავადმყოფობდა, მის ოთახში საშინელი სუნი იდგა: წამლების, ავადმყოფი სხეულის და კიდევ რაღაცის... ალბათ სიკვდილის... დედას ოთახში იშვიათად შევდიოდი და იქ შესულს თვალი გაქცევაზე მეჭირა. — „რა ცივგულა ხარ

შვილოო“ – მეტყოდა ხოლმე მილეული ხმით. რა უცნაური მზერა ცქონდა ამ სიტყვების თქმისას დედას, ტკივილი, იმედგაცრუება, სინაული და უპირობო, ყოვლისმომცველი სიყვარული იყურებოდა მისი ამოღამებული თვალებიდან. რატომ მაგონედა იმ ხანად ზოროს თვალები დედაჩემის მზერას, არ ვიცი, თუმცა ვიცი, რომ ყველა კატა ზუსტად ასე იყურება და მათ გამოხდვაში იმას ვკითხულობთ, რასაც მოველით, ან რის ლირსადაც მივიჩნევთ თავს... თუმცა მე აღარ ვიყავი ზოროს სიყვარულის ღირსი.

ზორომ მადა დაკარგა, გახდა და გაავდა... სასამართლო დასრულდება თუ არა, გავყიდი ყველაფერს, წაგიყვან სადმე, სადაც არავინ გვიცნობს, სადაც შეგვეძლება ერთად ბედნიერად ვიცხოვროთ. აღარ მაინტერესებს არც ფული, არც წარმატება, არავინ და არაფერი არ მაინტერესებს; მე მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემთან იყო, მარტო ჩემთან...

ოცნებაში ვხედავდი მწვანეში ჩაფლულ პატარა სახლს; უზარმაზარ, მაღალი გალავნით შემოსაზღვრულ, კატაბალახით გადაბინებულ ეზოს, სადაც ჩემი ზოროს გარდა რამდენიმე დედალი კატაც ისეირნებს... ასეთ სამოთხეში უდავოდ ბედნიერი იქნება და არასოდეს მოისურვებს ჩემს მიტოვებას – ამ ფიქრებით ვიმშვიდებდი გულს, მაგრამ ზოროს მდგომარეობა დღითიდლე უარესდებოდა.

ერთ ღამეს, გიური აზრი მომივიდა თავში: თუ მაროს ისევე უყვარს ზორო, როგორც მე, მისთვისაც ადვილი იქნება ყველაფრის დათმობა... რა იქნება, რომ შევთავაზო პატარა ედემში ცხოვრება? ზოროს ბედნიერებისთვის მანაც გაიღოს მსხვერპლი და შეეგუოს ჩემს საზოგადოებას... რომ არ დამთახხდეს?.... მაშინ?... მაშინ თვითონ მივუყვან ზოროს სახლში იმ პირობით, რომ ნებისმირ დროს მასთან მისვლა შემეძლება. კატის საერთო მფლობელობას გავაფორმებთ და სასამართლო დავაც დასრულდება.

დილისთვის უკვე ყველაფერი მოფიქრებული და დაგეგმილი მქონდა. ზორო, – როგორც ბოლო ხანებში დასჩემდა, – კარადის თავზე იწვა და ზემოდან მზერავდა.

– მაპატიები ძმაო, მარტო ჩემ თავზე ვფიქრობი... გპირდები, ამიერიდან ყველაფერი შეიცვლება, დღეს მაროს ნახავ! – ვუთხარი და

გეფიცებით, მის მზერაში დავინახე რაღაც, რაც აქამდე არასდროს მინახავს... სახლიდან თითქმის ბედნიერი გავედი.

* * *

- შებრძანდით, ქალბატონო მარო! - კარი ფართედ გავალე და წინ გავუშვი სტუმარი.

- შენ გაიხარე შვილო, აქა მშვიდობაა! - საზეიმოდ წარმოთქვა ქალმა და თვალების ცეცებით შეაბიჯა ბინაში.

- ზორო, ზორიკო! დედიკო მოვიდა, სიხარულო, სად ხარ?! - მღელვარებისაგან შეცვლილი ხმით იძახდა მარო.

- ზორო, მოდი ჩემთან, ბიჭო!.. ნახე, რა მოგიტანე! - ხელში ბეწვის თაგუნია ავათა-მაშე, - სამზარეულოში შებრძანდით ქალბატონო მარო, მე ოთახში მოვძებნი, ეს რამდენიმე დღეა, ასე მემალება ხოლმე... ვუთხარი სტუმარს და მიკეტილი კარისკენ მივუთითე.

ზოროს სამალავ კარადასთან მისულიც არ ვიყავი, რომ სამზარეულოში განწირული კივილი გაისმა...

მიტკალივით გათეთრებული, აკანკალებული მარო სარკმელის გაღუნულ ლურსმანზე საყელურით დაკიდულ, ჭრელი კატის გაშეშებულ სხეულს მისჩერებოდა...

იჩაქლი ლომური

დღე, როდესაც მსოფლიო ქართულად ალაპარაკდა (დია ცერილი კაცობრიობას)

ყველას მშვენივრად გვახსოვს დღე, როდესაც მსოფლიო ქართულად ალაპარაკდა – 2022 წლის 12 აპრილი – მავრამ არავინ იცის, თუ რა მოხდა სინამდვილეში. არავინ, ჩემი და ჩემი შვილიშვილის, პატარა იკაკოს გარდა.

თავიდან ბევრი ვერც კი მიხვდა, მშობლიურ ენაზე კი არა, არამედ რაღაც უცხო ენაზე მეტყველებს... ზოგს ბუნდოვანი დისკომფორტი, გაუცნობიერებელი ეჭვი გაუჩნდა... პირველი შოკი ლინგვისტებმა და პოლიგლოტებმა განიცადეს. მერე კი, ყველა დანარჩენმა. რა ენაზეც არ უნდა დაეწყოთ ადამიანებს ლაპარაკი, ქა-

რთულზე გადადიოდნენ. ისინიც კი, ვინც ქართული არ იცოდა. ისინიც კი, ვისაც ქართული ენის არსებობა საერთოდ არ გაეგო. ალეუტი იქნებოდა, ჩუქჩა, იროკეზი, სიკხი, პიგმეი თუ ვატუსი, სომები, თათარი, რუსი თუ მონღოლი, ფინელი, პორტუგალიელი, ფრანგი თუ იაპონელი, ყველა ქართულად ამეტყველდა!

რა მოჰყვა ამას, ყველას კარგად გვახსოვს. საყოველთაო ისტერია და პარანოია - კატასტროფულად იმატა თქვითმკვლლებების რაოდენობამ... მეზობელ ქვეყანაში არაერთი ქართველთმოძულე პოლიტიკოსი თუ რიგითი მოქალაქე ფსიქიატრიულში მოხვდა - ზოგმა პირიც კი ამოიკერა, ოლონდ ქართულად არ ელაპარაკა...

ფართოდ გავრცელდა ვერსია, რომ ეს ბოროტი ქართველი მეცნიერის, თუ მეცნიერების მიერ შემუშავებული უახლესი გენეტიკური იარაღია, მსოფლიოს დასაპყრობად... დიდხანს ეძებეს ეს მითიური მეცნიერი (თუ მეცნიერები), მაგრამ ვერ მიაგნეს.

პარალელურად გავრცელდა ვერსია, რომ ეს მოვლენა სხვა არაფერია, თუ არა მეორედ მოსვლის მაუნებელი ნიშანი, იოანე-ზოსიმე ხომ წინასწარმეტყველებდაო, რომ კაცობრიობა „ქართულითა ენითაი განისჯება“. ამაოდ უხსნიდნენ სწავლულები ამ იდეის მიმდევრებს, რომ იოანე-ზოსიმეს ნათქვამი პირდაპირ არ უნდა გაიგონ, – ვერსიამ საკმოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა და მთელს მსოფლიოს გავრცელდა. შეიქმნა მეორედ მოსვლის მომლოდინე თემები, რომლებმაც შეწყვიტეს ყველაფერი, გარდა ლოცვისა, რადგან დღედღეზე მოელოდნენ საშინელი სამსჯავროს დაწყებას. არადა, დრო გადიოდა, სამსჯავრო კი არ ინწყებოდა...

პარალელურად გაძლიერდა საყოველთაო გაბოროტება ქართველების მიმართ. გახშირდა არამოტივირებული თავდასხმები ქართველებზე, რომლებსაც ახლა მხოლოდ გარეგნობით და პასპორტში ჩანსრილი გვარით თუ გამოარჩევდი (რადგან გარშემო ყველა ქართულად ლაპარაკობდა).

თითქმის ერთდროულად უდანაშაულო ქართველები ლინჩის წესით გაასამართლეს მოსკოვში, სტამბულში, ბერლინში, ნიუ-იორკ-სა და ბარსელონაში...

თუმცა სიძულვილის ამ აფეთქებას პარადოქსული შედეგიც მოჰყვა – გაჩნდა მოძრაობა, რომელსაც უურნალისტებმა ჯერ ხუმრობით, მერე კი სეროიოზულად შეარქვეს „ჩაჩაჯო“ („ჩათრევას ჩაყოლა ჯობია“). ევოლუციური ეთიკის ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგნელებმა, ბერკლის უნივერიტეტის პროფესორმა, ვინსენტ დოკინგმა წამოაყენა თეორია, რომ მომხდარი გახლავს „ჰომო საპიენსის“ განვითარების ახალი საფეხური, რომელზეც კაცობრიობა ნახტომისებურად გადავიდა (მექანიზმი მეცნიერებს ჯერ არ გვესმის, მაგრამ ადრე თუ გვიან გავიგებთ), და რომ ეს ფაქტი უნდა მივიღოთ, როგორც მოცემულობა, როგორც წინაპირობა იმისა, რომ კაცობრიობა უნიფიკაციის და გაერთიანების გზით მიდის... მაშ, მოდი, სიხარულით და მადლიერებით მივიღოთ ეს ახალი რეალობა და გავაგრძელოთ ცხოვრება, ვილაპარაკოთ ერთ ენაზე – ქართულზე, რომელიც ან უკვე მსოფლიო, უნივერსალური ენაა... აღსრულდა ესპერანტოს გამომგონებლის, დოქტორ ზამენგოფის ოცნება!

ქართულს „გესპერანტო“ შეარქვეს.

ენა იყოს ერთი, – ქართველებთან ვიმეგობროთ, მადლობა ვუთხრათ უნებლივ (?) , თუმც კი მშვენიერი საჩუქრისთვის... აბა, სხვა რომელ ენაზე ვიტყოდით „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“-ო? – ამბობდნენ „ჩაჩაჯო“-ს მიმდევრები და აგრძელებდნენ: „მაგრამ ნუ დავივინებთ ჩვენს ისტორიულ წარსულს, ჩვენს მეობას, ჩვენს კულტურას და მიღწევებს!“ მოძრაობის სრული სახელი იყო „ჩაჩაჯო-ჯორჯია“ („ჯორჯია“ საქართველოს სინობიმად იხმარებოდა თვით ეთნიკური ქართველების მიერ, ამდენად, ქართული, ან უკვე საყოველთაო ენის სრულუფლებიანი შემადგენელი გახდა). დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ინტელექტუალთა გარკვეული ნაწილი მიემსრო მოძრაობას, თუმცა სოციალურად დაბალ ფენებში წარმატება არ ჰქონია... უფრო მეტიც, ალაგ-ალაგ ამ მოძრაობის აქტივისტების დევნა დაიწყო... ერთ-ერთი ასეთი აქტივისტი ჯორჯიის შტატში ძელზეც კი გასვეს კუკლუქსკლანელებმა...

მეცნიერებმა და მოხალისე ენთუზიასტებმა რა არ სცადეს, მშობლიურ ენაზე მეტყველების უნარი რომ დაებრუნებინათ –

ჰიპნოზი, ელექტროშოკი, ფსიქოტროპული სამუალებები, იოგა და ა.შ. მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. რაღაც უცნაური მექანიზმი იყო – ადამიანი თავის ენაზე აზროვნებდა, მაგრამ როდესაც აზრის გამოთქმას დააპირებდა, ქართულად ამბობდა. ეს იმდენად აუხსნელი იყო, რომ მეცნიერთა უმეტესობა მუდმივ ისტერიკასა და თმების გლეჯაში გადავარდა... თეორიულადაც კი ვერ ხსნიდნენ ამ ფენომენს. სამუშაო ჰიპოთეზაც კი არ ჰქონდათ...

ერთი შეხედვით უცნაური იყო, რომ ენობრივი ბარიერის მოშლამ არ გამოიწვია ერების დაახლოება, არ დამყარდა საყოველთაო მშვიდობა და ურთიერთგაგება... თუმცა, მეორე მხრივ, სულაც არ უნდა ყოფილყო გასაკვირი, რადგან ინდივიდებს საკუთარი ეროვნული ცნობიერება და მეხსიერება არ დაუკარგავთ... გოტენტოტი თავს ისევ გოტენტოტად აღიქვამდა, თუმც კი ქართულად მეტყველებდა, რუსი კი – რუსად... ამ უკანასკნელისთვის განსაკუთრებით მტანჯველი იყო, რომ ქართულად უნევდა გინება (არადა, რუსული გინების განუმეორებელი „სიტკბოება“ ახსოვდა) და ამის გამო მართლა იტანჯებოდა, არათუ მენტალურად, არამედ, ლამისაა, ფიზიკურადაც კი... „ექიმო, ისეთი განცდა მაქვს, რომ ტვინში ვეება ხიჭვი შემერჭო და ვეღარ ვიძრობ, – შესჩიოდა ფსიქიატრს ერთი განსაკუთრებით მგრძნობიარე ინდივიდი, – არა, ხიჭვი კი არა, ისეთი შეგრძნება მაქვს, ექიმო, რომ თავში მახრჩიობელა გველი შემიძვრა, რომელმაც ჩემი მშობლიური, ჩემი დიადი და მძლავრი ენა, გადაყლაპა და ახლა მე მგუდავს“...

ენა ბევრნილად განსაზღვრავს ცნობიერებას – როგორ გინდა განვითარო, ვთქვათ, ფლანდრიული კულტურა, როდესაც ქართულად მეტყველებ?

იდენტობის კრიზისი, მასობრივი ნევროზი, ქაოსი და ანარქია – აი, რა მოჰყვა, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულის გაბატონებას მსოფლიოში.

მოკლედ, ეს ყველაფერი მშვენივრად მოგვეხსნება ყველას... მაგრამ იმიტომაც დავწერე აქ, ასე ვთქვათ, თეზისურად, რომ ახლა ამ დრამის მეორე აქტს ვუახლოვდებით... ხუთი წელი გავიდა იმ მართლაც რომ ღირსშესანიშნავი თუ საბედისწერო დღიდან. უკვე დროა დუმილი დავარღვიო და მსოფ-

ლიოს გასაგონად ვთქვა სიმართლე, რადგან ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა! მაშ, მოემზადე კაცობრიობავ! შენ გელის...

თუმცა ჯობია მოვლენებს მივყვეთ...

2022 წლის 12 აპრილს 63 წლისა შევსრულდი. გადავწყვიტე ჩემი თავისითვის საჩქარი გამეკეთებინა. დილიდანვე ჩემს ვაჟიშვილთან წავედი (ცალკე ცხოვრობს თავის ცოლ-შვილთან ერთად). მინდოდა, ჩემი შვილიშვილი, შვიდი წლის იკაკო სასეირნოდ წამეყანა ბოტანიკურ ბაღში, ძალიან აინტერსებს ტექნიკა. დიდი ხანია მეხვენებოდა, ბოტანიკური ბაღის ჰიდროელექტროსადგურის ტურბინები მაჩვენე, როგორ ტრიალებენო. მე და იკაკო დიდი მეგობრები ვართ – ერთი სული აქვს, როდის მოვუყვები კოსმოსზე, რაკეტებზე, რობოტებსა და უცხოპლანეტელებზე. ასტრონავტი უნდა გამოვიდეო, დღენიადაგ იმეორებს. ჩემთვის შვილიშვილთან ურთიერთობა ყველაზე დიდი სიამოვნებაა ცხოვრებაში...

მოკლედ, მინის მილით, პნევმატური მონორელსით ბოტანიკურში ჩავსრიალდით, გადმოვედით და გავუყევით ბილიკს... მივსეირნობთ, ვუყვები ნაცარქ... უკაცრავად, ეშს სთირერის თავგადასავლებს კოსმოსში, როგორ ეპრძვის უცხოპლანეტელებს, მაგალითად, ბეტელჰეიზელ პლაზმოიდურ მონსტრებს და უცებ იკაკომ გამანწყვეტინა:

– ბაბუ, მე არ მეშინია უცხოპლანეტელების!
– ეჭვიც არ მეპარება, – მივუგე, რაღაც ის თქმას ვაპირებდი, მაგრამ ბიჭმა არ მაცალა. გააგრძელა:

– აი, მოვიდნენ, მაგათ ვაჩვენებ სეირს! ჩავეხუტები, დავუმეგობრდები და კეთილები გახდებიან!

„ორიგინალური მეთოდია სეირის ჩვენების“, უკვე უნდა მეთქვა, რომ უცებ რაღაც მოხდა, თითქოს დრო გაჩერდა, რაღაც გამჭვირვალე, მაგრამ თანაც მოვერცხლისფრო ნახევარსფერო თუ გუმბათი დაგვემხო თავზე, ხუთიოდე მეტრის სიმაღლის... უცებ ჩემს წინ სამი ფუმფულა გუნდა დავინახე, ჰაერში მოფარფატებდნენ ჩვენსკენ და ფერს იცვლიდნენ საოცარი სისწრაფით, კაშკაშებდნენ, მზის შუქზეც კი. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიდე. უცებ გავაცნობიერე, – ხელ-ფეხი გაკავებული მაქვს, ვერ ვინძრევი. ურუანტელმა

დამიარა. თუმცა ფერადი გუნდები საშიშები სულაც არ ჩანდნენ. პირიქით. რაღაცნაირად საყვარლებიც კი იყვნენ. თოჯინური მულტფილის ნაქსოვი პერსონაჟებივით. და უცებ თვალთ დამიბნელდა. გავითიშე.

რამდენი ხანი ვიყავი ასე, არ ვიცი. ცნობიერება უცებ დამიბრუნდა. ვხედავ, ჩემს წინ იკაკო დგას, მექანის:

- ბაბუ! ბაბუ!
- რა იყო, იკაკო? რა მოხდა?
- ბაბუ! უცხოპლანტელებს ველაპარაკე!
- რაა? – და უცებ გამახსენდა მოფარფატე ფუმფულა ბურთები, – იკაკო, მომიყევი, რა მოხდა?
- ბაბუ, ჩემს თავში ჩაიხედე... არა, მე გამოგიგზავნი სურათებს, რაც მოხდა... დაინახავ!

სკეპტიკურად გავულიმე, საკუთარ ტელეპატიურ ნიჭა და უნარზე დიდი წარმოდგენა არასოდეს მქონია, მაგრამ უცებ მართლა დავინახე შინაგანი მზერით, როგორ მივდივართ მე და იკაკო ბილიკზე და როგორ გაჩნდენ არსაიდან ფუმფულა ფერადი ბურთები...

- ხედავ, ბაბუ?
- კი, იკაკო! მიდი, გადმომეცი!
- და გადმომცა. ახლა აღვწერ, რაც დავინახე გონების თვალით...

ბურთებმა იკაკოს გარშემო გამალებული ფარფატი გამართეს, თითქოს დავლურს უვლიანო. იკაკომ გონებაში ხმა, უფრო სწრად, აზრი გაიგონა.

– ჩვენ მოვედით, რათა თქვენს პლანეტას მშვიდობა მოვუტანოთ! ჩვენ ვმოგზაურობთ კოსმოსში და ვამყარებთ მშვიდობას!.. ესაა ჩვენი მისია, ჩვენი არსებობის საზრისი!.. სისარული და ბენიერება!.. შვება და ნეტარება!... ამისთვის ვართ მოწოდებული!.. იკაკო, არ გაგიკირდეს, უცხო პლანეტაზე მხოლოდ ნორჩ აბორიგენებთან ვამყარებთ კონტაქტს, რადგან გამოცდილებით ვიცით, ერთმანთს მხოლოდ ზრდასრულები ანადგურებენ, ნორჩებს მშვიდობა სურთ!

– აბა რა! – მიუგო იკაკომ საქმიანად, დიდი კაცივით, – რა ჯობია მშვიდობას! მოდი, ვითამაშოთ! ეხლა ვამბობდი, უცხოპლანეტელს მინდა ჩავეხუტო-მეთქი!

– სწორედ მაგიტომაც აგირჩიეთ შენ, იკაკო, პირველი კონტაქტისთვის, – გააგრძე-

ლა ხმამ, ანუ აზრმა, – შენს გვერდით მყოფი ზრდასრული არ გვაინტერესებს. დავბლოკეთ. იკაკო, შენ აგირჩიეთ არა მხოლოდ პირველი კონტაქტისტვის, არამედ შენი პლანეტის, შენი რასის სამუდამო სრულუფლებიან წარმომადგენლად...

– და თქვენ ვინა ხართ? – გაიფიქრა იკაკომ.

– ჩვენ ვართ სამშვიდობო მისია პლანეტიდან აუუუმ-XXX... ჩვენ ვამყარებთ მშვიდობას მთელს კოსმოსში! იკაკო, შენს პლანეტაზე მშვიდობაა?

– არა, სულ ომია!

– რატომ?

– რატომ? – გონებაში გაიმეორა იკაკომ, დაფიქრდა, – იმიტომ, რომ ადამიანებს ერთმანეთის არ ესმით!

– და რატომ არ ესმით ადამიანებს ერთმანეთის?

– იმიტომ, რომ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ!

„ნამდვილიად ჭკვიანი, გონიერი შვილიშვილი მყავს!“ – გამიელვა. და შემომეამაყა, თუკი შეიძლება ასე ითქვას. მაგრამ მივყვეთ მოვლენებს.

გონებაში დავინახე, როგორ აფრინდნენ ფუმფულა ბურთები იკაკოს თავზე, შეტყუპდნენ, ფერი იცვალეს, თითქოს ვერცხლისწყლის ერთ დიდ სფეროდ იქცნენ. სფერო შესამჩნევად პულსირებდა, ტოკავდა. „ეტყობა თათბირობენ, - გამიელვა, - ანდა...“ მაგრამ აზრის ბოლომდე მიყვანა ვერ მოვახერხე. დავინახე, რომ ვერცხლისფერი სფერო ისევ სამ მომცრო, ფერად, ფუმფულა გუნდად დაიშალა, - სამივე იკაკოს გარშემო აფარფატდა. ისევ გავიგონე მათი ხმააზრი.

– იკაკო, შენს პლანეტაზე მშვიდობა რომ დამყარდეს, ადამიანებმა ერთ ენაზე უნდა ილაპარაკოთ... ტელაპატიას ვერ გამოვიყენებთ, რადგან ამის ბუნებრივი ნიჭი თქვენს პლანეტაზე იშვიათობაა, ასაკის მატებასთან ერთად აბორიგენთა უმეტესობას საერთოდაც უქრება... ერთადერთი გამოსავალია, რომ ყველა აბორიგენს გონებაში ჩავუწერგოთ ერთი ენა, რომელიც მშვიდობას მოგიტანთ! ამისთვის ჩვენ ვირჩევთ შენს ენას, იკაკო! და ვუნერგავთ ამ პლანეტის ყველა ბინადარს! ამას გარკვეული დრო დასჭირდება - თქვენი დროით, რამ-

დენიმე საათი. დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის, იკაკო! შენ ძალიან დაგვეხმარე! ამ პლანეტას შენს სახელს ვუწოდებთ! ეს იქნება შენი ჯილდო, იკაკო! ტრანსგალაკტიურ რუკებზე გაჩნდება ყოვლადმშვიდობიანი პლანეტა „იკაკო-9777531000999221“ (ეს თქვენი პლანეტის ოფიციალური ნომერია)... მშვიდობით, იკაკო!

– არ წახ... – გაიფიქრა ბიჭუნამ, მაგრამ უკვე აღარც ბურთები იყვნენ და აღარც ნახევარსფერო.

სურათები, იკაკომ რომ გადმომცა ტელეპატიურად, იმდენად მკაფიო, იმდენად თვალისმომჭრელი იყო, რომ კინალამ თავიდან გავითიშე. შინ როგორ დავბრუნდით, აღარც მახსოვს. კედლის ნეტვიზორი ჩავრთე ბიბისის არხზე და რა მესმის – თავანკარა ქართულით საუბრობს ინგლისის პირველი შავკანიანი პრემიერ-მინისტრი...

რატომ არ ვთქვით ეს ყველაფერი თავის დროზე? ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, არ დაგვიჯერებდით. მეორეც, არ შემეძლო პატარა იკაკო მეცნიერების, უფრო სწორად, სპეცსამსახურების ხელში ჩამეგდო... ერთმანეთს პირობა მივცით, რომ კრინტს არ დავძრავდით... იკაკო საოცრად გონიერი ბავშვია... მართალია, ერთხელ წამოსცდა კლასელებთან, ეს ყველაფერი, რაც მსოფლიოში ხდება, ჩემს გამოა, მე შევთავაზე უცხოლანეტელებსა, მაგრამ ისე დასცინეს, სამი დღე სკოლაში აღარ წასულა...

როდესაც მე და იკაკომ რაღაც ხნის მერე დავინახეთ, რა უბედურება დატრიალდა დედამინაზე, გადავწყვიტეთ აუუუმელებისთვის გვეცნობებინა... მაგრამ არც კავშირის მექანიზმი გვექნდა და არც კონტაქტის საშუალება. როგორც გაჩნდნენ, ისე გაქრნენ...

ტელეპატიურად ვიძახებდით, ტელეპატიურად ვყვიროდით და ვლრიალებდით, ტელეპატიურად გადავცემდით სიგნალს SOS!... და აი, უცეპ, გუშინ გამოჩნდნენ! ხუთი წლის თავზე!

ამჯერად სახლში გვენვივნენ – ზუსტად ისეთივე ბურთები, რაც მამინ, ოლონდ გუმბათი ჰქონდათ უფრო დაბალი... მე, ცხადია, ისევ დამბლოკეს. გავითიშე.

როდესაც გონზე მოვედი, იკაკო დავინახე, ბიჭუნამ საქმიანად მითხვა:

– ბაბუ, ეხლა გადმოგცემ, რაც მითხვეს!

თვალები მოვხუჭე და გონებაში ტელეპატი-ურად გავიგონე დიალოგი.

— იკაკო, რაშია საქმე, რატომ გვიძახებდი?

— რატომ არ მოდიოდით ამდენი ხანი? — კითხვაზე კითხვით უპასუხა იკაკომ, — თქვენს გამო დედამიწაზე საშინელება ხდება!

— საშინელება? შეუძლებელია! ჩვენი გე-გმა ყოველთვის ამართლებს!

— არა! ერთი ენა არაა საკმარისი! ყველას ახსოვს, რომ სხვები არიან და ქართულად რომ ძალით ალაპარაკებთ! ამაზე ცოფდებიან!

— შეუძლებლია, უნდა უხაროდეთ! თქვე-ნი მადლიერები უნდა იყვნენ!

— მადლიერები კი არა, ვეჯავრებით!

ფუმფულა ბურთები მაშინდელივით შეტყუ-პდნენ და აძაგძაგდნენ, მერე კი ისევ სამ მომ-ცრო, ფერად, ფუმფულა გუნდად დაიშალნენ, — ისევ გაისმა ხმა-აზრი.

— იკაკო, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენს გეგმას არ ემუშაოს და კეთილი შედეგი, მშვიდობა, არ მოეტანოს! მშვიდობას ყოველთ-ვის ვამყარებთ, უკიდურესი მეთოდების გამ-ოყენებაც კი გვიწევს ხოლმე ზოგჯერ....

— რა მეთოდების?

— მეთოდები სხვადასხვაიანირია... ნუ ჩა-ვულრმავდებით!... თქვენს შემთხვევაში, იკა-კო, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ურჩ აპ-ორიგენებს, რომლებიც ვერ აფასებენ ჩვენს უდიდეს საჩუქარს, თქვენს ენას, წავუშალოთ მეხსიერება და ჩავუნერგოთ, რომ ძირძველი ქართველები არიან... რადგან მშვიდობა ერთა-დერთი ჭეშმარიტი ფასეულობაა კოსმოსში!

— ანუ დედამიწაზე ყველა ქართველი გახდება?

— დიახ! და მშვიდობაც დამყარდება! დიდი მადლობა, იკაკო! კარგი ბიჭი ხარ! მშვი-დობით!

— არ წახ... — გაიფიქრა იკაკომ, მაგრამ უკვე გვიან იყო. ფუმფულა ბურთები გაქრნენ.

იკაკო მომიბრუნდა და მკითხა:

— გესმოდა, ბაბუ?

— მესმოდა, იკაკო!

— კარგია, დედამიწაზე მხოლოდ ჩვენ თუ ვიქებით?

ნაღვლიანად ჩამეცინა.

— ეჰ, ჩემო იკაკო, რა იციან კეთილმა აუუუმელებმა, რა ამბებს დაატრიალებს შვიდი მილიარდი ქართველი დედამიწაზე?

2027 წლის 12 აპრილი

(წერილი ერთდროულად გამოქვეყნდა მსოფლიოს ყველა ელექტრონულსა თუ ბეჭ-დურ გამოცემასა და მედიასაშუალებაში.)

მიხეილ გავალაგვილი

სამი მინიატურა

გამოჩეკისთანავე მას საინტერესო უნარი ჰქონდა — მყარი ობიექტებისთვის ფორმის შეცვლა გონებისა და მზერის მეშვეობით. საინ-ტერესოა ის, რომ აღნიშნული ნიჭი არ მოხ-მარდა ბოროტებას, პირიქით, ამ ნიჭის გამო საკმაოდ ნიჭიერი მოქანდაკე გახდა, თანაც ფანტასტიკურად ნაყოფიერი — თავისი სი-ცოცხლის განმავლობაში არა ერთი ათასი და ათობით ათასი იდეალური ქანდაკება შეუქმნია (თან, არ დაგვავინყდეს, მისი სიცოცხლეც არა ერთი ათასი წელი გრძელდებოდა). რა არ დაუ-ტოვა მან დედამიწას — დიდი სფინქსი, კნიდე-ლი აფროდიტე და ბელვედერელი აპოლონი, კუკულკანის ქანდაკება და ბადროსმტყორცელი. მაგრამ რა აზრი ჰქონდა? კაცობრიობამ ღვაწლი არ დაუფასა, ადამიანებისგან განსხ-ვავებული იყო და მისი გარეგნობის ეშინოდათ, მისი შურდათ, მის ნიჭს ადამიანთა ცოცხლად გაქვავებას აპრალებდნენ და მის განადგურებას თუ არა, მისი ნამუშევრების მოპარვას მაინც ცდილობდნენ. მომაკვდავი მონა, და-ვითი, ორივე მიქელანჯელომ საცავიდან მო-სტაცა. ორივე ისე უყვარდა ავტორს, მათ და-კარგვას გადაყვა და მსოფლიომ დაკარგა ის. დაკარგა უდიდესი მოქანდაკე.

არადა, მისი ბრალი უბრალოდ ის იყო, რომ ადამიანის ნაცვლად უზარმაზარ გველად, ბა-ზილისკოდ, დაიბადა.

„საზარბაზნე ხორცი ვიყავით. მაჰარაჯამ გვანიშნა, უკან ვინც შემობრუნდებოდა, თავს დაკარგავსო, თან როგორ? მის სასახლეში

ჭაღზე მოოქროვილ მდგომარეობაში აღმოჩნდება. დაგვირიგეს ხმლები, შუბები და ფარები და გაგვიშვეს წინ, გზის გასარკვევად და პირველი დარტყმის მისაღებად. ყველაფერი კარგად მიდიოდა, არც მტერი, არც არანაირი სირთულე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს წინ უზარმაზარი ჯარი აღიმართა. უფრო სწორად, უზარმაზარი რომ იყო, მაშინ მიეხვდით, მათი ქვეითები და მხედრები ჩვენსკენ რომ გამოვარდნენ. სად აქვს ჩვენს უფროსობას ჭუა? ამოდენა სპილოები, ეტლები, ცხენოსანი ქმატრიები თუნდაც, ვინც მოგვყება, მთელმა ამ ურდომ აქ როდის უნდა გაიაროს? სპილოები კი შეძლებენ აქაურობის მოსუფთავებას, მაგრამ ეს დიდ დროს წაიღებს, მგონი. მარტო ჩვენ კი ტყუილად შევენირებით მტრის რაზმებს. მოვკალი მტერი, მიწევს შეტევა, უკან გამოტრიალებულს თუ დამინახავენ, იქვე მიმასიკვდილებენ. ო ღმერთებო, ო დიდო შივა, ნეტავ როდის დამთავრდება ეს? კი დაგვპირდნენ, ვინც მტრის ბანაკამდე ჩააღნევს, იმას რაჯპუტად დავნიშნავთო, მაგრამ ეჭვი მაქვს, პირადად მე ვერ გადავრჩები. აგერ ჩემკენ, მორების მტვრევით, უზარმაზარი სპილო მოექანება..”

უკიდეგანო კოსმიურ სივრცეში თეთრი ლოტოსის ფურცელზე აცეკვებულმა შივამ თავის მტერს, ასურთა მბრძანებელ აფასმარას, სპილოთი მოუკლა პაიკი.

ბენ ბეცაცელის წინაშე იდგა ის.

გოლემი.

ათი წლის მოულლელი შრომის საბოლოო შედეგი იდგა მის წინაშე, სტარონოვას სინა-გოგის სხვენში, შუაგულ პრალაში.

მოხუც რაბინს თვალზე ცრემლი მოადგა. ორმოცი წლის ასაკიდან ის სწავლობდა კაბალას, ვარჯიშობდა თიხაზე მუშაობაში და ეცნობოდა ადამიანის აგებულებას.

მან სურდა გაეკეთებინა ის, რასაც სხვა ბრძენი შეუძლებლად მიიჩნევდნენ, რაც უფლის მერე არავის გაუკეთებია – თიხისაგან შეექმნა არსება, რომელიც შემქმნელის ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული ისევე, როგორც ადამიანია შემოქმედის ნების აღმსრულებელი.

მაგრამ დიადი ღმერთის შრომის განმეორება შეუძლებელია და ბენ ბეცაცელმა, პირველი იუდეველი ხელოვანის სენიამ, გადაწყვიტა თავისი ცვლილებები შეეტანა გოლემის კონსტრუქციაში.

თიხისაგან მხოლოდ მაკეტი ააგო, ზუსტ ზომებსა და პროპორციებში, ხოლო თვითონ ფიგურა ბეცაცელმა ჩამოასხმევინა ფოლადისგან თავის ერთ-ერთ არაეპრაელ მეგობარ მტედელს, რადგანაც არც ერთი იუდეველი არ შექმნიდა ადამიანის მსგავს ფიგურას.

დეტალები რაბინმა ერთმანეთთან დააკავშირა და ახლა მზად იყო განეხორციელებინა ლვთაებრივი აქტი.

გოლემის თავში მას უნდა ჩაედო პატარა ფირფიტა. ფირფიტა, რომელზეც ტეტრაგრამა – უფლის საიდუმლო სახელი – იყო ამოტიფრული.

აკანკალებული ხელით მოხუცმა ეს გააკეთა.

გადადგა ნაბიჯი უკან და ღმერთს ლოცვით მიმართა.

გოლემის სახეზე წითლად აინთო თვალები, ის დაიძრა. ორიოდე ნამში უკვე სხვენიდან ჩამავალ კიბეზე იდგა.

გაშტრერებული ბეცაცელი უყურებდა თავის ქმნილებას, უყურებდა იმას, თუ როგორ ქრებოდა ის სიბნელეში. მოხუცმა კაბალისტმა ქმნილების რაღაცნაირი ფოლადისებრი ხმა გაიგონა, – შემქნელს გაუგებარი სიტყვებით მიმართა:

– I'll be back.

დავით ბიბილაშვილი

ლაპარაკობს და უჩვეებს „პანდორას ყუთი“!

– ალექსანდრააა, ალექსანდრააა, ალექსანდრააააა!

ლრიალებდა ათენის სახელგანთქმული მეფე ოიდიპოსი, თავი უსკდებოდა გუშინდელი ღრეობის შემდგომ, არც ფიზიკურად გამოიყურებოდა ძალიან კარგად, წვერი დასავარცხნი, თმა აბურდული, თვალები დასიებულ-ჩაშავებული, სახე წამოწითლებული. მოკლედ, დიადი

ღმერთის, ბაქუსის ყველა ნიშანი სახეზე იყო, ამას კიდევ ყურებში შუილიც დაემატა.

„სად დაიკარგა ეს ზეგსისაგან მივიწყებული გოგო?“ გაიფიქრა და ის-ის იყო კიდევ ერთხელ უნდა ელრიალა თავისი მონა ალექსანდრასათვის, რომ გაახსენდა, სამი დღის წინ დააყენებინა ხმაგაუმტარი კარი, და მოახლის დასაძახებელი, სპეციალური, საწოლთან ახლოს მყოფი, პატარა, წითელი ელექტრო ლილაკიც დააყენებინა. გაუხარდა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, კიდევ ერთ მტანჯველ ღრიალს გადარჩა. წყნარად დააწვა ლილაკს და ზუსტად სამ წამში მოახლემ დააკაკუნა კარებზე.

— შემოდიო, — ამოიხავლა ოიდიპოსმა, თან მამამისის შეშურდა, რომელსაც რამდენიც არ უნდა დაელია, ბაქუსი არ ანუხებდა, დალევით კი მართლაც ბევრს სვამდა, ჯერ ვერ მიეღწია მამის დონემდე, ყველანაირად კი ცდილობდა.

— გამარჯობათ, ბატონო, — მოახლემ მდაბლად დაუკრა თავი, და მინერალური წყლით სავსე თასი დაუდგა.

— ჩამრთველი მომანოდე, — მიუგო და ხარბად დაეწაფა მინერალურ წყალს.

დიდ, უზარმაზარ, უუშველებელ საწოლში იწვა, რომელიც კაცობრიობის ყველა უახლესი მიღწევით აღჭურვილიყო, რა აღარ ჰქონდა, საწოლის ქვეშ გაკეთებული მინი ბარიდან დაწყებული, რომელიც უხმაუროდ იღებოდა თითის ერთი მსუბუქი მოძრაობით, ელექტრო მასაურიანი ლეიბით დამთავრებული, რომელსაც დატვირთვის ხუთი დონე ჰქონდა და ერთი საათის განმავლობაში ამუშავებდა სხეულის თითქმის ყველა კუნთსა და ნერვულ დაბოლოებას. ალექსანდრამ ჩამრთველი მიაწიდა და უხმაუროდ გავიდა. იცოდა, არ უყვარდა ხელმწიფეს როდესაც დილის საინფორმაციო გამოშვების ყურებისას ანუხებდნენ.

დიდად არც ოიდიპოსს უყვარდა ამ გამოშვების ყურება, პირადად მას, რომელიმე ახალი ციფრული თამაში ერჩივნა, საწოლზე წამოგორებულს, ჯოისტიკით რომ ეთამაშა, თუმცა მეფე იყო და მისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა ქვეყნის ავ-კარგის ცოდნა. თანაც უბრალო მეფე ხომ არაა? მსოფლიოში ერთ-ერთი განთქმული ქალაქ-სახელმწიფოს, ათენის მეფე, რომელიც გამორჩეული იყო თა-

ვისი კულტურითა და მიღწევებით თითქმის ყველა სფეროში.

თითო მსუბუქად დააჭირა პატარა წითელ ლილაკს და ტელევიზორიც ჩაირთო. უახლესი ლედ ტელევიზორი ჰქონდა, მორკალული ეკრანითა და სამი დე შესაძლებლობებით.

ეკრანზე მომხიბვლავი წამყვანი გამოჩნდა, „ზუსტად დროზე ჩამირთავსო“, გაიფიქრა და სმენად იქცა.

— მოგესალმებით, ძვირფასო მაყურებლებო, ტელევიზია „პანდორა“ იწყებას დილის საინფორმაციო გამოშვებას, ჩვენ მოკლედ გაგაცნოთ იმ მოვლენებს, რომლებსაც უფრო დაწვრილებით ერთ საათში განვიხილავთ.

მაშ, ასე, პირველი სიახლე ისაა, რომ ცნობილმა გამომგონებელმა და როკ-მუსიკოსმა, ჯგუფ „აპოლონის შეილების“ ვოკალისტმა და გიტარისტმა, იასონმა, სკანდალური განცხადება გააკეთა, კერძოდ, იგი ტოვებს ათენს და საერთოდ, საბერძნეთსაც, აწყობს საკმაოდ ხანგრძლივ ტურნეს შორეულ ქვეყნებში, თავის პირველ გაჩერებად მან აირჩია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქები, ფაზისი, გიენოსი და პიტიუნტი, კავკასიაში ტურნეს იგი აიაში გრანანდიოზული კონცერტით დაასრულებს, რომელზეც თავად მეფე და მისი ასულიც არიან მიწვეულები. იასონის ამ განცხადებამ შოკში ჩაგდო მისი თაყვანისმცემლები. შეგახსენებთ, რომ ჯგუფის ყველაზე ცნობილი სიმღერაა „ჰადესი მიძყობს მე“, რომელიც პერსეფონეს მიეძღვნა.

თუმცა მიგრაციის წაკადი ამით არ წყდება, ათენს ტოვებს გმირი ჰერაკლეც, რომელიც ცნობილი გახდა იმით, რომ დაამარცხა ცხრათავიანი ურჩხული ჰიდრა და ერთადერთია, ვინც ჰერას შურისძიებას ცოცხალი გადაურჩა. იგი აცხადებს, რომ დაიღალა იმით, რომ დაქირავებული ჯარისკაციებით მუშაობს და ხან ლომებს დასდევს ტარზანივით, ხან კიდევ თავლებსა წმენდს. „წავალ მუხლს გავმლი, ერთი გემრიელი ტახზე წადირობა მომენატრა, ბოლოსდაბოლოს, გმირი ვარ თუ რა!“ განაცხადა მან ჩვენთან ინტერვიუში. როგორც სანდო წყარო გვაუწყებს, იგი კითერიონის მთის კალთებზე აპირებს განავარდებას, „კარგი ტახი იცის მანდ, თან სეზონია“, — ამბობს ჰერაკლე.

კვლავ დაძაბულობაა პელოპონესის ნახევარკუნძულზე, სადაც სპარტასა და სპარსეთს შორის მიმდინარეობს დიპლომატიური მოლაპარაკებები, სიტუაციას ამწვავებს სპარტის პოზიცია, მეფე ლეონიდასმა განაცხადა, „ჩვენ არ დავემორჩილებით მათ“. ფრაზა მართლაც ლაკონურია, ვერაფერს იტყვი. თუმცა ბოლო-დროინდელი მოვლენები გვიჩვენებს, რომ ომი გარდაუვალია. დღეს დილით მოხდა კიდევ ერთი ამბავი, მეფე ლეონიდასი, რომელიც არ იღებდა სპარსეთის ელჩებს, როგორც იქნა, დაიყოლიეს, მან მიიღო ელჩები, თუმცა მალევე ჭაში ჩაყარა. სპარსეთის მეფე ქსერქსემ მას შეტყობინება გაუგზავნა, სადაც წერს, რომ ამ ფაქტს არ შეეგუება, მოვა და მთელს საბერძნეთს ააოხრებს. ისე, ჩვენ რაღას გვერჩის, მაინც ვერ გავიგე. ლეონიდასმა უბრალოდ დასცინა მას, რაც ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ჯარები უკვე დაძრულია.

დილიდან არეულობაა აგორაზე, სასამართლო დარბაზთან, სადაც იმართება საუკუნის პროცესი, „ოლიმპო პრომეთეს წინააღმდეგ“, სხდომას თავად თემიდა უძღვება, რომელმაც დღეს განაცხადა, რომ ამ სასწორს აუცილებლად გავათანაბრებო, მაგრამ ჩაიცინა და რატომდაც ხმალს გაუსვა ხელი. სასამართლოს-თან შეკრებილები არიან პრომეთეს მომხრები, მათში ბევრია გმირიც. პრომეთეს მხარდასაჭერად ჩამოსულია კავკასიელი ამირანი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ, ზუსტად ამავე დანაშაულში ედებოდა ბრალი, აյ არიან ასევე, ატლანტი და სხვა ტიტანები, რომლებიც დაჩა-გრულად გრძნობენ თავს.

ახლა კი გადავიდეთ კულტურასა და სპორტზე.

კულტურისა და სპორტის სიახლეებს ევრიპიდე გაგვაცნობს.

– მოგესალმებით, ძვირფასო ტელემაყურებლებო, დავიწყებ საპორტული სიახლეებით. მოგახსენებთ, რომ ათენი მსოფლიო ჩემპიონი გახდა დიდ მანძილზე სირბილში, ათენელმა ფიდიპიდესმა გაირჩინა 42 კილომეტრი, მარათონის ველიდან ათენამდე, რაც ჯერ-ჯერბით რეკორდია, თუმცა იგი ათენში მისვლისთანავე გულის შეტევით გარდაიცვალა.

ასევე ფატალურად დასრულდა შეჯიბრი ღვინის სმაში. გამარჯვებული პრომაქისი,

რომელსაც მსაჯმა ალექსანდრემ თავისი ხელით გადასცა გვირგვინი, მალევე გარდაიცვალა ალკოპოლური ინტოკისიკაციისაგან.

რაც შეეხება კულტურას.

ათენის კლეას სახელობის გალერეაში შედგება მწერლისა და ბიოგრაფის, პეროდოტეს ნანარმოების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მიწვეულია ყველა ცნობილი სახე, ასევე მეფეც, რომელიც, იმედია, დაგვაფასებს და მოვა.

ათენის აპოლონის სახელობის თეატრში შედგება სპექტაკლ „ოდისეას“ პრემიერა. სპექტაკლის ავტორია ახალგაზრდა, მაგრამ ნიჭიერი დრამატურგი პომეროსი. როგორც იცით მის პირველ ბესტსელერზე „ილიადაზე“ დაწყებულია ფილმის გადაღების პროცესიც, მთავარ როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი აქილევსი, რომელსაც კინოკრიტიკოსები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

გმადლობთ, ევრიპიდე. ამ მომენტისათვის ეს იყო. არ გადართოთ, შემდეგ ეთერში გადის ქირონის ზღაპრები ბავშვებისათვის. ეთერში ცხრა საათზე დავბრუნდებით.

„დამპალი ძალლები!“ - ამიოხერა ოიდიპოსმა, საწილში მხარი იცვალა, ოთახში გამაგრილებელი ჩართო, საჭირო დონეზე დააყენა და ტკბილ ძილს მისცა თავი.

* * *

ამ დროს, დელფოსში, პოსეიდონის სამისნოში, ორაკულ პითიას გამოელვიდა. თვალები დაძაბულმა მოიფშვნიტა და რაღაც გაუგებარი სიტყვების ბუტბუტს მოჰყვა.

„რა უცნაური სიზმარი იყო, ჩაილაპარაკა მან, ძალიან უცნაური ნივთები და მოვლენები“.

იგი მუხლებზე დამდგარი მიუახლოვდა სამსხვერპლოს, ზედ ორი ვაშლი დადო, საკუთარი სისხლი დააწვეთა და ლოცვა დაიწყო.

შემდეგ კი ღმერთს შესთხოვა, თუ მართლა მომავალი დავინახე, თუკი ეს ყველაფერი ახდება, გთხოვ მანიშნო.

სამსხვერპლო უეცრად ცეცხლის ალში გაეხვია....

გამომცველი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ფანტასტი”.
რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 18/03/2015
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405092448

მთავარი რედაქტორი ირაკლი ლომოვანი

სარედაქციო საბჭო:

ალექსანდრე ელეონორაშვილი
არჩილ პიპაძე
თამარ გრიგორიაშვილი
ინა იმედაშვილი
ინგა მილორავა
ირაკლი ბახურიძე
ლევან ბერიძეშვილი
ლევან გელაშვილი
მაღალაზ რუსაძე
მამუკა ხანიაძე

